

კაათა გუბუშვილის  
ეკონომიკის ინსტიტუტის  
სამეცნიერო  
შრომების კრებული

III

მთავარი რედაქტორი

რამაზ აბესაძე

სარედაქციო კოლეგია

ნ. არევაძე, გ. ბერულავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხის-  
მგებელი მდივანი), ვ. ბურდული, ლ. დათუნაშვილი, ლ.  
თოთლაძე, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, ა. კურატაშვილი,  
თ. ლაზარაშვილი, ი. ნათელაური, გ. პაპავა, ვლ. პაპავა,  
რ. სარჩიმელია, თ. ჩხეიძე, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, რ.  
ჯავახიშვილი

კაათა გუბუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი 2010

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება აქტუალურ სამეცნიერო და ქვეყნის საჭირობოროტო ეკონომიკურ პრობლემებს.

კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

© პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

2010

**ISSN 1987 – 6904**

**Strixkodi 9771987690003**

**COLLECTION OF SCIENTIFIC  
WORKS  
OF  
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF  
ECONOMICS  
III**

Editor-in-chief

**Ramaz Abesadze**

Editorial Board

**N. Arevadze, G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, T. Chkheidze, L. Datunashvili, R. Javakhishvili, E. Kakulia, N. Khaduri, M. Khuskivadze, A. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, I. Natelauri, G. Papava, V. Papava, R. Sarchimelia, L. Totladze**

**Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics**

**TBILISI 2010**

*UDC (uak) 061.62: 33(479.22)(045)*

*p – 121*

*The collection of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics publishes the works of Institute researchers and scientists-economists of Georgia dedicated to actual scientific problems and the problems vital for country economy.*

**The collection is intended for a wide range of readers and will assist not only professionals but those concerned with issues of economy.**

© *Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics*

2010

**ISSN 1987 - 6904**

**მოსახლეობის ცხოვრების დონისა და სიღარიბის  
ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი**

მოსახლეობის ცხოვრების დონე, ანუ ის, თუ როგორ ცხოვრობენ, როგორ იკმაყოფილებენ ადამიანები თავიანთ მოთხოვნილებებს, დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე, რომელთაგან უმთავრესია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების არსებული მდგომარეობა. ბუნებრივია, რაც უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხარისხი, მით უფრო მაღალია ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ცნებებს – “ცხოვრების დონე” და “ცხოვრების ხარისხი”. მართალია, ამ ორ ცნებას შორის განსხვავების საპოვნელად გარკვეული ლოგიკა არსებობს, მაგრამ, ჩვენი აზრით, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის. ცხოვრების დონეც და ცხოვრების ხარისხიც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მხარეებს, ვინაიდან, თუ ხარისხობრივად ადამიანთა მოთხოვნილებები არ კმაყოფილდება, როგორ შეიძლება ვისაუბროთ ცხოვრების მაღალ დონეზე და პირიქით, თუ რაოდენობრივად ადამიანთა მოთხოვნილებები არ კმაყოფილდება, როგორ შეიძლება ვისაუბროთ ცხოვრების მაღალ ხარისხზე. შაერთოდ, ცხოვრების პირობების შესაფასებლად უფრო მისაღებია ვიხმართ ტერმინი “ცხოვრების დონე”. ამასთან, მისაღებია განვიხილოთ ცხოვრების დონის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ცხოვრების დონის მიხედვით ერთმანეთისაგან შეიძლება განვასხვაოთ ეპოქები, ქვეყნები, ადამიანები. ცხოვრების დონე უდიდეს გავლენას ახდენს ცხოვრების წესზე. საკმარისია წარმოვიდგინოთ ცხოვრების დონით განსხვავებული ეპოქები, ქვეყნები და ადამიანები და დავინახავთ, თუ როგორ იცვლება ერთი და იმავე ერის ცხოვრების წესი ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად, თუ როგორ განსხვავდება სხვადასხვა ცხოვრების

დონის მქონე ქვეყნების ცხოვრების წესი ერთმანეთისაგან, თუ როგორ განსხვავდება ერთსა და იმავე ქვეყანაში ერთმანეთისაგან მდიდარ და ღარიბ ადამიანთა ცხოვრების წესი. მართალია, ცხოვრების წესზე დიდ გავლენას ახდენს სხვა ფაქტორებიც (კულტურა, ტრადიციები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის წესი, პროფესია და სხვა), მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც ცხოვრების დონეს ენიჭება.

ლიტერატურაში ასევე არსებობს ცხოვრების დონის სხვადასხვაგვარი ფორმულირება. ჩვენი აზრით, ეს ცნება არ მოითხოვს რთულ და ერთმანეთისაგან განსხვავებულ განმარტებებს. **ცხოვრების დონე არის ცალკეულ ადამიანთა და მთლიანად საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონე.** რაც უფრო მაღალია ცალკეული ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონე, მით უფრო მაღალია ცხოვრების დონე და პირიქით. მოთხოვნილებები კი, როგორც ვიცით, შემოუსაზღვრავია, თუმცა ცვალებადი და იცვლება ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად (წარმოება წარმოშობს ახალ მოთხოვნილებებს).

ცხოვრების დონე უფრო პირდაპირ კავშირშია მოთხოვნასთან, ვინაიდან მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული მოთხოვნილება. ცხოვრების დონე კი, სწორედ, დაკმაყოფილებული მოთხოვნილებით განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, მთელი საზოგადოების ცხოვრების დონე დამოკიდებულია ერთობლივ მოთხოვნაზე, ხოლო ცალკეული ადამიანის ცხოვრების დონე – ინდივიდუალურ მოთხოვნაზე. მოთხოვნა კი თავისთავად დამოკიდებულია შემოსავლებზე და დანახოვებზე. მართალია, დანახოვები ამცირებს მიმდინარე მოხმარებას და, მაშასადამე, ცხოვრების დონესაც, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი ზრდის მოხმარებას მომავალში და შესაბამისად ცხოვრების დონესაც.

ბუნებრივია, პირდაპირი კავშირი არსებობს მოთხოვნილებასა და ცხოვრების დონეს შორის, რომ რაც უფრო დიდია მოთხოვნილების განვითარების ხარისხი, მით უფრო მაღალია ცხოვრების დონე. მოთხოვნილების განვითარების ხარისხი კი თავისთავად დამოკიდებულია თვისებრივ ცვლილებებთან წარმოებაში – საქონლისა და მომსახურების ახალი

სახეობების წარმოშობასთან, რაც თავისთავად პირდაპირ კავშირშია ინოვაციებთან ეკონომიკაში. მაგრამ თანამედროვე პირობებში ინფორმაციის საშუალებები იმდენად განვითარებულია, რომ ახალ მოთხოვნილებებს წარმოშობს არა მხოლოდ მდიდარ, არამედ ღარიბ ფენებში, ანუ მოთხოვნილებები მოსახლეობის როგორც მდიდარი, ისე ღარიბი ნაწილისა ერთნაირია, შესაძლებლობა კი ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა – მნიშვნელოვნად განსხვავებული. სწორედ ეს განაპირობებს ცხოვრების დონის განსხვავებულობას და გარკვეულ დაპირისპირებას მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის. ამ მხრივ ყველაზე ნეიტრალურია მოსახლეობის საშუალო ფენა.

ცხოვრების დონის შესაფასებლად არსებობს მანკვენებელთა მთელი სისტემა<sup>1</sup>. უნდა ითქვას, რომ ყველა არსებული მანკვენებელი სასარგებლოა და მათი გამოყენება საშუალებას იძლევა, დავახასიათოთ ცხოვრების პირობების ესა თუ ის მხარე. მაგრამ, ჩვენი აზრით, ძირითადი მანკვენებელი ცხოვრების დონისა არის შემოსავალი და საქონლისა და მომსახურების ხარისხი როგორც ცალკეული პიროვნების, ისე მთელი საზოგადოებისათვის. სწორედ მათზეა დამოკიდებული როგორც ფიზიკური, ისე სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, ასევე ცხოვრებისა და შრომის კომფორტის ხარისხი (რომელიც შეიძლება განისაზღვროს უახლესი სახეობის პროდუქციის გამოყენების მასშტაბებით). მაშასადამე, ცხოვრების დონე დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი განვითარების დონეზე, მათ შორის, შემოსავლების განაწილების სამართლიანობაზე.

ადამიანთა პირველყოფილი საზოგადოების პირობებში მდიდრებისა და ღარიბების ერთმანეთისაგან განსხვავება არ

---

<sup>1</sup> მაგალითად: Жеребин В. М., Романов А. Н. Уровень жизни населения. М., «ЮНИТИ», 2002; Румянцев Е. Е. Стратегия преодоления бедности. Минск, «Армира – Маркетинг, Менеджмент», 2001; მესხია ი., გაბელაშვილი კ. მოსახლეობის ცხოვრების დონე (ანალიზი და პროგნოზები). თბ., “ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 2004 და სხვ.

იარსებებდა (არ იარსებებდა შესაბამისი სიტყვებიც კი), ვინაიდან არ არსებობდა ღარიბებად და მდიდრებად დაყოფა, რადგანაც რასაც მოიპოვებდნენ თანაბრად მოიხმარდნენ (განაწილება ხდებოდა თანაბრად). თუმცა, განსხვავება ამ ნიშნის მიხედვით ცალკეულ თემებსა (ტომებს) და რეგიონებს შორის მაინც იქნებოდა (ბუნებრივი რესურსების, უნარის, შრომის იარაღების და სხვა განსხვავებათა გამო). მდიდრებად და ღარიბებად დაყოფა იწყება მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ისტორიაში სხვადასხვა ფაქტორთა გამო (რომელიც კარგადაა ცნობილი) განაწილების სამართლიანობა ირღვევა, საზოგადოების გარკვეული ფენა უმრავლესობასთან შედარებით შემოსავლების მეტ ნაწილს ითვისებს და სხვებზე მდიდარი ხდება. აგალითად, მონათმფლობელები – მონებზე, თავადაზნაურები – გლეხებზე, კაპიტალისტები – მუშებზე [სიღარიბეში იგულისხმება განსხვავება არა მხოლოდ მატერიალური ქონების, არამედ სხვა ფასეულობათა მიხედვითაც (განათლება, კულტურა, თავისუფლების ხარისხი და ა.შ.)]. შეიძლება ითქვას, რომ, ისტორიულად, თითქმის ყველა მონა და ყმა გლეხი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) შეიძლება ჩაითვალოს **მუდმივ ღარიბებად**. კაპიტალიზმის პირობებში კი მდგომარეობა რადიკალურად იცვლება, ვინაიდან იურიდიულად მუშა (და გლეხიც) თავისუფალია და მისი იძულებით მუშაობა შეუძლებელია. ამდენად, კაპიტალისტი იძულებულია, შემოსავლებიდან მეტი დაუთმოს მას, ვიდრე ამას მონათმფლობელები და თავადაზნაურები აკეთებდნენ. ბატონყმობის წიადში წარმოიშვება საშუალო ფენა, რომელიც კაპიტალიზმის დროს საზოგადოების ყველაზე დიდ ნაწილს წარმოადგენს.

პოლიტეკონომიკურ ლიტერატურაში საშუალო ფენის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გაგრძელებული. ზოგი მას განიხილავს საზოგადოების დაყოფის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად და საშუალო კლასსაც კი უწოდებს. მაგალითად, სოციოლოგები უილიამ ტომპსონი და ჯოზეფ ჰაიკი<sup>2</sup> საზოგადოებას შემოსავლების მიხედვით ყოფს **უმაღლეს, უმაღლეს**

---

<sup>2</sup> Thompson, William; Joseph Hickey". Society in Focus. Boston, 2005.



**საშუალო, უდაბლეს საშუალო, მუშათა და უდაბლეს** კლასად.

მიგვაჩნია, რომ **საშუალო ფენას** არ შეიძლება ეწოდოს კლასი, ვინაიდან კლასის ცნება დაკავშირებულია მასში შემავალ წევრთა გარკვეულ სოციალურ სტატუსთან (რომელსაც ძირითადად სოციალურ-პოლიტიკური დატვირთვა აქვს. მაგალითად: მონა, მონათმფლობელი, ყმა-გლეხი, თავადი, მუშა, კაპიტალისტი და მათ შორის არსებობს დაპირისპირებულობა, რომელიც ხშირად გადაიზრდება კლასობრივ ბრძოლაში). საშუალო ფენა კი უმეტესწილად დაკავშირებულია მის ეკონომიკურ მდგომარეობასთან (იგულისხმება არა მხოლოდ შემოსავლის დონე, არამედ განათლება, ინტელექტუალური საკუთრება, კვალიფიციური შრომის უნარი და სხვ.) და საზოგადოების ის მრავალფეროვანი ნაწილია, რომლის წევრების შემოსავალი მერყეობს საზოგადოების (ქვეყნის) წევრთა შემოსავლების საშუალო დონის მახლობლად, ე.ი. ამ ფენის წარმომადგენლები არც ღარიბები არიან და არც მდიდრები. მისი შემადგენლობა მრავალფეროვანია და ასევე მობილური. მის რიგებში შეიძლება იყოს თანამედროვე საზოგადოების სრულიად სხვადასხვა წრის წარმომადგენელი (მუშა, გლეხი, მეწარმე, სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, მწერალი, სპორტსმენი და ა.შ.). საშუალო ფენის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური განვითარებისათვის. იგი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მაკროეკონომიკურ და საერთოდ, ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას. სწორედ ამიტომ, რომ განვითარებულ ქვეყნებში ეს ფენა საზოგადოების ყველაზე დიდი ნაწილია.

ცნება – “საშუალო ფენა” (და არა კლასი) პირველად გამოიყენა არისტოტელემ, ალბათ, ძირითადად, ხელოსანთა, ვაჭართა, მევახშეთა და მონათა იმ ნაწილის აღსანიშნავად, რომელთა მდგომარეობა მონათა ძირითად ნაწილზე უკეთესი იყო, ხოლო მონათმფლობელზე – უარესი. საზოგადოების ეს ნაწილი, ბუნებრივია, მონაწილეობას არ მიიღებდა მონათა გამოსვლებში.

განვითარებულ ქვეყნებში დღეისათვის საშუალო ფენის

ხვედრითი წილი იმდენად დიდია და ცხოვრების სერთო დონე იმდენად მაღალი, საზოგადოების დაყოფა კლასებად საერთოდ კარგავს აზრს (ეს აისახა მ. ვებერის, ტ. პარსონსის, რ. დარენდორფის, ბ. ბარბერის, კ. დევისის, უ. მორის, პ. კოლინზის და სხვათა ნაშრომებში). ამიტომ საზოგადოების დაყოფა ხდება მხოლოდ “სტრატეზად”, ანუ “ფენებად”, რომელთა შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობა არ არსებობს.

ისტორიული თვალსაზრისით, ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ დროთა განმავლობაში ადამიანები გაცილებით უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე წინა საუკუნეებში, ე. ი. ადგილი აქვს **სიმდიდრის ზრდის ტენდენციას**. ამიტომ დღევანდელი ღარიბი წარსულის მდიდრებზე გაცილებით მდიდარი შეიძლება აღმოჩნდეს და არა შემოსავლების, არამედ, უმთავრესად, ცხოვრების კომფორტის მიხედვით, რასაც მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები განაპირობებს. მაგალითად, დღევანდელი განვითარებული ქვეყნის საშუალო ფენის წარმომადგენელი გაცილებით მდიდარია, ვიდრე ეგვიპტის ნებისმიერი ფარაონი ან რომის ნებისმიერი იმპერატორი, ვინაიდან (მიუხედავად მათი გაცილებით დიდი შემოსავლებისა) მათი ცხოვრების პირობები ნაკლებ კომფორტული იყო – ვერ სარგებლობდნენ დღევანდელი დონის სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებით, ტელევიზორით, ვიდეო და აუდიოტექნიკით, კინომატოგრაფიით, ინტერნეტით და ა. შ. და ა. შ.

სიღარიბის მიზეზი გარდა სოციალური უთანასწორობისა, იყო **მასობრივი უბედურება** – მოუსავლიანობა, ეპიდემიები, წყალდიდობა, ხანძარი, ომები და სხვა<sup>3</sup>. ისტორიიდან მრავალი ასეთი ფაქტის დასახელება შეიძლება.

სიღარიბის არსებობას განვითარების თანამედროვე ეტაპზე ძირითადად განაპირობებს **ტექნოლოგიების დაბალი დონე, მწირი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, ეკონომიკის არასწორი რეგულირება** (ინფლაცია, უმუშევრობა) და სხვ. მაგრამ გარკვეული კავშირია ასევე სიღარიბესა და **ადამიანისეულ**

---

<sup>3</sup> Румянцева Е. Е. Стратегия преодоления бедности. Минск, “Армита – Маркетинг, Менеджмент”, 2001.

**კაპიტალს შორის** – ბუნებრივია, ადამიანის მდგომარეობა საზოგადოებაში, მისი შემოსავალი, დამოკიდებულია ადამიანისეულ კაპიტალზე, ანუ მის პროფესიულ, მეწარმეობრივ უნარზე, ნებისყოფაზე, მისწრაფებაზე და ა.შ. სიღარიბე აუარესებს ადამიანისეულ კაპიტალს და ადამიანისეული კაპიტალის გაუარესება აძლიერებს სიღარიბეს. სიღარიბე, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, აუარესებს რა მის ფიზიკურ, ისე სულიერ მდგომარეობას. არასრულყოფილი კვება, ცუდი სანიტარული პირობები, ჯანდაცვის სფეროს, წყლის მომარაგების სისტემებისა და გზების განუვითარებლობა, განათლებისა და კულტურის დაბალი დონე, ქანცგამომცლელი შრომა, განუწყვეტელი დარდი თანდათან ცვეთს ადამიანს როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, რაც კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში აგდებს მას.

სიღარიბის გაძლიერების ერთ-ერთი მიზეზია **უიმედობა**, რაც თან ახლავს სიღარიბეს. უიმედობა ადამიანს აკარგვინებს რწმენას, რომ იგი როდესმე თავს დააღწევს სიღარიბეს. ღწმენის დაკარგვა იწვევს უმოქმედობას. რაც აძლიერებს სიღარიბეს ქვეყანაში.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ადამიანს ეზარება იმუშაოს, ხელი მოჰკიდოს სასარგებლო საქმიანობას და ამის გამო იგი განწირულია მუდმივი სიღარიბისათვის.

**განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად მსოფლიო გლობალიზაციის მაღალი ტემპებისა, ცხოვრების დონის მიხედვით მსოფლიოს რეგიონები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.** არადა, სამართლიანობის პირობებში, გლობალიზაციამ უნდა შეძლოს ცხოვრების დონის გამოთანაბრება მსოფლიოს რეგიონებს შორის. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართებით მსოფლიო ეკონომიკა არასაკმაოდ გლობალიზებულია. 2005 წლისათვის დედამიწის მოსახლეობის თითქმის 53.6%-ის შემოსავალი დღეში შეადგენდა – 2, 31.1 %-ისა – 1.25, ხოლო 16.1%-ისა – 1 აშშ დოლარზე ნაკლებს. როცენტუალად, სიღარიბის ყველაზე დიდი დონეა სამხრეთ აზიის,

საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში, ასევე, ჩინეთში, აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში მდებარე ქვეყნებში. ამ მაჩვენებლის მიხედვით, დაბალი სიდიდით გამოირჩევიან ევროპისა და ცენტრალური აზიის, ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები. ყველაზე დიდი რაოდენობით ღარიბი მოსახლეობა ცხოვრობს სამხრეთ აზიასა და საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში, ყველაზე ნაკლები – ევროპისა და ცენტრალური აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონებში. ღარიბი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობს განვითარებად ქვეყნებსა და შემდეგ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში<sup>4</sup>.

ცალკეული ქვეყნის შიგნითაც არ არის ცხოვრების დონე თანაბარი. საზოგადოების ცალკეული ფენები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ამ მაჩვენებლის მიხედვით. ჯინის კოეფიციენტის მაღალი დონე ძირითადად დაბალგანვითარებულ ქვეყნებში არსებობს, თუმცა არსებობს გამოწვევები (ეთიოპია, ბანგლადეში და სხვ.), რაც იმაზე მეტყველებს, რომ შემოსავლების არასამართლიანი განაწილება ყოველთვის აუცილებლად ეკონომიკური განვითარების დონესთან დაკავშირებული არ არის. იგი უფრო ჩამოყალიბებული ტრადიციებითა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფილებით განისაზღვრება.


წარმოადგენს რა ეკონომიკური სისტემის შემადგენელ ნაწილს, განაწილებითი ურთიერთობები, მათი გაუმჯობესება იწვევს ეკონომიკური სისტემის თითქმის ყველა ელემენტის გარკვეულ სრულყოფას, რასაც ეკონომიკა გადაჰყავს თვისებრივად ახალ, უფრო მაღალ მდგომარეობაში, რაც ქმნის პირობებს ეკონომიკური ზრდის შემდგომი დაჩქარებისათვის: უმ-

---

<sup>4</sup> **რამაზ აბესაძე.** სიღარიბე და ეკონომიკური განვითარება. წიგნში: „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული“. თბ., „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2009.

ჯობესდება ფიზიკური კაპიტალი და ტექნოლოგია, ვინაიდან მეწარმე უკვე ცდილობს მოგება გაზარდოს არა განაწილების გაუარესების, არამედ ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის ხარჯზე. განსაკუთრებით უმჯობესდება ადამიანისეული კაპიტალი, მისი ყველა ელემენტი. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვება ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება. გრაფიკულად ეს დამოკიდებულება შემდეგნაირად გამოისახება (ნახ. 1). შემოთავაზებულ მრუდზე განაწილების გაუმჯობესებას მოსდევს ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, სანამ განაწილების სრულყოფა ოპტიმალურ ზღვარს არ მიაღწევს. ჯინის კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მონაცემებიდან გამომდინარე, უნდა მერყეობდეს 0,2-0,25-ს, ანუ 20-25%-ს შორის.

მონაცემების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ცხოვრების საერთო დონე საქართველოში დაბალია. მაგალითად, მედიანური მოხმარება, მიუხედავად იმისა, რომ მას ზრდის ტენდენცია ჰქონდა, დაბალია და 2007 წელს საშუალოდ 126 ლარი შეადგინა, ანუ ყოველდღიური მედიანური მოხმარების



## ნახ. 1. დამოკიდებულება მშპ-სა და ჯინის კოეფიციენტს შორის<sup>5</sup>.

შემოსავალი ჰქონდა მოსახლეობის 21,3, ხოლო 1 დოლარზე ნაკლები – 9,2%-ს. მეცნიერთა და ექსპერტთა აზრით, რეალური მონაცემები უფრო უარესია.<sup>6</sup> შემოსავლების განაწილების მიხედვით საქართველო მიეკუთვნება ქვეყნებს შედარებით არათანაბარი განაწილებით. აქ ჯინის კოეფიციენტი წლების განმავლობაში მუდმივია და ტოლია 47%-ის. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ცხოვრების დონეს საქართველოში, ბოლო წლებში, ზრდის ტენდენცია ჰქონდა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2003-2009 წლებში რეალური საშუალო ხელფასი 2,89-ჯერ გაიზარდა<sup>7</sup> ასევე თანდათან უმჯობესდებოდა სიღარიბის დონის მაჩვენებლებიც.

საქართველოში მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავალი (ფულადი და არაფულადი) წლების განმავლობაში იზრდება (ცხრილი 1). 2008 წელს ეს სიდიდე 2003 წელთან შედარებით 75,5 %-ით გაიზარდა. აბსოლუტურად ყველაზე დიდი ზრდა მოდიოდა ფულად შემოსავალსა და ტრანსფერტებზე (205,5 მლნ ლარი) მათ შორის კი დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავალზე – 105,5 მლნ ლარი. მნიშვნელოვანი ზრდა იყო ამ მხრივ თვითდასაქმებიდან (20,3 მლნ ლარი) და პენსიებიდან, სტიპენდიებიდან და დახმარებებიდან (55,0 მლნ ლარი) მიღებულ შემოსავლებზე. ყველაზე დიდი ხვედრითი წონით შემოსავლების სტრუქტურაში გამოირჩევა შემოსავალი დაქირავებული შრომიდან, რომელსაც მზარდი ტენდენცია

---

<sup>5</sup> იგივე.

<sup>6</sup> ჩიკვა ლ. სიღარიბე და მისი დაძლევის გზები. ვ- “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2008, №1; პაპავა ვ. სიღარიბის შემცირება კერძო სექტორის განვითარების გზით: ქართული სინამდვილე და პერსპექტივები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 7, ”სიახლე”, 2009; მესხია ი., გაბელაშვილი კ. მოსახლეობის ცხოვრების დონე (ანალიზი და პროგნოზები). თბ., 2004.

<sup>7</sup> საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2008; საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2010.

გააჩნია (განსახილველ პერიოდში იგი 28,3%-დან, 30,9%-მდე გაიზარდა). შემდეგ ხვედრითი წონის მიხედვით მოდის პენსიები, სტიპენდიები და დახმარებები, რომელიც 2003-2008 წლებში სწრაფად იზრდება (2,7%-დან, 11,7%-მდე), საკმაოდ მაღალია აღნიშნულ სტრუქტურაში თვითდასაქმებულთა შემოსავლის ხვედრითი წილი, თუმცა იგი შემცირების ტენდენციით ხასიათდება (10,75%-დან, 9%-მდე). ასევე სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონით გამოირჩევა უცხოეთიდან მიღებული გზავნილები, რომელიც 2008 წლამდე ზრდის ტენდენციით ხასიათდება (6,7%-დან, 8,1%-მდე).

## ცხრილი 1

### მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები საქართველოში (მილიონი ლარი)<sup>8</sup>

	2003	2005	2008
<b>ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები</b>	<b>176.0</b>	<b>228.6</b>	<b>381.5</b>
დაქირავებული შრომიდან	61.8	89.1	167.5
თვითდასაქმებიდან	33.0	40.2	53.3
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	31.5	32.7	30.6
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	1.7	3.3	3.4
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	8.5	26.0	63.5
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	18.9	14.1	19.5
ახლობლებისაგან მიღებული ფული	20.6	23.1	43.7

<sup>8</sup> საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2009.

<b>არაფულადი შემოსავლები</b>	<b>90.0</b>	<b>80.6</b>	<b>87.3</b>
<b>შემოსავლები სულ</b>	<b>266.0</b>	<b>309.2</b>	<b>468.8</b>
<b>სხვა ფულადი სახსრები</b>	<b>42.7</b>	<b>44.0</b>	<b>72.9</b>
ქონების გაყიდვა	8.5	5.4	10.5
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	34.2	38.6	62.4
<b>ფულადი სახსრები სულ</b>	<b>218.6</b>	<b>272.6</b>	<b>454.4</b>

ერთ სულზე შემოსავლების მაჩვენებელთა გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ საქართველოში ეს მაჩვენებელი დაბალია, თუმცა მზარდი ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, 2003-2008 წლებში თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავალი ერთ სულზე 2,8-ჯერ გაიზარდა, პენსიები, სტიპენდიები და დახმარებები – 7,8-ჯერ. სტაბილურია სოფლის მეურნეობის გაყიდვიდან და უცხოეთიდან მიღებული გზავნილების მოცულობა (ცხრილი 2).

## ცხრილი 2

### საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ერთ სულზე საქართველოში (ლარებში)

	2003	2005	2008
<b>ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები</b>	<b>45.9</b>	<b>59.7</b>	<b>103.1</b>
დაქირავებული შრომიდან	16.1	23.3	45.2
თვითდასაქმებიდან	8.6	10.5	14.4
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	8.2	8.5	8.3
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	0.4	0.9	0.9
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	2.2	6.8	17.2
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	4.9	3.7	5.3
ახლობლებისაგან მიღებული ფული	5.4	6.0	11.8
<b>არაფულადი შემოსავლები</b>	<b>23.5</b>	<b>21.1</b>	<b>23.6</b>
<b>შემოსავლები სულ</b>	<b>69.3</b>	<b>80.8</b>	<b>126.7</b>
<b>სხვა ფულადი სახსრები</b>	<b>11.1</b>	<b>11.5</b>	<b>19.7</b>
ქონების გაყიდვა	2.2	1.4	2.8
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	8.9	10.1	16.9



<i>ფულადი სახსრები სულ</i>	<b>57.0</b>	<b>71.2</b>	<b>122.8</b>
<b>ფულადი და არაფულადი სახსრები სულ</b>	<b>80.4</b>	<b>92.3</b>	<b>146.4</b>

დანახარჯების სტრუქტურაში (ცხრილი 3) ერთ სულზე გაანგარიშებით ყველაზე მეტი მოდის სამომხმარებლო ხარჯებზე – 88,2%, აქედან სურსათზე, სასმელსა და თამბაქოს ნაწარმზე – 30,8%, ჯანმრთელობის დაცვაზე მხოლოდ – 7,1%, განათლებაზე, კულტურასა და დასვენებაზე კი მხოლოდ – 2,5%, სათბობზე, ელექტროენერგიასა და ტრანსპორტზე ერთად – 16,1%, დაზოგვაზე – 5%.

**ცხრილი 3**

**საშუალო თვიური დანახარჯები ერთ სულზე საქართველოში**

	<b>2003</b>	<b>2005</b>	<b>2008</b>
<b><i>სამომხმარებლო ფულადი ხარჯები</i></b>	<b>58.6</b>	<b>70.6</b>	<b>105.2</b>
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	31.2	35.6	48.4
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	3.6	4.0	4.8
საოჯახო მოხმარების საქონელზე	2.0	2.6	3.8
ჯანმრთელობის დაცვაზე	3.7	5.2	10.4
სათბობსა და ელექტროენერგიაზე	5.3	6.9	12.7
ტრანსპორტზე	5.9	7.2	10.8
განათლებაზე, კულტურასა და დასვენებაზე	1.7	2.1	3.7
<b>არაფულადი ხარჯები</b>	<b>23.5</b>	<b>21.1</b>	<b>23.6</b>
<b>სამომხმარებლო ხარჯები სულ</b>	<b>82.1</b>	<b>91.7</b>	<b>128.8</b>
<b><i>არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები</i></b>	<b>13.3</b>	<b>10.1</b>	<b>17.1</b>
სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	1.8	1.9	2.5
ტრანსფერტებზე	2.4	2.5	3.4
დაზოგვაზე ან გასესხებაზე	7.0	3.6	8.6
ქონების შექენაზე	2.1	2.0	2.6
<b>ფულადი ხარჯები სულ</b>	<b>71.9</b>	<b>80.8</b>	<b>122.3</b>

საქართველოში ერთ სულზე საშუალო თვიური შემოსავლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შემოსავლების სიდიდე ქალაქსა და სოფელს (ცხრილი 4) შორის არათანაბარია, განსაკუთრებით, ფულადი შემოსავლების მიხედვით (ქალაქში იგი 3,8-ჯერ მეტია, ვიდრე სოფლად). სამაგიეროდ, არაფულადი შემოსავლები სოფლად 5,3-ჯერ მეტია, ვიდრე ქალაქად, ხოლო სასოფლო პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები – 12,7-ჯერ. თუმცა, არაფულადი შემოსავლებისა და სასოფლო პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების სიდიდე სოფლად ერთად აღებული გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ფულადი შემოსავლების სიდიდე ქალაქად.

#### ცხრილი 4

### საშუალო თვიური შემოსავლები ერთ სულზე ქალაქისა და სოფლის ჭრებში (2008) (ლარებში)

	ქალაქი	სოფელი	ქვეყანა
<b>ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები</b>	<b>133.9</b>	<b>72.8</b>	<b>103.1</b>
დაქირავებული შრომიდან	72.3	18.7	45.2
თვითდასაქმებიდან	21.5	7.4	14.4
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	1.2	15.2	8.3
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	1.4	0.5	0.9
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	16.1	18.3	17.2
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	7.1	3.4	5.3
ახლობლებისაგან მიღებული ფული	14.4	9.3	11.8
<b>არაფულადი შემოსავლები</b>	<b>7.5</b>	<b>39.5</b>	<b>23.6</b>
<b>შემოსავლები სულ</b>	<b>141.4</b>	<b>112.2</b>	<b>126.7</b>
<b>სხვა ფულადი სახსრები</b>	<b>24.0</b>	<b>15.5</b>	<b>19.7</b>
ქონების გაყიდვა	4.6	1.1	2.8

ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	19.5	14.3	16.9
<b>ფულადი სახსრები სულ</b>	<b>158.0</b>	<b>88.2</b>	<b>122.8</b>
<b>ფულადი და არაფულადი სახსრები სულ</b>	<b>165.4</b>	<b>127.7</b>	<b>146.4</b>

ეს ნათლად მეტყველებს სასოფლო წარმოების განვითარების დაბალ დონეზე საქართველოში.

დანახარჯების ანალოგიურ სტრუქტურაში, ბუნებრივია, ქალაქს უფრო დიდი ხვედრითი წონა უჭირავს, ვიდრე სოფელს (ცხრილი 5).

სახელმწიფოს მიერ ცხოვრების დონის ამაღლებისა და სიღარიბის შემცირების ღონისძიებათა სისტემის შემუშავების დროს აუცილებელია კომპლექსურ ღონისძიებათა დასახვა და გატარება. ეს ღონისძიებები შეიძლება იყოს: მოსახლეობის შემოსავლების ზრდა; შემოსავლების განაწილების ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა; უმუშევრობის დონის შემცირება; ფასების სტაბილური დონის შენარჩუნება; მინიმალური ხელფასის სიდიდის განსაზღვრა; მოსახლეობის სოციალური დაცვა; ღარიბებისადმი დახმარების პროგრამების განხორციელება.

**ცხრილი 5**

**საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე ქალაქისა და სოფლის ჭრილში (2008) (ლარებში)**

	ქალაქი	სოფელი	ქვეყანა
<b>სამომხმარებლო ფულადი ხარჯები</b>	<b>485.8</b>	<b>286.3</b>	<b>386.2</b>
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	211.0	143.9	177.5
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	22.0	13.4	17.7
საოჯახო მოხმარების საქონელზე	16.9	10.7	13.8
ჯანმრთელობის დაცვაზე	41.2	35.3	38.2
სათბობსა და ელექტროენერგიაზე	62.1	31.0	46.6
ორანსპორტზე	52.5	26.4	39.5

განათლებაზე, კულტურასა და დასვენებაზე	20.9	6.1	13.5
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	59.2	19.5	39.3
<b>არაფულადი ხარჯები</b>	<b>27.2</b>	<b>146.2</b>	<b>86.6</b>
<b>სამომხმარებლო ხარჯები სულ</b>	<b>513.0</b>	<b>432.5</b>	<b>472.8</b>
<b>არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები</b>	<b>65.9</b>	<b>59.8</b>	<b>62.9</b>
სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	2.1	16.5	9.3
ტრანსფერტებზე	12.3	12.9	12.6
დაზოგვაზე ან გასესხებაზე	42.2	20.8	31.5
ქონების შეძენაზე	9.4	9.6	9.5
<b>ფულადი ხარჯები სულ</b>	<b>551.8</b>	<b>346.1</b>	<b>449.0</b>
<b>ხარჯები სულ</b>	<b>578.9</b>	<b>492.3</b>	<b>535.7</b>

**მოსახლეობის შემოსავლების ზრდა** ძირითადად დამოკიდებულია ეკონომიკურ ზრდაზე. საქართველოს ეკონომიკისათვის, მიუხედავად რეფორმების მიმართულებით გატარებული ღონისძიებებისა, ჯერჯერობით არაერთი ნაკლოვანებაა დამახასიათებელი. მათგან მთავარია: **საბაზრო ინსტიტუციების განვითარების დაბალი დონე; ეკონომიკის არაპროგრესული სტრუქტურა; ქვეყნის დაბალი კონკურენტუნარიანობა.**

მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია რეფორმების შემდგომი დაჩქარება და აუცილებელია, მათ ჰქონდეთ სისტემური ხასიათი.

**შემოსავლების განაწილების ოპტიმალური თანაფარდობის მისაღწევად** აუცილებელია შემოსავლების გადანაწილების მექანიზმების გამოყენება. ამ ამოცანის გადაჭრა ასევე შეუძლებელია საშუალო ფენის ჩამოყალიბების გარეშე. საშუალო ფენის ჩამოყალიბება კი შეუძლებელია **მცირე და საშუალო ბიზნესის** განვითარების გარეშე.

**უმუშევრობის დონის** შემცირების უპირველეს დონისძიებას წარმოადგენს შრომის ბაზრის ინსტიტუციური მოწყობა, რაც გულისხმობს შრომის ბირჟის, დასაქმებისა და მიგრაციის სახელმწიფო სამსახურის, დასაქმების ფონდისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობას. ასევე აუცილებელია ისეთი ინოვაციური პროგრამების სტიმულირება (უმუშევრობის შემცირებისაკენ მიმართული ინოვაციური პოლიტიკა), რომე-

ლიც უზრუნველყოფს ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების დაახლოებით ერთნაირი ტემპებით ზრდას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპები წინ უნდა უსწრებდეს, ხოლო ხელფასების ზრდის ტემპები ჩამორჩებოდეს შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს, სანამ უმუშევრობის რეალური დონე არ გაუტოლდება მის ბუნებრივ დონეს.

სიღარიბის შემსუბუქების მიზნით სახელმწიფოს ასევე შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა სახის ღონისძიება: დახმარებები უმუშევრებზე, ხელის შეწყობა სამუშაოს მოძიებაში, უმუშევართა გადამზადება, საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზება, მოხუცებულობის დაზღვევის პროგრამები, საოჯახო დახმარებები, სტიპენდიები, ფულადი ტრანსფერები, ჯანდაცვის პროგრამები და მრავალი სხვა.

*Abesadze Ramaz*

## **SOME SOCIAL-ECONOMIC ASPECTS OF POPULATION STANDARDS OF LIVING AND POVERTY**

### **SUMMARY**

1. The article expresses the opinion connected with some terms of standard of living. For example, some misinterpret the terms “standard of living” and “quality of living”, differing them; as to our mind these terms include both qualitative as well as quantitative sides. It is also inadmissible to use the term “middle class” instead of “middle stratum”. “Middle stratum” cannot be called “class”, because the notion “class” is connected with a certain status of its members. It is socially organized part of society monotonous by its composition, struggling for the improvement of their conditions or maintenance of existing one. Middle stratum is mainly connected with its economic conditions and represents that multiform part of society the income of members of which fluctuates and approaches average level of income of society members. It means that the

representatives of this stratum are neither poor nor rich. Among them might be a representative of different strata of modern society (a worker, a farmer, a producer, a public figure, a scientist, a writer, a sportsman etc). Its existence is very important for economic development, significantly stipulating macroeconomic and generally, social and economic stability of the country.

2. The problem of distribution of produced wealth is one of the most important criterion of economic development. If the difference (or disbalance) between rich and poor parts increases then we can say that economic development does not take place. In spite of high rates of world globalization the world regions significantly differ from each other according to standard of living. In the conditions of justice globalization should be able to balance standard of living among world regions. It might be said that in this direction the globalization level of world economy is low. When analyzing relative poverty is expressed opinion that in equal distribution of income is not always necessarily connected with the level of economic development. It is mainly determined by formed traditions and perfection of state regulation of economy.

3. There is offered a curve of relation between Gini coefficient and income, which is opposite to the results empirically received by Simon Kuznets. It is stated that the decrease of Gini coefficient to optimal level will stimulate the acceleration of economic development.

4. There is analyzed the poverty situation in Georgia according to absolute and relative indices and that of income and expenditure in the country as a whole and in rural and urban context. It is stated that poverty level in Georgia is being decreased gradually but is still high.

5. Are offered measures to decrease poverty level in Georgia.

*ვლადიმერ პაპავა*

**პოსტრევოლუციური ეკონომიკური რეფორმები  
საქართველოში: მიღწევები და პრობლემები**

ვარდების რევოლუციის შემდგომ საქართველოს ახალ მთავრობას მემკვიდრეობით არაერთი გადაუწყვეტელი პრობლემა ერგო. მათ შორის ყველაზე მწვავე იყო ენერგეტიკული და საბიუჯეტო კრიზისები, თითქმის ყოვლისმომცველი კორუფცია. ამ გამოწვევათა გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. აქედან გამომდინარე, პოსტრევოლუციურმა მთავრობამ ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებიდანვე გამართლებულად ჩათვალა ძალაუფლების პრეზიდენტის ხელში კონცენტრაცია.

როგორც მოსალოდნელი იყო, ძალაუფლების ამ კონცენტრაციას არ მოჰყოლია დემოკრატიის განვითარება [1], თუმცა მას დადებითი შედეგებიც ჰქონდა. უწინარეს ყოვლისა, გაძლიერებულმა საპრეზიდენტო ძალაუფლებამ პოსტრევოლუციურ მთავრობას შეაძლებინა, აღედგინა ფინანსური წესრიგი და გაეზარდა საგადასახადო შემოსავლები, დაეძლია საბიუჯეტო კრიზისი, რამაც შესაძლებელი გახადა დაგროვილი საპენსიო და სახელფასო (საბიუჯეტო სექტორში) დავალიანებების დაფარვა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განხორციელებული 2004 წლის მაისის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა ახალი შესაძლებლობები ცენტრალურ მთავრობასა და ყოფილ ურჩ რეგიონს შორის ნორმალური საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბებისათვის. ყოველივე

ამან 2004 წელს საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაზარდა. ქვეყნის ფინანსურ სისტემაში შემობრუნების დასტურად, 2004 წლის ზაფხულში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოსთან განაახლა პროგრამა, რომელიც 2003 წელს იქნა შეჩერებული იმდროინდელი მთავრობის უუნარობისა და კორუმპირებულობის გამო.

ახალმა მთავრობამ ბრძოლა გამოუცხადა კრიმინალსა და კორუფციას. ძლიერმა საპრეზიდენტო მმართველობამ შესაძლებელი გახადა კორუმპირებული საგზაო პოლიცია სწრაფად შეცვლილიყო დასავლური ტიპის საპატრულო პოლიციით. ენერგეტიკულ სექტორში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლამ თავისი დადებითი შედეგი გამოიღო და არსებითად გაუმჯობესდა ელექტროენერჯის მიწოდება. მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ შემოიღო ერთიანი ეროვნული გამოცდები, რომელმაც უნივერსიტეტებში მისაღები გამოცდების საბჭოთა პერიოდიდან თანდაყოლილი კორუფციული სისტემა ჩაანაცვლა. ყოფილი სახელმწიფო თანამდებობის პირები, რომლებიც კორუფციაში იყვნენ დადანაშაულებულნი, დაპატიმრების შემდეგ გასათავისუფლებლად ე.წ. “თავისუფლების საფასურს” იხდიდნენ. ამან მთავრობას მისცა დამატებითი შემოსავლები, რომლებიც ძირითადად ძალოვანი უწყებების ბიუჯეტბარემე ანგარიშებზე იქნა აკუმულირებული. ამას ამართლებდნენ არა მარტო იმით, რომ კორუფციაში დადანაშაულებული პირები სახელმწიფოს უბრუნებდნენ მოპარულ ფულსა და საკუთრებას, არამედ იმითაც, რომ იქმნებოდა შემოსავლების დამატებითი წაყროც. თუმცა, აშკარაა, ეს პრაქტიკა შემოსავლების მიღების სტაბილური წყარო ვერ იქნებოდა.

მთავრობის ძალაუფლების გაფართოებამ უზრუნველყო ისეთი ამბიციური ეკონომიკური რეფორმების გატარება, როგორცაა ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, ბიზნესის ლიცენზირების გამარტივება და გადასახადებისა და საბაჟო ტარიფების განაკვეთების შემცირება, რამაც აშკარად მიიპყრო საერთაშორისო ყურადღება.



ჩამოთვლილ წარმატებებთან ერთად გარკვეული პრობლემებიც გამოიკვეთა.

რეკოლუციურ ტალღაზე ჩატარებული მთავრობის რეორგანიზაცია არაერთ სამინისტროსა თუ დეპარტამენტს შეეხო. კერძოდ, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც რეკოლუციამდე, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, უშუალოდ პრეზიდენტს ექვემდებარებოდა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში იქნა შეყვანილი, იმისდა მიუხედავად რომ ეს აშკარად ინტერესთა კონფლიქტს მოასწავებდა. 2009 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი სტატისტიკის შესახებ, რომლის თანახმადაც, სტატისტიკის სააგენტო ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი, თუმცა მის უმაღლეს ორგანოში – სამეთვალყურეო საბჭოში გათვალისწინებულია ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროების, ასევე ეროვნული ბანკის ხელმძღვანელთა მონაწილეობა, რითაც ხსენებული ინტერესთა კონფლიქტი პრაქტიკულად შენარჩუნდა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტით [2] არაერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი (მაგალითად, ანტიმონოპოლიური სამსახური, საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სამსახური) გაუქმდა, რამაც, ერთი მხრივ, მოსახლეობა დააზარადა, ხოლო მეორე მხრივ კი სახელმწიფო დააკნინა.

სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად ირღვეოდა საკუთრების უფლება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონტექსტით განსაკუთრებით შემაშფოთებელია დეპრივატიზაციის პროცესი, როცა პრივატიზებული ობიექტები პრივატიზაციის პროცესში დაშვებული (რაც ცალკეულ შემთხვევაში არც კი არის დასაბუთებული) შეცდომების გამოსწორების საბაბით ჩამოერთმევა კერძო მესაკუთრეს და სახელმწიფოს ხელახალი პრივატიზაციის მიზნით უბრუნდება. სხვა სიტყვებით, კერძო საკუთრების ინსტიტუტის ფორმირება თავიდან იწყება, რაც ამ ინსტიტუტის დაუცველობაზე მეტყველებს. თავის მხრივ კი, საბაზრო ეკონომიკის ფორმირება და განვითარება კერძო საკუთრების

ხელშეუხებლობის გარანტიების გარეშე შეუძლებელია. გარდა ხსენებულისა, დეპრივაციზაციის საშიში შედეგი რევანშის მოლოდინის ფორმირებაშიც გამოიხატება, როცა საკუთრება, ჩამორთმეულები ელოდებიან მათთვის ხელსაყრელ მომენტს, რათა ეს საკუთრება დაიბრუნონ, რაც საზოგადოდ კერძო საკუთრების ინსტიტუტის სტაბილურობას ასევე უთხრის ძირს [3].

მთავრობის მიერ საკუთრების უფლების დარღვევა ასევე გამოვლინდა კერძო საკუთრებაში არსებული შენობების ნგრევაში, იმისდა მიუხედავად, რომ, ხშირ შემთხვევაში, მესაკუთრეებს საკუთრებისა და მშენებლობის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტები წესრიგში ჰქონდათ. ერთადერთი არგუმენტი, რითაც მთავრობა თავს იმართლებდა იყო ის, რომ ეს ქმედება ვითომდა ქალაქის იერსახის გაუმჯობესებით იყო განპირობებული. სამწუხაროდ, ამ ფაქტებზე დასაყრდენად ყურადღება არ გაუმახვილებია. უფრო მეტიც, მსოფლიო ბანკის მიერ 2010 წელს გამოქვეყნებულ ბიზნესის წარმართვის მოხსენებაში საქართველოს, მისი მთავრობის მიერ საკუთრების უფლების ხელყოფის არაერთი ფაქტის მიუხედავად, მსოფლიოში მე-12 ადგილი მიენიჭა [4].

პოსტრევოლუციური მთავრობის ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ ყველა მიესაღმებოდა, თუმცა, სინამდვილეში, ის კი არ გამქრალა, არამედ მან მხოლოდ ტრანსაფორმაცია განიცადა. ბიუჯეტგარეშე ანგარიშებიდან ხარჯვა, რომელიც უშუალოდ მთავრობის პრეროგატივა იყო, საზოგადოებრივ კონტროლს არ ექვემდებარებოდა. პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა, როცა მთავრობა გადაერთო ბიზნესზე და მას აიძულებდა, ამ ანგარიშებზე ე.წ. “ნებაყოფლობითი შენატანები” ჩაერიცხა. თავიდან ამ ანგარიშების არსებობაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდი შეგნებულად ხუჭავდა თვალს, რადგანაც მას მექრთამეობასთან შედარებით ნაკლებ ბოროტებად თვლიდა. მოგვიანებით კი ის იძულებული შეიქმნა საკუთარი თავისთვის მაინც ეღიარებინა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა კორუფციული მეთოდით შეცდომა იყო. საერთაშორისო სავალუ-

ტო ფონდის მოთხოვნით ბიუჯეტგარეშე ანგარიშები მხოლოდ 2006 წლის გაზაფხულზე დაიხურა.

მასობრივი კორუფციის წინააღმდეგ წარმატებულად განხორციელებული ბრძოლის ფონზე, ელიტარულ ფენაში კორუფცია მაინც დარჩა მთავრობის პრობლემად. ეს კი ზედაპირზე, და თანაც ყველაზე რელიეფურად მაშინ ამოტივტივდა, როცა თავდაცვის ყოფილი მინისტრი, პრეზიდენტის უახლოესი წრის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მას შემდეგ, რაც მან შექმნა ოპოზიციური პარტია და პრეზიდენტის წინააღმდეგ სკანდალური განცხადებები გააკეთა, კორუფციაში იქნა დადანაშაულებული.

საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 2006 წლის გაზაფხულზე დააპირა ეროვნული ბანკის რეფორმირების საბურველის ქვეშ, მისი როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის დაკნინება და ამ მიზნით მოამზადა ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია ეროვნულ ბანკს უნდა ჩამოშორებოდა. ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგობის შედეგად მთავრობამ საწადელი ვერ აისრულა და ეროვნული ბანკიც გადარჩა.

2007 წლის გაზაფხულზე კი, როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გადამდგარი იყო და მის მოვალეობას ვიცე-პრეზიდენტი ასრულებდა, მთავრობამ დრო იხელთა და, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წინააღმდეგობის მიუხედავად, ძირითადადში მიაღწია საწადელს: საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია ეროვნულ ბანკს ჩამოაშორა, ხოლო თვით ეროვნულ ბანკს ერთადერთი ფუნქცია – ინფლაციის რეგულირება დაუტოვა. ამასთან, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობა დამოკიდებული გახდა ინფლაციის წლიურ ღონეზე დაწესებული ზედა ზღვარის დარღვევაზე, რაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ხდიდა მთავრობაზე დამოკიდებულს, რადგან მთავრობის ხელთ წლიური ინფლაციის ღონეზე ზეგავლენის არანაკლები ძალის მქონე ინსტრუმენტებია ვიდრე ეს ეროვნული ბანკის განკარგულებაშია.

საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა დიდადაა დამოკიდებული ეროვნული ბანკის საქმიანობაზე. ამდენად, მისი რეგულირების სფეროს განმსაზღვრელი ინდიკატორის მხოლოდ ინფლაციის მაჩვენებლით შემოფარგვლა იმის წინაპირობას ქმნიდა, რომ სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორები (მაგალითად, გაცვლითი კურსი, საგადასხდელო ბალანსი, უცხოური ვალუტის რეზერვები და სხვ.) პრაქტიკულად უყურადღებოდ დარჩებოდა, ანუ მათზე ეროვნული ბანკი იზრუნებდა მხოლოდ და მხოლოდ იმ კუთხით თუ რა ზეგავლენა შეიძლება ჰქონოდა ამა თუ იმ მაკროეკონომიკურ ინდიკატორს ინფლაციის წლიურ დონეზე. რაც შეეხება საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის გატანას ეროვნული ბანკიდან, მისადმი დაქვემდებარებულ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოში იწვევდა ამ ფუნქციის განხორციელების ინსტიტუციურად უფრო დაბალ დონეზე გადატანას, რაც მთავრობის მხრიდან ამ სააგენტოზე ზეწოლის შესაძლებლობებს ზრდიდა. ეროვნული ბანკის ინსტიტუციური დაკნინება მას დამოკიდებულს ხდიდა მთავრობაზე, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობდა ბანკის პოლიტიზაციას და ნაკლებად დაცულს ხდიდა საბანკო სისტემას, ხოლო მაკროეკონომიკური სტაბილურობის გარანტიები კი მნიშვნელოვნად სუსტდებოდა.

2009 წელს ეროვნული ბანკის შესახებ ახალი კანონი იქნა მიღებული, რომლის დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამოღებულია ინფლაციის წლიური დონეზე დაწესებული ზედა ზღვარის დარღვევაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ხსენებული პასუხისმგებლობის საკითხი. კანონის თანახმად, ეროვნულ ბანკში დაბრუნდა ფინანსური ზედამხედველობის სამსახური, რაც აბსოლუტურად გამართლებულია და მისასალმებელია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თავისუფალი ეკონომიკური ზონის (ანუ იმ ეკონომიკური სივრცის, სადაც, ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიისაგან განსხვავებით, სხვადასხვა სახეობის შედავათები მოქმედებს) იდეა, რომელიც ძირითადად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ლიდერის, ასლან აბაშიძის სახელთანაა დაკავშირებული [5].

ქვეყანაში გატარებული ეკონომიკური ლიბერალიზაციის პირობებში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის ეკონომიკური მიზანშეწონილობა კლებულობს, რადგანაც შესაძლო შეღავათების ნუსხა და მასშტაბები სწორედ ამ ლიბერალიზაციის გამო მცირდება [6].

სიტუაციას ამძიმებს ის, რომ განსაკუთრებით ვარდების რევოლუციის შემდეგაც საქართველოს ეკონომიკა ინვესტიციების ნაკლებობას, ანუ ინვესტიციურ “შიმშილს” განიცდის და ასეთ პირობებში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა (რისი განახორციელებაც ხელისუფლებამ ფოთში, ქუთაისსა და თბილისში გადაწყვიტა) ქვეყანაში ინვესტიციური “შიმშილის” გაღრმავებას გამოიწვევს, რაც, საბოლოო ჯამში, მთელი ეკონომიკის განვითარებას შეაფერხებს. ინვესტიციური “შიმშილის” პირობებში არა მარტო უცხოელი, არამედ ადგილობრივი პოტენციური ინვესტორიც ფულს მხოლოდ თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში დააბანდებს. ასე რომ, მომავალში ინვესტიციები მხოლოდ ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში ჩაიდება და არც ერთი ინვესტორი აღარ მოინდომებს ინვესტიციის გაღებას ქვეყნის სხვა რეგიონებში, რაც იმას ნიშნავს, რომ ზონები და მათი მიმდებარე რეგიონების ეკონომიკური განვითარება დანარჩენი საქართველოს ხარჯზე მოხდება [7].

2009 წლის მეორე ნახევარში საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყნის პარლამენტს შესთავაზა ე.წ. “ეკონომიკური თავისუფლების აქტი”, რომელიც მოგვიანებით ჩამოყალიბდა, როგორც საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი “საქართველოს კონსტიტუციაში დამატებების შეატანის შესახებ” და საქართველოს ორგანული კანონის პროექტი “ეკონომიკური თავისუფლების, შესაძლებლობებისა და ღირსების შესახებ”. ეს იდეა ე.წ. ფსევდორეფორმების რიგს უფრო განეკუთვნება [8, გვ. 48-49].

სხენებული ორგანული კანონის პროექტში ასახული ზოგიერთი წინადადება თავისი არსით “ღია კარის მტვრევას” წარმოადგენს, რადგანაც შესაბამისი პრობლემები საქართვე-

ლოში უკვე დიდი ხანია გადაჭრილია და დღეისათვის საერთოდ არ წარმოადგენს აქტუალურს. ასეთი, უწინარეს ყოვლისა, ლარის კონვერტაციაა. პირველივე დღიდან (ანუ ჯერ კიდევ 1995 წლიდან), როდესაც ქვეყანაში ლარი შემოვიდა, ის კონვერტირებადია. უფრო მეტიც, 1997 წელს საქართველო შეუერთდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმების მე-8 პუნქტს, რომლის თანახმადაც, ქვეყანამ ვალდებულია აიღოს, რომ ლარის კონვერტაცია არ შეიზღუდება, ხოლო 1999 წლიდან საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია, რაც ასევე გვავალებს იმას, რომ ლარის კონვერტაცია არ შეიზღუდოს. საერთაშორისო ხელშეკრულებები კი ქვეყნის კანონმდებლობაზე მაღლა დგას.

ასეთივე სიტუაციაა ფასების სახელმწიფო რეგულირების საკითხშიც. უკვე 15 წელზე მეტია ფასები თავისუფალია: ბოლოს პურის ფასები გათავისუფლდა 1996 წელს. 1999 წლიდან საქართველოს, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყანას, ვალდებულია აქვს, რომ ფასებს ვეღარ შეზღუდავს.

ასევე 15 წელია ქვეყანაში მოქმედებს კანონი ინვესტიციების შესახებ, რომლის თანახმადაც, ინვესტორს მოგების რეპატრიაციის შეუზღუდავი უფლება აქვს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობაც ავალდებულებს ამას საქართველოს.

გაუგებარია იმის მოთხოვნა, რომ კომერციულ ბანკებში არ უნდა იყოს სახელმწიფოს წილი. კერძოდ კი, გაუგებარია ის, თუ რომელი სახელმწიფოს წილი არ უნდა იყოს ბანკებში – ნებისმიერი სახელმწიფოსი, თუ მხოლოდ ქართულის. დღეისათვის საქართველოს სახელმწიფოს კომერციულ ბანკებში წილი ისედაც არ აქვს, მაგრამ ქართულ საბანკო რეალობაში არის ორი კომერციული ბანკი, რომელიც არის სახელმწიფო ბანკი. მაგალითად, "ვითიბი" არის რუსეთის სახელმწიფო ბანკი, ხოლო "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი" კი – აზერბაიჯანის.

ახალი მარეგულირებელი ინსტიტუტების შემოღებაზე უარის თქმა (რაც ამ კანონპროექტის ერთ-ერთი მოთხოვნაა) არის სიგნალი იმისა, რომ საქართველო უარს ამბობს ევროინ-

ტეგრაჯიაზე, რადგანაც ევროპის ბაზარი რეგულირებადი ბაზარია.

არ არის გამართლებული საბიუჯეტო პარამეტრების წინასწარი დადგენა არასაბიუჯეტო კანონმდებლობით, რადგან იქმნება პრეცედენტი, რომელიც მომავალში შესაძლოა ასეთი პარამეტრების ჩამონათვალის გაფართოებაში გადაიზარდოს.

საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი დამატებების თანახმად, თურმე ახალი გადასახადების შემოღების, ან მოქმედი გადასახადის განაკვეთის ზრდის საკითხები რეფერენდუმით უნდა გადაწყდეს. იმის გათვალისწინებით, რომ არავინ იქნება თანახმა, გადასახადი გაიზარდოს, ასეთი რეფერენდუმის ჩატარებას აზრი არ აქვს, რადგან მისი შედეგი წინასწარ არის ცნობილი.

საგადასახადო პოლიტიკა, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი, როგორც წესი, სიტუაციის მიხედვით ცვალებადი უნდა იყოს. ხსენებული დამატებების კონსტიტუციაში შეტანით ქართული სახელმწიფო დაკარგავს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტს.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული სამხედრო აგრესიის შემდეგ ევროკავშირმა საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გასავლის ხელშეწყობა შესთავაზა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო ევროკავშირთან ერთიან ეკონომიკურ სივრცეში იქნება, რაც ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის მიმართულებით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადასვლა, როგორც ეს 2008 წლის 1 სექტემბერს ბრიუსელში გამართულ ევროკომისიის საგანგებო სხდომაზე გადაწყდა, დაკავშირებულია იმ პირობების შესრულებაზე, რასაც ევროკავშირი საქართველოსაგან ითხოვს ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკის ფორმატში. კერძოდ, ესენია ისეთი შრომის კოდექსის მიღება, სადაც, ისევე როგორც ევროკავშირშია, დაცული იქნება დაქირავებულთა უფლებები, აგრეთვე ანტიმო-

ნოპოლიური რეგულირებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული ტიპის კანონმდებლობის მიღება [9].

მართალია, საქართველოს მთავრობა ზოგადად მიესალმება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარებას, თუმცა ევროკავშირის მიერ დაყენებული პირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაში საქართველოსთან დამყარდება თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, საქართველოს მთავრობამ, სამწუხაროდ, ბოლომდე არ გაითავისა. კერძოდ, 2008 წლის 9 სექტემბერს საქართველოს მთავრობის საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი გაგზავნილი განზრახულობათა წერილი და 2008-2009 წლებში საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის მემორანდუმი [10] ცხადყოფს, რომ საქართველოს მთავრობა უახლოეს პერიოდში არ აპირებს არც შრომის კოდექსის შეცვლას და არც ანტიმონოპოლიური თუ მომხმარებელთა უფლებების ევროპული ტიპის კანონმდებლობის მიღებას. სხვა სიტყვებით, საქართველოს მთავრობა სულაც არ ჩქარობს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადასვლას.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარება საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობასაა და ეს არ უნდა იყოს მთავრობის მხრიდან პოლიტიკური სპეკულაციის საგანი, როცა ის ქმნის იმის ილუზიას, რომ ისწრაფვის ევროკავშირისაკენ, თუმცა ეს სწრაფვა მხოლოდ არტიკულაციის დონეზე აქვს დაფიქსირებული, ხოლო რეალური ქმედებებით კი სულაც არ აპირებს ევროკავშირის პირობების შესრულებას. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირსა და ბრეტონ ვუდსის (საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი) ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობას, მათ პროგრამებს შორის უფრო მეტ შეთანხმებულობას, რაც საქართველოს მთავრობას აიძულებს უფრო მეტად თანამიმდევრული იყოს თავის ქმედებებში [11].

ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია, რაც შესაძლებელია თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარებით, ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების სტრატეგიულ ხაზად უნდა იქნეს მიჩნეული. ამისათვის კი აუცილებელია სა-



ქართველოში მოქმედი ეკონომიკური ხასიათის მქონე კანონ-მდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და შესაბამისი ინსტიტუტების შექმნა და განვითარება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **Papava V.** Georgia's Hollow Revolution: Does Georgia's Pro-Western and Anti-Russian Policy Amount to Democracy? *The Harvard International Review*, February 06, 2008, <http://hir.harvard.edu/georgia-s-hollow-revolution?page=0,0>.
2. მსოფლიო ბანკი საქართველოში კორუფციის შემცირებაზე საუბრობს. *Civil Georgia*, 27 ივლისი 2006, <http://www.civil.ge/geo/article.php?id=13282&search>.
3. **Papava V.** Corruption and Primary Accumulation of Capital in Transitional Economies. *Ludwig von Mises Institute Working Papers*, 10/17/2006, <http://www.mises.org/journals/scholar/papava.pdf>.
4. *Doing Business. Economy Rankings.* Washington, D. C., The World Bank Group, 2010, <http://www.doingbusiness.org/EconomyRankings/>.
5. **ხუციძე ნ.** ბათუმი თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნას ხელმეორედ ცდის. *Civil Georgia*, 27 მარტი, 2003, <http://www.civil.ge/geo/article.php?id=3734&search>.
6. **პაპავა ვ.** თავისუფალი ეკონომიკური ზონა – “უკვდავი იდეა”. ექსპერტის აზრი, № 2, 2007, [http://www.gfsis.net/pub/files/publications\\_economics/EXPERT\\_OPI\\_NION\\_VLADIMIR\\_PAPAVA\\_GEO.pdf](http://www.gfsis.net/pub/files/publications_economics/EXPERT_OPI_NION_VLADIMIR_PAPAVA_GEO.pdf).
7. **ხუციძე ნ.** თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნაში საფრთხეებს ხედავენ. *Civil Georgia*, 18 მაისი, 2007, <http://www.civil.ge/geo/article.php?id=15372&search>.
8. **პაპავა ვ.** ომისშემდგომი საქართველოს ეკონომიკა: ახალი გამოწვევები და ძველი შეცდომები. წიგნში: *საქართველო – 2009: ომისშემდგომი გამოწვევები და პერსპექტივები.* თბილისი, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი, 2010.

9. *Extraordinary European Council, Brussels, 1 September, 2008, 12594/08*. Presidency Conclusions. Brussels, Council of the European Union, 2008, [http://www.consilium.europa.eu/ueDocs/cms\\_Data/docs/pressData/en/ec/102545.pdf](http://www.consilium.europa.eu/ueDocs/cms_Data/docs/pressData/en/ec/102545.pdf).
10. *Georgia: Letter of Intent, Memorandum of Economic and Financial Policies, and Technical Memorandum of Understanding, September 9*. Washington, The International Monetary Fund, 2008, <http://www.imf.org/External/NP/LOI/2008/geo/090908.pdf>.
11. **Papava V.** Is Georgians' European Dream Any Part of Government Policy? *Georgian Times*, December 15, 2008, <http://www.geotimes.ge/index.php?m=home&newsid=14166>.

*Papava Vladimer*

## **POST-REVOLUTIONARY ECONOMIC REFORMS IN GEORGIA: SUCCESSSES AND PROBLEMS**

### **SUMMARY**

The Article deals with Georgia's economic successes achieved after the Rose Revolution. The experience of Georgia in economic reforms is analyzed that provides a key to understanding the basic challenges of the post-revolutionary Government. The Article indicates that the Government succeeded in overcoming the country's budgetary and electric power crises through considerably lowering the level of corruption. Besides, Georgia managed to liberalize the laws governing the businesses to a substantial extent as a result of which the country and its Government received a significant support from the international community and the Georgian reforms were perceived as very successful. Along with obvious successes, the Georgia's government managed to accumulate the great number of Problems. The transition to a free trade regime with the EU are of vital importance for Georgia. Although the Georgian Government has generally welcomed the EU's initiative regarding the free trade regime, it has nonetheless disregarded its conditions.

*აღფრედ კურატაშვილი*

**“პოსტკომუნისტური” კაპიტალიზმი თუ...?!**

საბჭოთა კავშირის რღვევისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ, სამეცნიერო და პოლიტიკურ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ტერმინები ”პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია”, ”პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი”, ”სოციალიზმი, კაპიტალიზმი, ტრანსფორმაცია” და ა.შ. [1;2;3;4], როგორც საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებისა და

აღმოსაგლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების, ისე ჩინეთის მიმართ, რომელიც მეცნიერების სფეროს ბევრ წარმომადგენელს რატომღაც კაპიტალიზმი ჰგონია (?!), რადგან, ალბათ, მეცნიერების სფეროს ამ წარმომადგენლებს, რომლებიც, როგორც წესი, ანტიმარქსისტებად თვლიან თავის თავს, მაგრამ რომლებიც, ფაქტობრივად, მარქსიზმ-ლენინიზმის ტყვეობაში იმყოფებიან, შეცდომით (მარქსისტული მოძღვრების მცდარი შეხედულებების შესაბამისად) ჰგონიათ, რომ, თითქოსდა, ჩინეთში კერძო საკუთრებისა და საბაზრო ურთიერთობების არსებობა არის კაპიტალისტურობის მახვენებელი (?!).

აღსანიშნავია, რომ, როგორც ცნობილია, კომუნიზმი ნიშნავს საერთოს.

რაც შეეხება სოციალიზმს, რომელიც ნიშნავს საზოგადოებრივს, უნდა აღინიშნოს, რომ “სოციალიზმი – ეს არის ტერმინი, რომელიც თავდაპირველად პოლიტიკურ ლექსიკონში XIX საუკუნის 30-იან წლებში იქნა გამოყენებული საფრანგეთში იდეალისა და სინამდვილის აღნიშვნისათვის ისეთი სოციალური მოწყობით, რომლის დროსაც კეთილდღეობა განისაზღვრება კერძო საკუთრების საერთო (საზოგადოებრივ) საკუთრებაში გარდაქმნით” [5, გვ. 427].

ამასთან, კომუნიზმი მარქსიზმის მიერ განიხილებოდა, როგორც ”კომუნისტური საზოგადოებრივი ფორმაციის მეორე, უმაღლესი ფაზა, რომლის პირველი ფაზაა *სოციალიზმი*” [6, გვ. 240].

ამრიგად, მარქსისტულ მოძღვრებაში სოციალიზმი განიხილებოდა, როგორც კომუნიზმის შემადგენელი ნაწილი – როგორც კომუნისტური საზოგადოებრივი ფორმაციის პირველი ფაზა, მაშინ, როდესაც მარქსიზმამდე მოძღვრება კომუნიზმის შესახებ საერთოდ არ არსებობდა, მაგრამ თეორიულად არსებობდა უტოპიური სოციალიზმი, რომელიც მარქსიზმმა თითქოსდა გადააქცია მეცნიერებად (?!).

საყურადღებოა აგრეთვე, რომ სოციალიზმს მარქსიზმმა დაარქვა კომუნიზმი, ხოლო სოციალიზმი მარქსიზმმა დაარქვა კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირველ ფაზას.

ამასთანავე, კომუნიზმის ჭეშმარიტი არსის უფრო ზუსტი გახსნისათვის საჭიროდ მიმაჩნია, მივმართოთ უშუალოდ კომუნისტური მოძღვრების ფუძემდებლების თეორიულ შეხედულებებს.

მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად მიმაჩნია აღინიშნოს, რომ უტოპიური, განუხორციელებადი სოციალიზმი და მარქსისტული ეგრეთ წოდებული “მეცნიერული სოციალიზმი”, ე.ი. კომუნიზმი (და აგრეთვე სოციალიზმი, როგორც კომუნიზმის პირველი ფაზა) ერთგვაროვან ცნებებს წარმოადგენს.

კერძოდ, უტოპიური სოციალიზმის შემქმნელებისა და თეორეტიკოსებისათვის “კეთილდღეობა, – როგორც უკვე აღინიშნა, – განისაზღვრება კერძო საკუთრების საერთო (საზოგადოებრივ) საკუთრებაში გარდაქმნით” [5, გვ. 427], ე.ი. სოციალისტურობის კრიტერიუმად გვევლინება კერძო საკუთრების მოსპობა.

რაც შეეხება მარქსისტულ ეგრეთ წოდებულ “მეცნიერულ სოციალიზმს”, სოციალიზმში მარქსიზმი აგრეთვე გულისხმობდა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობას: „...კომუნისტებს, – წერდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი “კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, – შეუძლიათ თავისი თეორია გამოხატონ ერთი დებულებით: კერძო საკუთრების მოსპობა“ [7, ტ. 4, გვ. 438].

გარდა ამისა, სოციალიზმში მარქსიზმი გულისხმობდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების მოსპობას, ბაზრის მოსპობას, შრომის პროდუქტების გაცვლის მოსპობას და ა.შ.

ამასთან დაკავშირებით კ. მარქსი წერდა: „საზოგადოებაში, რომელიც დაფუძნებულია კოლექტიურ საწყისებზე, წარმოების საშუალებების საერთო ფლობაზე, მწარმოებლები თავის პროდუქტებს არ ცვლიან...“ [7, ტ. 19, გვ. 18].

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი დებულებები ადასტურებს მარქსისტული სოციალიზმის უტოპიურობას, რადგან კიდევაც რომ მოისპოს კერძო საკუთრება, რაც პრინციპში ორგანიზაციულად შესაძლებელია (სხვა საკითხია: რისკენ მივყავართ მას

– რამდენად გონივრული და რაციონალურია ამის განხორციელება ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე ?), შრომის პროდუქტების გაცვლის მოსპობა სრულიად შეუძლებელია (*განუხორციელებადია*) და უკვე ამიტომ მარქსიზმი უტოპიას წარმოადგენს.

*ამის შემდეგ იყო ვ.ი. ლენინი, რომელიც აღნიშნულ საკითხში მთლიანად იზიარებდა კ. მარქსის შეხედულებებს, რაც იმითაც დასტურდება, რომ ვ.ი. ლენინის მიერ შემოღებული ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (НЭП-ის) დროსაც კი, როდესაც ვ.ი. ლენინმა დაუშვა საბაზრო ურთიერთობების გამოყენების შესაძლებლობა, ის ამას მხოლოდ კაპიტალიზმის დროებით დაშვებად თვლიდა, რადგან სოციალიზმი და ბაზარი მისთვის, ისევე, როგორც კ. მარქსისთვის, შეუთავსებელი იყო.*

მაშასადამე, არა მარტო მარქსისტული სოციალიზმი, არამედ ლენინური სოციალიზმიც, რომ აღარაფერი ვთქვათ კომუნისტურ, აშკარა უტოპიას წარმოადგენს.

შემდეგ ი.ბ. სტალინის ხელმძღვანელობით აშენდა, როგორც მე მას ვუწოდებ, სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმი, რომელიც თვისებრივად განსხვავდებოდა სოციალიზმის მანამდე არსებული ვაგებისაგან და რომელიც ფაქტობრივად აღიარებდა საბაზრო ურთიერთობების არსებობას სოციალიზმის დროსაც.

თუმცა იმის შესახებ, რომ სოციალიზმში შესაძლებელია ბაზრის, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების არსებობა, არასოდეს არსად არ დაუწერია და არ აღუნიშნავს არც ი.ბ. სტალინს და არც ვინმე სხვას ი.ბ. სტალინის მოღვაწეობის იმ პერიოდში, როდესაც ფაქტობრივად უკვე არსებობდა სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმი და, ამავე დროს, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საპირისპიროდ, არსებობდა აგრეთვე ბაზარი, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები.

ამასთანავე, სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმის პირობებში საბაზრო ურთიერთობების არსებობის შესაძლებლობის აღიარება ფაქტობრივად დასტურდება ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში იმით, რომ 1936 წლის სტალინურ კონსტიტუციაში დაფიქსირდა სოციალიზმის საფუძვლების გა-

მარჯვება. და ეს მაშინ, როდესაც უკვე აღარ არსებობდა იდეაც კი, და, მით უმეტეს, პრაქტიკა კაპიტალიზმის დროებით დაშვებისა, მაგრამ, როდესაც, ამასთან ერთად, არსებობდა საბაზრო – სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები.

უფრო მეტიც, მრავალი წლის შემდეგ, კერძოდ, 1952 წელს ი.ბ. სტალინი თავის ცნობილ ნაშრომში "სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", პირდაპირ აღნიშნავდა, რომ "არ შეიძლება სასაქონლო წარმოების გაიგივება კაპიტალიზმთან. ეს – ორი სხვადასხვა რამეა" [8, გვ. 14].

შემდეგ, იქვე ი.ბ. სტალინი აღნიშნავდა, რომ "ისმის კითხვა, რატომ არ შეუძლია სასაქონლო წარმოებას გარკვეულ პერიოდში მოემსახუროს აგრეთვე ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებას ისე, რომ არ მიგვიყვანოს კაპიტალიზმთან, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სასაქონლო წარმოებას არა აქვს ჩვენთან ისეთი შეუზღუდავი და ყოვლისმომცველი გავრცელება, როგორც კაპიტალიზმის პირობებში..." [8, გვ. 15-16].

ამრიგად, ი. ბ. სტალინი 1952 წელს უკვე აღიარებდა სასაქონლო წარმოების, ბაზრის, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების არსებობას სოციალისტურ საზოგადოებაში, მაგრამ აღიარებდა ბაზრის არსებობას მხოლოდ სოციალიზმის გარკვეულ პერიოდში, რაც დასტურდება მისი შემდეგი სიტყვებით:

"რასაკვირველია, როდესაც ორი ძირითადი საწარმოო სექტორის, სახელმწიფოს და საკოლმეურნეოს, ნაცვლად გაჩნდება ერთი ყოვლისმომცველი საწარმოო სექტორი ქვეყნის მთელი სამომხმარებლო პროდუქციის განკარგვის უფლებით, სასაქონლო მიმოქცევა მისი "ფულადი მეურნეობით" გაქრება, როგორც სახალხო მეურნეობის უსარგებლო ელემენტი" [8, გვ. 17].

მაშასადამე, თუმცა ი.ბ. სტალინმა დაუშვა სასაქონლო წარმოების, ბაზრის, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების არსებობა სოციალისტურ საზოგადოებაში, უფრო ზუსტად კი – სტალინურ ადმინისტრაციულ სოციალიზმში, რაც სოციალიზმისა და კომუნიზმის შესახებ მანამდე არსებულ – კერძოდ კი,

როგორც მარქსამდელ, ისე მარქსისტულ-ლენინურ – თეორიულ შეხედულებებში გადატრიალებას წარმოადგენდა, მაგრამ, ამავე დროს, ი.ბ. სტალინი მაინც ბოლომდე ვერ გამოვიდა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული ”მარწუხებიდან”, რაც დასტურდება მისივე სიტყვებით იმის შესახებ, რომ, *როგორც ზემოთ აღინიშნა*, თითქოს მომავალში ”სასაქონლო მიმოქცევა მისი ”ფუჟადი მეურნეობით” გაქრება, როგორც სახალხო მეურნეობის უსარგებლო ელემენტი” [8, გვ. 17].

ზემოაღნიშნული, ჩემი აზრით, ი.ბ. სტალინის უხეშ შეცდომას, უფრო ზუსტად კი, ი.ბ. სტალინის მიერ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიღრმისეული შეცდომის გამეორებას და მხარდაჭერას წარმოადგენს.

ამავე დროს, გამორიცხული არ არის, რომ გარკვეული იდეოლოგიური მოსაზრებების გამო, ი.ბ. სტალინმა სასაქონლო წარმოების, ბაზრის, სასაქონლო-ფუჟადი ურთიერთობების გაუქმების (მოსპობის) პრობლემა ძალაში დატოვა და მომავლისთვის გადაიტანა, რათა მარქსიზმ-ლენინიზმს ”წრდილი არ მისდგომოდა” (!).

თუმცა ის ფაქტი, რომ სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმის პირობებში, მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლური დებულებების საწინააღმდეგოდ, მაინც არსებობდა სასაქონლო წარმოება, ბაზარი, სასაქონლო-ფუჟადი ურთიერთობები, *მიუხედავად მრავალი შეზღუდვისა*, უდავოდ ამ სისტემის დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს მანამდე არსებულ უტოპიურ შეხედულებებთან შედარებით.

ამრიგად, სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმი არ არის სოციალიზმი მარქსისტულ-ლენინური და საერთოდ მანამდე ცნობილი – კლასიკური, ტრადიციული – სოციალიზმის გაგებით.

მით უმეტეს, სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმი არ არის (არ იყო) კომუნიზმი და მისი პირველი ფაზაც – სოციალიზმიც კი, თუნდაც უკვე იმიტომ, რომ სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმის პირობებში დაშვებული იყო და არსებობდა საბაზრო ურთიერთობები.



ამასთანავე, სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმი იყო სწორედ სოციალიზმი, მაგრამ ეს იყო თვისებრივად ახალი ტიპის სოციალიზმი – სტალინური ტიპის სოციალიზმი, რომლის ანალოგი არ არსებობდა არა მხოლოდ მსოფლიო პრაქტიკაში, არამედ თეორიაშიც.

მაშასადამე, სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმი კლასიკური და ტრადიციული გაგებით არ იყო სოციალიზმი და, *მით უმეტეს*, არ იყო ის კომუნიზმი, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მასში არსებობდა საბაზრო ურთიერთობები, მაინც იყო სოციალიზმი, რადგან სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმის პირობებში გამორიცხული იყო ბაზრის, ფულის ბატონობა ადამიანზე.

*სხვა საკითხია, როგორი იყო ეს სოციალიზმი – დადებითი თუ უარყოფითი, ან რა თვალსაზრისით იყო ის დადებითი და ან რა თვალსაზრისით – უარყოფითი, რაც სპეციალურ მეცნიერულ გამოკვლევებს საჭიროებს.*

მოგვიანებით, ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, სტალინურმა ადმინისტრაციულმა სოციალიზმმა დეფორმირება განიცადა, გაიხრწნა, გადაიზარდა ფსევდოსოციალიზმში, ხოლო ამის შემდეგ ფსევდოსოციალიზმი საერთოდ დაიშალა.

ამრიგად, მივდივართ მეცნიერულად დასაბუთებულ ლოგიკურ დასკვნამდე იმის შესახებ, რომ არასოდეს არსად მსოფლიოში არ არსებობდა კომუნიზმი.

უფრო მეტიც, არც შექმლო არსებობა კომუნიზმს *სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ლიკვიდაციით, ბაზრის ლიკვიდაციით, შრომის პროდუქტების გაცვლის ლიკვიდაციით და ა.შ.*, რადგან კომუნიზმი აშკარა უტოპიაა.

რაც შეეხება სოციალიზმს, ისიც მისი კლასიკური, როგორც მარქსამდელი, ისე მარქსისტული (*როგორც კომუნიზმის პირველი ფაზა*) გაგებით, ასევე არასოდეს არსად არ არსებობდა და არც შექმლო არსებობა, რადგან ისიც აშკარა უტოპიაა.

ამასთან, სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმი, უფრო ზუსტად კი, პოსტსტალინური ფსევდოსოციალიზმი დაიშალა საბჭოთა კავშირში საბჭოთა კავშირთან ერთად.

*პოსტსტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმი საბჭოთა კავშირის "დახმარებით" დაიშალა აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ხოლო მასთან ერთად დაიშალა სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმის მსოფლიო სისტემა.*

ამასთანავე, სტალინური ტიპის ადმინისტრაციული სოციალიზმი არსებობს და წარმატებით, შემოქმედებითად ვითარდება, მაგალითად, ჩინეთში.

თუმცა, ბუნებრივია, ადმინისტრაციული სოციალიზმი ჩინეთში, რომელიც ფაქტობრივად არის პოსტსტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმი, არსებობს და წარმატებით ვითარდება ჩინური სპეციფიკით – *ჩინეთის უმაღლესი პოლიტიკური მოღვაწეების განსაკუთრებული დამსახურების შედეგად.*

მაშასადამე, არასოდეს არსად მსოფლიოში არ არსებობდა და არც შეეძლო არსებობა კომუნიზმს, და ამიტომ სიღრმისეული შეცდომაა ტერმინის – "პოსტკომუნისტური", გამოყენება.

კერძოდ, შეცდომას წარმოადგენს ტერმინ "პოსტკომუნისტური"-ს გამოყენება ყოფილი სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმის ქვეყნების მიმართ, *უფრო ზუსტად კი, მისი გამოყენება* პოსტსტალინური ფსევდოსოციალიზმის ყოფილი ქვეყნების მიმართ – საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების მიმართ, ისევე, როგორც სიღრმისეულ შეცდომას წარმოადგენს ტერმინ "პოსტკომუნისტური"-ს გამოყენება აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი "სოციალისტური" ქვეყნების მიმართ.

გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, სოციალიზმიც, *მისი კლასიკური და ტრადიციული გაგებით*, არასოდეს არსად არ არსებობდა და არც შეეძლო მას არსებობა, რადგან ისიც აშკარა უტოპიაა.

ამიტომ, შეცდომაა ტერმინ "პოსტსოციალისტურის" გამოყენებაც კი, თუ, ამასთან ერთად, არ მიეთითა, რომ ლაპა-

რაკია პოსტსტალინურ, პოსტადმინისტრაციულ, პოსტფსევდოსოციალისტურ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ სისტემაზე.

ამრიგად, სიღრმისეულ შეცდომას წარმოადგენს ტერმინების – ”პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია”, ”პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი”, ”სოციალიზმი, კაპიტალიზმი, ტრანსფორმაცია”, და ა.შ., გამოყენება, რადგან ეს ტერმინები მოწვევტილია რეალობისაგან.

ამასთანავე, სიღრმისეულ შეცდომას წარმოადგენს ზემოაღნიშნული ტერმინების გამოყენება არა მარტო იმიტომ, რომ ამ ტერმინებში არის სიტყვა ”პოსტკომუნისტური”, არამედ იმიტომაც, რომ ამ ტერმინებში გამოიყენება სიტყვა ”ტრანსფორმაცია”, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს იმ პროცესებთან, რომელთა მიმართაც ის გამოიყენება.

კერძოდ, ქვეყნებს – საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად გახდნენ იურიდიულად დამოუკიდებელი, და აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი ”სოციალისტური” ბანაკის – სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმის ყოფილი ბანაკის – ქვეყნებს, არა მარტო შეცდომაა, რომ ეწოდებოდეს ”პოსტკომუნისტური”, არამედ აგრეთვე სიღრმისეულ შეცდომას წარმოადგენს, რომ პროცესებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, და აგრეთვე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ ”სოციალისტურ” ქვეყნებში, უწოდებდნენ – ”ტრანსფორმაციას”, რადგან სინამდვილეში ეს იყო არა ტრანსფორმაცია, არამედ კონტრრევოლუცია, ე.ი. ადგილი ჰქონდა არა ”პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციას”, არამედ პოსტფსევდოსოციალისტურ კონტრრევოლუციას, ადგილი ჰქონდა ფსევდოსოციალიზმის ძირეულ გადატრიალებას უკან კაპიტალიზმში.

ზემოაღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს თვითონ ტერმინების: რევოლუცია და კონტრრევოლუცია – არსიდან, რომლებიც ძირეულად განსხვავდება ტერმინ ”ტრანსფორმაციის” არსიდან, რადგან გადატრიალება თვისებრივად ახალ მდგომარეობაში – თვისებრივად ახალ საზოგადოებრივ-სა-

ხელმწიფოებრივ (საზოგადოებრივ-პოლიტიკურ) სისტემაში – ეს არის რეეოლუცია, მაშინ, როდესაც გადატრიალება თვისებრივად ახალ (მაგრამ რეეოლუციამდელ) მდგომარეობაში უკან – ეს არის კონტრეეოლუცია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსფორმაცია, რეფორმები – ეს არის გარდაქმნები, რომლებიც არ ეხება პოლიტიკური წყობის საფუძვლებს, მაშინ, როდესაც რეეოლუცია და კონტრეეოლუცია ამსხვრევენ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის საფუძვლებს.

ტრანსფორმაციული ცვლილებების ნათელ მაგალითს წარმოადგენს, მაგალითად, ჩინეთში მიმდინარე პროცესები, რომელთა კვალიფიცირება შეიძლება – როგორც ევოლუციური გარდაქმნებისა, რომლებიც კანონზომიერად მიმდინარეობს სტალინური ტიპის ადმინისტრაციული სოციალიზმიდან ჩინური სპეციფიკით – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით, *კაპიტალიზმში უკან დაბრუნების გარეშე*, ე.ი. იმ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით, რომელიც მოწოდებულია ემსახუროს ხალხის ინტერესებს [9].

### ბამოყენებული ლიტერატურა

1. **Postcommunism:** Федеральный образовательный портал ЭСМ Экономика. Социология. Менеджмент. Опубликовано на портале: 15-08-2006. <http://www.ecsocman.edu.ru/text/19226541/>
2. **Макаренко Б.И.** Посткоммунистические страны: как измерить трансформацию?  
[www.mgimo.ru/uploads/files/Makarenko%20Transformation.doc](http://www.mgimo.ru/uploads/files/Makarenko%20Transformation.doc)
3. **Бальцерович Л.** Социализм, капитализм, трансформация: Очерки на рубеже эпох. Москва, "Наука", УРАО, 1999.
4. **ნიუმანი ჯერალდ.** დემოკრატიის ტრანზიცია და პოსტკომუნისტური ქვეყნების სპეციფიკა. უანრი: კრიტიკა-პუბლიცისტიკა. 9 მაისი 2010.
5. **Философский энциклопедический словарь.** – М.: ИНФРА-М, 1997.

6. **Словарь иностранных слов.** – 9-е изд., испр. – М.: Русский язык, 1982.
7. **Маркс К. и Энгельс Ф.** Соч., изд. 2-е.
8. **Сталин И.** Экономические проблемы социализма в СССР. (Замечания по экономическим вопросам, связанным с Ноябрьской дискуссией 1951 года). Государственное Издательство Политической Литературы, 1952.
9. **Кураташвили Альфред А.** Теория истинно человеческого – классического (образцового) – общества. Труды Грузинского технического университета, 1998, № 3 (419). Тбилиси: Издательство "Технический университет", 1998.

*Kuratashvili Alfred*

**«POSTCOMMUNIST CAPITALISM» OR ...?!**

**SUMMARY**

In the scientific work terms known in the scientific and political literature – «Postcommunist Transformation» and «Postcommunist Capitalism» which, under the statement of the author, don't reflect reality are critically considered.

Instead of above mentioned noted terms, the author scientifically groundly offers the terms: Postpseudosocialistic Counterrevolution and Postpseudosocialistic Capitalism.

*ვახტანგ ბურდული*

**სიღარიბის ღონის შემცირების რეგიონული სტრატეგიის  
პირითადი მიმართულებები**

ქვეყანაში სიღარიბის ღონის შემცირების უზრუნველყოფა მხოლოდ ეკონომიკის სწრაფი და რაციონალური განვითარების საფუძველზე შეიძლება. ამ პრობლემის გადაწყვეტაში, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი გააჩნია ეკონომიკის განვითარების რეგიონული ფაქტორების გონივრულ გამოყენებას.

ამიტომ, ქვეყანაში სიღარიბის ღონის შემცირების მიზნით, მნიშვნელოვანია რეგიონების დონეზე ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავება. ამჟამად, საქართველოში რეგიონების ჭრილში ეკონომიკურ განვითარებას გარკვეულწილად ხელს უშლის საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის უკმარისობა, კერძოდ, ქალაქებში და სოფლად მეწარმეობისათვის საჭირო ინსტიტუციური და ინფრასტრუქტურული გარემოს ჩამორჩენა, გარკვეულწილად მოუქნელი ფისკალური და საფინანსო (საფონდო და საფინანსო-საკრედიტო) სისტემები ზღუდავს რეგიონებში ინვესტიციურ აქტიურობას, წარმოების განვითარებას და დასაქმების ზრდას. ახალი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების, მსოფლიო და შიდა ბაზრებზე კონკურენციის გამწვავების, იმპორტის ზეწოლისა და სხვა მიზეზების გამო ძნელია ექსპორტორიენტირებული და იმპორტჩანაცვლებითი საწარმოების განვითარება რეგიონულ ქალაქებში. ასევე, იმპორტის ზეწოლის და სხვა გარემოებების გამო, მცირდება პროდუქციის გამოშვება სოფლის მეურნეობაში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილი კი არ გამოიყენება. ეს ყველაფერი ართულებს რეგიონებში (როგორც ქალაქებში,

ასევე სოფლად) სიღარიბის დონის შემცირების პრობლემას. ამდენად, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე საჭიროა ისეთი ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს ამ დონეებზე ახალი საწარმოების ჩამოყალიბებას და განვითარებას, არსებული საწარმოების ეფექტიანი და სრული დატვირთვით მუშაობას. ამ სტრატეგიაში უნდა აისახოს რიგი ქვემოთ განხილული მიმართულება.

1. ახალ პირობებში გაიზარდა ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის ინტერესების კომპრომისის საკითხის ეფექტიანი გადაწყვეტის მნიშვნელობა. ბოლო პერიოდში განვითარებულ ქვეყნებში გაიზარდა რეგიონების მნიშვნელობა სხვადასხვა სახით ინოვაციური პროცესების განხორციელებაში, იზრდება რეგიონულ ქალაქებში განთავსებული საწარმოების მნიშვნელობა ახალი ტექნოლოგიების ათვისებაში. სოფლის მეურნეობის ეფექტიანი განვითარების პრობლემის მოგვარება ასევე მოითხოვს რეგიონული და ადგილობრივი კოორდინაციის მექანიზმის სრულყოფას. ამიტომ, ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად საჭიროა ადგილობრივი ორგანოების შესაძლებლობების გაზრდა. მრავალ ქვეყანაში (მათ შორის, მცირე ქვეყნებშიც) ვითარდება სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა, რაც მოითხოვს სოციალური დაცვის რიგი ფუნქციის გადაცემას რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე. ამიტომ, კომპეტენციის რაციონალური გამიჯვნა მართვის დონეებს შორის (რომლებშიც უნდა მოქმედებდეს საჭირო ინსტიტუტები და მოწესრიგებული იყოს კოორდინაციის ინსტრუმენტების სისტემა) დღეისათვის წარმოადგეს ქვეყნის სწრაფი განვითარების და რეგიონებში სიღარიბის დონის შემცირების მნიშვნელოვან წანამძღვარს.

დონეებს შორის კომპრომისის მიღწევა, ზოგიერთი მიმართველობითი ფუნქციის დეცენტრალიზაციის გარდა, გულისხმობს ადეკვატურ ზომებში საბიუჯეტო სახსრების გამოყენების დეცენტრალიზაციის პროცესს. მაგალითად, ამჟამად, განვითარებულ ქვეყნებში საინვესტიციო (ბიზნესის და წარ-

მოების მხარდასაჭერად, პერსონალის ან უმუშევრების კვალიფიკაციის ამაღლების და ახალი სპეციალობების ათვისებისა და სხვა მიზნებისათვის), საპენსიო, სადაზღვევო და სხვა სახის ფონდები ხშირად რეგიონულ დონეზე ფუნქციონირებენ. კომპეტენციის გარკვეულ ზომებში დეცენტრალიზაცია ზრდის რეგიონული ორგანოების პასუხისმგებლობას შესაბამისი წარმონაქმნის მოსახლეობის კეთილდღეობის (და მაშასადამე, სიღარიბის დონის შემცირების) უზრუნველყოფაზე, ბიზნესის (მეწარმეობის) განვითარებასა და ეფექტიან ფუნქციონირებაზე. **დონეებს შორის კომპრომისის მიღწევის შედეგად განაწილებული ფუნქციების შესრულების უზრუნველყოფა საბიუჯეტო სახსრების შესაბამისი განაწილებით ხდება.** ზოგიერთ ქვეყანაში სახსრების უმეტესი ნაწილი მობილიზდება ცენტრალურ ბიუჯეტში (80%-მდე) და შემდეგ ხდება მათი განაწილება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის სხვადასხვაგვარი ტრანსფერების მეშვეობით და განსხვავდება დანიშნულების შესაბამისად (მაგალითად, სუბსიდია-დოტაცია, სუბვენცია, სპეციალური სუბსიდია). მაგრამ მრავალ ქვეყანაში რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტები, ადგილობრივი გადასახადებით მოზიდული სახსრების გარდა, ივსება მოცემულ ტერიტორიაზე აკრეფილი ცენტრალური გადასახადებიდან ანარიცხების ხარჯზე.

**2. სხვადასხვა ტერიტორიულ დონეზე უნდა განხორციელდეს ინსტიტუციური წყობის სრულყოფა.** საქართველოში ამჟამად მცირე რეგიონული დონის მართვის ორგანოების შესაძლებლობანი (ქ. თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა). ამასთან, მრავალ განვითარებულ ქვეყანაში რეგიონული სახელისუფლებო ორგანოები პასუხისმგებლები არიან რეგიონული სოციალური და ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო სტრატეგიით დასახული მიზნების კოორდინაციაში, მეწარმეობის ხელშეწყობაში, რეგიონებში მიზიდულობის ცენტრების განვითარებაში. ამ ამოცანების შესასრულებლად საჭიროა რეგიონული ორგანოების უფლებამოსილებების გაზრდა (სახელისუფლებო ორგანოებში შტატების გაბერვის გარეშე) მათთვის ეკონომიკური მართვის შესაბამისი



ბერეკტების მინიჭებით და პასუხისმგებლობის გაზრდით. ასევე უნდა გაიზარდოს ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილებები, განსაკუთრებით, დასაქმების ხელშეწყობაში, სიღარიბის დონის შემცირებისათვის შესაბამისი ადგილობრივი დონის სოციალური პაკეტის შექმნაში (სოციალური პაკეტის მექანიზმები უნდა არსებობდეს ყოველ სახელისუფლებო დონეზე და კოორდინირებულად მოქმედებდეს დასახული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით).

**3. რეგიონული განვითარების სტრატეგიაში ასახული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის დამყარების ხელშეწყობის ამოცანები.** რეგიონულ დონეზე ეს ნიშნავს რეგიონის პირობების და თავისებურებების გათვალისწინებით განვითარებისათვის პრიორიტეტული დარგების არჩევას (ქალაქებში და სოფლად), რეგიონული მიზიდულობის ცენტრების და ინოვაციური ცენტრების განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას და სხვა, რაც უზრუნველყოფს დასაქმების ზრდას და სიღარიბის დონის შემცირებას, ექსპორტორიენტირებული, იმპორტჩანაცვლებითი და სხვა აქტუალური საწარმოების განვითარებისა და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო დამხმარე ობიექტებისა და საწარმოების შექმნის ხელშეწყობის საფუძველზე.

თანამედროვე ტექნოლოგიური წყობისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ახალი დარგის საწარმოების ჩამოყალიბება შეიძლება რეგიონების მიზიდულობის ცენტრებში. უფრო მიზანშეწონილია განვითარებულ ქვეყნებში უკვე ჩამოყალიბებული ახალი დარგების ტექნოლოგიების მოზიდვა **ადგილობრივი მეწარმეების მიერ მათი შესყიდვის გზით**, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტექნოლოგიების საფუძველზე შემუშავებული პროდუქციის გასაღებაში პრობლემები არ შეიქმნება, განსაკუთრებით საგარეო ბაზრებზე. ასეთი სამამულო საწარმოების ჩამოყალიბების წასახალისებლად რეგიონულმა მთავრობამ უნდა მიმართოს წახალისების ფისკალურ და ფინანსურ ზომებს დაჩქარებული ამორტიზაციის ჩათვლით, დარგის პრიორიტეტულად გამოცხადების და მისი განვითარებისათვის და-

მატებითი წამახალისებელი ინსტრუმენტების დაწესებას (მაგალითად, ექსპორტის შეღავათიანი დაკრედიტების, შესაბამისი საქონელწაწვევის სამსახურების ფუნქციონირების სახელმწიფო მხარდაჭერით და სხვა).

რეგიონული მიზიდულობის ცენტრში ახალი საწარმოო დანიშნულების ტექნოლოგიების გავრცელების მეორე გზაა ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოების მოზიდვის წახალისება. ამ შემთხვევაში, წახალისების ჩვეულებრივი ფისკალური ზომების გარდა, მნიშვნელოვანია კორპორაციის დაინტერესება შედარებით იაფფასიან კოოპერაციაში ადგილობრივ საწარმოებთან აუტსორტინგის პროცესის გამოყენებით. სოფლად ახალი ტექნოლოგიების გამოყენება საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, სასელექციო და სანაშენო მეურნეობებში, ასევე, ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის მიზნით და ა.შ. ამასთან, საქართველოში არსებობდა უნიკალური ტექნოლოგიებიც (ხილის, განსაკუთრებით ვაშლის წარმოებაში, ყურძნის ჯიშების უფრო სრულყოფილი ვარიანტების გამოყვანაში, მაგალითად, ვარდისფერი რქაწითელი), რომელთა რეანიმაცია და გამოყენება ამჟამადაც აქტუალურია.

ბოლო პერიოდში ბევრ განვითარებულ ქვეყანაში გახშირდა რეგიონულ დონეზე **სპეციალური პროგრამების მიღება**, რომლებშიც განსაზღვრულია ღონისძიებები ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიური წყობის განვითარების ხელშეწყობის, “წერტილოვანი” დარგობრივი დივერსიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური და საწარმო-ტექნოლოგიური პროცესების დინამიკის ჰარმონიზაციისათვის და ა. შ., რაც ხელს უწყობს ტერიტორიული განვითარების მოქნილობის ზრდას, ჩამორჩენილი რეგიონების დაჩქარებულ განვითარებას და ა.შ. (იხ., მაგ., [1; 4]). რა თქმა უნდა, გრძელვადიანი ხასიათის ყველა ღონისძიება ხორციელდება შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენების საფუძველზე და უზრუნველყოფს რეგიონებში მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას ან დაცვას გრძელვადიან ასპექტში, ჩამორჩენილ რეგიონებში კი – სიღარიბის ღონის მნიშვნელოვან შემცირებას.

4. თანამედროვე პირობებში დამატებითი აქტუალიზაცია მიიღო რეგიონული წარმოების (სოფლად და ქალაქებში) დივერსიფიკაციის პროცესმა. ჯერ კიდევ 60-80-იან წლებში განვითარებულ ქვეყნებში ამ დონეზე წარმოების დივერსიფიკაციით ხდებოდა მონოსპეციალიზებული ან სპეციალიზაციის ვიწრო სექტორის მქონე რეგიონების (ქალაქების) ეკონომიკურ დეპრესიაში ვარდნის ალბათობის შემცირება (რომელიც რიგ შემთხვევაში ძალიან ამწვავებდა სიღარიბის პრობლემას განვითარებული ქვეყნების ზოგიერთ რეგიონში). ამჟამად რეგიონულ დონეზე ამ მეთოდის გამოყენების აუცილებლობა საყოველთაოდ აღიარებულია. სოფლად წარმოების რეგიონული დივერსიფიკაციის მნიშვნელობა გაიზარდა ბუნებრივი პირობების მდგრადობის გარკვეული გაუარესებისა და ასევე სხვა მოვლენების გამო (მაგალითად, რომელიმე კულტურის მავნებლებების გავრცელება). საქართველოში სოფლად წარმოების დივერსიფიკაციის აუცილებლობას ასევე განაპირობებს ქვეყნის რელიეფის თავისებურებანი, ასევე გლობალიზაციის პირობებში ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე მოთხოვნის მოულოდნელი ზრდა ან შემცირება. მაშასადამე, რეგიონული ეკონომიკის დივერსიფიკაციის განხორციელება წარმოადგენს რომელიმე საქონელზე ან მომსახურებაზე საბაზრო კონიუნქტურის გაუარესების გამო სიღარიბის უეცარი გამწვავებისაგან დაზღვევის მნიშვნელოვან თანამედროვე ხერხს. ამასთან ერთად, რეგიონული დივერსიფიკაცია უსათუოდ წარმოადგენს სიღარიბის დონის თანდათანობითი შემცირების ეფექტიან ხერხს.

წარმოების დივერსიფიკაციის წახალისება ქალაქებში უფრო მიზანშეწონილია იმ საქონლის მიხედვით, რომელზეც მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნა იზრდება. ამასთან, არ უნდა იქნეს დავიწყებული ტრადიციული დარგები (შიდა მოხმარების უზრუნველყოფისათვის), ისეთები, როგორცაა ავეჯის, ქსოვილების, ტანსაცმლის და ა. შ. წარმოება. სოფლად წარმოების დივერსიფიკაციისას ყურადღება უნდა მიენიჭოს იმ დარგებს, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყნის სასურსათო უსაფრთ-

ხოების ზრდას და ასევე, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი საექსპორტო პოტენციალი.

5. რეგიონებში საჭიროა მცირე და საშუალო ზომის **მიზიდულების ცენტრების განვითარების სტრატეგიის შემუშავება**, უპირველეს ყოვლისა, რეგიონული (სამხარეო) ცენტრების ბაზაზე, ასევე ხელსაყრელი პირობების მქონე რაიონული ცენტრების ბაზაზე. ასეთ ცენტრებში საჭიროა სხვადასხვა სახის რეალური სექტორის და დამხმარე საწარმოების მოზიდვა, რაც უზრუნველყოფს ეკონომიას ინფრასტრუქტურული დანახარჯების შემცირების ხარჯზე, დაასაქმებს ყველა შესაბამის ქალაქში მცხოვრებ უმუშევარს და რეგიონის სოფლებიდან მიგრირებულ უმუშევრებს. აქედან ჩანს, რომ რეგიონული მიზიდულობის ცენტრების განვითარება **უზრუნველყოფს რეგიონული ეკონომიკის დივერსიფიკაციის გაღრმავებას და სიღარიბის გამამწვავებელი რეგიონული ასპექტების შემცირებას**. ღოგორც ითქვა, ბოლო პერიოდში განვითარებულ ქვეყნებში ამ პრობლემას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება (იხ. მაგ., [2, გვ. 93; 4, გვ. 131-133] და სხვა), ვიდრე წინათ. კონტრასტი სადედაქალაქო რეგიონს და პროვინციას შორის მეურნეობის ტერიტორიული დონის მოწიფულობის შეფასების ერთ-ერთ უმნიშველოვანეს ინდიკატორად იქცევა. რაც უფრო გამოკვეთილია ეს კონტრასტი, მით უფრო დაბალია ქვეყნის განვითარების დონე [2, გვ. 46, 47]. საქართველოს ტერიტორიის სიმცირისა და მსოფლიოში ამჟამად მიმდინარე გარკვეული ზომით დეურბანიზაციის ტენდენციების გამო (სადაც ამისათვის ჯერ კიდევ დარჩა შესაძლებლობები) საქართველოს ქალაქების უმეტესობისათვის (ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის და რუსთავის გარდა) მიუღებელია ტერმინის “ზრდის პოლუსის” გამოყენება (რადგანაც ის უფრო მეტად გულისხმობს მეგაპოლისის ან ქალაქების ფართო აგლომერაციის განვითარებას). ჩვენი აზრით, ტერმინი “მიზიდულობის ცენტრი” უფრო მისაღებია საქართველოს რეგიონებში არსებული პირობებისათვის. ასეთი წარმონაქმნის განვითარების საფუძველშიც უნდა იყოს ჩადებული ეკონომიკის დივერსიფიკაციის აუცილებლობა, ამასთან, ძირითად წარმოებასთან ერთად უნდა ვითარდებოდეს სხვადასხვა-

გვარი დამხმარე წარმოება (მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ექსპორტის და ა. შ.) პრობლემების გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად. ასევე აშკარა თანამედროვე ტენდენციას წარმოადგენს “ზრდის პოლუსების” გარდა ყოველი რეგიონული “მიზიდულობის ცენტრში” ინოვაციური სექტორის განვითარება.

6. ამჟამად საქართველოს მცირე ქალაქებში, კერძოდ, სამხარეო და რაიონულ ცენტრებში, უმუშევრობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ქვეყანაში საშუალოდ. ამიტომ, **ასეთი ქალაქებისათვის** (განსაკუთრებით რეგიონული მიზიდულობის ცენტრებისათვის), სიღარიბის დონის შემცირების მიზნით, **რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისას უნდა აისახოს რეალური სექტორის საწარმოების განვითარების გზები.**

ამასთან, სიღარიბის დონის შემცირებისათვის მნიშვნელოვანია მსხვილ, საშუალო და მცირე საწარმოებს შორის ფარდობის სწორი სტრატეგიის შემუშავება. შეუძლებელია ეკონომიკის მდგრადი განვითარება მსხვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოების გარეშე. რეგიონული განვითარების სტრატეგიაში, კონკრეტული რეგიონების თავისებურებების გათვალისწინებით (სადაც ეს შესაძლებელია), რომელიმე კონკრეტულ დარგში (თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის მოთხოვნების შესაბამისად) უნდა შეიქმნას ახალი მსხვილი საწარმოები (ადგილობრივი მეწარმეების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების შესყიდვისა და ათვისების ბაზაზე ან ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოების ქვეყნის რეგიონების ქალაქებში განთავსებით) ან უნდა განხორციელდეს წინათ არსებული მსხვილი საწარმოების რეანიმაცია, ახალი კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების ბაზაზე. როგორც ვიცით, მსხვილი საწარმოები კოოპერაციული ურთიერთობების საფუძველზე ასაქმებენ ბევრ საშუალო და მცირე ზომის საწარმოს (მცირე მასშტაბების განვითარებულ ქვეყნებშიც კი (სინგაპური, ლუქსემბურგი, ბელგია, ნორვეგია, დანია, ფინეთი) არსებობს მრავალი მსხვილი საწარმო, რომელიც კოოპერაციული ურთიერთობების მეშვეობით ასაქმებს მრავალ მცირე

და საშუალო დონის საწარმოს და, თანამედროვე პირობებში, ინდივიდუალურ მეწარმეებსაც). მაგრამ, რა თქმა უნდა, ბევრი მსხვილი საწარმოს ჩამოყალიბება მცირე ქვეყნის რეგიონებში შეუძლებელია, ამიტომ რეგიონული ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და სიღარიბის დაძლევის აუცილებლობა მოითხოვს მრავალ დარგში საშუალო და მცირე საწარმოს დაარსებას როგორც წარმოების ძირითად სექტორში, ასევე ინფრასტრუქტურულ და მომსახურების სექტორებში. სოფლად, ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდისათვის საჭიროა საოჯახო მეურნეობების ბაზაზე კოოპერატივების დაარსება. მაგრამ, ქვეყნის რთული რელიეფის და სხვა მიზეზების (მაგალითად, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმება, სოფლების დაცარიელების თავიდან აცილება და სხვა) გამო, ასევე საჭიროა სოფლად თანამედროვე ინტენსიური<sup>9</sup> ხასიათის მცირე მეურნეობების განვითარების მხარდაჭერა და წახალისება. მცირე მეურნეობების ინტენსიური ეფექტიანი ფუნქციონირების პრაქტიკის ათვისება შეიძლება ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის გამოცდილების შესწავლის საფუძველზე. შემოთავაზებული სტრატეგია **უზრუნველყოფს** ყველა ზომის საწარმოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, გააძლიერებს მათ შორის ტექნოლოგიური და ტრანსაქციური ურთიერთობების სიმჭიდროვეს, წარმოების ინტენსიფიკაციას (ამასთან, ქალაქებში ბუნებრივი გარემოს გაბინძურების გარეშე, სოფლად კი, ამის გარდა, ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფით), მოსახლეობის დასაქმებასა და მისი შემოსავლების ზრდას და სხვა, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სიღარიბის დონის მკვეთრ შემცირებას (რადგან ყველა ეს პარამეტრი სიღარიბის (კეთილდღეობის) ამსახველ ფაქტორს წარმოადგენს).

---

<sup>9</sup> ტერმინი “ინტენსიური” აქ არ გულისხმობს ნიადაგის ინტენსიურ გამოყენებას მისი გაფუჭების ხარჯზე, პირიქით, იგულისხმება თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე მისი ხარისხისა და ნაყოფიერების გაუმჯობესება. ამასთან, ასეთი ტექნოლოგიები ჩვეულებრივებზე ოდნავ უფრო მეტად შრომატევადია, მაგრამ მათ ბაზაზე შეიძლება ეკოლოგიურად სუფთა და სხვა ძვირადღირებული პროდუქციის წარმოება სამომხმარებლო ბაზრებზე რეალიზაციის ან შემდგომი გადამუშავებისათვის.

7. წარმოების რეალური სექტორის განვითარება, რომელიც ქვეყანასა და მის რეგიონებში სიღარიბის გამომწვევი ელემენტების გააღების შემცირების ძირითადი პირობაა, შეუძლებელია შესაბამისი დამხმარე ინსტიტუტების მოქმედების გარეშე როგორც სოფლად, ასევე ქალაქებში. მნიშვნელოვანია რეგიონებში საბაზრო ეკონომიკისათვის თვისებრივი დამხმარე სამსახურების და ფირმების (სოფლად ფერმების) შექმნის და ფუნქციონირების წახალისების სტრატეგიის შემუშავება. მიზიდულობის ცენტრების ფარგლებში, სახელმწიფო და კერძო საფინანსო სამსახურების (ფონდები, ბანკები ან მათი ფილიალები, რეგიონული დეპოზიტარიები, სადაზღვევო ორგანიზაციები) გარდა, ეს არის ინჟინერინგული, საკონსულტაციო, მათ შორის საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გაწევის დახმარებისათვის, საინფორმაციო (მდგომარეობა შესაბამის გასაღებისა და საჭირო ნედლეულის და პირუტყვისათვის კვების შექმნის ბაზრებზე და სხვა) საწარმოები და ორგანიზაციები. სოფლად ასევე უნდა დავასახელოთ სასელექციო და სანაშენო საწარმოები, რომლებიც, თანამედროვე ტერმინოლოგიის თანახმად, მიეკუთვნებიან საინოვაციო სექტორს, მცირე მეწარმეების ტექნიკური უზრუნველყოფის საწარმოები, ასევე, სამელიორაციო, მიწის რეკულტივაციის, ტყის მოვლის სამსახურები (თუმცა სამი უკანასკნელი მეტწილად ბუნებრივი გარემოს დაცვის სექტორს მიეკუთვნება). მნიშვნელოვანია ასევე კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციების დაწესება იმისათვის, რომ მეწარმეებმა და დაქირავებულმა მომუშავეებმა, როგორც ქალაქებში (მრეწველობა, მშენებლობა და ა.შ.), ასევე სოფლად, მიიღონ შესაბამისი ცოდნა თანამედროვე პირობებში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის. ჩამოთვლილი ორგანიზაციების არსებობა ქალაქებში და სოფლად უზრუნველყოფს ინვესტიციური აქტიურობის ზრდას, კერძოდ, სოფლებში (სხვა დამცავ ღონისძიებებთან კომპლექსში) დაიწყება გამოუყენებელი მიწების ექსპლუატაცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მცირემიწიან საქართველოში. ამასთან, არ შეიძლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხო-

ელეგზე მიყიდვა, რადგანაც ეს უფრო გაართულებს ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობას და მოახდენს ჩვენი ადგილობრივი მოსახლეობის რიცხოვნობის შემდგომ შემცირებას, ე. ი. გამოიწვევს უარყოფით დემოგრაფიულ ტენდენციებს.

ასეთი დაწესებულებების და საწარმოების ფუნქციონირების სტიმულირება უნდა ხდებოდეს შესაბამისი პროპაგანდით, რეკლამირებით, საჭირო შემთხვევებში, ფისკალური და საფინანსო შეღავათების გამოყენებით, საინვესტიციო და სხვა სახის რეგიონული ფონდებიდან დახმარებით.

8. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის (სტრატეგიის) შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს **დიალოგის და ხელშეკრულებების დადების მექანიზმი**, ერთი მხრივ, ხელისუფლებას, მეწარმეებს და პროფკავშირებსა და, მეორე მხრივ, ხელისუფლებასა და მეწარმეებს შორის. ასეთი პრაქტიკა წარმოადგენს რეგიონული ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელების თანამედროვე ელემენტს, რომელიც, კერძოდ, უზრუნველყოფს რეგიონებში სიღარიბის დონის შემცირებას.

**საბაზრო კოორდინაციის მექანიზმი გულისხმობს ასევე მეწარმეების ჯგუფების მიერ კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში გარკვეულ ბაზრებზე, გარკვეული პერიოდის მანძილზე (ერთი კვირის, ორი კვირის და ა.შ. განმავლობაში), გარკვეულ საქონელზე განსაზღვრული საშუალო ან ფიქსირებული ფასების დადგენას** [3, გვ. 109]. ასეთი პრაქტიკა ხელს შეუწყობს წარმოებული პროდუქციის სრული მოცულობით რეალიზაციას, კერძოდ, ხელმისაწვდომ ფასებში მოსახლეობის ღარიბი ფენების მიერ მისი შესყიდვის ხარჯზე (განსაკუთრებით ეს ეხება სასურსათო პროდუქციის რეალიზაციას).

უნდა 9. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის (სტრატეგიის) შემუშავებისას ასევე შეფასდეს რეგიონის ტერიტორიაზე (ქალაქის ფარგლებში, ქალაქის გარკვეულ ნაწილში, ნავსადგურში, ამ მიზნისათვის სპეციალურად არჩეულ ტერიტორიაზე, ცალკეული საწარმოს ფარგლებში და ა.შ.) სხვადასხვაგვარი **განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის დაარსების მიზანშეწონილობა** (სადაც ეკონომიკური საქმიანობის სხვადა-



სხვა ტიპისათვის დაწესებულია სხვადასხვა ეკონომიკური შეღავათები და შექმნილია სხვა სახის ხელშემწყობი პირობები, მაგალითად, საწარმოო ინფრასტრუქტურის ობიექტები). რადგან სხვადასხვა ტიპის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის დაარსების ეფექტიანობა სხვადასხვანაირია (კერძოდ, სიღარიბის ღონის შემცირების თვალსაზრისით), ზოგიერთის დაარსება კი საერთოდ აქვეითებს ეკონომიკის ეფექტიანობას მთელი ქვეყნის მასშტაბებში, საქართველოში კონკრეტული ტიპის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების დაარსების მიზანშეწონილობა უნდა განიხილებოდეს მათი დაარსების წახალისების ან შეკავების მექანიზმებთან კონტექსტში.

თანამედროვე პირობებში ყველაზე აქტუალურია **საინოვაციო** (ან სამრეწველო-საინოვაციო) **ზონები**, **სადაც ხდება სამეცნიერო ცოდნის (მიღწევების) გარდაქმნა ბიზნესში**, რასაც თან სდევს მრავალი დადებითი ეკონომიკური ეფექტი (ახალი პროდუქტების შემუშავება, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ექსპორტის მკვეთრი ზრდა და სხვა). ასეთი ზონები ფუნქციონირებს მრავალ ქვეყანაში. შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი ძალიან ცნობილი: სილიციუმის (კაუბადის) ველი აშშ-ში, ტექნოპოლისები და ტექნოპარკები იაპონიასა და სხვა ქვეყნებში, რომელთა რაოდენობამ, კერძოდ ვეროპის ქვეყნების სხვადასხვა რეგიონში, შედარებით მცირე ქვეყნების ჩათვლით, უკანასკნელ წლებში ძალიან იმატა [4]. მაგალითად, ფინეთში (მოსახლეობის რიცხოვნობა – 5,3 მლნ კაცი), ტექნოპარკების და ტექნოლოგიური ცენტრების ბაზაზე “ნოუ-ჰაუს” შემუშავებას ახორციელებს 21 ინოვაციური ცენტრი. ეს ცენტრები წარმოადგენენ სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, სასწავლო დაწესებულებების და ბიზნესის ძალისხმევის გაერთიანების ფორმას და ახორციელებენ პროექტებს, რომლებიც უზრუნველყოფს კომპანიების კონკურენტუნარიანობის და რეგიონების ინოვაციური კლიმატის გაუმჯობესებას. შესამჩნევ საფინანსო მხარდაჭერას მათ საქალაქო ხელისუფლებები უწევენ [4, გვ. 132]. გლობალურ სამყაროში კონკურენციის გამწვავების პირობებში მსგავსი ცენტრების საჭირო რაოდენობის

გახსნის გარეშე საქართველოში მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების და სიღარიბის დონის შემცირების პრობლემა გადაუწყვეტელი დარჩება. საქართველოში, რა თქმა უნდა, ასევე საჭიროა მსხვილი სატრანზიტო ცენტრის დაარსება, რომელსაც “ინდუსტრიული ტრანზიტის” [5, გვ. 73] ცენტრის ფუნქციებიც ექნება – ე.ი. ნებისმიერი სატრანზიტო პროდუქტი, შეიძლებისდაგვარად, ამა თუ იმ ზომით გადამუშავებას განიცდის (სავარაუდოდ, ინდუსტრიული ტრანზიტის ბირთვად შეიძლება იყოს ქ. ფოთი, მაგრამ მთელი ქვეყნის ფარგლებში შეიძლება ამ საქმიანობის ზომიერ ფარგლებში შესრულება, როგორც ეს ნიდერლანდებში ხდება [5, გვ. 72, 73].

10. რეგიონული ეკონომიკური სტრატეგიის განსახდერისას უნდა აისახოს **ახლომდებარე ქვეყნებს და მსხვილი ქვეყნების რაიონებს შორის ეკონომიკური რეგიონალიზაციის პროცესების განვითარების გზები**, რაც შესაბამისი ქვეყნების მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს. ამისათვის რეგიონული ეკონომიკის კოორდინაციის მექანიზმში გათვალისწინებული უნდა იქნეს **მეზობელ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების აქტივიზაციის ხერხები**, რომელთა ნაირსახეობები აპრობირებულია მრავალ ქვეყანაში. ეკონომიკური კოოპერაციის გაღრმავება **ახლომდებარე ქვეყნებთან**, განსაკუთრებით, ამჟამინდელი სატრანსპორტო დანახარჯების ზრდის პროცესის პირობებში, წარმოადგენს ამ პროცესში ჩართული ქვეყნების შესაბამისი რეგიონების მეურნეობის ეფექტიანობის ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს და, ასევე, ამ რეგიონებში დასაქმების ზრდის მნიშვნელოვან საშუალებას, ე. ი. არის შესაბამის რეგიონებში სიღარიბის დონის შემცირების მიღწევის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა. რეგიონული განვითარების ამ მიმართულების რეალიზაციის განხორციელების გზას წარმოადგენს ახლომდებარე ქვეყნებთან ან მათი რეგიონების ხელისუფლებასთან, ასევე სამეწარმეო წრეებთან, შეთანხმებების მიღწევა აღნიშნული ინფრასტრუქტურის კოორდინირებული განვითარებისა და საწარმო-ტექნოლოგიური კოოპერაციის შესახებ.

**11. სახელმწიფოს ძალისხმევის გარდა, სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკაში მნიშვნელოვანია რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობა.**

მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა მრავალ ქვეყანაში გამოიწვია მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის გაუარესების ტენდენცია, როგორც სახელმწიფოს მხრიდან, მათ შორის რეგიონულ დონეზე (შემცირდა სოციალური უზრუნველყოფისათვის დანიშნული სახსრების მოცულობა, კერძოდ, შეიქმნა სხვადასხვა პრობლემა საპენსიო სისტემაში), ასევე კერძო სექტორშიც (გართულდა მცირე ბიზნესის პრობლემები, გაძვირდა ზოგიერთი სახის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სოციალური მომსახურება. გაიზარდა უმუშევრობის დონე, გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე დაიწყო კრიზისი, გაჩნდა საშუალო კლასის რიცხოვნობის შემცირების ტენდენცია, ამასთან დაკავშირებით მოსახლეობის შედარებით ფართო ფენის მსყიდველობითი უნარიანობის შემცირება).

ამ პირობებში რეგიონული ხელისუფლების ძალისხმევა უნდა გაძლიერდეს წარმოების სტიმულირების ყველა ზემოთ აღნიშნული მიმართულებით, თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით. განსაკუთრებით ღრმად შესწავლილი და გამოყენებული უნდა იქნეს დაახლოებით საქართველოს ზომის მცირე ქვეყნების წარმატებული განვითარების (მათ შორის სოციალური უზრუნველყოფის მექანიზმის) მაგალითები, ისეთების, როგორცაა დანია, შვეიცარია, ფინეთი და სხვა.

კერძოდ, სოციალური უზრუნველყოფის მიმართებაში, ამ ქვეყნების მაგალითად უნდა ხდებოდეს რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე უფრო მეტი ოდენობის სახსრების მობილიზაცია, რათა გაიზარდოს მათი ხარჯვის მიმართულებები (სამედიცინო მომსახურებაში, საქალაქო ტრანსპორტის სისტემის განვითარებაში და სხვა). რეგიონების სოციალური უზრუნველყოფის მექანიზმში გათვალისწინებული უნდა იქნეს პენსიების ზრდა რეგიონული ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე.

**12. სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში სხვადასხვა მექანიზმის საშუალებით, რეგიონულ დონეზე ხდება დასაქმე-**

**ბის დონის ზრდის სტიმულირება**, რაც ეკონომიკის რეგიონული კოორდინაციის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. სამხრეთ კორეაში, მაგალითად, ამ მიზნით შემუშავებულია შესაბამისი პროგრამები რეგიონების მიხედვით, რომელთა ეფექტიანობა, უზრუნველყოფილი სხვადასხვა წამახალისებელი მექანიზმით, შედარებით მაღალია [1]. ნაკლებად ეფექტიანია გრძელვადიანი პროგრამები და სტრატეგიები, რომლებშიც დასაქმების ზრდის უზრუნველყოფა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს (მომუშავეთა მომზადების უზრუნველყოფით და სხვა წამახალისებელი ელემენტებით) წარმოადგენს. ასეთი მექანიზმები გამოიყენება ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში (პორტუგალია, ესპანეთი). უფრო ეფექტიანია დასაქმების ხელშეწყობის უფრო მობილური მექანიზმები, მიღებული, მაგალითად, ფინეთში, რომელთა ფარგლებში მომუშავეები იძენენ დამატებით სპეციალობებს უმუშევრებად დარჩენის რისკის შესამცირებლად. ასეთ ქვეყნებში, ასევე სახელმწიფო ხარჯებით, ხდება უმუშევრების სხვადასხვა სპეციალობების მიხედვით მომზადება. სიღარიბის მაღალი დონის თავიდან ასაცილებლად ასეთი მექანიზმი უფრო მოქნილ საშუალებას წარმოადგენს.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად საფრანგეთში, რეგიონული ორგანოები, გარკვეული რაოდენობის მუშაძალის სამსახურში მიღებისას მეწარმეებს უმცირებენ ან ათავისუფლებენ ზოგიერთი ადგილობრივი გადასახადისგან.

დასაქმების ზრდის და ამის მეშვეობით სიღარიბის დონის შემცირების სტიმულირების ძირითად მექანიზმებს, მაშასადამე, წარმოადგენს არა კონკრეტული მექანიზმები, პირდაპირ მიმართული დასაქმების ზრდაზე და სიღარიბის დონის შემცირებაზე, არამედ წამახალისებელი მექანიზმების მთელი სპექტრი, მიმართული წარმოების განვითარებაზე, მისი სწრაფი და ეფექტიანი განვითარებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნაზე, ნიადაგის და ბუნებრივი გარემოს სხვა შემადგენლების დაცვაზე და ა.შ.

1. **Абдурасулова Д.** Промышленная политика Южной Кореи. Экономист, №1, 2009.
2. **Лопатников Д. Л.** Экономическая география и регионалистика. Москва: ГАРДАРИКИ, 2006.
3. **Маневич В.** О закономерностях становления рынка. Вопросы экономики, 1993, №3.
4. Региональная политика стран ЕС. Москва, ИМЭМО РАН, 2009.
5. **Юданов Ю.** Европейские корпорации в условиях глобализации. МэиМО, 2001.

*Burduli Vakhtang*

## **THE BASIC DIRECTION OF REGIONAL STRATEGIES OF DECREASE OF POVERTY LEVEL**

### **SUMMARY**

In the article the ways of working out of regional economic development in the context of problem of decrease of poverty level are considered. In particular, the following questions are considered: the definition of compromise of interests between central, regional and local bodies; the improvement institutional structures of the different territorial level; the assistance of development of contemporary technological structure on regional level; the process of diversification of regional production; the ways of development of real sector of economic in regions; the stimulation of creation and functioning of auxiliary undertakings (services, firms, farms) of typical for market economy; the development of regional centers of gravity; the correlation between large-, middle- and small-scale undertakings; the expediency of creation of different special economic zones in regions; the participation of regional and local bodies in the politic of social security; the stimulation of increase of employment level and other problems to promote the decrease of poverty level in regions.

*გიორგი ბერუღავა*

**პრივატიზაციის პოლიტიკონომიკური  
ასპექტები**

საბაზრო ეკონომიკაში საკუთრებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, კერძო საკუთრება სახელმწიფო საკუთრებაზე უკეთესია? პრივატიზაციის ორი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი არსებობს: სახელმწიფო ბიუროკრატის ფუნქციონირების და კორპორატიული შედეგების გაუმჯობესება.

უკვე ჩამოყალიბებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სახელმწიფო საკუთრება საზოგადოდ გამოიყენება, როგორც ინვესტიციების ნაკადის დისტრიბუციის საშუალება, ადეკვატური ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფისათვის, დასაქმების სასურველი დონის შენარჩუნებისა და სოციალური დახმარებების განაწილებისათვის. თუმცა, 1970-იანი წლების შემდეგ სახელმწიფო საკუთრება მწვავე კრიტიკის ქვეშ მოექცა ეკონომიკური არაეფექტიანობის, პოლიტიკური მიზნებისათვის

გამოყენების, არასათანადო მენეჯმენტის და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის წარმოქმნის გამო [11, 14]. პრივატიზაცია, რაც გულისხმობს საკუთრების უფლებისა და რესურსების, და, ამგვარად, ეკონომიკური და სოციალური მიზნების მიღწევის შესაძლებლობის “არაეფექტური” ბიუროკრატიებისაგან კერძო აგენტებისათვის, ანუ ბაზრის “უხილავი ხელისათვის” გადაცემას, როგორც წესი, მიიჩნევა მთავრობის განარგულებაში არსებულ ინსტრუმენტად, რომელიც გამოიყენება მისი ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდისათვის [8]. მიიჩნეულია აგრეთვე, რომ პრივატიზაცია აუმჯობესებს ფირმების საქმიანობის შედეგებს. პრივატიზებული ფირმების [13] პრივატიზაციამდე და პრივატიზაციის შემდგომი საქმიანობის შედეგების მრავალი ემპირიული შესწავლა და ერთი და იმავე სფეროში დასაქმებული [17] კერძო და სახელმწიფო კომპანიების შედარება კერძო კომპანიების უფრო უკეთესად მუშაობის მოსაზრების გამამყარებელ არგუმენტს იძლევა. თუმცა, ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ კერძო საკუთრების შემთხვევაში უკეთესი შედეგები მიიღება მხოლოდ კონკურენციის პირობებში, ხოლო არასრულყოფილი ბაზრის პირობებში საკუთრების რომელიმე ფორმას ნათლად გამოკვეთილი უპირატესობა [16] არ გააჩნია. ამგვარად, პრივატიზაციის ეფექტი დამოკიდებულია კონკრეტულ ბაზარზე, მარეგულირებელ და ინსტიტუციურ გარემოზე.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. გეგმური ეკონომიკის სისტემის მოშლის შემდეგ სახელმწიფო საწარმოებს აღარ გააჩნდათ შესაფერისი მოტივაცია და მმართველობითი სტრუქტურები. ამან გამოიწვია სახელმწიფო საწარმოების მენეჯერების მომხვეჭელური ქცევა, რასაც ახასიათებდა რესურსების არასათანადო განაწილება, კორუფცია, აქტივების დაყოფა, ქონების დატაცება და არა ქონების მაქსიმიზაციის მიზნით მოტივირებული პროდუქტიული ქცევა [1, 15]. ამ სიტუაციაში პრივატიზაცია ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება იყო ეკონომიკური აგენტების ქცევის შესაცვლელად და ცენტრალური დაგეგმვის არასახარ-

ბიელო მემკვიდრეობის დასაძლევად საკუთრების უფლების სახელმწიფოდან კერძო სექტორზე გადაცემის გზით. პრივატიზაცია კერძო მესაკუთრების შექმნით ქმნის საკუთრების უფლების ეფექტიანი სისტემის მხარდამჭერთა კლასს, აყალიბებს და განაპირობებს ეკონომიკური აგენტების პროდუქტიულ და ინოვაციურ ქცევას, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარებასა და ზრდას [3]. თუმცა, ემპირიული კვლევა გვიჩვენებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ, საზოგადოდ, პრივატიზებული კომპანიები უკეთეს შედეგებს აღწევენ ვიდრე სახელმწიფო კომპანიები, პრივატიზაციას არაერთგვაროვანი გავლენა აქვს კორპორატიულ შედეგებზე მფლობელთა ტიპის მიხედვით [9]. პრივატიზებული კომპანიები, რომელთა მფლობელები ძირითადად კომპანიის გარედან მოსული პირები არიან, როგორც წესი, უკეთეს შედეგებს აღწევენ ვიდრე კომპანიები, რომელთა აქციებს მენეჯერები და საწარმოს მუშები ფლობენ [6]. ამგვარად, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მნიშვნელობა აქვს არა თვით პრივატიზების ფაქტს, არამედ, თუ როგორ განხორციელდება პრივატიზების პროცესი.

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პრივატიზაციის პროცესი შეიძლება განხორციელდეს ისე, რომ განსხვავებული გავლენა მოახდინოს ეფექტიანობასა და თანასწორობაზე და, ამგვარად, ადამიანის განვითარებაზე. ეფექტიანობის ასპექტზე აქცენტი კეთდება მაშინ, როდესაც მთავრობა იღვწის პრაგმატული მიზნების დაკმაყოფილებისათვის. პრაგმატული მიზნები ფოკუსირდება საწარმოს საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებაზე, პასუხისმგებლობის არეალის შევიწროებასა და მთავრობის ფუნქციონირების ოპტიმიზაციაზე, საბიუჯეტო დეფიციტის პრობლემის გადაჭრაზე. თუმცა, როდესაც პრივატიზაციას სისტემური ხასიათის მიზნები გააჩნია, როგორცაა, მაგალითად, არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების კარდინალური გარდაქმნა, ეფექტიანობას ნაკლები ყურადღება ექცევა. რადგან სისტემური ტრანსფორმაცია შეიძლება წარუმატებელი აღმოჩნდეს, თუ რეფორმატორები ვერ მოახერხებენ ფართო მხარდამჭერის მოპოვებას,



ასეთ შემთხვევაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება განაწილებით ეფექტსა და თანასწორობის პრობლემებს.

ცხადია, სხვადასხვა მიზნების მისაღწევად საჭიროა პრივატიზაციის განსხვავებული სტრატეგიის გამოყენება. პოლიტიკური პრიორიტეტების ჩამოყალიბებით სახელმწიფო ფაქტობრივად განსაზღვრავს პრივატიზაციისადმი მის მიდგომას. ეფექტიანი პრივატიზაციის მეთოდების გამოყენების შედეგად უნდა შეიქმნას მოგებაზე ორიენტირებული კერძო საწარმოები, რომელთა მესაკუთრეები იქნებიან ადამიანები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მოცემულ საწარმოებთან და რომლებიც შეძლებენ სახელმწიფო დახმარების გარეშე ფუნქციონირებას. ემპირიული კვლევები გვიჩვენებს, რომ, მაშინ, როდესაც მესაკუთრეები არ არიან საწარმოსთან დაკავშირებულნი, კერძო საკუთრება უფრო ეფექტიანად გამოიყენება როგორც განვითარებული ეკონომიკის [2, 5, 12], ასევე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში [4, 5, 7, 10]. აღნიშნული კვლევების მიხედვით საწარმოს თანამშრომლების და მუშების მფლობელობის შემთხვევაში აქციონერების დანაწევრებული კონტროლი საწარმოთა დაბალეფექტიანობას იწვევს, რადგან ეფექტური რესტრუქტურის განსახორციელებლად სუსტი მოტივაცია და ნაკლები შესაძლებლობები არსებობს. ამგვარად, პრივატიზაციის ეფექტიანი მეთოდი პირველ რიგში უნდა უზრუნველყოფდეს პოტენციური მიყიდველების რანჟირებას, რათა მათ ჰქონდეთ სწორი სტიმული პრივატიზაციის შემდგომ პერიოდში [18].

ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდის მიღწევა შესაძლებელია ქონების იმ სტრატეგიული ინვესტირებისათვის მიყიდვით, რომლებიც საწარმოს რესტრუქტურის ყველაზე ოპტიმალურ გეგმას წარმოადგენენ. ეს მეთოდი გულისხმობს მიყიდვებსა და მათ შესაძლებლობებზე კონკრეტული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ითვალისწინებს გასაყიდი საწარმოების წინასწარ შეფასებას. აუქციონებზე საწარმოების იმ ინვესტირებზე მიყიდვით, რომლებიც ყველაზე მაღალ ფასს სთავაზობენ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორივე

პრაგამტული მიზნის მისაღწევად, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდისა და საწარმოს საქმიანობის შედეგების გასაუმჯობესებლად. მეორე შემთხვევაში მიზნულია, რომ უფრო ეფექტიან მყიდველებს უფრო მეტი ფინანსური ნაკადის გენერირება შეუძლიათ და ამგვარად მზად არიან, საწარმოში უფრო მეტი თანხა გადაიხადონ. თუმცა, პრივატიზაციის ეფექტიანი მეთოდით მოითხოვება განხორციელების ხანგრძლივი პერიოდი. პრივატიზაციის მასიურად განხორციელების შემთხვევაში, რასაც ადგილი ჰქონდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, აქტივების აუქციონების მეშვეობით გაყიდვას შეიძლება დიდი დრო დასჭირდეს.

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, პრივატიზაცია ძალიან სწრაფად უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, როდესაც მთავრობა მიზნად ისახავს სისტემურ ტრანსფორმაციას. ამ დროს ყველაზე შესაფერისი სტრატეგიაა მასიური პრივატიზაცია, რომელიც შეიძლება განხორციელდეს თანაბრად ხელმისაწვდომი ვაუჩერებით პრივატიზაციის ან საწარმოს ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების მიერ საწარმოების შესყიდვის მეშვეობით. ორივე მეთოდი არაეფექტიანია, რადგან ისინი იწვევენ საკუთრების დანაწილებას მრავალ მცირე აქციონერს შორის ან საკუთრების უფლების კონცენტრირებას საწარმოსთან დაკავშირებული პირების ხელში. პრივატიზებულ საწარმოებს ორივე შემთხვევაში სუსტი მოტივაცია და მწირი შესაძლებლობები გააჩნია საჭირო რესტრუქტურის განხორციელებისათვის. მასიური პრივატიზაციის დროს მცირე სახელმწიფო ბიუჯეტის სარგებელიც, რადგან საწარმოთა აქტივების განაწილება უფასოდ ან სიმბოლურ ფასად ხდება მოსახლეობის ფართო ფენების ან საწარმოთა თანამშრომლებისათვის. თუმცა, პრივატიზაციის ამგვარ მეთოდებს შეიძლება დადებითი გავლენა ჰქონდეს აქციონერთა შემოსავლების ოდენობასა (თუ აქციების ფასი გაიზრდება გაყიდვის შემდეგ) და სოციალურ თანასწორობაზე.

1. **Papava V.** Postkomunisturi kapitalizmis politikuri ekonomia da saqarTvelos ekonomika. Tbilisi, “pdp”, 2002.
2. **Agrawal A. and Knoeber C.R.** “Firm Performance and Mechanisms to control Agency Problems Between Managers and Shareholders”, *Journal of Financial and Quantitative Analysis*, vol. 31, No3, 1996.
3. **Brada, Josef C.** “Privatization is Transition –Or Is It?” *Journal of Economic Perspectives*, vol. 10, № 2 (Spring): 67-86, 1996.
4. **Brown, D. and Earle, J.** “Privatization and Restructuring in Russia: New Evidence from Panel Data on Industrial Enterprises. RECEP Working Paper, № 1, 2000.
5. **Claessens, S . and Djankov, S.** “Ownership Concentration and Corporate Performance in the Czech Republic”, CEPR Discussion Paper, № 2145, 1999.
6. **Djankov, Simeon, and Peter Murrell** *The Determinants of Enterprise Restructuring in Transition: An Assessment of the Evidence.* Washington, D.C.: World Bank, 2000.
7. *EBRD Transition Report.* European Bank for Reconstruction and Development, London, 1995.
8. **Feigenbaum B. Harvey and Jeffrey R. Henig,** “The Political Underpinnings of Privatization: A Typology,” *World Politics*, Vol.46, No. 2 (January), pp. 185-208, 1994.
9. **Frydman, Roman; Cheryl Gray, Marek Hessel and Andrzej Rapaczynski** “When Does Privatization Work? The Impact of Private Ownership on Corporate Performance in the Transition Economies.” *Quarterly Journal of Economics*, Vol. 114, , November: 1153-1191, 1999.
10. **Kuznetsov, P., Muravyev, A.** “Ownership Structure and Firm Performance in Russia: The Case of Blue Chips of the Stock Market”, EERC Working Paper, № 01/10, 2001.
11. **Manzetti Luigi,** “The Political Economy of Privatization through Divesture in Lesser Developed Economies,” *Comparative Politics*, Vol.25, No. 4 (July), pp. 429-454, 1993.

12. **McConnell, J.J. and Servaes, H.** “Additional Evidence on Equity Ownership and Corporate Value”, *Journal of Financial Economics*, vol. 27, 1990.
13. **Meggison, William L.; Nash, Robert C.; and van Randenborgh, Matthias** “The Financial and Operating Performance of Newly Privatized Firms: An International Empirical Analysis.” *Journal of Finance*, 49 (June): 403-452, 1994.
14. **Molyneux, Richard and David Thompson,** “Nationalized Industry Performance: Still third-Rate?” *Fiscal Studies*, February, 8, pp. 48-82, 1987.
15. **Sachs, D. Jeffrey,** “Privatization in Russia: Some Lessons from Eastern Europe,” *American Economic Review*, vol.82, no.2, Papers and Proceedings of the Hundred and Fourth Annual Meeting of the American Economic Association, (May), pp. 43-48, 1992.
16. **Vickers John and Yarrow George,** “Economic Perspectives on Privatization”, *The Journal of Economic Perspectives*, Vol. 5, No. 2, (Spring), pp.111-132, 1991.
17. **Vining, Aiden R., and Boardman, Anthony E.** “Ownership versus Competition: Efficiency in Public Enterprise.” *Public Choice*, 73 (March): 205-309, 1991.
18. **World Bank,** *Techniques of Privatization of State-Owned Enterprises*, (3Volumes), Technical Papers 88, 89, and 90, Washington DC, 1988.

*Berulava George*

## THE POLITICAL ECONOMY ISSUES OF PRIVATIZATION

### SUMMARY

Privatization is one of the key instruments of transformation strategy that influences both efficiency of market performance and equity of income distribution and thereby the human development. The economic and social consequences of privatization are largely dependent on the choice of privatization method, which in turn has political economy nature. If government implements privatization to attain pragmatic goals it chooses

efficient privatization methods. When pursued goals have systemic character the chosen methods of privatization are less efficient but could potentially lead to a more fair distribution.

*გოდერძი ტყეშელაშვილი  
თამარ კილაძე*

## **კავშირგაბმულობა საქართველოში**

### **1. ისტორიული ექსკურსი**

კავშირგაბმულობა – ესაა ინფორმაციის მიღება-გადაცემა ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის და სხვათა მეშვეობით. განასხვავებენ საფოსტო და ელექტროკავშირგაბმულობას. საფოსტო კავშირგაბმულობას საფუძველი ჩაუყარა წერილობითმა ინფორმაციამ.

კავშირგაბმულობას ზოგჯერ უწოდებენ ინფორმაციის სივრცეში გადაცემას. სიგნალების (ინფორმაციის) გადასაცემად უძველესი დროიდან იყენებდნენ ცეცხლის კვამლს, დოღზე დარტყმას, დროშების მოძრაობას (ზღვაზე). ამით ინფორმაციის გადაცემა რამდენიმე კილომეტრზე იყო შესაძლებელი. შემდეგ კი, კავშირის დამყარება დაიწყო ინფორმაციის შემცველი საგნებით (წერილებით), რისთვისაც იყენებდნენ ადამიანებს (მალემსროლს), ფრინველებს (მტრედს) ან სხვა ცხოველებს (მაგალითად, ძაღლს).

საქართველოში ფოსტის არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს. უძველესი დროიდან ცნობილია, რომ აქ ცნობების სწრაფად გადაცემა “შიკრიკთა” და “მალემსბოლთა” მეშვეობით ხორციელდებოდა, რომლებიც არაერთხელაა მოხსენიებუ-

ლი “ქართლის ცხოვრებასა” და სხვა ქართულ თუ უცხოურ ისტორიულ წყაროებში. XIX ს-ის დამლევს, ქართული ეკონომიკური აზროვნების მნიშვნელოვანი წარმომადგენელი – იოანე ბატონიშვილი, რომელმაც შეადგინა სახელმწიფო წეს-წყობილების რეფორმის კანონპროექტი, მიიხნევა, რომ ფოსტის სადგურების მოწყობა ფრიად სასარგებლო იქნებოდა ხალხისათვის და შემოსავალს მისცემდა ხაზინას. აღებ-მიცემობის გაფართოება საფოსტო კავშირის გარეშე შეუძლებელი იყო და მოითხოვდა საფოსტო დაწესებულებების შექმნას. იგი წერდა: “ფოსტები ანუ ჩაფარხანა რაოდენ შეიძლებოდეს განწესდეს სამ ადგილას: ქართლსა, კახეთსა და თათრებში”.

საქართველოში პირველ საფოსტო გადაზიდვებთან ქართული ურმის სახელია დაკავშირებული. პოპოვის სახელობის კავშირგაბმულობის ცენტრალურ მუზეუმში (სანქტ-პეტერბურგი) გამოფენილ უძველეს ფოსტის გადაზიდვის საშუალებებთან ერთად არის ქართული ურემიც. ურემში შებმული ხარები მძიმედ ეწევიან ფოსტის დიდ ყუთს. ურემს წინ ორი ქართველი მიუძღვის. ქართული ურმით ფოსტის გადაზიდვას ბევრ ქვეყანაში მიუქცევია ყურადღება.



სურ. 1 ფოსტა და საფოსტო “ტაჩკა” (XIX ს.)

1900 წელს გერმანულიდან რუსულ ენაზე თარგმნილ წიგნში “ტექნიკა და მრეწველობა” (მეათე ტომი)<sup>10</sup> აღწერილია ბერლინის საფოსტო მუზეუმის ზოგიერთი უნიკალური ექსპონატი და აქვე ნათქვამია, რომ: ამ მუზეუმში რუსეთის ექსპონატებიდან განსაკუთრებით საინტერესოა “ორთველიანი ქართული ურმით ფოსტის გადაზიდვის სურათები”. აქედან ცხადია – ქართულმა ურმმა მკვიდრად მოიპოვა ადგილი საფოსტო გადაზიდვების უძველეს საშუალებებს შორის. პოპოვის სახელობის მუზეუმის ერთ-ერთი კატალოგი გვამცნობს, ჩიკაგოში, 1893 წელს მოწყობილ მსოფლიოს საფოსტო გამოფენაზე, რუსეთის საფოსტო განყოფილებაში აჩვენებდნენ ქართული საფოსტო ურმის მოდელებს და კავკასიონზე ფოსტის გადატანის ნახატს. საქართველოში საფოსტო კავშირის განვითარებასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული საფოსტო მიმოსვლის გაუმჯობესება კავკასიონზე გავლით საქართველოდან რუსეთში.

საქართველოსა და რუსეთს შორის საფოსტო კავშირის და საფოსტო გადაზიდვების ქრონოლოგია XIX ს-ში ასეთია:

1804 წელი – შეიქმნა საფოსტო კავშირის ხაზი დარიალის ხეობის გავლით. ფოსტა მხოლოდ ცხენიანი ესტაფეტით გადაჰქონდათ;

1805 წელი – თბილისში გაიხსნა პირველი საფოსტო კანტორა;

1826 წელი – ფოსტის გადასატანად საფოსტო კანტორას დამატებით 120 ცხენი გამოეყო. ამ პერიოდში ფოსტის ცხენებით და ორთვალებით შეიძლებოდა არა მარტო საფოსტო ტვირთის გადაზიდვა, არამედ მგზავრთა გადაყვანაც;

1832 წლიდან საქართველოს ზოგიერთ საფოსტო მარშ-რუტზე ფოსტის სადგურები, სადაც ინახავდნენ საფოსტო ცხენებს, ორთვალებს, ურმებს და ეწეოდნენ მათ რემონტს, ეკუთვნოდა როგორც საფოსტო უწყებას, ასევე კერძო პირებს. 1836 წელს კერძო პირებს აეკრძალათ საფოსტო სადგურების ფლობა და ისინი შეისყიდა საფოსტო უწყებამ.

---

<sup>10</sup> Промышленность и техника. Том X. С-Петербург. “Просвещение”, 1900 г.

1840 წელი – თბილისსა და ვლადიკავკაზს შორის 11 ახალი საფოსტო სადგურის აგება დაიწყო;

1870 წელი – თბილისის, მცხეთის, დუშეთის, ფასანაურის, მღეთის, გუდაურის, ყაზბეგის, ლარსის, ბაღტასა და ვლადიკავკაზის საფოსტო სადგურებში ცხენების რაოდენობა 652-მდე გაიზარდა. ქართველი მოწინავე საზოგადოება განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალს საფოსტო მიმოსვლას საქართველოს სამხედრო გაზაზე. ამ მხრივ საგულისხმოა რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების მოღვაწეობა საქართველოს სამხედრო გაზაზე ფოსტის მიმოსვლის გასაუმჯობესებლად. ამ განყოფილების თავმჯდომარემ, რუსეთსა და საქართველოში კარგად ცნობილმა მეცნიერმა და ინჟინერმა მ. გარსევანიშვილმა 1876 წლის 14 დეკემბერს გამართულ სხდომაზე მოიყვანა მაგალითები პეტერბურგიდან ფოსტის დაგვიანებაზე. განსაკუთრებით ქვიშხეთისა და ყაზბეგის მიმართულებით თოვლისა და ზვავის გამო, რისთვისაც გზათა მიმოსვლის მმართველობამ წინადადებით მიმართა პეტერბურგს, თუ ხუთი დღით შეფერხდებოდა თბილისში ფოსტის გამოგზავნა, მაშინ იგი თერმურ-ხან-შურაზე, დერბედზე, ბაქოზე, ელიზავეტპოლზე გავლით უნდა გამოეგზავნათ 200 ვერსის ნაცვლად 1211 ვერსის შემოვლით.

1879 წელს გაზეთი დროება (ს. მესხის სტატია – „უპოჩტობა“) წერდა – „მომეტებულ ნაწილს საქართველოს ადგილებში, გარდა იმ ქალაქ-დაბებისა, რომლებიც რკინიგზაზე მდებარეობენ, კვირაში მხოლოდ ორჯერ და სამჯერ მოსდით ფოსტა... მგონია დრო არის ფოჩტის გამგეობამ და უმაღლესმა მთავრობამ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს. რაც ამ ოცი წლის წინ იყო, ის აღარ არის დღეს ჩვენი ცხოვრება: მუდამდღე მატულობს ჩვენს ქვეყანაში ვაჭრობა და წარმოება, მუდამდღე მრავლდებიან შოკლები, მრავლდება წერაკითხვის მცოდნე ხალხი, რომელთაც სურთ ფოსტით ამბები შეიტყონ. ერთი-ორად უფრო მეტია დღეისათვის სხვადასხვა მაზრების მოსახლეობას შორის მისვლა-მოსვლა და კავშირი. ამას გარდა თვითმმართველობისთვისაც აუცილებლად საჭიროა გამართული ფოსტის გზა და კორესპოდენცია“. მას მიაჩნ-



და, რომ ჯობდა გაძვირებულიყო ფოსტის გაგზავნა, სამაგიეროდ გაუმჯობესებულიყო მისი ორგანიზაცია. “ოღონდ კი იყოს ფოსტა, ოღონდ კი შეიძლებოდეს ფოსტის დროზე და რიგიანად წიგნებისა და გაზეთების მიღება და მომეტებულ ხარჯს უექველია არავინ დაზოგავს” – წერდა გაზეთი.

1886 წელს გაიხსნა ფოსტის გზა რაჭა-ლენსუმის მიმართულებით. „ფოსტის გზას დიდი მხიარულებით ეგებება ხალხიო” – წერდა გაზეთი „ივერია”. აღნიშნული პუბლიკაციები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს მოსახლეობას შესანიშნავად ესმოდათ კავშირგაბმულობის მნიშვნელობა და მთავრობის კურსიც მისი განვითარებისაკენ იყო მიპყრობილი.

1886 წელს მცხეთაში დაარსდა ფოსტის განყოფილება.

ამავე პერიოდში ფოსტა ამუშავდა არა მარტო ქალაქებსა და დაბებში, არამედ სოფლებშიც. თუ მანამდე სოფლის მცხოვრებლებს თვითონ უნდა მიეკითხათ საფოსტო გზავნილთა მისაღებად საფოსტო განყოფილებებისათვის, ახლა შესაძლებელი იყო კორესპონდენციების ადგილზე მიღება.

1901 წელი – იყალთოსა და ახმეტაში გაიხსნა საფოსტო განყოფილებები.

1913 წლის მდგომარეობით, საქართველოს ორივე (თბილისისა და ქუთაისის) გუბერნიაში 108 საფოსტო განყოფილება ფუნქციონირებდა და იგი ფარავდა საქართველოს მთელ ტერიტორიას.

საფოსტო კავშირით იგზავნებოდა არა მარტო კორესპონდენციები, არამედ ფულიც. 1894 წელს გაზეთი “ივერია” წერდა: საქართველოში შესაძლებელია 1000 მანეთამდე ფულის ფოსტით გაგზავნა, რაც შემდეგნაირად ხორციელდებოდა: “გამგზავნი ფულს მიიტანს ფოსტაში, ფოსტა ფულის მიღების კვიტანციას აძლევს გამგზავნელს და შემდეგ ადრესატს უგზავნის ტალონს, რომლითაც ის ფოსტიდან ფულს მიიღებს”<sup>11</sup>.

---

<sup>11</sup> გამოყენებულია “საქართველოს ფოსტის” ოფიციალური საიტის მასალები. <http://www.georgianpost.ge/index.php?page=15&lang=geo>

საფოსტო ქსელის გაფართოებასა და განყოფილებების გახსნას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და განსაკუთრებით სოფელ ადგილებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რაც უფრო მეტი იქნებოდა საფოსტო განყოფილებები, მით უფრო ადვილად შეეძლოთ ადამიანებს ესარგებლათ საფოსტო მომსახურების სიკეთით. შემდეგ, XX ს-ში საფოსტო კავშირი არნახულად გაიზარდა.

კავშირგაბმულობის მნიშვნელოვანი შემადგენლებია ტელეგრაფი და ტელეფონი.

ტელეგრაფი, როგორც კავშირის საშუალება, ფართოდ გამოიყენებოდა XIX ს-ის შუახანებიდან XX ს-ის დასაწყისამდე. თავიდან ტელეგრაფის როლს ასრულებდა ე.წ. ოპტიკური საშუალება ჰელიოგრაფის და სიმაფორის სახით. ამ სისტემით ერთი ნიშნის გადაცემა მოითხოვდა ორ წუთს და ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იყო ოპტიკური მილის საშუალებით. ასეთი სისტემა დამონტაჟებული იყო ბათუმის პორტში და გამოიყენებოდა გემების სამართავად ნაპირიდან. 1839 წელს გამოიგონეს ტელეგრაფი საწერი აპარატით. რუსეთის იმპერიის მასშტაბით პირველი ასეთი აპარატი გამოიყენეს კავშირისათვის “ცარსკოე სელოსა” და გზათა მიმოსვლის სამინისტროს შორის.

XIX საუკუნის შუა ნახევრიდან ფართო გამოყენება პოვა მორზეხ ანბანმა. ის წარმოადგენს ტირესა და წერტილების კომბინაციას, რომელიც გადაიცემოდა სატელეგრაფო აპარატზე ელექტროენერგიის მეშვეობით. ინფორმაციის გადაცემისათვის გამოიყენებდნენ ელექტროსადენებს, როგორც საჰაერო – მიწისზედა განლაგებით, ასევე იზოლირებული სადენების ჩალაგებით წყალქვეშ. საქართველოში რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით მთელ სარკინიგზო ხაზზე XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან გამოიყენებოდა საჰაერო, სატელეგრაფო სადენებით სიგნალების გადაცემა. 1830 წლიდან პრაქტიკაშია უსადენო სატელეგრაფო გადაცემა (რადიო). მან ფართო გამოყენება პოვა სამხედრო ნაწილებსა და ფლოტში. ასეთივე სისტემებით იყო აღჭურვილი საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსული არმიის ნაწილებიც. შესაბამისად, სამხედრო

ნაწილებში ჩამოყალიბდა სატელეგრაფო და კავშირგაბმულობის ასეულები. სატელეგრაფო სისტემა საქართველოში დღესაც გამოიყენება.

XIX საუკუნის ბოლოდან პრაქტიკაში შემოდის სატელეფონო კავშირი. იგი წარმოადგენდა სადენებით აბონენტების დაკავშირების სისტემას. რუსეთის იმპერიის მასშტაბით 1900 წელს ტელეფონები დაიდგა: პეტერბურგში, მოსკოვში, ვარშავაში, რიგასა და ოდესაში. ხოლო თბილისში პირველი სატელეფონო სადგური ამუშავდა 1903 წლიდან. იგი გათვალისწინებული იყო 100 აბონენტზე და წარმოადგენდა კავშირის ძალიან ძვირ სახეს. ამიტომ აბონენტები კორპორაციები და სახელმწიფო დაწესებულებები იყო. სატელეფონო კავშირის გაიაფება და აბონენტთა რიცხვის მასშტაბების ზრდა შესაძლებელი გახდა გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან, სადენიანმა ტელეფონებმა ამ დროისათვის დაფარა არა მარტო ქალაქები, არამედ ის სოფლებსა და რაიონის ცენტრებთან დასაკავშირებლადაც იქნა გამოყენებული. დღეისათვის სატელეფონო კავშირი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. საქართველოს სინამდვილეში არსებობს როგორც სადენიანი, მათ შორის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირიც, ასევე მობილური საჰაერო კავშირის სატელეფონო სისტემები, ხოლო მის ბაზაზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაძლებელია ინტერნეტის ქსელით სარგებლობაც<sup>12</sup>.

კავშირგაბმულობის ერთ-ერთ შემადგენელს წარმოადგენდა საფელდეგერო სამსახური. იგი თავდაპირველად საჯაროსო ფორმირებებში შეიქმნა და ემსახურებოდა მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის გაგზავნას ფელდეგერების საშუალებით. საქართველოში ამ სისტემამ ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე

---

<sup>12</sup> <http://www.http://books.google.ge/books?id=4W5sUATx57MC&pg=PA783&dq=телеграф&h>. გვ. 783-784

იარსება, ხოლო დღეისათვის გაუქმებულია. ბოლოს საფეხდევრო სამსახური შედიოდა კავშირგაბმულობის უწყებაში.

## 2. საქართველოს კავშირგაბმულობა XX ს-ში

კავშირგაბმულობა XX ს-ში ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა. მისი არსებობა და განვითარება აუცილებელი გახდა სახელმწიფო სისტემის ფუნქციონირების, ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

1940 წლიდან 1987 წლამდე კავშირგაბმულობის დარგის განვითარების შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში არსებული მაჩვენებლების მიხედვით.

### ცხრილი 1

#### საქართველოს კავშირგაბმულობის განვითარების მაჩვენებლები<sup>13</sup>

გაგზავნილია:	1940	1965	1970	1980	1985	1986	1987
წერილები, მლნ	38	97	112	150	156	150	140
გაზეთები და ჟურნალები, მლნ	122	378	748	923	1007	1164	1137
ამანათები, მლნ	0.6	1.6	2.1	2.7	2.4	2.8	2.7
თანხის გადაგზავნა და პენსიის დარიგება, მლნ მან.	1.2	7.6	10.5	10.7	11.1	11.2	11.6
ტელეგრამა, მლნ	3.9	6.8	8.7	10.9	9.6	9.2	9.1
საკალაქთაშორისო სატელეფონო საუბრები, მლნ	1.4	5.1	7.8	16.5	23.5	25.6	27.9
კავშირგაბმულობის შემოსავალი, ვაქტობრივ	..	28.8	46.5	97.4	131.6	137.2	145.4

<sup>13</sup> Народное хозяйство Гсрр в 1987 г. Статистический ежегодник. Тб., 1988, с. 163-164.

ფასებში, მლნ მან.							
საფოსტო, სატელეფონო და სატელეგრაფო განყოფილებათა რიცხვი, ერთ.	663	1228	1430	1735	1767	1776	1741
მ.შ. სოფლად	519	858	987	1176	1200	1209	1197
სატელეფონო აპარატების რიცხვი (კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემაში), ათასი	..	..	218.3	464.7	542.6	575.7	614.9
მ.შ. საქალაქო სატელეფონო ქსელში	..	..	191.8	367.8	448.6	476.9	511.0
მ.შ. სასოფლო ქსელში	..	..	26.5	66.9	94.0	98.8	104.9
მ.შ. ბინაზე დადგმული სატელეფონო აპარატები, ათასი	..	..	98.6	235.8	304.4	337.4	359.4
საქალაქთაშორისო ტაქსოვონების რიცხვი, ერთეული	..	..	51	152	286	366	496
კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების რიცხვი, რომელთაც გააჩნიათ სატელეფონო სადგურები, პროცენტი კოლმეურნეობა	..	..	17.0	60.5	83.6	85.0	80.8
საბჭოთა მეურნეობა	..	..	45.0	41.7	53.5	54.9	54.8

თითქმის მთელი XX ს-ის განმავლობაში კავშირგაბმულობა და ამ დარგის მიერ მიღებული შემოსავლები განუწყვეტლივ იზრდებოდა, რასაც განაპირობებდა უპირველესად ტექნიკური პროგრესი და ეკონომიკური ზრდა. 1980 წელს კავშირგაბმულობის შემოსავლებმა შეადგინა 1735 მლნ მანეთი, მაშინ, როცა მთლიანი ეროვნული შემოსავალი 80 91.5 მლნ მანეთი იყო, ანუ კავშირგაბმულობის წილი 2.1%-ით განისაზღვრებოდა. შესაბამისად, 1985 წ. კავშირგაბმულობაში შეიქმნა

1767 მლნ მანეთის პროდუქცია – 1.6%, 1987 წ-ს კი – 1741 მლნ მანეთის – 1.7%. ციფრები მეტყველებს იმაზე, რომ კავშირგაბმულობის დარგის განვითარების ტემპი აღემატებოდა ეკონომიკის საერთო ზრდის ტემპს.

თითქმის მთელი XX ს-ის განმავლობაში მოსახლეობის კავშირის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ფორმას წარმოადგენდა წერილები და ამანათები. მისი მეშვეობით ეხმიანებოდნენ ერთმანეთს არა მარტო მცხოვრებლები, არამედ სახელმწიფო სტრუქტურებიც. ინფორმაციას აწვდიდნენ ბანდეროლებითა და წერილებით, ამიტომაც საქართველოში გაგზავნილი წერილების რიცხვი 1940 წ-ის 38 მლნ-დან 140 მლნ-მდე გაიზარდა 1987 წლისათვის. ამანათები კი – 0.6 მლნ-დან, 2.7 მლნ-მდე იმავე წლებში.

ფოსტის მეშვეობით ხორციელდებოდა თანხის გადაგზავნა და პენსიონერებისათვის პენსიების დარიგება. ამ მიზნით ყველა საფოსტო განყოფილებაში დასაქმებულნი იყვნენ ე.წ. ფოსტალიონები. მათ ევალებოდათ გაზეთებისა და ჟურნალების ხელმომწერებისათვის დარიგებაც. 1940 წ თანხისა და პენსიის გაგზავნის მაჩვენებელმა 1.2 მლნ მანეთი შეადგინა. მისი მოცულობა დინამიკაში განუწყვეტლივ იზრდებოდა და 1987 წლისათვის უკვე 11.6 მლნ მანეთს მიაღწია. გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემულ ეგზემპლართა რაოდენობა მასშტაბური იყო. მისი ფასი შედარებით სიიაფით გამოირჩეოდა, ხოლო ხელმომწერთა რიცხვი ძალიან მაღალი იყო, ამიტომ გაგზავნილი და ადრესატამდე მიტანილი გაზეთებისა და ჟურნალების მოცულობა 1940 წლის 122 მლნ ეგზემპლარიდან 1987 წლისათვის 1137 მლნ ეგზემპლარამდე გაიზარდა.

კავშირგაბმულობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა საფოსტო, სატელეფონო და სატელეგრაფო განყოფილებათა რიცხვიც. თუ იგი 1940 წ. 663 ერთეული იყო მთელი საქართველოს მასშტაბით, 1987 წლისთვის 1741 ერთეულამდე გაიზარდა.

XX ს-ის 40-იან წლებამდე ტელეფონებს უმეტესწილად გამოიყენებდა სახელმწიფო დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კი მოსახ-

ლეობისათვის დაიწყო ტელეფონების დადგმა, თუმცა, ტელეფონების დადგმის მსურველთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სატელეფონო წყვილების რაოდენობა, ამიტომაც ამ სექტორში ყოველთვის იყო რიგები. მიუხედავად აღნიშნულისა, კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემაში სატელეფონო აპარატების რიცხვმა 1970 წლისთვის საქართველოს მასშტაბით შეადგინა 218.3 ათასი, ხოლო 1987 წლისთვის – 614.9 ათასი, ანუ მათი რიცხვი თითქმის სამჯერ გაიზარდა. ამასთან, თუ 1970 წ. ბინაზე დადგმულ სატელეფონო აპარატების რიცხვი 98.6 ათასი იყო (საერთო ტელეფონის აპარატების 45%), 1987 წლისთვის ბინაზე დადგმული იყო 359.4 ათასი ტელეფონი (60.1%). 60-იანი წლების ბოლოსთვის სოფლად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბალანსზე არსებული ავტომატური სატელეფონო სადგურების მშენებლობაც დაიწყო.

XX საუკუნეში ტელე და რადიოგადაცემების ორგანიზება ხორციელდებოდა კავშირგაბმულობის სამინისტროს, სატრანსლაციო და სარეალაციო სადგურების მეშვეობით. ტელევიზორების, რადიომიმღებებისა და რადიოსატრანსლაციო წერტილების რაოდენობა ასახულია მე-2 ცხრილში.

**ცხრილი 2**

**საქართველოში ტელევიზორების, რადიომიმღებების და რადიოსატრანსლაციო წერტილების რიცხვი<sup>14</sup>**

	1940	1960	1970	1980	1985	1986	1987
სულ: მ.შ.	67	898	1746	2773	3389	3477	3550
სოფლად	36	250	516	843	992	1010	1028

ტელერადიო აპარატურის რიცხვის გაზრდა 1940 წლის 67 ათასიდან 1987 წელს 3550 ათასამდე, გამოწვეული იყო ტექ-

<sup>14</sup> Народное хозяйство ГССР в 1987 г. Статистический ежегодник. Тб., 1988, с. 164.

ნიკური პროგრესით და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებით.

### **3. კავშირგაბმულობა დღევანდელ საქართველოში**

კავშირგაბმულობა, ტექნიკურ პროგრესთან ერთად, სწრაფად მზარდი დარგია და, ბუნებრივია, საქართველოშიც ის სწრაფი ტემპებით ვითარდება. ქვეყნის დამოუკიდებლობამ და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ ძირეულად შეცვალა კავშირგაბმულობის სისტემა და მისი მართვა. მოხდა კავშირგაბმულობის სისტემის უმეტეს ორგანიზაციათა და ობიექტთა პრივატიზაცია, გაუქმდა კავშირგაბმულობის უწყება (სამინისტრო) და მისი “საკოორდინაციო” ფუნქციები გადაეცა “საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას”, იგი წარმოდგენილია კომისიის თავმჯდომარითა და ოთხი წევრით. კომისიის სტრუქტურაში შედის დეპარტამენტები.

დღევანდელი საქართველოს კავშირგაბმულობა წარმოდგენილია საქართველოს ფოსტით, სადენიანი ელექტრული კავშირით, ფიჭური ტელეფონებითა და ინტერნეტით. ჩამოთვლილთაგან საქართველოს ფოსტა ასპროცენტიანი სახელმწიფო საკუთრებაა და მისი პრივატიზება იგეგმება უახლოეს მომავალში. დანარჩენ სექტორში სახელმწიფოს წილი არ აქვს.

დღეისათვის საქართველოში კავშირგაბმულობა წარმოდგენილია მობილური ფიჭური კავშირის გარეშე. მისი შექმნის ისტორიული ქრონოლოგია ასეთია:

- 1946 წელი – აშშ-ში.ქ. სენტ-ლუისში, ლაბორატორიულად დაიწყო ექსპლუატაცია ავტომობილის მობილურმა სატელეფონო მომსახურებამ. იმავე წელს სსრკ-ში გამოსცადეს ანალოგიური მობილური ტელეფონი, მოქმედების არეალით – 20 კმ;
- 1947 წელი – აშშ-ში შეიქმნა 6 უჯრიანი მობილური სატელეფონო კავშირის პრინციპული სქემა. იმავე წელს მოსკოვში შეიქმნა პირველი მობილური ტელეფონი, რომლის წონა იყო 3 კგ, მოქმედების რადიუსი – 30 კმ-დე, ბატარეის დაუტვირთავად მუშაობის პერიოდი – 30 სთ-




მდე. მომავალ წელს მოსკოვშივე შეიქმნა კომპაქტური მობილური ტელეფონი, წონით 0.5 კგ.

- 1958 წელს – მოსკოვში ექსპლუატაციაში შევიდა საუწყებო ბათაშორისი მობილური სატელეფონო მომსახურება “ალტაი”.
- 1954 წლიდან მობილურ კავშირზე კვლევების ჩატარება დაიწყო ფირმა “მოტოროლამ”. ამავე ფირმამ 1976 წელს ჩიკაგოს პოლიციისათვის პირველი რაცია შექმნა. 1983 წლის 6 მარტს გაყიდვაში პირველი პორტატული ფიჭური ტელეფონი კომპანია “მოტოროლამ” გამოუშვა. მის დამზადებაზე 100 მლნ დოლარი დაიხარჯა. აპარატის წონა შეადგენდა 794 გ-ს და ფასი 3995 დოლარი იყო.
- 1984 წლისთვის პორტატული მობილური კავშირით 300 ათასი კაცი სარგებლობდა, 2003 წლისთვის – 1.2 მლრდ, ხოლო დღეისათვის ფუნქციონირებადი მობილური ტელეფონების რიცხვი 3 მლრდ-ს აჭარბებს.
- მობილური ტელეფონი თანდათან იხვეწებოდა. პირველი ფერადეკრანიანი ტელეფონი 1997 წელს გამოვიდა, ხოლო პირველი ორბარათიანი მობილური – 1999 წელს. 2000 წელს კომპანია “შარფმა “ტელეფონში ჩაამონტაჟა ციფრული ფოტოაპარატი, ხოლო 2002 წლიდან ხმარებაშია ე.წ. “ბლუთუზიანი” აპარატები, რომელთაც, გარდა სატელეფონო კავშირისა, მრავალნაირი ფუნქციის შესრულება შეუძლიათ.

დღეისათვის მობილური აპარატები არა მხოლოდ ტექნიკის სასწაულია, არამედ ისინი შემოსავლის უზარმაზარი წყაროცაა.

საქართველოში მობილური კავშირის გამოყენება დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. პირველი ასეთი კომპანია, რომელიც უზრუნველყოფდა კავშირს მხოლოდ თბილისის მაშტაბით, იყო “მეგაკომი”. მან განვითარება ვერ პოვა. შემდგომისათვის კი გამოიკვეთა “ჯეოსელი” და “მაგთი”. საქართველოს ბაზარზე შედარებით ახალი შემოსულია კომპანია “ბილაინი”. მობილური კავშირი დღეისათვის თითქმის

საქართველოს მთელ ტერიტორიას ფარავს. მობილური ტელეფონების ქსელის აბონენტების მოხმარების დინამიკა მოცემულია ნახ. 1-ში.



**ნახ. 1. მობილური ტელეფონების მოხმარების დინამიკა**

მობილური კავშირი საკომუნიკაციო დარგის შემოსავლების ძირითადი წყაროა. საერთოდ კი საკომუნიკაციო დარგის შემოსავლები საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში დაახლოებით 7%-ია, რაც სტრუქტურულად ცუდი მაჩვენებელი არ არის. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მე-3 ცხრილის მაჩვენებლებიც საკმარისია.


### ცხრილი 3

#### საკომუნიკაციო შემოსავლების წილი მშპ-ში<sup>15</sup>

<sup>15</sup> მონაცემები აღებულია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის ანგარიშიდან.


	2005	2006	2007	2008	2009
საკომუნიკაციო დარგის შემოსავლები, მლნ ლარი	703	1001	1113	1299	1250
მშპ მლნ ლარი	11621	13370	16999	19070	17949
საკომუნიკაციო დარგის შემოსავლების წილი მშპ-ში, %	6.0	7.4	6.5	6.8	6.9

მობილური ტელეფონების წილი ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე მოცემულია ნახ. 2-ში.



**ნახ. 2. მობილური კავშირის შემოსავლების წილი კომუნიკაციების საერთო შემოსავლებში**

საქართველოს მობილური კავშირის ბაზარზე არსებული კომპანიების ხვედრითი წილები აბონენტების რიცხვისა და შემოსავლების მიხედვით ნაჩვენებია ნახაზ 3-ზე.



ნახ. ა. ბაზარზე მობილური კომპანიების წილი აბონენტების მიხედვით

ნახ. ბ. ბაზარზე მობილური კომპანიების წილი შემოსავლების მიხედვით

### ნახ. 3. მობილური კომპანიების წილი საქართველოს ფიჭური კავშირის ბაზარზე

საქართველოს კავშირგაბმულობის ძირითად მაჩვენებლებზე, 1990 წლიდან მოყოლებული, წარმოდგენას იძლევა ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები, რომლებიც თითქმის უცვლელად მოგვყავს მე-4 ცხრილში. ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც, დროის დინამიკაში მცირდება სტაციონარულ სატელეფონო ქსელში ჩართული აბონენტების რიცხვი როგორც საერთოდ, ასევე ბინაზე დადგმულის მიხედვით. ამასთან, სატელეფონო სადგურების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა 1990 წლის 1101 ერთეულიდან 202-მდე 2008 წლისათვის. ეს გამოწვეულია ლოკალური სატელეფონო სადგურების გაუქმებით, რომლის გამომწვევი ძირითადი მიზეზი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ასევე მსხვილი საწარმოების ლიკვიდაციაა. 2001 წლიდან განუწყვეტლივ იზრდება ფიჭური კავშირის აბონენტთა რაოდენობა.

#### ცხრილი 4

#### კავშირგაბმულობის ძირითადი მაჩვენებლები<sup>16</sup>

წლები	სატელეფონო სადგურების	სატელეფონო ქსელში ჩართული აბონენტების	ფიჭური კავშირის
-------	-----------------------	---------------------------------------	-----------------

<sup>16</sup> საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2009. გვ. 217.

	რაოდენობა, ერთეული	რაოდენობა		აბონენტთა რაოდენობა, ათასი
		სულ, ათასი ცალი	აქედან ბინის, ათასი	
<b>1990</b>	1101	705.5	517.6	-
<b>1995</b>	737	626.3	512.5	-
<b>2000</b>	427	572.4	404.6	185.5
<b>2001</b>	409	582.3	394.0	284.0
<b>2002</b>	405	584.0	389.4	412.8
<b>2003</b>	396	588.3	363.8	560.8
<b>2004</b>	318	532.8	445.1	840.6
<b>2005</b>	346	544.4	480.8	1174.3
<b>2006</b>	364	571.7	507.6	1703.9
<b>2007</b>	221	577.2	500.2	2310.4
<b>2008</b>	222	576.6	503.5	2795.1

საქართველოს კავშირგაბმულობის სექტორში წარმატებით ფუნქციონირებს ინტერნეტი. აღნიშნულ ბაზარზე მრავალრიცხოვანი ინტერნეტ-პროვაიდერია. ასევე ძალას იკრებს საფოსტო კავშირის კერძო კომპანიებიც.

*Tkeshelashvili Goderdzi  
Kiladze Tamar*

## COMMUNICATION IN GEORGIA

### SUMMARY

The history of development of communication in the Georgian state from the earliest times to our epoch is considered in the article.

Corresponding attention is paid to the creation and development of postal service in the time of Russian empire in Tbilisi and Kutaisi provinces.

The development of communication in the 20<sup>th</sup> century, including electronic and automatic communication both in the cities, and in the villages is analyzed. Also is represented market analysis of mobile communication with the application of corresponding statistical parameters.

*რევაზ ჯაფარიშვილი*

**სიღარიბე – XXI საუკუნის უდიდესი ბოროტება**

სიღარიბე თანამედროვე ეპოქის უმწვავესი პრობლემაა, რომელიც მეტ-ნაკლები ზომით მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ამჟამად მლრდ-ზე მეტი ადამიანი (ჩვენი პლანეტის მოსახლეობის თითქმის ნახევარი) დღეში 2 დოლარზე ნაკლები შემოსავლით ცხოვრობს, მათ შორის 1,3 მლრდ ადამიანს დღეში 1 დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს. ამასთან, საპროგნოზო მონაცე-

მებით, მომავალში მათი რაოდენობა უფრო სწრაფად გაიზრდება.

სიღარიბე აისახება მოსახლეობის სოციალურ ყოფაში. ამჟამად მსოფლიოში 800 მლნ-ზე მეტი კაცი შიმშილობს. მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში 100-დან მხოლოდ ერთი ბავშვი ვერ აღწევს 5 წლამდე ასაკს, ღარიბ ქვეყნებში კი მათი რაოდენობა 5-ჯერ მეტია. პირველი ჯგუფის ქვეყნებში 5 წლამდე ასაკის ბავშვების მხოლოდ 5%, ხოლო ღარიბ ქვეყნებში კი 50%-ზე მეტი ბავშვი შიმშილობს [7].

სიღარიბის მაჩვენებლები მსოფლიოს ცალკეული რეგიონების მიხედვით განსხვავებულია. აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში იგი შედარებით დაბალია და შემცირების ტენდენციით ხასიათდება. სამხრეთ აფრიკის, სამხრეთ აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში კი ღარიბთა რაოდენობა დიდია და ზრდის ტენდენცია აქვს.

სიღარიბის პრობლემა უშუალო კავშირშია მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებლებთან. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მსოფლიოს 20 ყველაზე მდიდარი ქვეყნის საშუალო შემოსავალი 37-ჯერ აღემატება 20 უღარიბესი ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს და ბოლო ოთხი ათეული წლის მანძილზე ეს განსხვავება გაორმაგდა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ამ მხრივ ყველაზე განსხვავებული მაჩვენებელი ჰქონდა რუსეთს (12,2-ჯერ), სლოვაკეთში კი იგი განსხვავდებოდა მხოლოდ 2,6-ჯერ, უნგრეთსა და ჩეხეთში 3,5-ჯერ, პოლონეთში 5,1-ჯერ [8].

სიღარიბე აისახება აუცილებელი სასურსათო პროდუქტების მოხმარებაში. მსოფლიო მოსახლეობის 14% ვერ მოიხმარს აუცილებელი სასურსათო პროდუქტების მინიმუმსაც კი. ამასთან, 0,5 მლრდ-ზე მეტი ადამიანი ქრონიკულად შიმშილობს, რომელთაგანც მესამედი ბავშვებია. მსოფლიო მოსახლეობის 22%-ს არ აქვს სუფთა სასმელი წყალი, 34% ცხოვრობს ანტისანიტარიულ პირობებში და დაახლოებით ამდენივე – ელექტროენერჯიის გარეშე [7].

საპროგნოზო მონაცემებით, 2025 წლისათვის პლანეტის მოსახლეობა 3 მლრდ-ით მოიმატებს, რაც უმეტესად აზიის კონტინენტის ხარჯზე მოხდება. ამასთან, უფრო სწრაფად გაიზრდება ქალაქის მოსახლეობა, რომელიც ამ დროისათვის გასამმაგდება. უახლოესი 15 წლის მანძილზე მოსახლეობა რომ უზრუნველყოფილ იქნეს სურსათით, საჭირო იქნება ნათესი ფართობების ან მოსავლიანობის 3-ჯერ გადიდება, რაც არარეალურია. პრაქტიკულად, ამ პერიოდში მოსავლიანობის ზრდა შესაძლებელია მხოლოდ 50%-ით [7].

სიღარიბე ხელსაყრელ პირობებს ქმნის პროსტიტუციის, შიდსისა და სხვა მძიმე ინფექციური დაავადებების გავრცელებისათვის, პოლიტიკური ექსტრემიზმის, საერთაშორისო ტერორიზმისა და სხვა უარყოფითი მოვლენების აღორძინებისათვის.

სიღარიბის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი განათლებასა და ჯანდაცვას განეკუთვნება. მსოფლიოში 113 მლნ ბავშვი არ დადის სკოლაში, რომელთაგან 2/3 გოგონაა. დედამიწის 1 მლრდ ზრდასრული მოსახლეობა გაუნათლებელია. უმწვავესი პრობლემები დგას მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სფეროში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრამები აქვს შემუშავებული მსოფლიო ბანკს. მათგან აღსანიშნავია “განათლება ყველასათვის”, რომელიც ითვალისწინებს 2015 წლისათვის ყველა ბავშვის დაწყებითი განათლების მიღებას. აგრეთვე, ხორციელდება პროგრამა შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რამდენადაც სწორედ ეს დაავადებები ახდენს დამღუპველ ზემოქმედებას განათლებისა და ჯანდაცვის სისტემაზე და, საერთოდ, მსოფლიოში სიღარიბის დონის შემცირებაზე.

საქართველოში სიღარიბე მთელი სიმწვავეთ გამოვლინდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ძველი სისტემის ნგრევამ და რეფორმების პროცესებში დაშვებულმა შეცდომებმა, სამოქალაქო ომმა და ეთნოკონფლიქტებმა საკმაოდ გაამწვავა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. 1997 წ. სიღარიბის დონემ შეადგინა 46,2%, 2000 წ. – 51,8%, ხოლო 2003



წელს – 54,3%. მომდევნო პერიოდში კი იგი ძალზე სწრაფად მცირდებოდა და 2009 წელს სიღარიბის დონემ (მედიანური მოსმარების 60%-ის მიმართ) 20% შეადგინა, რაც ძალზე შორსაა რეალობისაგან. ასეთი მდგომარეობა განპირობებულია არა ქვეყნის ბუნებრივი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით, არამედ სტატისტიკური სამსახურის მიერ ციფრების უბრალო მანიპულირებით – საარსებო მინიმუმის დონის ხელოვნური შემცირებითა და, შესაბამისად, სიღარიბის დონის მანკვინებლების კორექტირებით, რის შესახებაც არაერთმა სწავლულმა ეკონომისტმა გამოთქვა თავისი პროტესტი [1,2,3,4].

მიუხედავად ბოლო პერიოდში გატარებული ღონისძიებებისა, ქვეყანაში სიღარიბის რეალური დონე ჯერ კიდევ მაღალია და, ექსპერტების შეფასებით, იგი 50%-ზე მეტს შეადგენს. ამ საქმეში ცუდი როლი შეასრულა 2008 წ. აგვისტოში საქართველოში რუსეთის აგრესიამ, რამაც, ეკონომიკის ნგრევასთან ერთად, წარმოშვა ლტოლვილთა დიდი ნაკადები და საგრძნობლად გაუარესდა მოსახლეობის ეკოლოგიური და სოციალური პირობები.

მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სიღარიბე, როგორც გლობალურ, ისე ლოკალურ დონეზე, ერთ-ერთი მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა, რომლის დასაძლევად საჭიროა ახალი სამუშაო ადგილების შექმნით დასაქმების ზრდა და უმუშევრობის შემცირება, რაც სათანადო პირობებს შექმნის ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სიღარიბის დაზღვევისათვის.

## **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. **გაბიაშვილი ბ., კირვალიძე ზ.** მითი თუ რეალობა, ქ. ეკონომიკა და ბიზნესი. თბილისი, №2, 2009.
2. **გაბიაშვილი ბ.** სიღარიბის პორტრეტი საქართველოში. თბილისი, 2006.

3. **პაპავა ვლ.** ნეკროეკონომიკის ზომბირება. თბილისი, 2010.
4. **ჭითანავა ნ.** გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 8, თბილისი, 2010.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.
6. Всемирный банк, годовой отчет 2002. М., 2003.
7. **Лучкина Л.** Проблемы бедности в странах ЦВЕ и в России. ж. Мировая экономика и международные отношения. М., №5, 2005.
8. **Шишков Ю.** Уровень бедности в современном мире, журн. Мировая экономика и международные отношения. М., №1, 2006.

*Javakhishvili Revaz*

## **POVERTY – 21<sup>st</sup> CENTURY’S THE GREATEST HARM**

### **SUMMARY**

Poverty is the world’s painful social-economic problem. Nowadays, more than 800 million people starve, from which 1/3 are children. One of the conditions to spread prostitution, AIDS and other serious infectious disease, as well as political extremism, international terrorism and to develop other negative factors is poverty.

Despite recently implemented measures in Georgia, the level of the real poverty is still remains high. Destruction of the old system, serious problems made during economic reforming process, civil war and Russian aggression aggravated the economic and social situation of the country. The

main way to reduce poverty in the country is to increase employment and decrease unemployment levels by attracting investments.

*ნაწილი არევაძე*

### **სიღარიბე განვითარებად ქვეყნებში**

სიღარიბე შეიძლება კაცობრიობის განვითარების ისტორიის მუდმივ თანამგზავრად ჩაითვალოს. სწორედ ამიტომ, ქონებრივი დიფერენციაციის პირობებში, მასთან ბრძოლა წარმოებდა და ახლაც წარმოებს ყველა ქვეყანაში, თვით ყველაზე მდიდრად აღიარებულშიც კი. ამის მიუხედავად, მისი სრული დაძლევა ჯერაც ვერ მოხერხდა, რაც მისი სირთულისა და მრავალფაქტორულობის მაჩვენებელია.

სიღარიბეს ზრდის, ან პირიქით, ამცირებს ქვეყნის მიერ არჩეული საზოგადოებრივი კვლავწარმოების, სამეურნეო მექანიზმისა და განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ტიპი, ხოლო ამჟამინდელ მადალ დონეს განაპირობებს როგორც დიდი სტრუქტურული ძვრები, რომელიც თან სდევს ძველი ეკონო-

მიკური სისტემის ნგრევასა და ახლის მშენებლობას, ისე უმუშევრობა და მძლავრი ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც დიდი ხანია გლობალური ხასიათი შეიძინა და რომლის დაძლევის მხოლოდ ცალკეული ნიშნები თუ შეინიშნება ამა თუ იმ ქვეყანაში.

სიღარიბე არის ნორმალური ცხოვრებისათვის საჭირო პირობებისა და მატერიალური ღირებულებების ქრონიკული უკმარისობა, რომლის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ცალკეული ადამიანი, ისე სოციალური ჯგუფი, ქვეყანა ან რეგიონი [1. გვ. 4]. სიღარიბე იწვევს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხობრივი მახასიათებლების გაუარესებას, სოციალურ-ეკონომიკური და გენდერული უთანასწორობის ზრდას, არის საზოგადოებრივი განვითარების მუხრუჭი და სოციალური კატაკლიზმების მიზეზი. უნდა ითქვას იმაზეც, რომ სიღარიბე, რაღაც უფრო მეტია, ვიდრე არასაკმარისი შემოსავალი, რამდენადაც სიღარიბის ინდექსში ასახვას ვერ პოულობს ღარიბი ადამიანის დაჩაგრულობის სხვადასხვა ასპექტების უმეტესობა. როგორც ჩანს, ადამიანური სიღარიბის კონცეფცია ბევრად უფრო ფართო და ყოვლისმომცველია და იმ ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პროცესების შედეგია, რომლებიც ურთიერთზემოქმედების შედეგად ერთმანეთს აძლიერებენ და ღარიბებისათვის გაჭირვებას კიდევ უფრო აღრმავენ.

საბჭოთა ხელისუფლების დროს, ყოფილ საბჭოთა კავშირში, ტერმინი „სიღარიბე“, ოფიციალურად არც გამოიყენებოდა, გამომდინარე იდეოლოგიური მოსაზრებიდან. ითვლებოდა, რომ სიღარიბე, როგორც ასეთი, არ არსებობდა, არსებობდა მხოლოდ მოსახლეობის შედარებით ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენები, მაგრამ მათაც კი საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფელი შემოსავლები ჰქონდათ. მხედველობაში არ მიიღებოდა, რომ ცალკეულ პრობლემატურ პერიოდებში (ომები, არეულობები, სტიქიური უბედურებები) მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მძიმე მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა.

ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილ პერიოდში, განსაკუთრებით „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, არსებობდა ქვეყნისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო

ბევრი პოზიტიური გარდაქმნის დიდი მოლოდინი. განვლილ პერიოდში ძალზე ბევრი რამე მართლაც გააკეთდა და რომ არ ყოფილიყო პოლიტიკური თუ ეკონომიკური განვითარების ხელშემშლელი ცნობილი გარემოებები, რომლებიც დროში ერთმანეთს დაემთხვა, ალბათ კიდევ უფრო მეტის გაკეთება იქნებოდა შესაძლებელი. ახლა კი ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდით, რომ ქვეყნის წინაშე მდგომი, აუცილებლად გადასაჭრელი პრობლემების რიცხვს ბევრი ახალი პრობლემაც დაემატა, რომელიც ადრე ან არ არსებობდა, ან ჩვენთვის შეუძნეველი იყო. მაგალითად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და მისი აღდგენის აუცილებლობა და, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა, სიღარიბის პრობლემა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა, გლობალური ეკონომიკური კრიზისისა და ბუნებრივი კატაკლიზმების გამო, იმდენად გამწვავდა, რომ ახლა მთელი მსოფლიოსა და ყოველი ქვეყნის უმთავრეს საზრუნავად იქცა.

სიღარიბის მაღალ დონეს ქვეყნების უმეტესობაში განაპირობებს მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონე, უმუშევრობა, ეკონომიკური განვითარების დაბალი ტემპები, მწირი მატერიალური და ფინანსური რესურსები, მოსახლეობის სოციალური დაცვის ნაკლებეფექტიანი მექანიზმები. ამდენად, საქართველოსთვის, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისთვისაც სიღარიბის დაძლევა იყო და ახლაც რჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად.

სიღარიბე არის დიდი სოციალური უბედურება, რომელიც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არ აძლევს ნორმალური ცხოვრებისა და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ნორმალური კვების შესაძლებლობას. მდიდარი ადამიანებისათვის, რომელთაც არასდროს განუცდიათ მატერიალური სიდუხჭირე, ძნელია იმისი აღქმა, რომ ვიღაცას არა აქვს საკვები, რიგიანი ტანსაცმელი, ჯანმრთელობის დაცვისა და შენარჩუნების, განათლების მიღებისა და დასვენების შესაძლებლობა. მათთვის, რომელთა უმთავრესი საზრუნავი მატერიალურ სიუხვევსთან დაკავშირებული პრობლემებია, გაუგებარია,

რომ დედამიწაზე მოსახლეობის დიდი ნაწილი მშვიერია, სიღატაკეში ცხოვრობს ან სახიფათოდ უახლოვდება ამ ზღვარს. ამის მაგალითად ისიც საკმარისია, რომ მსოფლიოში 2005 წლის მონაცემებით, 2 დოლარზე ნაკლებს დღეში ხარჯავდა 2598,1 მილიონზე მეტი ადამიანი.

სიღარიბე, რაღაცა ზომით, ყველგან არსებობს და ამას თავისი საფუძველი გააჩნია, რადგანაც ყველა როდია მდიდარი ოჯახის შთამომავალი; ყველას როდი აქვს საკმარისი უნარი, ცოდნა ან შესაძლებლობა, გამოიმუშაოს საკმარისი ფული და უზრუნველყოს საკუთარი თავი და ოჯახი; ზოგიერთი სამუშაოს ვერ პოულობს, განსაკუთრებით ეკონომიკური რეცესიის პირობებში. ბოლოს და ბოლოს ყველგან არიან შრომისუუნარონი – მოხუცები, ინვალიდები, ავადმყოფები, რომლებიც სხვების დახმარების გარეშე შიმშილით სიკვდილისათვის არიან განწირულნი. განვითარების მაღალ დონეზე მყოფი ქვეყნები, სხვადასხვა პროგრამებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების დახმარებით, ახერხებენ ადამიანებს შორის არსებულ ქონებრივი უთანაბრობის რამდენადმე შერბილებას, აუცილებელი საარსებო საშუალებებით მოსახლეობის უზრუნველყოფას, თუმცა ბოლომდე არა. ამის მაგალითად თუნდაც ისეთი უმდიდრესი ქვეყანა გამოდგება, როგორც აშშ-ია, რომელშიც მოქმედმა მეტად მრავალფეროვანმა სოციალური დაზღვევის სისტემამაც ვერ შეძლო არსებული პრობლემის გადაწყვეტა, რამდენადაც სიღარიბის აბსოლუტური დაძლევის პირობებშიც კი, როცა ადამიანებს აქვთ არსებობისათვის აუცილებელი ყველა საჭირო პირობა, ნივთი თუ შემოსავალი, ყოველთვის რჩება შეფარდებითი სიღარიბე.

როცა სიღარიბეზე ვსაუბრობთ, უპირველესყოვლისა მხედველობაში გვაქვს განვითარებადი ქვეყნები, რამდენადაც ამ ქვეყნებში სიღარიბე იმდენად გამოკვეთილი, ყოველმხრივი და მასობრივია, რომ ის ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ყოველდღიურ ნორმად არის გადაქცეული. სიღარიბესთან ბრძოლა რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების – გაერო, მსოფლიო ბანკი, შსო და სხვ., მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. გაეროს ინიციატივით, 1997

წ. დაიწყო სიღარიბესთან ბრძოლის სპეციალური პროგრამის შემუშავება. მსოფლიოში ათასწლეულის განვითარების 8 ძირითადი მიზნიდან ერთ-ერთი სწორედ უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილიანობის აღმოფხვრას ეხება.

სიღარიბის დაძლევის პრობლემის გადაწყვეტას ყურადღება უძველესი პერიოდიდან ექცეოდა, მისი ინტენსიური კვლევა კი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო და დღესაც გრძელდება. ყოველივე ამან თავისი ასახვა ბევრი ცნობილი უცხოელი თუ თანამემამულე მეცნიერის შრომებში პოვა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში.

სიღარიბესთან ბრძოლის აუცილებლობა იმ ძირითადი შედეგებიდან გამომდინარეობს, რომელიც თან სდევს სიღარიბეს, კერძოდ:

– **დეკუმანიზაცია**, ანუ ტანჯვა ყოველდღიური შიმშილისაგან, რაც ადამიანებს აიძულებს, გამუდმებით იფიქრონ მიზნის მისაღწევად;

– **გაბოროტება**, ანუ ადამიანთა შორის ურთიერთობების გაუარესება, განსაკუთრებით ოჯახში და ძალადობისაკენ მისწრაფება;

– **საკუთარი პოტენციალის რეალიზაციის შეუძლებლობა**, რამდენადაც, მცირე განათლების ან გაუნათლებლობის გამო, ადამიანები მოკლებულნი არიან საკუთარი უნარის განვითარებას და შრომის ნაყოფიერების გაზრდის შესაძლებლობას. ისინი უშედეგოდ ფლანგავენ საკუთარ პოტენციალს და სარგებელი არ მოაქვთ არც საკუთარი თავის და არც საზოგადოებისთვის.

– **თავისუფლების მკვეთრი შეზღუდვა**, რამდენადაც, გადარჩენისათვის ყოველდღიური ბრძოლა ღარიბებს ართმევს დროსა და სივრცეს, საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში დამოუკიდებელი მონაწილეობისათვის [3. გვ. 118-128]; მათ არ აქვთ შესაძლებლობა, საზოგადოებას გააცნონ თავიანთი ინტერესები, არ გააჩნიათ სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ სხვებს მიჰყიდონ საკუთარი პოლიტიკური უფლებები;

– არ აქვთ პირადი თავისუფლების რეალიზაციის საშუალება, რამდენადაც შეუძლებელია ინდივიდუალური თავისუფლება სიღატაკის მოსპობის გარეშე;

– არ აქვთ ჯანმრთელობის დაცვისა და შენარჩუნების შესაძლებლობა, რასაც ადამიანები ნაადრევ სიკვდილამდე მიჰყავს;

– არ აქვთ შესაძლებლობა, დაიცვან თავიანთი საკუთრებითი უფლებები. მდიდრებისაგან განსხვავებით, ღარიბებისათვის, ისევე, როგორც წვრილი მეწარმეებისათვის, ბევრად რთულია კანონების დაცვა.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. **აბესაძე რ.** სიღარიბე და ეკონომიკური განვითარება. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის კრებული „ეკონომიკური განვითარების ტენდენციები“. თბილისი, 2009.
2. **პაპავა ვლ.** სიღარიბის შემცირება კერძო სექტორის განვითარების გზით: ქართული სინამდვილე და პერსპექტივები – საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. VII, თბილისი, 2009.
3. **ლამსდორფი ო. გ.** თავისუფლება – სიღარიბის საუკეთესო წამალი, წიგნში, თავისუფლების ბიბლიოთეკა, V, „რეფორმები და თავისუფლება“. თბილისი, 2007.

*Arevadze Nanuli*

### **POVERTY IN DEVELOPING COUNTRIES**

### **SUMMARY**



The article analyzes the principle causes of its creation and the probable results following it, the struggle of mankind to overcome it since then ancient times. Undetermined the causes of the complicity and multifactority of the problem. The necessity to continue the struggle against it.

*თინათინ ჩხეიძე*

**სიღარიბის დაკლების ეკოლოგიური  
ასპექტები**

სიღარიბე, შიმშილი, უმუშევრობა – აი ის პრობლემები, რომელიც დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანას აწუხებს განურჩევლად იმისა, ქვეყანა განვითარებადია თუ განვითარებული. ექსპერტთა გათვლებით, მსოფლიოში 800 მლნ ადამიანი დღეში 1 აშშ დოლარს ვერ ხარჯავს, მაშინ, როდესაც, საერთაშორისო კრიტერიუმებით, ღარიბთა რიცხოვნობას განსაზღვრვენ იმის მიხედვით, თუ თავისი შემოსავლებით საარსებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად დღეში საშუალოდ რამდენი დოლარის დახარჯვის საშუალება აქვს ადამიანს. თუ დღიური დანახარჯი 2 დოლარს არ აღემატება, ასეთი ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფად ითვლება, ხოლო ის ადამიანი, რომელიც თავისი შემოსავლით დღეში 1 დოლარზე მეტს ვერ ხარჯავს – დატაკად. ისეთ ქვეყანაში კი, როგორც არის აშშ, 32 მილიონი ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. განსაკუთრებით აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები გამოირჩევა სიღარიბითა და მოშიმშილე მოსახლეობით. სიღარიბე მაღალია პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც, რომლე-

ბიც საბაზრო ეკონომიკის გზას დაადგენენ, მათ შორის გამო-  
ნაკლისი არც საქართველოა.

დღეისათვის საქართველო ერთ-ერთ ღარიბ ქვეყნად რომ  
ითვლება, ამის მიზეზი ის არის, რომ ქვეყნის მოსახლეობის  
50%-ზე მეტი უმუშევარია და ვინც მუშაობს, მათი ხელფასი  
ვერ აკმაყოფილებს საარსებო მოთხოვნებს. ქვეყნის მშპ-ის  
მოცულობამ ვერ მიაღწია 80-იანი წლების მაჩვენებლებსაც კი.

ნებისმიერი ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდასა და  
განვითარებას საფუძვლად უდევს იმ ბუნებრივ-რესურსული  
პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენება, რომელიც გააჩნია  
აღნიშნულ ქვეყანას. ბუნებრივ რესურსებს წარმოადგენს მიწა,  
წყალი, ტყე, სასარგებლო წიაღისეული და სხვა. თანამედროვე  
პირობებში ცალკეული ქვეყნისათვის აღნიშნულ ფაქტორს გა-  
დამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ბუნებრივი რესურსებით მდი-  
დარი ქვეყნები უპირატესობით სარგებლობენ მაღალტექნო-  
ლოგიურ, მაგრამ ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყნების  
წინაშე. საერთოდ, ბუნებრივი რესურსების გარეშე შეუძლე-  
ბელია არათუ ეკონომიკის განვითარება, არამედ არსებობაც  
კი.

ბუნებრივი რესურსებიდან ჩვენ განვიხილავთ ეკონომი-  
კური განვითარების ისეთ ფუძემდებლურ და უნივერსალურ  
ფაქტორს, როგორც არის მიწა. მიწას, როგორც წარმოების  
ძირითად საშუალებას, კაცობრიობა თავისი არსებობის შესა-  
ნარჩუნებლად იყენებს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრო-  
ცესი უშუალოდ დაკავშირებულია მიწასთან. მოსავლის მიღე-  
ბის მიზნით ადამიანი უძველესი დროიდან ამუშავებს მიწას,  
„აკულტურებს“ მას და ქმნის ეკონომიკურ ნაყოფიერებას. მი-  
წის მოსავლიანობა დამოკიდებულია ნიადაგის ნაყოფიერებაზე.  
ნიადაგი ქვეყნის, ერის სიმდიდრეა, აკადემიკოს ვ. ვ. დოკუ-  
ჩაევის თქმით, ნიადაგი უფრო ძვირფასია, ვიდრე წიაღისეული,  
ქვანახშირი, ოქროც კი. ადამიანს შეუძლია იარსებოს ოქროს  
გარეშე, ნიადაგის გარეშე კი ვერ იარსებებს.

მიწის დაუფასებლობას მიყვავართ სოფლის მეურნე-  
ობაში მიწის ფართობების შემცირებისაკენ, თუ ისინი მწყობ-  
რიდან გამოვა (ეროზიის, დამლაშების და აშ. გამო), სამა-

გიერო ფართობების ყიდვა ან იმპორტი შეუძლებელია, ამიტომ აუცილებელია დეგრადირებული ნიადაგების რეკულტივაცია და აღდგენა, მათი ისევე წარმოებაში ჩართვა, რათა მათი დამუშავებით მივიღოთ ადამიანისათვის საჭირო საკვები, რადგან, როგორც ავღნიშნეთ, პლანეტაზე სიცოცხლის გასაგრძელებლად აუცილებელია საკვები, საკვები პროდუქტების წყაროს კი ველური ბუნება და სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. დედამიწაზე საკვებად ვარგისი მცენარეების 80 ათასი სახეობიდან სოფლის მეურნეობაში გამოიყენება 30, აქედან მხოლოდ 4 კულტურა – ხორბალი, ბრინჯი, სიმინდი, კარტოფილი იძლევა უფრო მეტ სასურსათო პროდუქტს, ვიდრე ყველა ერთად აღებული.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2006 წლის მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ძირითადი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე წლითიწლობით მცირდება (იხ. ცხრ. 1). მაგალითად, თუ ხორბლის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 1999 წელს იწარმოებოდა 51კგ, 2006 წელს იგი შემცირდა 16 კგ-მდე. შესაბამისად შემცირდა სიმინდის წარმოება (110კგ – 49კგ), კარტოფილის (100კგ – 38კგ), ბოსტნეულის (94კგ – 41კგ) და ა.შ., რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს მოსახლეობა შიმშილობს. ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს იგი ადგილობრივი სამამულო წარმოების საკვებზე საშუალოდ 50%-თაც კი ვერ იკმაყოფილებს.

მოსახლეობის ზრდასა და სასურსათო უზრუნველყოფას შორის წინააღმდეგობა განსაკუთრებით კარგად ვლინდება, როდესაც ვეხებით მიწის რესურსების გამოყენების საკითხს. მაშინ, როდესაც, ერთი მხრივ, მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების ზრდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ზრდას მოითხოვს, სხვადასხვა მიზეზის გამო მცირდება ნაყოფიერი მიწები, როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისით (იხ. ცხრ. 2). დადგენილია, რომ მიმდინარეობს ნიადაგის დეკუმინიზაციის პროცესი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ნაყოფიერების და-

ცემისა და ხარისხობრივად დაბალ კატეგორიებში გადაყვანის მიზეზია, ასევე აღინიშნება დიდძალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებისამებრ გამოყენება (მშენებლობების, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების, ნავთობსადენების ფართობების გაზრდისა და სხვა საქმიანობისათვის). ასევე საყურადღებოა, რომ სოფლის მეურნეობის 2006 წლის სტატისტიკური კრებულის მიხედვით, 2006 წლისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი მიწების 40% დაუმუშავებელია (იხ. ცხრ. 3), რისი შედეგიც არის ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული საკვები პროდუქციის შემცირება.

**ცხრილი 1**

**ძირითადი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე (კგ)**

წლები / პროდუქტები	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
სორბალი	51	20	70	46	52	43	44	16
სიმინდი	110	67	66	92	106	95	98	49
კარტოფილი	100	69	96	96	98	97	101	38
ბოსტნეული	94	80	91	93	99	93	102	41
ხილი	67	57	46	40	60	37	62	35
ყურძენი	50	48	34	21	46	42	58	37
ხორცი	23	25	23	25	25	25	26	23
რძე	157	146	166	173	176	181	184	163
კვერცხი	88	82	94	94	105	115	118	82


**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, 2006.

1990 წლიდან ქვეყანაში საშუალოდ კვების პროდუქტების მოხმარება მკვეთრად შემცირდა. არც ერთი მანვენებელი არ აკმაყოფილებს კვების მეცნიერულად დასაბუთებულ ფიზიოლოგიურ ნორმებს. მაშინ, როდესაც ჩატარებული სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შედეგად დადგინდია, რომ ქვეყანაში არსებობს საკმაო სასურსათო პოტენციალი, რომლის რეალიზაცია დამოკიდებულია ადგილობრივი ნიადაგურ-კლიმატური პირობების რაციონალურად გამოყენებისა და აგრარული პოლიტიკის სწორ მიზანმიმართულ გატარებაზე, რაც, სამწუხაროდ, დღეისათვის არასრულყოფილად არის გამოყენებული. საქართველოში საგრძნობლად შეზღუდულმა აგროსამრეწველო პროდუქციის წარმოებამ და მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის დაქვეითებამ, რასაც ემატება მასიური უმუშევრობა, ისეთი ნეგატიური მოვლენა გამოიწვია, როგორცაა საკვები პროდუქტების მოხმარების მნიშვნელოვანი დაქვეითება და რაციონის ჰიგიენურ-ფიზიოლოგიური ნორმების დაუცველობა. აქედან გამომდინარე, სამამულო სასურსათო პროდუქციის წარმოების მკვეთრად შემცირებამ იმპორტით მისი ჩანაცვლება გამოიწვია, რის შედეგადაც სასურსათო ბაზრის 50%-ზე მეტი იმპორტულმა საეჭვო ხარისხისა და წარმომავლობის პროდუქციამ დაიკავა. არასრულფასოვნად იკვებება (ვიტამინების, ცილების, იოდის და სხვ. ნაკლებობა) მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, რასაც მივყავართ შრომისუნარიანობის დაცემამდე. სიღარიბე, არასაკმარისი კვება და ავადმყოფობათა ურთიერთზეგავლენა ქმნის ჩაკეტილ წრეს, რაც, საუბედუროდ, მომავალ თაობებს გადაეცემათ (სქემა 1).

სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთ საშუალებად მიგვაჩნია ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის, კერძოდ, მიწის რაციონალურად გამოყენება, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს მეცნიერულ ეკონომიკურ-ეკოლოგიურ კვლევებზე. ნიადაგის ნაყოფიერებას თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის ან გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული მთელი რიგი ღონისძიებები, ხშირ შემთხვევაში, ეკოლოგიური ფაქტორების გაუთვალის-

წინებლად ტარდება. ამის საუკეთესო მაგალითია არალის ზღვის კატასტროფის შემთხვევა.

სქემა 1



სიღარიბის დონის შემცირების და მოშიმშილე მოსახლეობის დაპურების აუცილებლობა მოითხოვს, სასურსათო პროდუქციის გაზრდის მიზნით, გაიზარდოს ნიადაგის ნაყოფიერება და ფართობის ერთეულზე პროდუქციის მოსავლიანობა, რისთვისაც საჭიროა ნიადაგის ეკოლოგიური და კლიმატური პირობების ღრმა ცოდნა, რადგანაც ყოველი ზონის, ყოველი ტიპის ნიადაგი მოითხოვს კონკრეტულ მიდგომას და სპეციფიკური აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებას. როდესაც არ არის მხედველობაში მიღებული ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური შედგენილობა და ეკოლოგიური მოთხოვნები, სასურველი შედეგი ვერ მიიღება, პირიქით, შეიძლება ადამიანის უხეში ჩარევით დაირღვეს გარემოს ეკოლოგიური ბალანსი.

მაღალპროდუქტიული მიწათმოქმედება მოწოდებულია იმისათვის, რომ დადებითად გადაწყდეს სასურსათო პროგრამა. ლიკვიდირებულ იქნეს სიღარიბე და უმუშევრობა. საქართველოს მიწათმოქმედების დღევანდელი მდგომარეობა არ პასუხობს მის შესაძლებლობებს, მთელი რიგი სახნავი მიწის ფართობები დაუმუშავებელია, ხოლო რაც დამუშავებულია, დაბალმოსავლიანია, რისთვისაც საჭიროა მეცნიერული მიდგომა. სახნავი ფართობების გადიდებასა და დეგრადირებული ნიადაგების რეკულტივაციაზე არავითარი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს.

**ცხრილი 2**

**სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები  
(საკუთრების ყველა ფორმის მეურნეობებში ათასი ჰა)**

წლები	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
ნათესი ფართობი სულ	577.0	561.7	534.0	539.6	330.2	297.2	329.8
ხორბალი	139.1	117.3	104.8	97.4	58.7	45.4	48.6
მემცენარეობის პროდუქტების წარმოება (ათასი ტონა )							
ხორბალი	199.7	225.4	185.8	190.1	69.7	74.9	80.3
სიმინდი	400.1	461.9	410.6	421.3	217.4	295.8	328.2
სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა (ცენტნერი 1 ჰექტრიდან)							
ხორბალი	17.0	19.3	18.2	19.9	12.4	16.7	16.8
სიმინდი	20.5	24.2	22.0	21.8	18.4	24.1	22.9
ოჯახური მეურნეობების წილი მემცენარეობის პროდუქციის წარმოებებში (%)							
ხორბალი	91	88	89	96	81	86	86

სიმინდი	96	97	97	99	99	99	99
---------	----	----	----	----	----	----	----

წყარო. სტატისტიკური წელიწდეული, 2009.

**ცხრილი 3**

**სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენება**

	სულ სას. სამ. სავარგული			მათ შორის											
				დამუშავებული			დამუშავებული			სადოვარი			მრავალწლიანი ნარგავები		
წლები	2006	2007	2008	2006	2007	2008	2006	2007	2008	2006	2007	2008	2006	2007	2008
სულ	865	854	838	132	166	130	330	297	329	287	247	264	116	114	115

წყარო. საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2008.

ამჟამად შექმნილ სიტუაციაში ეკონომიკური ზრდა და აქედან გამომდინარე სიღარიბის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ბუნებრივი რესურსების ზეექსპლუატაციით, ექსტენსიური ბუნებატექვადტექნოლოგიების განვითარებით, რაც უახლოეს მომავალში ხელს შეუწყობს „ანტიმდგრადი განვითარების“ ტენდენციას. ამიტომ ეკონომიკური ზრდისა და პროგრესის მაჩვენებლებში საჭიროა შეტანილ იქნეს ეკოლოგიური კორექტირები. საჭიროა გავზარდოთ ბუნების „კონკურენტუნარიანობა“ ტექნოგენური გადაწყვეტილებების მიღების დროს.

მსოფლიო ბანკისა და განვითარებული ქვეყნების მიერ შემოთავაზებულია, რომ ძირითად ეკონომიკურ გაანგარიშებებში ჩაირთოს ეკოლოგიური ფაქტორის მაჩვენებლები, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია.



## ბამოყენებული ლიტერატურა

1. **პაპავა ვლ.** სიღარიბის შემცირება კერძო სექტორის განვითარების გზით. ქართული სინამდვილე და პერსპექტივები. საქ. ეკ. მეცნიერებათა აკადემია, შრომები, ტ. VII, 2009, გვ. 276.
2. **ლიპარტია ზ., ჯღარკავა ნ.** საქართველოში სიღარიბის დაძლევის პერსპექტივები თანამედროვე ეტაპზე. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2010.
3. **ჩხეიძე თ.** უმუშევრობის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ. II, 2009.

*Chkheidze Tinatin*

## ECOLOGICAL ASPECTS OF POVERTY OVERCOMING

### SUMMARY

Poverty – hunger – unemployment – these are the problems that worry all countries of the world. A present Georgia is considered as one a poor country; This is caused by the fact that more than 50% of the population is unemployed. One of the means to overcome the unemployment is a rational use of natural resource potential of the country, particularly of land. Today a significant part of arable lands is uncultivated that is inadmissible.

*ლინა დათუნაშვილი*

**მეაბრეშუმეობის განვითარების ზოგიერთი  
ასპექტი საქართველოში**

მეაბრეშუმეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული დარგია. აბრეშუმის ჭისაგან მიღებული პარკი იძლევა ძვირფას ნატურალურ ნედლეულს – აბრეშუმის ძაფს, რომლისგანაც დამზადებული ქსოვილი გამოირჩევა ჰიგიენურობით, სიფაქიზით, სიმტკიცითა და გამძლეობით. აბრეშუმის ძაფი ელექტრობისა და სითბოს ცუდი გამტარია, რის გამო იგი ფართოდ გამოიყენება ელექტრო და რადიოტექნიკაში, კავშირგაბმულობაში და სხვა. დღეისათვის დარგი სავალალო მდგომარეობაშია. არადა დიდია მეაბრეშუმეობის როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური მნიშვნელობა.

აბრეშუმის ჭიის გამოკვება და პარკის მიღება მოკლე პერიოდს – 28-31 დღეს მოიცავს.

ქვეყანაში მეაბრეშუმეობის აღმავლობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეთუთეობის განვითარებას, რამდენადაც თუთის ფოთოლი წარმოადგენს აბრეშუმის ჭიის ერთადერთ საკვებს. თუთა სითბოსმოყვარული, დეკორატიული და ნაყოფის მომცემი მრავალწლიანი ნარგავია.

აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თუთის ისეთი ჯიშებისა და ჰიბრიდების გაშენებას, რომელთა ფოთოლი მაღალი კვებითი ღირებულებით გამოირჩევა, რაც გამოიხატება თუთის ფოთლის ზომაში, ფოთლის სიმსუბუქესა და ნესტის ხანგრძლივად შენახვის უნარში.

„თუთა სხვათა ენაა, ქართულად მას ჟოლა ჰქვიან და ხართუთას-ტუტა“, ასეთია სულხან-საბა ორბელიანის მიერ თუთის განმარტება. საქართველოს დასავლეთ რეგიონებში ამ კულტურას დღესაც ჟოლას, ბჟოლას ეძახიან, სამეგრელოში ჯამპს, კახეთში კი უნაყოფო თუთის ძირს ან ტოტს ფურცელს ეძახიან.

საქართველოში აბრეშუმის ჭიის თესლის (გრენის) შემოტანას V საუკუნეს, მეფე ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირებენ. მეაბრეშუმეობის განვითარებისა და აბრეშუმის ნაწარმით ვაჭრობაში გარკვეული ადგილის დასაკავებლად საქართველოში მხოლოდ აბრეშუმის გრენის შემოტანა არ იყო საკმარისი, აუცილებელი იყო აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზის, თუთის კულტურის არსებობაც. რამდენადაც ისტორიული წყაროები საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების გარკვეულ დონეზე უძველესი დროიდან მიუთითებენ, თუთის კულტურის არსებობაც უფრო ადრინდელ პერიოდს თუ არა, V საუკუნეს მაინც უნდა განეკუთვნებოდეს.

მეაბრეშუმეობის დარგის მკვლევრების (ა. დეკანდოლი, რონდო, მუეკერჯნი, ვ. ტიხომიროვი, ნ. შავროვი, დ. როსინსკი) აზრით, თუთის აბრეშუმხვევიას წინაპრის სამშობლო აზიაში, ჰიმალაის აღმოსავლეთ ნაწილში უნდა ვეძებოთ, რომ თუთის ხის ველური სახეობა უფრო მეტად არის გავრცელებული ჩინეთში, იაპონიასა და ინდოეთში, შემდეგ კავკასიაში, თურქეთსა და შუა აზიის ქვეყნებში [4,5]. ამგვარად, თუთის კულტურის სამშობლო სუბტროპიკული ქვეყნების რეგიონებია, საიდანაც იგი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელდა, იქ, სადაც ამ ნარგავის ზრდა-განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არსებობს.

საქართველოში თუთის ნარგავები თითქმის ყველგან გვხვდება, იმ ადგილებშიც კი, სადაც სხვა სახის ხეხილი არ ხარობს.

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან საქართველოში მემცენარეობის სხვა დარგებთან ერთად მეთუთეობა – როგორც აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზა – თანდათანობით ვითარდებოდა. თუთის ხის პლანტაციებს ინტენსიურად აშენებდნენ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს რეგიონებში.

იმდენად დიდი იყო ამ კულტურის მეურნეობრივი მნიშვნელობა, რომ საქართველოში ყმა-გლეხთა ნატურალური ბეგარის ნუსხაში თუთის მოკრეფილი ფოთლებიც შედიოდა. თუთის ფოთოლს უმეტესად მემამულეები ჰყიდდნენ, რომლებ-

საც ამ დარგის განვითარებით შემოსავლის ახალი წყარო გაუჩნდათ. 1840-1865 წლებში ქვეყანაში მებაბრეშუმეობის აღმავლობის შედეგად გაძვირდა თუთის ხის ნერგები, ამიტომ სანერგე მეურნეობის შექმნა და ფუნქციონირება სწრაფად გახდა სავაჭრო მიწათმოქმედების ყველაზე მომგებიანი დარგი. მთელი მოსახლეობა მასიურად ჩაერთო აბრეშუმის პარკის წარმოებასა და თუთის ნარგავთა გაშენების საქმეში, რადგან მებაბრეშუმეობა დიდ შემოსავალს იძლეოდა [1].

XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში ამიერკავკასიის მებაბრეშუმეობის რაიონებს აბრეშუმის ჭიის დაავადება – პებრინი მოედო, რომელმაც გაანადგურა როგორც შემოტანილი, ისე ადგილობრივი გრენაც. ამ ფაქტის გამო ჯერ შემცირდა, ხოლო შემდეგ შეწყდა თუთის ფოთოლზე მოთხოვნა, რამაც უარყოფითად იმოქმედა თუთის პლანტაციებისა და ერთეული ნარგავების გაშენებაზე. იმის გამო, რომ თუთის ფოთლის რეალიზაცია აღარ წარმოებდა, საქართველოში დაიწყო თუთის ნარგავთა გაკაფვა და მის ადგილზე სხვა სახის ხეხილის გაშენება. ცნობილია, რომ კრიზისს გამოცოცხლება და შემდეგ აღმავლობა მოსდევს. 90-იანი წლებიდან ქვეყანაში უკვე ფართოდ გაჩაღდა აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად თუთის ფოთლით ვაჭრობა.

როგორც სოფლის მეურნეობის სხვა დარგები, მებაბრეშუმეობაც (მეთუთეობასთან ერთად) 1900-1913 წლებში გარკვეულ აღმავლობას, ხოლო პირველი მსოფლიო ომისა და მომდევნო პერიოდში განვითარების შეფერხებას განიცდიდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 70-წლიან პერიოდში მებაბრეშუმეობის დარგი, მათ შორის აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზა – მეთუთეობაც განვითარების მყარ საფუძველზე დადგა.

ახლად ჩამოყალიბებულმა მებაბრეშუმეობის ტრესტმა თუთის პლანტაციების ახალი სანერგეები შექმნა იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს რეგიონებში (სამტრედია, თერჯოლა, ოზურგეთი, ბანძა, ზუგდიდი), ასევე აჭარისა (ქობულეთი) და კახეთის რეგიონში (თელავი, ლაგოდეხი), რომელთა აქტიური

საქმიანობით ქვეყნის მებაბრეშუმეობის რაიონები ყოველწლიურად მაღალი ხარისხის თუთის სანერგე მასალას იღებდნენ.

მეორე მსოფლიო ომმა მძიმე დარცხმა მიაყენა ქვეყნის მთელ სახალხო მეურნეობას, მათ შორის მეთუთეობასაც. თუთის ხეების უდიდესი ნაწილი არასწორი ექსპლუატაციით და ცუდი მოვლის შედეგად გახმა და ამოიძირკვა. ამ პროცესმა თუთის ფოთლის მოსავლიანობის შემცირება და, შესაბამისად, მებაბრეშუმეობის დარგის განვითარების შეფერხება გამოიწვია. აუცილებელი გახდა მთავრობას გარკვეული ღონისძიება გაეტარებინა დარგის აღდგენის მიმართულებით. 1947 წელს მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებაში – „ომის შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის ამაღლების ღონისძიებების შესახებ“ – საზოგადოებრივი იყო, რომ მებაბრეშუმეობის განვითარებისათვის ძირითად პირობას წარმოადგენს: აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზის სასწრაფო აღდგენა და გაფართოება, ნარგავების მოვლის გაუმჯობესება, პლანტაციებში მეჩხერიანობის ლიკვიდაცია და თუთის მაღალმოსავლიანი ჯიშების ფართო დანერგვა.

ქართველი სელექციონერების მიერ ადრე გამოყვანილ მაღალმოსავლიან თუთის ჯიშებსა და ჰიბრიდებს, როგორცაა საქართველო, ქუთათური, ადრეული, ჰიბრიდი – თბილნიშ-7, ემატებოდა თუთის ახალი ჯიშები და ჰიბრიდები: თბილნიშ-2, გრუზნიშ-4, გრუზნიშ-5. თუთის ნერგების ახალი ჯიშების და ჰიბრიდების გამოყვანის პროცესი აქტიურად ვითარდებოდა და 70-იანი წლების ბოლოს ქართველმა სელექციონერებმა გამოიყვანეს თუთის ხის ახალის ჯიშები: ქართლი, ივერია, დიდმური, უხვი და სამგორული.

საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში თუთის ხის ნარგავთა ძირითადი ნაწილი (პლანტაციების სახით) საზოგადოებრივი მეურნეობის, კერძოდ, კოლმეურნეობების ფართობებზე იყო გავრცელებული, მცირე ნაწილი ერთეული ნარგავების სახით კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობებში დასაქმებულ მუშაკთა პირად დამხმარე მეურნეობებში იყო წარმოდგენილი. ამ პერიოდში თუთის

პლანტაციების საერთო რაოდენობის 76,6% გაადგილებული იყო დასავლეთ საქართველოს რეგიონებში: იმერეთი, გურია, სამეგრელო, აჭარის არ., ხოლო 23,4% კახეთის რეგიონზე მოდიოდა.

საქართველოში 1967 წელს ექსპლუატაციაში გადაცემული თუთის პლანტაციების ოდენობამ 4,6 ათასი ჰა შეადგინა, მაგრამ 1975 წელს მათი რაოდენობა 3,8-ჯერ შემცირდა. ასევე მკვეთრად შემცირების ტენდენცია შეინიშნებოდა ექსპლუატაციაში გადაცემული თუთის ერთეული ნარგაობის მხრივაც. თუთის ნარგავთა ასეთი მკვეთრი შემცირება თუთის ჯიშიანი ნარგავების ვირუსულმა, მიკროპლაზმურმა დაავადებამ – „წვრილფოთოლა ხუჭუჭიანობამ“ გამოიწვია, რომელიც პირველად სწორედ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ 1964 წელს შენიშნეს.

მეთუთეობაში შექმნილი მდგომარეობა მთავრობის ყურადღების საგანი გახდა, რის გამოც ჯერ 1967 წლის 21 თებერვალს იქნა მიღებული დადგენილება „თუთის ნარგავთა დაავადების წინააღმდეგ ღონისძიებების შესახებ“ და 1970 წლის 18 სექტემბერს – დადგენილება „მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის აღდგენის ღონისძიებების შესახებ“. აღნიშნული დადგენილებების შესაბამისად მეთუთეობაში გატარდა რიგი ღონისძიებები, სახელდობრ, შესწავლილი და დადგენილი იქნა თუთის დაავადების „წვრილფოთოლა ხუჭუჭიანობის“ ვირუსული ბუნება, გამოავლინეს ჭიჭინობელას სახე, რომელსაც გადააქვს დაავადება. ქართველი სელექციონერების მიერ იქნა შერჩეული დაავადების მიმართ შედარებით გამძლე თუთის 8 ჯიში: ივერია, ქუთათური, თბილნიიშ-2, თბილნიიშ-4, ოშიმა, ნე-ზუმიგაესი და მცხეთური.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოში ეკონომიკური კრიზისის პირობებში აღარ ფუნქციონირებს მსუბუქი მრეწველობის ობიექტები – აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკები. საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პირობის „მოთხოვნის“ არარსებობის გამო „მიწოდებაც“ შესაბამისად არ არის. სწორედ მოთხოვნა-მიწოდების დეფიციტი განაპირობებს დღეისათვის მეაბრეშუმეობაში (მეთუთეობაში) არსებულ მდგო-

მარეობას. დარგში არსებული მდგომარეობა სხვა მიზეზითაც არის განპირობებული. სათბობი რესურსების ნაკლებობა ხელს უწყობს მოსახლეობის მიერ თუთის ნარგავების მასიურ განეხვას. თუთის ნარგავთა ასეთი მკვეთრი შემცირების ერთ-ერთ მიზეზად ამ კულტურის მიკროპლაზმური დაავადებაც გვევლინება, რომელიც ბოლო წლებში აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებშიც განჩნდა და გარკვეული ზიანი მიაყენა ამ დარგს.

მოუშხადებლად ჩატარებულმა მიწის პრივატიზაციამ და არასწორად განხორციელებულმა მიწის განაწილებამ ათასობით თუთის ნარგავი შეიწირა და გაანადგურა. დარჩენილ თუთის პლანტაციებში მაღალია მეჩხერიანობის დონე.

აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია:

- ქვეყნის რეგიონებში დროულად ჩატარდეს არსებული თუთის ერთეული ნარგავებისა და პლანტაციების ფართობის ზუსტი ინვენტარიზაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში გაჭირდება როგორც გამოსაკვებად საჭირო ჭიის რაოდენობის განსაზღვრა, ისე მთლიანად დარგის – მეაბრეშუმეობის განვითარების შესაძლო პარამეტრების გათვლა პერსპექტივაში.

- მეაბრეშუმეობის (მეთუთეობის) რეაბილიტაციისათვის საჭირო ინვესტირების მოზიდვა და დარგში ინვესტიციების ჩადება, ასევე მიზნობრივი კრედიტის გამოყოფა, რაც საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დიდი დახმარება იქნება დარგის მიმართ.

- აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თუთის სხვადასხვა ჯიშის წარმოებაში დანერგვას. ქართველი სელექციონერები, დარგის განვითარების მიზნით, აუცილებლად თვლიან თუთის რეკომენდებული მრავალი ჯიშისა და ადგილობრივი ფორმების წარმოებაში დანერგვას იაპონური წარმოების ინტროდუცირებული თუთის ჯიშებსა და ფორმებთან ერთად. ესენია ადგილობრივი-1 და ადგილობრივი-2, რომლებიც ხასიათდება ვირუსული დაავადებებისადმი გამძლეობით, ფოთლის დამაკმაყოფილებელი მოსავლიანობით, ვარჯში ტოტების

თანაბრად განაწილებისა და რეგენერაციის მაღალი უნარით. სპეციალისტების აზრით, აღნიშნული თვისებების გამო, აუცილებელია ეს ჯიშები დარაიონდეს დასავლეთ საქართველოს მებარეშუმეობის ძირითად რეგიონებში [3].

• საქართველოში აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით მეწვერსაშიშ ზონაში ტყის მასივების განაშენებისათვის (სხვა ჯიშებთან ერთად) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თუთის მაღალტანიანი, დაავადებისადმი გამძლე ნარგავების გაშენებას. გარდა იმისა, რომ თუთა წარმოადგენს აბრეშუმის ჭიის ერთადერთ საკვებს, სხვა მნიშვნელოვან სამეურნეო ფუნქციასაც ასრულებს. თუთის ხის კარგად განვითარებული ფესვთა სისტემა ხელს უშლის ნიადაგის წყლისმიერ და ქარისმიერ ეროზიას და ამცირებს ზვავსაშიშროებას [2].

თავისი ეკონომიკური მნიშვნელობით ქვეყანაში მებარეშუმეობის გამოცოცხლება და დარგის შემდგომი განვითარება დღეისათვის სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური სიდუხჭირის შერბილების თვალსაზრისით დიდ მნიშვნელობას იძენს, რამდენადაც საქართველო თავისი კლიმატური პირობებით, მოსახლეობაში არსებული აბრეშუმის პარკის წარმოების ტრადიციებით, საჭირო მუშახელით, საკვებით, აბრეშუმის პარკის პირველადი გადამუშავებისთვის საჭირო მატერიალური ბაზით და სხვა საშუალებებით, სრულად აკმაყოფილებს დარგის რეაბილიტაციისათვის საჭირო მოთხოვნებს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. **გუგუშვილი პ.** საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., თბილისი, ტ. 3, 1958.
2. **ღათუნაშვილი ღ., ჩხეიძე თ., ასათიანი ზ.** მებარეშუმეობის რეაბილიტაციის გზები რეგიონალ ჭრილში. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებები რეგიონე-



ბის აგროსამრეწველო სექტორში. ბათუმი, გამომცემლობა „აჭარა“, 2007.

3. ნიკოლეიშვილი გ., ასათიანი ზ. და სხვები. აგრარული მეცნიერების პრობლემები. სამეცნიერო შრომათა კრებული XXVIII. თბლისი, 2004.
4. Росинский Д. Исторический ход и современное шелководство на земном шаре. Москва, 1908.
5. Шавров Н. Добывание, обработка и условия сбыта шелка в Австро-Венгрии, Италии, Франции. СПб, Москва, 1890.

*Datunashvili Lina*

## **SOME ASPECTS OF SILKWORM FODDER IN GEORGIA**

### **SUMMARY**

The studies historical aspect of mulberry development as a base for silkworm fodder. Is analyzed current situation of the branch and the attention is focused on current problems of mulberry growing.

Are given some conclusions and are offered propositions to favor first the reanimation and then the development of mulberry growing in Georgia regions especially in Adjara region that is very important for the further restoration of sericulture in Georgia.

*იზა ნათელაური  
თამარ თაფლაძე*

**საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლება,  
როგორც უმუშევრობის ღონის უმცირების  
ერთ-ერთი ფაქტორი**

საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა – მდგომარეობა, პრობლემები და სპეციფიკური თავისებურებები – შემდეგი გარემოებებითაა განპირობებული [1, 2]: 1) ხელსაყ-

რელი გეოგრაფიული მდებარეობა ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობას აძლევს, იყოს აზია-ევროპის სატრანსპორტო დერეფანი, განავითაროს ტურიზმი, გააუმჯობესოს ინფრასტრუქტურა და ამ გზით შექმნას სამუშაო ადგილები და მიიღოს შემოსავალი; 2) საქართველო არაინოვაციური ქვეყნების ჯგუფს განეკუთვნება. იგი უპირატესად ორიენტირებულია ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობასა და ბუნებრივ რესურსებზე, განსხვავებით ინოვაციური ქვეყნებისაგან, რომელთათვისაც პრიორიტეტულია მაღალი ტექნოლოგიები; 3) საქართველო გამოირჩევა ეკონომიკური თავისუფლების ძალიან მაღალი მაჩვენებლით. ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, შევჩერდებით თავისუფლების მაჩვენებელზე მხოლოდ შრომით ურთიერთობებში. თავისუფლების მაჩვენებელი ამ სფეროში 99,9%-ის ტოლია და ქვეყანაც შესაბამისად პირველ ადგილზეა; 4) 2007 წლის მონაცემებით, საქართველოში მოგების გადასახადი დაბალია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებთან შედარებითაც და განვითარებულ ქვეყნებთან შედარებითაც (მაგალითისთვის, აშშ-ში მოგების გადასახადის განაკვეთი ტოლია 35%-ის, საფრანგეთში – 33,8%-ის, დიდ ბრიტანეთში, თურქეთსა და ყაზახეთში – 30%-ის, ირანში – 25%-ის, რუსეთსა და ბელორუსში 24%-ის, აზერბაიჯანში – 22%-ის, ესტონეთსა და გაერთიანებულ ემირატებში 0%-ის); 5) ჩვენს ქვეყანაში ერთ სულზე გაანგარიშებით მშპ 2000 ლარზე ნაკლებია.

ქვეყნების საერთაშორისო რეიტინგი, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მის ტერიტორიაზე წარმოებული საქონელისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობაზე საგარეო ბაზარზე. საქართველოს გლობალურ შეფარდებით უპირატესობასთან დაკავშირებით, აუცილებელია ითქვას შემდეგი: საქართველოს ობიექტური მიზეზებით გამოწვეული ექსპორტ-იმპორტის არასასურველი სტრუქტურა აქვს საგარეო ვაჭრობის ბალანსის მზარდი დეფიციტის პირობებში. იმპორტის მოცულობასა და სტრუქტურას განსაზღვრავს არსებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარება. მოხმარებულ მშპ-ში იმპორტი დიდი ხვედრითი წილის მაჩვენებლით არის წარმოდგენილი და სტრუქტურ-

რულად ერთჯერადი მოხმარების საქონლისაგან შედგება. რაც შეეხება ექსპორტს, გასული საუკუნის 90-იან წლებში, საგარეო ეკონომიკური რეფორმის დაწყებისთანავე, დაიწყო აქტიური მუშაობა ექსპორტის სტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მაგრამ ყველაფერი დამთავრდა ცნობილი პოლიტიკური მოვლენებით. დამოუკიდებელ ქვეყნებში დაიშალა ეკონომიკური სისტემები. იმპორტმა შეიძინა სახელმწიფო მნიშვნელობა. ამან კი მოითხოვა ექსპორტის სანედლეულო სტრუქტურის შენარჩუნება. ამასთან, დეფიციტურმა სამომხმარებლო ბაზარმა და მომხმარებელთა დაბალმა შემოსავლებმა არსებულ სტრუქტურაში, კიდევ უფრო შეუწყო ხელი იმპორტის სტრუქტურისა და ხარისხობრივი მახვენებლების გაუარესებას.

საქართველოში ნელი ტემპით ვითარდება რეალური სექტორი. ეს კი განაპირობებს სამომხმარებლო იმპორტის სანედლეულო ექსპორტით ჩანაცვლების აუცილებლობას. სანედლეულო ექსპორტი და სამომხმარებლო იმპორტი კი ყველაზე არასასურველი წყვილია საქართველოსთანა ქვეყანაში, ქვეყანაში, რომელმაც მიზნად დაისახა ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია და აქტიურად მუშაობს, დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მსოფლიოში აღიარებული კრიტერიუმების შესაბამისად.

საქართველოში, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ ქვეყანაში, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა (ეკონომიკურ ზრდაში, მიკრო და მაკროეკონომიკურ გარემოში, ეკონომიკურ თავისუფლებაში, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში და სხვ.) კომპლექსური მახვენებელია და მისი თითოეული კომპონენტი აქტიურად ზემოქმედებს როგორც უმუშევრობის, ისე დასაქმების დონის მახვენებელზე. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ უმუშევრობის დონის მახვენებელზე.

ამჟამინდელ, პოსტკომუნისტურ საქართველოში ადგილი აქვს როგორც ციკლურ, ისე ფრიქციულ და სტრუქტურულ უმუშევრობას. მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

ეკონომიკური კრიზისის დროს საწარმოები მასიურად წყვეტენ ფუნქციონირებას, სწრაფი ტემპით ეცემა ეკონომიკური

ზრდის მაჩვენებელი, კატასტროფულად მცირდება სამუშაო ადგილების რიცხვი, მომუშავეთა უმეტესობა რჩება სამსახურისა და შემოსავლის გარეშე. ჩნდება უმუშევრობის ფორმა – ციკლური უმუშევრობა. ციკლური უმუშევრობის მასშტაბები და მოკიდებულია ეკონომიკური კრიზისის სიმწვავეზე.

საქართველოში ეკონომიკური კრიზისი დაიწყო ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში. პირველი ანტიკრიზისული ნაბიჯებიც იმ პერიოდში გადაიდგა. დაიგეგმა საგარეო ეკონომიკური რეფორმა. ფართო საზოგადოების განსჯის საგანი გახდა ექსპორტისა და იმპორტის არასასურველი სტრუქტურა. სანედლეულო ექსპორტს და ფართო მოხმარების საქონლის იმპორტს სპეციალისტები ადგილობრივი წარმოების საქონლის დაბალ ხარისხსა და კონკურენტუნარიობას უკავშირებდნენ. მოგვიანებით, უკვე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საქონლის კონკურენტუნარიობას დაემატა ეკონომიკური კავშირების რღვევით გამოწვეული საწარმოთა ქმედუნარიობა. კიდევ უფრო მოგვიანებით გაჩნდა ე.წ. ”საბაზრო ეკონომიკის” იდეა, რომელიც ითვალისწინებდა საწარმოო ორიენტაციის ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე ”ნახტომს”, გასაღების ორიენტაციის ეკონომიკის გვერდის ავლით. საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების ქმედუნარიობა, მათ მიერ წარმოებული საქონლის უხარისხობისა და კონკურენტუნარიობის აუტირება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის იდეასთან ერთად, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის გადრმავეების სერიოზული მიზეზი გახდა [3].

ეკონომიკური კავშირების ახალ სისტემაზე გადასვლის წარუმატებელ პოლიტიკას შედეგად მოჰყვა უმუშევართა რაოდენობის კატასტროფული ზრდა. თანაც ეს ხდება მაშინ, როცა ქვეყანაში ცნობილი იყო მხოლოდ სრული დასაქმების მოდელი, დასაქმებულთა და მათი ოჯახების შემოსავლების ერთადერთ წყაროს ხელფასი წარმოადგენდა, დასაქმებულთა წინაშე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სახელმწიფოს, სახელმწიფო საკუთრების გარდა არ არსებობდა სხვა ფორმა, ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაციის დონეზეც კი უცნობი იყო შრომის ბაზარი და დასაქმების საბაზრო მოდელი.

პოსტკომუნისტურ საქართველოში ფრიქციული უმუშევრობისთვის სერიოზული მიზეზები არსებობდა და არსებობს ამჟამადაც. გასული საუკუნის 90-იან წლებში საწარმოების ქმედუნარობას შედეგად მოჰყვა უმუშევრობის მასშტაბური პროცესის დაწყება. სამსახურის გარეშე დარჩენილების ხელახლად დასაქმება მოითხოვდა ახალი საწარმოების დაფუძნებას, უკვე არსებულის მოდერნიზაციას, უმუშევართა პროფესიულ მომზადებას ან გადამზადებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ მასობრივ უმუშევრობასთან ერთად ახალი საწარმოების აშენება, ძველების მოდერნიზაცია და სპეციალისტთა მომზადება და გადამზადება დროს მოითხოვს, შეიძლება დავასკვნათ, რომ პოსტკომუნისტურ საქართველოში ფრიქციული უმუშევრობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. უმუშევრობით გამოწვეულ სტრესს კიდევ უფრო ამძაფრებს სოციალიზმიდან გადმოყოლილი მენტალიტეტი.

ავტორების დიდი ნაწილი სტრუქტურული უმუშევრობის მაგალითად ასახელებენ კომპიუტერების მასობრივად დანერგვის შედეგად მბეჭდავების პროფესიის გაუქმებას და მათ უმუშევრად დარჩენას. იგივე მოხდა საქართველოშიც, თანაც არცთუ ისე დიდი ხნის წინ, უფრო ზუსტად კი პოსტსაბჭოთა პერიოდში. მბეჭდავ-მემანქანეების გარდა, სტრუქტურული უმუშევრობა შეეხოთ ბუღალტრებსაც ბასს სისტემაზე გადასვლის გამო. არასაჭირო პროფესია გახდა "მილიციელი", მათი ადგილი წარმატებით დაიკავეს პოლიციელებმა და პატრულის თანამშრომლებმა. უმუშევრობის პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეით შეეხო საბჭოთა პერიოდის პარტიული ნომენკლატურის მუშაკებსა და მთავრობის ჩინოფნიკებს.

ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკის მიხედვით, 2003-2005 წლებში უმუშევართა რიცხვი გაიზარდა, 2004 წელს – 21,7 ათასი კაცით (9%-ით) წინა წელთან შედარებით, 2005 წელს კი – 21,7 ათასი კაცით (8%-ით) 2004 წელთან, ანუ წინა წელთან შედარებით და 43,4 ათასი კაცით (18%-ით) 2003 წელთან შედარებით. უმუშევართა რაოდენობის 8-9%-იანი ზრდა არ

არის კარგი მაჩვენებელი, უარესი კი ის არის, რომ უმუშევართა რიცხვი იზრდება მშპ-ს ზრდის პარალელურად.

სტატისტიკა პარადოქსულია. ქვეყანაში იზრდება მშპ უმუშევრობის ზრდისა და დასაქმების შემცირების პარალელურად. ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციებს შორის თანაფარდობის დარღვევა უკავშირდება ხელისუფლების ცვლილებას და ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ რეფორმებს სამართალდამცავ სტრუქტურებსა და სამინისტროებში. კერძოდ, მოხდა მთელი რიგი სამინისტროების გაერთიანება, "ძველი" კადრების მასიურად დათხოვნა და შემდგომში კონკურსების გზით მათი ჩანაცვლება ახლებით. არსებული კადრების დათხოვნით დაიწყო და წარმატებით განხორციელდა პოლიციის რეფორმაც.

ყოველგვარი გადაჭარბებისა და დამატებითი მტკიცებულებების გარეშე შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ თავისუფლებაზე ორიენტირებული საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა ნებისმიერ არაინოვაციურ ქვეყანაში, მ.შ. საქართველოშიც უმუშევრობის დონის შემცირების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. **აბესაძე რ., ბურდული ვ.** ინოვაციური განვითარების გზები გლობალიზაციის პირობებში. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. 1, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008.
2. **ნათელაური ი.** საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეფასება). საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: „ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე“. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.

3. ნათელაური ი., თაფლაძე თ. საქართველოს ექსპორტი და ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ.1, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008.

*Natelauri Iza  
Tapladze Tamar*

**THE COMPETITIVENESS RISE OF GEORGIA AS AN  
ONE OF THIS FACTOR OF UNEMPLOYMENT  
LEVEL DECREASE**

**SUMMARY**

There is evaluated an unemployment level of post-communist Georgia according to the requirements of the increase of the country's international competitiveness.

*ზურაბ რევიშვილი*  
**სოფლად სიღარიბის კვლევის საკითხისათვის**

ფილიპე გოგიჩაიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ “ერი ვერ განვითარდება და ვერ აღორძინდება, თუ უდიდესი ნაწილი ამ ერისა მუდამ სიღარიბეში იღრჩობა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მხრივ თავისთვის აღამიანური ცხოვრება ვერ შეუქმნია... მისი ინტერესების უარყოფა მთელი ერის უარყოფასა და განწირვას ნიშნავს” [1, გვ. 29-30].

საქართველოსათვის, ისევე, როგორც მრავალი განვითარებადი თუ განვითარებული ქვეყნებისათვის, სიღარიბის დაძლევა რჩება ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად. სიღარიბის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხების კვლევის მიმართულებით ქვეყანაში დაგროვდა გარკვეული გამოცდილება, თუმცა, სამწუხაროდ, სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა სოფ-

ლად სიღარიბისა და სიღატაკის რეალური მდგომარეობის, სასოფლო შინამეურნეობების სიღარიბის პრობლემის კვლევებს; ჯეროვნად არ არის შესწავლილი სოფლად სიღარიბის დადგენის რიგი მეთოდოლოგიური საკითხები, გამომწვევი მიზეზები და დაძლევის სტრატეგიული გზები და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო შინამეურნეობების ხელშემწყობი სამთავრობო პოლიტიკა არ იყო თანმიმდევრული, ის, არცთუ იშვიათად, უფრო პოპულისტური დატვირთვის მქონე ღონისძიებებს ემყარებოდა. სოფლების მცირე ნაწილისათვის ტრაქტორის გადაცემა, სასუქისა თუ დიზელის საწვავის მცირე პარტიების ჩუქება, ბუნებრივია, ვერ მოახდენდა სასოფლო შინამეურნეობების და მთლიანად სოფლის სიღარიბის მნიშვნელოვან შემცირებას.

საქართველოში სოფლად მთელი მოსახლეობის 47%-ზე მეტი ცხოვრობს (2009), აქ საქმიანობს დაახლოებით 795 ათასი ოჯახური შინამეურნეობა და 1000-მდე სასოფლო-სამეურნეო საწარმო. 2004 წლის მონაცემებით, სიღარიბის დონე ქალაქის მოსახლეობაში შეადგენდა 50,3%-ს, ხოლო სოფლად – 53,7%-ს. 2008 წელს სოფლად მედიანური მოხმარების 60%-ზე დაბალი მოხმარება ჰქონდა შინამეურნეობების 26,2%, ხოლო 40%-ზე დაბალი ჰქონდა 11,9%; ამავე დროს, ქალაქის შესაბამისი მაჩვენებლები შეადგენდა – 18 და 7%-ს [2, გვ. 17; 3, გვ. 17; 4, გვ. 17; 5, გვ. 13,17,57,58].

არსებითი განსხვავებანი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის (შინამეურნეობების) მთლიან შემოსავლებსა და მოხმარების დონეებს, მათ სტრუქტურებს შორის, განაპირობებს, ქალაქთან შედარებით სოფლად სიღარიბის უფრო მაღალ დონეს, ასევე სიღარიბის მეტ სიღრმესა და სიღარიბის მეტ სიმწვავეს.

სასოფლო შინამეურნეობების მწარმოებელი რესურსები დამოკიდებულია მათ ზომებზე, მათ მიერ გამოყენებული სავარგულების ოდენობასა და სტრუქტურაზე, პირუტყვის რაოდენობაზე, საჭირო ტექნიკის ფლობასა თუ მისი სარგებლობის შესაძლებლობაზე, მისი წევრების ფინანსურ მდგომარეობაზე, მეურნეობის გაძღოლის სათანადო ცოდნასა და გამოცდი-



ლებაზე. შინამეურნეობები განსხვავდებიან არა მხოლოდ მათ სარგებლობაში მყოფი მიწის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, არამედ მისი წევრების სასოფლო-სამეურნეო თუ არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართულობით, თავიანთი დროისა და ცოდნის გამოყენების შესაძლებლობებით, შემოსავლების სიდიდისა და სტრუქტურის მიხედვით.

სოფლად სიღარიბის მნიშვნელოვან მიზეზს მცირემიწიანი შინამეურნეობების მაღალი ხვედრითი წონა წარმოადგენს. 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო მიწების მქონე შინამეურნეობების 43,2%-ს ჰქონდა 0,5 ჰა-ზე ნაკლები; 0,5-0,99 ჰა მიწა ჰქონდა მეურნეობების 32%-ს, ე.ი. 1 ჰა-ზე ნაკლები ჰქონდა მეურნეობების 75,2%-ს; 1-1,99 ჰა-მდე ჰქონდა მხოლოდ მეურნეობების 18,3%-ს; 2-2,99 ჰა – 3%-ს და 3-4 ჰა ჰქონდა შინამეურნეობების 1,4%-ს. ამასთან, მეურნეობების მცირე ზომის ფართობები დანაწევრებულია, ნაკვეთები გაბნეულია და მნიშვნელოვნადაა ერთმანეთს დაცილებული. აღწერის მონაცემებით, ერთნაკვეთიანი მეურნეობები შეადგენდა მთელი მეურნეობების 33,9%-ს, 2-3 ნაკვეთიანი იყო მეურნეობათა 48,8%; 4-5 ნაკვეთიანი მეურნეობა იყო 13% მეურნეობებისა და 6-9 ნაკვეთიანი იყო 3,9% მეურნეობებისა [6, გვ. 51-54,87]. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სასოფლო სამეურნეო აღწერების, სავარგულების განაწილების, შინამეურნეობათა ზომების დადგენის, ნაკვეთების ფრაგმენტიზაციის ცვლილებების, სათანადო სისტემატური სტატისტიკური კვლევების განხორციელების გაგრძელება, რაც უნდა დაედოს საფუძვლად სოფლად სიღარიბის დაძლევისა და სათანადო აგრარული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას.

ცალკეულ დეცილურ ჯგუფებში, გარკვეული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, საქართველოს სასოფლო შინამეურნეობებში, ქალაქის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით, სიღარიბისა და სიღატაკის უარესი მდგომარეობაა. ღარიბი, უპირატესად მცირე და საშუალო ზომის შინამეურნეობები, მნიშვნელოვანწილად არიან ორიენტირებულები საკუთარ საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე, მთლიანად წარმო-

ებულ პროდუქციაში მეტად მცირე ადგილი უკავია ბაზარზე ორიენტირებულ პროდუქციას, შედეგად მათ აქვთ მეტად მცირე ფულადი შემოსავლები, მათ პრაქტიკულად არ აქვთ კრედიტის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა თუ ახალი ტექნოლოგიის დანერგვის საშუალება.

თეორიაში განიხილავენ შემოსავლების დიფერენციაციის ოპტიმალურ და ზღვრულ დონეებს, გამოყოფენ ოთხ მოდელს: ზეპოლარულს, ზომიერად პოლარულს, ზომიერსა და ეგალიტარულს (არასაბაზროს). ზეპოლარული მოდელისათვის დამახასიათებელია შემოსავლების დიფერენციაციის ისეთი დონე, როდესაც უკიდურესად დეცილურ ჯგუფებს შორის განსხვავება შეადგენს 20-30 : 1-თან [7, გვ. 75]. საქარველოს შინამეურნეობების დეცილურ ჯგუფებში შესავლების მიხედვით განაწილების 2008 წლის მონაცემებით, განსხვავება უკიდურესი დეცილური ჯგუფების შემოსავლებში შეადგენდა 27:1-თან [5, გვ. 63], რაც აშკარად გვიჩვენებს ზეპოლარული მოდელის არსებობას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2004 წელს შეიცვალა სიღარიბის ზღვრის გაანგარიშების მეთოდია, კერძოდ, შეიცვალა საარსებო მინიმუმის კალათაში გასათვალისწინებელი პროდუქტების შემადგენლობა, შემცირდა შრომისუნარიანი მამაკაცისათვის საშუალო დღიური კალორიულობის რეკომენდებული მაჩვენებელი (2700-დან 2300 კკალორიამდე), გასაშუალოებულ ფასებზე გადაანგარიშებითა და შევაჭრების კოეფიციენტზე (0,865) გამრავლებით ასევე მცირდება სასურსათო კალათის საბოლოო ღირებულება, რის შედეგად სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად კლებულობს. შემდგომ (2006), შეიცვალა სიღარიბის დონის განსაზღვრის კრიტერიუმიც, კერძოდ, სიღარიბის აბსოლუტური და შეფარდებითი ზღვრების დადგენის საარსებო მინიმუმის მაჩვენებელს ჩაენაცვლა მედიანური მოხმარების მაჩვენებელი. სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მიერ განხორციელებული სიღარიბის დონის გაანგარიშების რიგი მეთოდოლოგიური ცვლილებანი და სიღარიბის აბსოლუტური და შეფარდებითი ზღვრების დადგენის კრიტერიუმის ცვლილება, ასევე საარსებო მინიმუმის

მაჩვენებელის ჩანაცვლება მედიანური მოხმარების მაჩვენებლით, გარკვეულად ართულებს სიღარიბის დონის, სიღრმისა და სიმწვავის მაჩვენებლების შესადარისობას, არ იძლევა დინამიკაში ცვლილებების სწორი ანალიზის შესაძლებლობას.

2003 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო “ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა”. ამ პროგრამის შექმნა, ქვეყნის განვითარების პოლიტიკური და მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, უდავოდ მნიშვნელოვანი იყო, თუმცა, ვფიქრობთ, იგი სათანადოდ არ მოიცავდა სასოფლო შინამეურნეობების, მთლიანად სოფლის სიღარიბის საკითხებს, მასში არ იყო სათანადოდ განხილული აგრარული სექტორის განვითარების რეალისტური გზები და მათი მნიშვნელობა სოფლის მოსახლეობის სიღარიბის დაძლევაში. იმისათვის, რომ საქართველოში სოფლად სიღარიბე სასოფლო შინამეურნეობების განვითარების გზით შემცირდეს, აუცილებელია ღონისძიებათა დაგეგმვისას სრულად იყოს გათვალისწინებული ღარიბ და ღატაკ შინამეურნეობათა პრობლემები და მათი მდგრადი განვითარების შესაძლებლობები.

სასოფლო შინამეურნეობების სიღარიბის შემცირება ძირითადად უნდა მიიღწეოდეს მათი ეკონომიკური განვითარების, შინამეურნეობების პროდუქტიულობის, სასაქონლო წარმოების გადიდების, ოჯახურ შინამეურნეობებში რეალურად თვითდასაქმებულთა მატების და მათი წევრების სხვა სფეროებში დამატებით დასაქმების შესაძლებლობების გაფართოებით. მეტად ღარიბ და ღატაკ შინამეურნეობათა შემოსავლები უნდა იზრდებოდეს უფრო სწრაფად, ვიდრე საშუალო შემოსავლები, რაც მიიღწევა მცირე და საშუალო ზომის შინამეურნეობების განვითარების გზით.

სასოფლო შინამეურნეობათა განვითარებისა და სოფლად სიღარიბის დაძლევის უმთავრესი გზებია: სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, წარმოების სპეციალიზაცია და ოპტიმალური კონცენტრაცია. ეკონომიკურად გამართლებული კონცენტრაცია ქმნის წარმოების სპეციალიზაციის პირობებს, ხოლო, თავის მხრივ, მეურნეობების სპეციალიზაცია ხელს

უწყობს მათი ოპტიმალურად კონცენტრაციის, წარმოების მასშტაბების ზრდის პროცესს. შინამეურნეობათა ოპტიმალური ზომები უნდა განაპირობებდეს მიწის, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და სამუშაო ძალის რაციონალურ გამოყენებას.

სახელმწიფო პოლიტიკამ, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ეფექტური კულტურების და ჯიშების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და გავრცელებას, შინამეურნეობათა მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გადიდებას, მეორე მხრივ, მან უნდა ასტიმულიროს შინამეურნეობების გაერთიანება, სხვადასხვაგვარი მწარმოებელი, მომმარაგებელი თუ გამსაღებელი კოოპერატივების, გაერთიანებების წარმოქმნა და განვითარება, ხოლო მესამე მხრივ – სათანადო პროექტებითა და კრედიტებით, სოფლად უნდა განავითაროს სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით მომსახურების განმახორციელებელი ცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ შინამეურნეობების სათანადო მომსახურებას.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. **გოგიჩაიშვილი ფ.** ხელოსნობა საქართველოში. თბილისი, თსუ, 1976.
2. **საქართველოს სოფლის მეურნეობა**, სტატისტიკური კრებული 2007, სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი, 2008.
3. **საქართველოს სოფლის მეურნეობა**. სტატისტიკური პუბლიკაცია 2008, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009.
4. **საქართველოს სოფლის მეურნეობა**. სტატისტიკური პუბლიკაცია 2009, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2010.
5. **საქართველოს შინამეურნეობები**, სტატისტიკური პუბლიკაცია 2008, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009.
6. **საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა**. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2005.

7. **ასათიანი რ.** “ახალი სოციალური საკითხი და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა”, საქართველოს ეკონომიკური აკადემიის შრომები, ტ. II, თბილისი, “სიახლე”, 2001.
8. **პაპავა ვლ.** სიღარიბის შემცირება კერძო სექტორის განვითარების გზით: ქართული სინამდვილე და პერსპექტივები, შრომები – 7, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, “სიახლე”, თბილისი, 2009.

*Revishvili Zurab*

**ON THE ISSUE OF RESEARCH OF  
RURAL POVERTY**

**SUMMARY**

The article focuses attention on the importance of research of some methodological issues of rural poverty. It analyzes the causes of the rural poverty of Georgia and the ways how to overcome it.

*ნანა ბიბილაშვილი*

**დასაქმების სახელმწიფო რეგულირების ძირითადი  
მიმართულებები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში**

პოსტკომუნისტური ქვეყნების, და, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასაქმებისა და შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირების საკითხების შესწავლას. ეს უკანასკნელი წარმოადგენს პოსტკომუნისტური ქვეყნის, კერძოდ, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სფეროს ფუნქციონირების ნორმალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს.

ამ ქვეყნების მოსახლეობის დასაქმების სფეროებში ბოლო ათწლეულში შეიქმნა სრულიად ახალი სიტუაციები: შრომითი რესურსების თავისუფალი წესით დაქირავებისა და დათხოვნის საფუძველზე ხდება დასაქმების ახალი მოდელების ფორმირება; შრომითი რესურსების გამოყენების სფეროში ვითარდება საბაზრო ურთიერთობები; ადგილი აქვს უმუშევრობის დონის ზრდის ტენდენციას; არსებითად იზრდება მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების დიფერენციაცია და სხვა [5,6,7,8].

ამგვარად, ბუნებრივია, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესებმა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში გამოიწვია დასაქმების ტრანსფორმაცია და შექმნა პრინციპულად ახალი სიტუაციები მათი შრომის ბაზრების ფორმირების სფეროებში. ამ ქვეყნებში, ამჟამად არსებული მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში, განჩნდა შრომის სიჭარბე და სხვადასხვა სახეობის უმუშევრობა.

აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმებმა გამოიწვია შრომითი რესურსების სტიქიური გადანაწილება, რომლისთვისაც ძირითადად დამახასიათებელია თვითდასაქმებულების, ფორმალურად ან კომერციულ სექტორში დასაქმებულებისა და უმუშევრების ოდენობის გაზრდა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის მუდმივ შემცირებასთან ერთად.

ცვლილებები (გადანაწილებითი პროცესები დარგობრივ, პროფესიულ-კვალიფიციური დასაქმების სტრუქტურაში, დასაქმების ახალი ფორმების შემოღება, უმუშევრობის დონის ზრდა და სხვა), რომლებიც დღეისათვის მიმდინარეობს ზემოთ ნახსენები ქვეყნების დასაქმების სფეროებში, ხასიათდება არაერთგვაროვნებით, დიდი სირთულითა და წინააღმდეგობებით. ამიტომ, ბუნებრივია, წარმოიქმნა შრომის ბაზრისა და დასაქმების პროცესთა რეგულირების საკითხებისადმი დიფერენცირებული მიდგომის და მათი რეგულირებისათვის საჭირო უფრო ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების შემუშავების აუცილებლობა.

ცნობილია, რომ სახელმწიფო პოლიტიკისადმი კონკრეტული მიდგომის განსაზღვრა დასაქმების სფეროში ითვალისწინებს შრომის ბაზარზე თავმოყრილი ტენდენციების კვლევას, მათი ფორმირების მიზეზთა ანალიზს, აგრეთვე, ძალზე მწვავე და დამანგრეველი უმუშევრობის ფორმების გამოვლენას [7,8,5].

პოსტკომუნისტურ სივრცეში მყოფი ქვეყნების შრომის ბაზრებზე ამჟამად შექმნილ ტენდენციებს ახასიათებს იმ პირთა (აღამიანთა) რიცხოვნობის მნიშვნელოვანი ზრდა, რომლებსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ გააჩნიათ სამუშაო. ეს კი, ბუნებრივია, იწვევს ამგვარი კატეგორიის უმუშევრების ხვედრითი წილის გაზრდას უმუშევრების საერთო რაოდენობაში.

ასეთი ტენდენციის შექმნის ძირითად საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური, დემოგრაფიული და სოციალური ფაქტორების ურთიერთზემოქმედების პროცესები. სწორედ ისინი განსაზღვრავენ შესასწავლი ქვეყნების უმუშევართა სტრუქტურას.

ტურაში ამჟამად განხორციელებად ნეგატიურ ძვრებს, რომლებიც, როგორც წესი, მიმართულია სოციალურად დაუცველი ჯგუფებისაკენ.

აღნიშნული კატეგორიის იძულებით დაუსაქმებლების რაოდენობის ზრდას, როგორც წესი, თან ახლავს რა მათი შრომის პროცესში ხელახალი ჩართვისათვის საჭირო უნარისა და კვალიფიკაციის დაქვეითება, ბუნებრივია, დიდია ასეთ პირობებში სამუშაოს ძებნის საშუალო დროის გაზრდის ალბათობა. ეს, რა თქმა უნდა, იწვევს ნეგატიურ შედეგებს როგორც სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დაქვეითების, ასევე პიროვნების განვითარების საერთო მიმართულებით. აღნიშნულიდან ცხადია, რომ ამჟამად, პოსტკომუნისტური ქვეყნების სინამდვილეში წარმოიქმნა დასაქმების პოლიტიკის უმუშევრობის მუდმივად ცვლად სტრუქტურასთან შეგუების აუცილებლობა.

ასეთ სიტუაციებში, იმისათვის, რომ მოხდეს პირობების გაუმჯობესება შრომის ბაზარზე და საზოგადოების ყველაზე დაუცველი ფენების გადარჩენა, ჩვენი აზრით, აუცილებელია, განხორციელდეს სახელმწიფოს მიზანმიმართული ჩარევა დასაქმებისა და შრომის ბაზრის სფეროებში.

ამ ქვეყნების დასაქმების სფეროების სახელმწიფო რეგულირებისათვის საჭირო ძირითადი ღონისძიებები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად: 1. მათი გამოყენების შედეგად მოსალოდნელი დროითი ეფექტების შინაარსის მიხედვით – მოკლე, საშუალო და ხანგრძლივვადიანი ღონისძიებები; 2. შრომის ბაზრის პროცესებზე ზემოქმედების მიხედვით – პირდაპირი და ირიბი (ანუ არაპირდაპირი) ღონისძიებები; 3. შრომის ბაზრის გარკვეულ მხარეებზე ზემოქმედების მიხედვით – შრომითი რესურსების მიწოდების, შრომით რესურსებზე მოთხოვნისა და ხელფასის რეგულირებისათვის საჭირო ღონისძიებები; 4. დონეების მიხედვით – მიკრო და მაკროდონეების მარეგულირებელი ღონისძიებები.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ ჩამოთვლილ ჯგუფებში შემავალი ღონისძიებების ერთი ნაწილი დასარეგულირებელი ობიექტზე ახდენს პირდაპირ, ხოლო მეორე – კი არაპირდაპირ ზეგავლენას.



**პირდაპირი ზეგავლენის ღონისძიებებს** მიეკუთვნება სამუშაო ადგილების შექმნის, განათლების სფეროს, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები, ცვლილებები შრომის კანონმდებლობაში, რეგიონული პოლიტიკის სფეროში ჩატარებული ღონისძიებები და სხვა.

**ირიბი ზეგავლენის ღონისძიებებს** მიეკუთვნება ფულად-საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკა, მეწარმეების სუბსიდირება, სამუშაოზე მოწყობილი უმუშევრების წარმოებრივი მომზადება-გადამზადებისა და სხვა ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებები.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, თანამედროვე პირობებში, მოსახლეობის დასაქმების სახელმწიფო რეგულირების სისტემის შემუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დასაქმების პროცესებსა და შრომის ბაზარზე არსებულ სიტუაციაზე არა მარტო პირდაპირი, არამედ ირიბი ეკონომიკური ზეგავლენის ღონისძიებების გათვალისწინებას. ეს გამოწვეულია იმგვარი ფორმებისა და მეთოდების კომპლექსური და პრიორიტეტული გამოყენების აუცილებლობით, რომლებიც, დღევანდელ პირობებში, იძლევა საჭირო შედეგის მიღების საშუალებას. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ რაც უფრო ოპერატიულ და ხანმოკლე ხასიათს ატარებს დასაქმების ესა თუ ის პრობლემა, მით უფრო დიდია მათი პირდაპირი ზეგავლენის ღონისძიებებით მოგვარების ალბათობა.

მაშასადამე, პოსტკომუნისტური ქვეყნების განვითარების დღევანდელ პირობებში აუცილებელია, რომ მათი შრომის ბაზრებისა და მოსახლეობის დასაქმების სახელმწიფო რეგულირების სისტემები შეესაბამებოდეს საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებს და საკმაოდ ეფექტიანად ფუნქციონირებდეს ფედერალურ, დარგობრივ და რეგიონულ დონეებზე. ამ სისტემებმა უნდა უზრუნველყოს როგორც ხანმოკლე პერიოდის ამსახველი ამოცანების, ასევე საშუალო და გრძელვადიანი დროითი ფაქტორების ამსახველი პრობლემების გადაჭრა.

პოსტკომუნისტური ქვეყნების, კერძოდ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე [1], **დასაქმების რეგულირების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს** უნდა წარმოადგენდეს:

- დასაქმების განვითარებისა და გაფართოებისათვის საჭირო პირობების შექმნა ეკონომიკის ალტერნატიულ და არასახელმწიფოებრივ სექტორებში;

- სახელმწიფო სექტორის დასაქმების დონის ვარირება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და მისი სტრუქტურული გარდაქმნის ფაქტორებისა და ამოცანების შესაბამისად;

- მუშაკთა გამოთავისუფლების პროცესთა მართვა, საწარმოების ლიკვიდაციის, სანაციისა და რეორგანიზაციის, აგრეთვე სამუშაოდან დათხოვნილთა სოციალური დაცვის დონისძიებების ურთიერთშერწყმის გზით;

- კადრების პროფესიული მომზადების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საბაზრო ურთიერთობებთან და გაითვალისწინებს პოსტკომუნისტური ეკონომიკის სპეციფიკას;

- შრომისუნარიანი მოსახლეობის პროფესიული მობილურობის უზრუნველყოფა, უმუშევარ მოქალაქეთა და დაუსაქმებელი მოსახლეობის პროფესიული მომზადების მასშტაბების გაფართოებისა და ეფექტიანობის ამაღლების, აგრეთვე სამუშაოდან გამოთავისუფლებული მუშაკების წინმსწრები მომზადებისა და გადამზადების პროცესთა ორგანიზაციისა და განხორციელების გზით;

- უმუშევართა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა სახელმწიფოს განვითარების ყოველ ეტაპზე მიღებული გარანტიებისა და ნორმატივების შესაბამისად.

დღეისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დასაქმების ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნის, მისი რეგულირებისათვის საჭირო მეთოდებისა და საშუალებების შერჩევის, სახელმწიფო და კერძო ინიციატივების თანაფარდობის, აგრეთვე ამ დარგის ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პრობლემები.

აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზრის მართვა (როგორც დასაქმებაზე მოქმედი ღონისძიებების ორგანიზებული სისტემა) უნდა წარმოადგენდეს საქართველოში მიმდინარე რადიკალური ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას.

დღევანდელ პირობებში აუცილებელია, საქართველოში შემუშავდეს ისეთ გადაუდებელ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხელს შეუწყობს სიტუაციის შეცვლას შრომის ბაზარზე. ამ დროს, ძირითად პრინციპს უნდა წარმოადგენდეს სიმძიმის ცენტრის გადატანა პასიურიდან (მაგალითად, უმუშევართა დახმარებების გაცემა) უფრო აქტიურ ღონისძიებებზე, რომლებიც შექმნის უმუშევრობის წარმოშობისა და მისი მასიური გავრცელების ხელის შემშლელ პირობებს. შრომის ბაზარზე პირდაპირი ზემოქმედების აქტიურ საშუალებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უნდა მიეკუთვნოს კადრების პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებას. ცნობილია, რომ ეს ღონისძიება, წარმოების დაცემისა და დასაქმების დონის შემცირების პირობებში, ხელს უწყობს კონიუნქტურის გამოთანაბრებას შრომის ბაზარზე დასაქმების მოცულობის შეცვლისა და შრომის რესურსებზე მიწოდებისა და მოთხოვნის მაჩვენებელთა ურთიერთშესაბამისობაში მოყვანის გზით. მაშასადამე, გამოდის, რომ აღნიშნული ღონისძიება ამავე დროს წარმოადგენს ციკლურ და სტრუქტურულ უმუშევრობასთან ბრძოლის საშუალებას.

კადრების მომზადების მარეგულირებელი როლის არსი ძირითადად მდგომარეობს იმაში, რომ რიგ დარგებში, არსებული წარმოების დაცემის პირობებში, როცა ბაზარზე შეიმჩნევა შეზღუდული მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, სახელმწიფოს, შრომითი რესურსების ოდენობის, მათი პროფესიული მომზადებისა და დასაქმების დონის ვარირების გზით შეუძლია შეამციროს სამუშაო ძალის რეზერვის სიდიდე და ამით შეასუსტოს დაუსაქმებელთა დაწოლა შრომის ბაზარზე (კერძოდ, იგი ამას ახერხებს კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების განშტოებული სისტემის შექმნის,

მოსახლეობის პროფესიული მომზადების მასშტაბების გაფართოების, მომზადების ვადების გადიდების და ა.შ. გზით). დასაქმების სფეროს სახელმწიფო რეგულირების ამგვარმა ფორმამ, როგორც შრომის ბაზრის სფეროში გატარებული აქტიური პოლიტიკის ერთ-ერთმა მეტად ეფექტურმა ღონისძიებამ, ყველაზე უფრო მეტი გავრცელება პოვა შვედეთში. ამ ფორმის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის აერთიანებს ანტიციკლურ მიმართულებას და ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის მასტიმულირებელ საშუალებებს.

ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ საქართველოში კადრების პროფესიული მომზადების ამჟამად მოქმედი სისტემა ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და იგი ძირეულ სრულყოფას საჭიროებს.

დასაქმების პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს სამუშაო ადგილების შექმნა, რომელიც მოითხოვს ეკონომიკის მნიშვნელოვან გამოცოცხლებას. ამ მიმართულებით სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის მოსახლეობის თვითდასაქმებისათვის საჭირო გარემოს შექმნას. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნას. დასაქმების პოლიტიკის ამ ასპექტის მნიშვნელობა არა მარტო იმით განისაზღვრება, რომ იგი მეწარმეს აძლევს საშუალებას, იქონიოს და ორგანიზება გაუკეთოს თავის საქმეს, არამედ იმითაც, რომ ამ გზით, მეწარმის გარდა, სხვებისთვისაც იქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

დასაქმების სფეროს სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს დროებითი დასაქმების სისტემის შექმნა, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს შრომის ბაზარზე არსებულ დაძაბულობას. დროებითი დასაქმების სისტემის შექმნის ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია ეგრეთ წოდებული საზოგადოებრივი სამუშაოების მოცულობების ზრდა. საზოგადოებრივი სამუშაოების სიმრავლიდან გამოყოფენ ორ ძირითად ტიპს: ა) შრომატევად საზოგადოებრივ სამუშაოებს (რომლებიც ძირითადად ორიენტირებულია გზების, საცხოვრებელი სახლების, ირიგაციული მოწყობილო-

ბების მშენებლობასა და რემონტზე); ბ) სოციალური ხასიათის მქონე სამუშაოები (რომელთა დაფინანსება ხდება მუნიციპალური ხელისუფლების მიერ და წარმოადგენს მოხუცებისა და ინვალიდების მომსახურებას, ბავშვების მოვლას, ავადმყოფების დახმარებას, მომსახურებას და ა. შ.).

საზოგადოებრივი სამუშაოების საქართველოში ჩატარების პრაქტიკა აჩვენებს, რომ ისინი, როგორც წესი, გამოიყენება არაკვალიფიციური შრომის სფეროში (ისეთი სამუშაოების ჩასატარებლად, როგორიცაა: გზების რემონტი, ქალაქების კეთილმოწყობა, ზოგიერთი სამშენებლო სამუშაო). ეს კი აძნელებს ქალების ჩართვას საზოგადოებრივი ხასიათის სამუშაოების შესრულების პროცესში. მით უფრო, რომ მათი უმეტესი ნაწილი უმაღლესი განათლებითაა. ამიტომ, მომავალში საჭიროა ამგვარი სამუშაოების კომპლექსურობის გაზრდა.

სამუშაო ძალის მოძრაობის რეგულირება თანამედროვე პირობებში შეუძლებელი უნდა იყოს მის პროფესიულ, სოციალურ და ტერიტორიულ მობილურობასთან. ამ მხრივ, საქართველოში შესაქმნელია სპეციალური მობილური სისტემები სათანადოდ მასტიმულირებელი ბერკეტებით.

დასაქმების თანამედროვე პოლიტიკას აუცილებლად უნდა გააჩნდეს ისეთი დიფერენციული ნაწილები, რომლებიც ითვალისწინებს მოსახლეობის ცალკეული ფენებისა და კატეგორიებისკენ მიმართულ დასაქმების რეგულირების ღონისძიებებს. სწორედ ამგვარი მიდგომაა საჭირო ჩვენი ქვეყნის დასაქმების სფეროს რეგულირებისადმი, რადგან იგი კარგ შედეგებს იძლევა.

ასე გვესახება ჩვენი ქვეყნის დასაქმებისა და შრომის ბაზრის სფეროების რეგულირების აქტიური სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები უახლოეს პერსპექტივაში. რაც მთავარია, ამ პოლიტიკის განვითარება და პრაქტიკული რეალიზაცია შეუძლებელია მხოლოდ დასაქმების სახელმწიფო სამსახურების ძალებით. ისინი შრომის ბაზარზე ისეთი მთავარი მოქმედი მხარეების სამმხრივი თანამშრომლობის საფუძ-

ველზე უნდა განხორციელდეს, როგორცაა: სახელმწიფო ხელისუფლება, მეწარმეთა გაერთიანებები და თავად მუშაკები.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, და მათ შორის საქართველოში, დიდი პერსპექტივა გააჩნია დასაქმებისა და შრომის ბაზრის სფეროების სახელმწიფო რეგულირების აქტიურ პოლიტიკას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ რაც უფრო მალე მოხდება ჩვენს ქვეყანაში დასაქმების სფეროს მართვის გააქტიურება სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების გზით, მით უფრო მეტი იქნება ამჟამად არსებული მასიური უმუშევრობის შესამჩნევად აღმოფხვრის ალბათობა.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. **ბიბილაშვილი ნ.** შრომის ბაზრის რეგულირების ზოგადი ასპექტები პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. წიგნში: "პოსტსაბჭოური ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები საქართველოს მაგალითზე". თბილისი, "მეცნიერება", 2002.
2. **გრიშკაშვილი ა.** გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები. პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი, "საქართველოს ეროვნული ბანკის გამომცემლობა", 1998.
3. **ვახანია ვ., კვარაცხელია დ.** შრომის ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების ღონისძიებათა სისტემა. ჟ. "სოციალური ეკონომიკა", №1, 2000.
4. **კვიციანი მ.** დასაქმების რეგულირების სრულყოფის ღონისძიებები. ჟ. "სოციალური ეკონომიკა", №2, 1999.
5. **Макроэкономика.** Москва, "НОВОЕ ЗНАНИЕ", 2002 (под ред. Плотницкого М.И.).
6. **Орешин В. П.** Государственное регулирование национальной экономики. Москва, "ИНФРА-М", 2001.
7. **Рошин С. Ю., Разумова Т. О.** Экономика труда. Москва, "ИНФРА-М", 2001.
8. **Рынок труда.** Москва, "ЭКЗАМЕН", 2000 (под общей ред. Буланова В.Ц., Волгина Н.А.).

*Bibilashvili Nana*

**MAIN TRENDS OF STATE REGULATION OF EMPLOYMENT  
IN POSTCOMMUNIST COUNTRIES**

**S U M M A R Y**

At modern stage of the development of postcommunist countries and among them Georgia great attention is payed to the study of state ragulation problems of employment and labor market. The regulation is one of the key factors of functioning of a social-economic sphere in a postcommunist country, especially in Georgia.

According to the above mentioned the article is dedicated to the analysis of main aspects of state regulation of employment and labor market in these countries on the example of Georgia. It proofs the necessity of state regulation of employment and labor market of given countries, defines the limits of such regulation, main trends, the ways and mechanizms of its carrying out, proposes some measures to improve the employment system existing in Georgia etc. It draws a conclusion about the fact that the development and realization of active state policy of regulation of employment and labor market sphere is impossible only by means of state services. This should be done on the basis of tripartite cooperation of main active parts on labor market, such as state authority, entrepreneurs unions and workers themselves.

*თეა ლაზარაშვილი*

**სახელმწიფო სექტორის როლი და მნიშვნელობა  
ბარდამაპალი ეკონომიკის ძვანებაში**

დღესათვის სახელმწიფო სექტორის ფუნქციონირების პრობლემებისა და მისი მართვის მეთოდების შესახებ სამეც-

ნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ბევრი ნაშრომი არსებობს. ძირითადი ლეიტმოტივი, რაც ამ ნაშრომებში იკითხება, არის შემდეგი: პოსტსაბჭოთა სივრცეში უკანასკნელი 2-2,5 ათეული წლის განმავლობაში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების მიზნით ჩატარებული რეფორმების მიმდინარეობამ ნათლად აჩვენა, რომ, თითქმის ყველგან, ერთნაირად უსწრაფესი ტემპებით გატარებული პრივატიზაციისა და სახელმწიფო სექტორის ხელაღებით რეფორმირების მცდარი სტრატეგია სრულიად არაეფექტურია. სამეურნეო გარდაქმნების არსებული გამოცდილება დამაჯერებლად მეტყველებს იმაზე, რომ ეკონომიკის ტოტალური კაპიტალიზაცია თავისთავად სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მდგარ არც ერთ პრობლემას არ წყვეტს. შეიძლება ითქვას, რომ საკუთრების ფორმაზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მისი მართვის კონკრეტული მექანიზმის შერჩევა; ასევე შეიძლება ითქვას, რომ დიდი მნიშვნელობა არ აქვს რამდენად დიდია ან პატარა სახელმწიფო სექტორი, აგრეთვე, თუ როგორია იგი და როგორ იმართება. დღეისათვის აბსოლუტურად ნათელია “ტოტალური” ბაზრის იდეის მცდარობა, რომელმაც პრაქტიკულად ვერც ერთ ქვეყანაში ვერ გაამართლა. ასევე მცდარია “ტოტალური” სახელმწიფოს იდეაც, როცა ყველაფერი იგეგმება და იმართება სახელმწიფოს მიერ და ბუნებრივი საბაზრო მექანიზმები იბლოკება. ამიტომაც, ახალ პირობებში ჩნდება სახელმწიფო რეგულირების უფრო მოქნილი, ამასთან, საკმაოდ ძლიერი სისტემის შექმნის აუცილებლობა, რომელიც დაეყრდნობა პრობლემისადმი ყოველმხრივ აწონ-დაწონილი მიდგომის და ე.წ. “ოქროს შუაღედის” პრინციპს.

სახელმწიფო სექტორისათვის უარყოფით მომენტს წარმოადგენს მონოპოლიზმის სხვადასხვა ფორმით გამოვლენა, რაც ხელს უშლის მის მოქნილობას. უცხოელი ეკონომისტების აზრით, ინდუსტრიულ ეპოქაში ჩამოყალიბებული უზარმაზარი ზეცენტრალიზებული სახელმწიფო სექტორი, რომელიც ხასიათდება რესურსების გაუაზრებელი ფლანგვით, ურთიერთობების ზედმეტი რეგულირებით, დამოკიდებულების იერარქიულობით, რეგულირების მოძველებული მეთოდებით, უკვე აღარ



პასუხობს დინამიური განვითარების, სწრაფი სტრუქტურული ცვლილებების, გლობალური კონკურენციის თანამედროვე მოთხოვნებს.

დღეისათვის სახელმწიფო სექტორი არსებობს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და ყველგან, სახელმწიფო სექტორის მიერ თავისი ობიექტების გასხვისება ხდება პრივატიზაციის გზით. ეს ჩვეულებრივი ამბავია. თუმცა უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება თვით პრივატიზაციის პროცესის ტემპებს, საპრივატიზაციო ობიექტების უშეცდომოდ შერჩევას და ა.შ. სახელმწიფო სექტორის ოპტიმალური სიდიდეც რთულად შესარჩევია. ერთი მხრივ, როდესაც დგება ეკონომიკის კრიზისი, სახელმწიფო სექტორი ბევრ ქვეყანაში “მაშველი რგოლის” როლში გამოდის, მეორე მხრივ, მისი უზომოდ გადიდება იწვევს მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას, რაც გამოიხატება ინფლაციის, გადასახადების ზრდაში და ა.შ.

მსოფლიო გამოცდილება გვკარნახობს, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელი პანაცეა არ არსებობს. ყველა განვითარებული ქვეყანა კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტულ გადაწყვეტილებას იღებს. პრაქტიკაში ეს გამოიხატება მარეგულირებელი ციკლის “პრივატიზაცია-ნაციონალიზაცია” ფორმირებაში. მაგალითისათვის შეიძლება ინგლისისა და საფრანგეთის გამოცდილების მოყვანა.

“პრივატიზაცია-ნაციონალიზაციის” ციკლის “ტალღისებური” განვითარება ნათლად ჩანს დიდი ბრიტანეთის მაგალითზე. მაგალითად, 1945 წელს მოხდა რიგი ძველი არაეფექტიანი და ზარალიანი სამრეწველო დარგების (ქვანახშირის, გაზის, ფოლადის წარმოების, ელექტროტექნიკური) ნაციონალიზაცია; 1951 წლიდან დაიწყო უკუპროცესი – ძველ მფლობელებს დაუბრუნდათ თავიანთი ქონების დიდი ნაწილი. 1964 წელს იგივე საწარმოები ხელმეორედ იქნა ნაციონალიზებული, რაც 1979 წლიდან ფართომასშტაბიანი დენაციონალიზაციის პროცესით შეიცვალა, რის შედეგად სახელმწიფო საწარმოების 2/3 გადავიდა კერძო მფლობელობაში.

სახელმწიფო სექტორის ზომების კორექტირება უნდა მოხდეს სახელმწიფო რეგულირების სისტემისადმი დიდი მოქნილობის მინიჭების გზით.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში, იმავე საფრანგეთსა და ინგლისში, სადაც სახელმწიფო სექტორის როლი ტრადიციულად მაღალია, ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული “სახელმწიფო საწარმოს” ან “სახელმწიფო სექტორის საწარმოს” საბოლოო განმარტება. ისტორიულად, სახელმწიფო საწარმოს პირველი საერთო განმარტება ჩამოყალიბდა სახელმწიფო საწარმოთა ევროპულმა ცენტრმა, რომელიც დაფუძნდა გასული საუკუნის 60-იან წლებში და ევროპული ეკონომიკური კავშირის ყველა სახელმწიფო საწარმოთა ასოციაციას წარმოადგენდა. ეს ცენტრი სახელმწიფო საწარმოს უწოდებს “ნებისმიერ საწარმოს, სადაც სახელმწიფო, სახელმწიფო ორგანოები ან დაწესებულებები, სხვა სახელმწიფო საწარმოები (ცალ-ცალკე ან ერთობლივად, პირდაპირ ან ირიბად) არიან კაპიტალის გარკვეული ნაწილის მფლობელები; ამ “გარკვეული ნაწილის” სიდიდე “კაპიტალის ნახევარზე ან მეტია, ანდა იმხელაა, რომ საშუალებას აძლევს სახელმწიფოს... ჰქონდეს ამ საწარმოზე რეალური ძალაუფლება”.

ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის კომისიის დირექტივით, რომელიც გამოქვეყნდა ჯერ კიდევ 1980 წელს, მიღებულია გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა მიხედვით ეკონომიკის სახელმწიფო სექტორს მიეკუთვნება ყველა ის საწარმო, რომელთა საქმიანობაში სახელმწიფოს მონაწილეობის წილი საშუალებას აძლევს მას, გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე და მოახდინოს გადაწყვეტი ზემოქმედება საწარმოს საერთო პოლიტიკაზე.

სხვადასხვა ქვეყნებში სახელმწიფოს მონაწილეობის რაოდენობრივი ნორმები არ არის უნიფიცირებული და საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. რიგ შემთხვევებში სახელმწიფო სექტორს მიაკუთვნებენ მხოლოდ იმ საწარმოებს, სადაც სახელმწიფოს წილი 50%-ზე მეტია. თუმცა, მაგალითად საფრანგეთში, სადაც ყოველწლიურად დგება “ნაციონალური სა-

წარმოების ნომენკლატურა”, მასში შედის საწარმოები სახელმწიფოს მონაწილეობის 30%-ზე მეტი წილით.

მსოფლიო გამოცდილება გეიხვენებს, რომ საზოგადოების არსებობისათვის საჭირო ფუნქციების რეალიზება მხოლოდ საბაზრო მექანიზმებით შეუძლებელია, ისინი აუცილებლად უნდა “გაზავდეს” სახელმწიფო ჩარევის სისტემით.

სახელმწიფო სახავს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს, უზრუნველყოფს რესურსების კონცენტრირებას ამ მიმართულებებით, გამოყოფს სუბსიდიებს, აძლევს შეღავათებს საწარმოებს, არეგულირებს საგარეო ურთიერთობებს, უზრუნველყოფს უწყვეტი კავშირის განხორციელებას პროდუქციის მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი პრინციპებია:

- ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფო ორგანოების მინიმალური ჩარევა;
- ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე.

სახელმწიფო სექტორში კონკურენციის გაძლიერების კარგ შესაძლებლობას ქმნის მისი ურთიერთობა საბაზრო სექტორთან ე.წ. “საკონტრაქტო” ურთიერთობების მეშვეობით. ეს პრაქტიკა ახალი არაა. ბოლო 20-30 წლის განმავლობაში იგი საკმაოდ მასშტაბური გახდა. კონტრაქტებში წინა პლანზე გამოდის მათი ეკონომიკური შინაარსი – მომსახურების ზომები და ანაზღაურების ფორმები, სანქციები დარღვევების შემთხვევაში და ა.შ. ურთიერთობათა სფერო სულ უფრო ფართოვდება სხვადასხვა რთული შინაარსის მომსახურებაზე სახელმწიფო სტრუქტურების მოთხოვნათა ზრდის ხარჯზე (იურიდიული, კონსალტინგური მომსახურება, აუდიტი და ა.შ.), რომლებიც ხორციელდება მაღალსპეციალიზებული და მაღალპროფესიული კერძო კომპანიების მიერ. კონტრაქტების სისტემაში აუცილებლად გაითვალისწინება საზოგადოებრივ სიკეთეთა მთელი სპექტრი, რომელთა მიწოდება მოსახლეობისთვის

სახელმწიფოს პასუხისმგებლობით ხდება. ადრე მათი განხორციელება სახელმწიფო სექტორის ფარგლებში კონცენტრირდებოდა. მასში შედის: საზოგადოებრივი ტრანსპორტი, საცხოვრებელი სახლების, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების, საინჟინრო ნაგებობების და კომუნიკაციების პროექტირება, მშენებლობა და მომსახურება, ქუჩების დასუფთავება, ნაგვის გატანა, საპოლიციო მომსახურება, ჯანდაცვა, განათლება, სოციალური პროგრამები.

ამგვარად, ადგილი აქვს საზოგადოებრივი მომსახურების ნაწილის დელეგირებას სახელმწიფო სექტორიდან კერძო და არაკომერციულ სექტორებში და ამით სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის შეზღუდვას მათ წარმოებაში. იგივე საკონტრაქტო ურთიერთობები ხორციელდება თვით სახელმწიფო სექტორის შიგნით: ერთი საწარმო მიმართავს სხვა საწარმოს დახმარებისათვის, რათა შეამციროს დანახარჯები და გაზარდოს ხარისხი, ანუ საბოლოოდ მაღალ კონკურენტუნარიანი გახდეს.

ნიშნდობლივია, რომ საბაზრო ტიპის მექანიზმი სულ უფრო ძლიერ იკიდებს ფეხს სახელმწიფო სექტორის ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორცაა: ჯანდაცვა, განათლება, სოციალური მომსახურება, კომუნალური მეურნეობა. ამ დარგებში, როგორც წესი, მომსახურების გაწევის უდიდესი წილი სახელმწიფოს ხელშია. მაგრამ ხშირად ამ დარგების დიდი მნიშვნელობისა და მასში ხარჯების სწრაფი ზრდის გამო სულ უფრო დიდ დატვირთვას იძენს ეფექტიანობის პრობლემა, რომლის გადაწყვეტა დარგში საბაზრო ურთიერთობების დანერგვის გზითაა შესაძლებელი. თუკი ბაზარზე არსებობს მსგავსი მომსახურების სხვადასხვა მიმწოდებელი, მომხმარებელი ირჩევს უფრო ხარისხიანს, იაფს, რაც თვით მომწოდებელს უბიძგებს სწორედ ამ კომპონენტების სრულყოფისაკენ, რათა წარმატება მოიპოვოს კონკურენციულ გარემოში.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება საკონტრაქტო ურთიერთობების დანერგვის ეფექტურობის ნათელი მაგალითია. მაგალითად, შვეციაში აღნიშნულ მეთოდზე გადასვლის შემდეგ დანახარჯები საგზაო მეურნეობის, წყალმომ-

რაგების შენახვაზე შემცირდა 10-13%-ით, ნაგვის გატანაზე – 25%-ით; დიდ ბრიტანეთში იგივე მანქანებელი უტოლდება 6%-ს; აშშ-ში ეს მანქანებელი ვარიანტს 20-დან 35%-მდე.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. **პავლიაშვილი ს.** სახელმწიფო საწარმოთა მართვის სრულყოფისათვის. ჟ. “ეკონომიკა და ბიზნესი”, №4, 2010, გვ. 129-136.
2. **პავლიაშვილი ს.** პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. თბილისი, 2009.
3. **თემურ ბასილია, ავთანდილ სილაგაძე, თამაზ ჩიკვაძე.** პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001.

*Lazarashvili Tea*

## **THE ROLE AND SIGNIFICANCE OF STATE SECTOR IN THE COUNTRIES WITH TRANSITION ECONOMY**

### **SUMMARY**

The article deals with the role and significance of state sector in development countries. There are analyzed the peculiarities of formation of state sector in transition countries, including Georgia.

There are discussed main principles of state regulation of economy and the aims and objects of state property.

*ზურაბ წერეთელი*

**მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების  
პრობლემები საქართველოში**

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობისათვის საჭირო გარემოს ჩამოყალიბებას, დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას, სოციალური უთანასწორობის მოწესრიგებას ან შერბილებას, თითოეული ოჯახისთვის საარსებო და საბრუნავი კაპიტალის გაჩენისა და გაფართოების გარანტიას, ეკონომიკურ ზრდას და ა.შ.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ზოგიერთ ქვეყანაში ეკონომიკური მდგრადობის გარანტადაც მიიჩნევენ.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის, საფრანგეთის, აშშ-ს და სხვა ქვეყნების დასაქმებულთა ნახევარზე მეტი მცირე ბიზნესს ასორციელებს.

მცირე ბიზნესს, ქვეყნის განვითარებაში მათი მნიშვნელოვანი როლის გამო, მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანაში ხელს უწყობს სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც სპეციალურად მცირე ბიზნესის განვითარებისთვის არის შექმნილი. რა თქმა უნდა, ხელშეწყობა არ ნიშნავს ცუდად მომუშავე საწარმოების დახმარებას. ის გულისხმობს იმ პრობლემების გადაჭრისათვის ზრუნვას, რომელიც საწარმოს მცირე შესაძლებლობების გამო წარმოუშვება და არათანაბარკონკურენტულ პირობებში აყენებს მსხვილ საწარმოსთან მიმართებაში.

მსოფლიო პრაქტიკამ ცხადყო, რომ მცირე ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ფინანსების უკმარისობა და მათი მოპოვების სირთულე წარმოადგენს. საწარმოს ზომისა და მეწარმის გამოუცდელობის გამო არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ მეწარმე დროულად შეძლებს კრედიტის დაფარვას. აღნიშნულმა და სხვა პრობლემებმა თვალნათელი გახადა, რომ მცირე ბიზნესი იდეალურად ლიბერალურ პირობებში ვერ განვითარდებოდა.

მცირე ბიზნესის დახმარების გადაწყვეტილება პირველად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო 1932 წელს ეკონომიკური კრიზისის დროს, მან შეიმუშავა სესხების გაცემის ფედერალური პროგრამა.

მსხვილ და მცირე ბიზნესს ერთმანეთისგან განასხვავებენ დასაქმებული პერსონალის რაოდენობით, საწესდებო კაპიტალის, აქტივების, ბრუნვის, გამოშვების, მოგების ან შემოსავლის ოდენობით. ევროკომისიის მიერ, მსოფლიო ბანკის კრიტერიუმებზე დაყრდნობით, შეიმუშავდა და 2005 წლიდან ამოქმედდა შემდეგი კლასიფიკაციები: 1. საშუალო საწარმოდი თვლება ის ორგანიზაცია, სადაც დასაქმებულთა ზღვარი 50-249 ადამიანს აღწევს და ბრუნვა 50 მლნ ევრომდე; 2. მცირე საწარმო – 10-49 დასაქმებული ადამიანი, ბრუნვა 10 მლნ

ევრომდე; მიკროსაწარმო – 10 კაცზე ნაკლები, ბრუნვა 2 მლნ ევრომდე.

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ნორმებს:

- მცირე საწარმოებისათვის – 20 დასაქმებულსა და 500 ათას ლარს;
- საშუალო საწარმოებისათვის – 100 დასაქმებულსა და 1500 ათას ლარს;
- მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 100 დასაქმებულსა და 1500 ათას ლარს.

საწარმთა წარმოდგენილი დიფერენცირების აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფომ ერთმანეთისგან განასხვავოს მცირე და მსხვილი წარმოება, რათა უზრუნველყოს ისეთი საგადასახადო სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 2010 წლის 1 სექტემბრისთვის სულ 325 ათასამდე სუბიექტია რეგისტრირებული, რომლის 25,5 პროცენტი კომერციული იურიდიული პირებია; 3,7 პროცენტი არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირები, 67,7 პროცენტი ინდივიდუალური საწარმო, ხოლო 3,1 პროცენტი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვა დანარჩენი სუბიექტები.

2002-2009 წლებში ბიზნესსექტორში ბრუნვის მაჩვენებელი 4,6 მილიარდი ლარიდან 20,3 მილიარდ ლარამდე გაიზარდა, პროდუქციის გამოშვება შესაბამისად – 3,1 მილიარდი ლარიდან 11 მილიარდ ლარამდე (ნახ. 1), ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 2002 წელს იყო 301,3 ათასი კაცი და 2009 წელს – 387,5 ათასი კაცი, ყველაზე მაქსიმუმს (388,9 ათასი კაცი) მან 2005 წელს მიაღწია (ნახ. 2).




საინტერესოა, როგორ ნაწილდებოდა აღნიშნული მაჩვენებლები საწარმოთა ზომის მიხედვით. კერძოდ:

1. ბრუნვის მაჩვენებელი 2002 წელს მსხვილ საწარმოებზე მოდიოდა 75.7, საშუალოზე – 11.7 და მცირეზე 13.6 პროცენტი, 2003 წელს შესაბამისად – 76, 10.4 და 13.6 პროცენტი, ხოლო 2009 წელს კი – 84.4, 8.4 და 7.2 პროცენტი;


2. პროდუქციის გამოშვება 2002 წელს მსხვილ საწარმოებზე მოდიოდა 78.4 პროცენტი, საშუალოზე – 12.1 და მცირეზე – 9.5 პროცენტი, 2003 წელს შესაბამისად – 79.4, 11.2 და 9.4 პროცენტი, ხოლო 2009 წელს კი – 81.5, 10.5 და 8.0 პროცენტი;

3. დასაქმებულთა რაოდენობა 2002 წელს მსხვილ საწარმოებზე მოდიოდა 51 პროცენტი, საშუალოზე – 25 და მცირეზე 24 პროცენტი, 2003 წელს შესაბამისად – 50; 23 და 27 პროცენტი, ხოლო 2009 წელს კი – 58, 20 და 22 პროცენტი.



ნახ. 1<sup>17</sup>

<sup>17</sup> სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი (geostat.ge);



ნახ. 2<sup>18</sup>

ზემოთ წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ სამივე მაჩვენებლის (ბრუნვის, პროდუქციის გამოშვების და დასაქმებულთა რაოდენობის) მიხედვით 2002 და 2003 წლებში გაცილებით მაღალი იყო მცირე და საშუალო საწარმოების წილი, ვიდრე 2009 წელს. ამასთან, ცხადია, რომ უკეთეს „სასათბურე“ მდგომარეობაში მსხვილი ბიზნესია, რომლის უპირატესობაც იწვევს მცირე და საშუალო ბიზნესის შთანთქმას და მონოპოლიების წარმოშობას, რაც ხელს უშლის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და სერიოზულ პრობლემებს ქმნის სამუშაო ადგილების შექმნაში.

დღევანდელი მდგომარეობით მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულია მთლიან დასაქმებულთა დაახლოებით 21 პროცენტი, როდესაც ინგლისში ეს მაჩვენებელი 49, ხოლო გერმანიაში კი თითქმის 80 პროცენტია. საქართველოში არსებობს უმნიშვნელო შეღავათები, მაგრამ ეს ჯერჯერობით ვერავითარ ეფექტს ვერ იძლევა. კერძოდ, მცირე მეწარმე, რომელიც არ სარგებლობს დაქირავებული შრომით, ე.ი. მარტო უძღვება წარმოებას, გათავისუფლებულია სალარო-აპარატისგან, ასევე ფირმები, რომელთა ბრუნვაც 100 ათას ლარზე ნაკლებია, გათავისუფლებული არიან დამატებითი ღირებულების გადასახადისგან.

<sup>18</sup> სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი (geostat.ge).

ყველა განვითარებულ ქვეყანაში მცირე საწარმოების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მთავარი მიზანია ყოველგვარი ბარიერის გაუქმება და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა. სახელმწიფოს განვითარებას თვლიან პროგრესულად, თუ ის მცირე და საშუალო ბიზნესს წახალისების მიზნით შედავითიან საგადასახადო სისტემას უქმნის. მაგალითად, ფინეთმა მცირე შემოსავლიანი მეწარმეებისთვის გადასახადების განაკვეთები შეამცირა, გერმანიამ მთლიანად გაათავისუფლა ბიზნესი ბრუნვის გადასახადიდან, ხოლო აშშ-ში კომპანიები, რომლებსაც მოგების უფრო დაბალი მაჩვენებლები აქვთ, გადასახადსაც უფრო დაბალი განაკვეთით იხდიან, წარმოების შემდგომი განვითარებისათვის და ა.შ.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად არაკონკურენტუნარიანი გარემო გვევლინება, რაც გამოწვეულია პროტექციონიზმის მაღალი დონით, რის საფუძველზეც სხვადასხვა ბაზარზე (ფარმაცევტულ, სამშენებლო და სხვა) ყალიბდება მონოპოლიები. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ბაზრის შემსწავლელი (გამაანალიზებელი) და მონოპოლიების დამდგენი სახელმწიფო სტრუქტურაც წლების განმავლობაში უფუნქციოდ იყო, მხოლოდ 2010 წლისთვის დაიგეგმა მის ბაზარზე ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნა. თუმცა ესეც შედეგს ვერ მოიტანს თუ, მონოპოლისტების გამოვლენის მიზნით, სხვადასხვა ბაზარი რეალურად არ გაანალიზდა და შესაბამისი ქმედებები არ განხორციელდა. საქართველოს მეწარმეების ინტერესების დაცვის მიზნით საჭიროა, არ დაიშვას „დეპინგური“ ფასები, რომელსაც ჩვენს სინამდვილეში ჰქონდა ადგილი და მთელი რიგი პროდუქტების ბაზრები დაიპყრო თურქული და ჩინური წარმოების ნაწარმმა.

ჩამოთვლილმა და კიდევ სხვა დონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს თავისუფალი ბაზრის (სადაც ყველა მეწარმეს ექნება დამკვიდრების შანსი) ჩამოყალიბება, რომელიც აუცილებელ პირობას წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში სამეწარმეო საქმიანობის დაწყების, შემდგომი გაფართოებისა და განვითარების საკითხებს თითქმის თანაბარი ყურადღება ექცევა, ხოლო საქართველოში მხოლოდ საწარმოს გახსნაა გადავიღებული და შემდეგ მათი ფუნქციონირების მონიტორინგიც კი არ ხორციელდება. ამიტომაც არის რომ მცირე საწარმოთა უმრავლესობა საერთოდ ვერ იწყებს მუშაობას, ზოგი უმოკლეს ვადაში აჩერებს წარმოებას, ზოგის ლიკვიდაციაც ხდება, მაგრამ აღნიშნული საგადასახადო ორგანოებისთვის უცნობია, რასაც მოწმობს საჩივრების ზრდა გაჩერებულ ან ლიკვიდირებულ საწარმოებზე სხვადასხვა საგადასახადო ვალდებულებების დაკისრებასა და არარსებულ საწარმოებზე საურავების დარიცხვასთან დაკავშირებით.

მცირე ბიზნესის დაწყებისათვის მთავარ პრობლემას საწყისი კაპიტალის უქონლობა წარმოადგენს, სწორედ ამიტომაც, რომ დიდი უმრავლესობა ბიზნესს ნასესხები (პროცენტის) ფულით ან ბანკის კრედიტით იწყებს, რომელთა პროცენტი იმდენად მაღალია, რომ ხშირად ის სავალალო შედეგებით მთავრდება. კერძოდ, მეწარმე ყიდის თავის უძრავ მოძრავ (ბინა, მიწის ნაკვეთი, მანქანა და სხვა) ქონებას და ბიზნესის განვითარების ნაცვლად ის იმდენად დიდ ზარალს იღებს, რომ, უკეთეს შემთხვევაში, წყვეტს წარმოების ფუნქციონირებას, ხოლო უარეს შემთხვევაში გაურბის ვალის გადახდის პასუხისმგებლობას და სხვა ქვეყანას აფარებს თავს.

საქართველოში საბანკო სექტორი ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ეკონომიკური სფეროა. უმრავლესი მათგანის ძირითადი პრიორიტეტი ბიზნესისთვის სესხების გაცემა და მომსახურებაა. მათთან ერთად ფუნქციონირებს მიკრო საფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც ანხორციელებენ მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებას. უარყოფითად მიმანინა ბანკების მიერ სამომხმარებლო საქონლის შეძენის დაკრედიტების ტენდენცია (კომპიუტერების, ტელევიზორების, სარეცხი მანქანების და სხვათა შეძენის დაფინანსება), რადგან ამით, ჩვენი აზრით, ისინი აფინანსებენ იმპორტს, ანუ უცხოეთის და არა საქართველოს მეწარმეებს.

საქართველოში ნებისმიერი ბიზნესსესხი 15-დან 20 პროცენტამდე მერყეობს, ხოლო საკრედიტო პირობები თანაბარია მცირე და დიდი ბიზნესისთვის, რაც მათ თანაბარსებობას ძალიან ართულებს. პროცენტების სიძვირის გარდა სესხების მიღების საკითხებიც კი გართულებულია. ბევრ ქვეყანაში მეწარმეს მის მიერ მოთხოვნილი სესხის მიღება ინტერნეტითაც კი შეუძლია, ხოლო საქართველოში მრავალი ფორმალური ბარიერის გადალახვაა საჭირო, რომ მეწარმემ სესხი მიიღოს.

მცირე და საშუალო მეწარმეობის დაკრედიტებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მეწარმის საქმიანობის სფერო, ანუ უნდა მოხდეს მათი დიფერენციაცია და სესხების მიზნობრივი გაცემა, რითაც ბანკები უკეთ შეძლებენ მეწარმის საქმიანობის სწორად შეფასებას და მეწარმეები მოახერხებენ, საბოლოო შედეგის მისაღწევად, რაციონალურად მოიხმარონ მიღებული სახსრები.

რაც უფრო დიდია სახელმწიფოს ნება-სურვილი და პასუხისმგებლობა მცირე მეწარმეების მხარდასაჭერად, მით უფრო ნაკლები რისკის გაწევა უხდებათ ბანკებს კრედიტების გაცემისას. ეს კი მათ მიერ დაბალპროცენტიანი (მეწარმეებისთვის ხელსაყრელი) სესხების გაცემის მთავარი წინაპირობაა.

ამდენად, იმისათვის, რომ ბიზნესის დაწყებას ჰქონდეს რეალური საფუძველი, მოხდეს მისი შემდგომი განვითარება და გაფართოება, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის კეთილდღეობის წინაპირობაა, საჭიროა, სახელმწიფოს მხრიდან იყოს ბიზნესი მხარდაჭერილი, ანუ რეალური, ყოველმხრივი, დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ ის დაუდგეს მეწარმეს გარანტიად, რათა მიიღოს იაფი (დაბალპროცენტიანი) კრედიტი. ყოველივე ეს მეწარმეს მისცემს საშუალებას, ბიზნესი წარმატებით წარმართოს. ამასთან, მიზანშეწონილია, დამწყები ბიზნესმენებისთვის პერიოდულად მოეწიოს უფასო სემინარები და კონსულტაციები, რათა დაწყებისთანავე ჰქონდეთ მათ სწორი მიმართულება არჩეული.

საქართველოს დღევანდელი საგადასახადო სისტემა ვერ უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესის რეალურ განვითარებას. მსხვილი, საშუალო და მცირე სიდიდის საწარმოები ერთი და იმავე საგადასახადო სისტემით იბეგრებიან, რაც არამართებულად მიგვაჩნია. ეროვნული სტატისტიკური სამსახურის ინფორმაციით, დაახლოებით 83 ათასამდე საწარმოდან 34 ათასამდე დღგ-ს გადაიხდელია, რაც 4,3 მლნ-იანი მოსახლეობისთვის საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების არასაკმარის დონეზე მიუთითებს. ამიტომაც არის, რომ სამუშაო ადგილების ზრდის ნაცვლად მის შემცირებას აქვს ადგილი.

საჭიროა აღინიშნოს, რომ 2003 წლის შემდეგ განხორციელებულმა საგადასახადო სისტემის ხშირმა ცვლილებებმა, კერძო საკუთრებისადმი არასამართლიანმა დამოკიდებულებამ გამოიწვია მეწარმეების დაშინება, მას დაემატა პოლიტიკური არასტაბილურობა, 2008 წლის აგვისტოს მოვლენები, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და სხვა, რამაც მცირე მეწარმეობა მნიშვნელოვნად დააზიანა, ბევრმა მეწარმემ ან გააჩერა, ან კიდევ საერთოდ შეწყვიტა წარმოება.

საქართველოში მცირე მეწარმეებს იმდენად უჭირთ გადასახადების გადახდა, რომ ისინი წარმოების გაგრძელების მიზნით ხშირად არაკანონიერ გზებსაც კი მიმართავენ. მაგალითად, როგორცაა სხვადასხვა მეთოდით საქონელბრუნვის და შემოსავლების დამალვა. ობიექტურთან ერთად არსებობს სუბიექტური მიზეზებიც, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მეწარმის დაბალი კვალიფიკაცია, ბიზნესის ელემენტების არცოდნა, ზოგიერთი საჯარო მოხელის ჩართვა ბიზნესში და სხვა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად აუცილებელია:

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით სახელმწიფო სტრატეგიისა და პროგრამის შემუშავება;
- ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დახვეწა და მისი დროული ამოქმედება;

- თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბების მიზნით კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა;
- მცირე ბიზნესის წახალისება და შესაბამისი საინფორმაციო ბაზის შექმნა;
- გარკვეული საგადასახადო შეღავათების დაწესება მცირე მეწარმეთათვის და საგადასახადო სისტემის კიდევ უფრო გამარტივება;
- მცირე მეწარმეთათვის საგადასახადო ანგარიშგებისა და საბუღალტრო დოკუმენტაციის გამარტივება;
- კერძო საკუთრების დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა;
- ბიზნესში სახელმწიფო მოხელის ჩართვისა და ხელშეშლის („რეკეტის“) შემთხვევაში, არსებული კანონმდებლობის გამკაცრება;
- დამწყები ბიზნესმენებისთვის უფასო სემინარებისა და კონსულტაციების მოწყობა;
- საბანკო გარანტიების მექანიზმის შემუშავება და სხვა.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. **ორჯონიძე ნ., ყიფიანი ლ., ბაგდასარიანი ვ.** მცირე ბიზნესი. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2007.
2. **აბესაძე რ., კაკულია ე.** მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. 2008.
3. საქართველოს ეროვნული სამსახურის ვებგვერდი: [geostat.ge](http://geostat.ge).
4. **Усачева Ю. В.** Проблемы развития малого бизнеса в мировой экономике. Москва, изд. Научная Книга, 2007.

*Tsereteli Zurab*

### **THE PROBLEMS OF SMALL AND MIDDLE BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA**

## SUMMARY

At present the problems still exist in the development of small and middle business of Georgia. In addition to other main factors they are caused by the existence of noncompetitive environment of the country and the reduction of a state support.

It is necessary to form a free market in Georgia for the solution of problems of small and middle business development, which is possible by the complete and timely enactment of an antimonopoly legislation. At the same time it is very important to guarantee the defence of a private property and elaborate the mechanism of bank guarantees.

*მურმან კვარაცხელია*

### **რეგიონული ეკონომიკის განვითარების იდეა ილია ჰავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის შემოქმედებაში**

კაცობრიობა თაობათა ცვლის მუდმივ პროცესშია. მას თან მოსდევს ადამიანთა ცხოვრების მატერიალური და სულიერი ყოფის ცვლილება, ამასთან ერთად ტრანსფორმაციას განიცდის ერიც და ქვეყანაც... საქართველოს ისტორიაც ამ ქარტეხილებში გამოვლილი და გამოწრთობილი ფენომენია, რომელიც განსაკუთრებული კატაკლიზმებით გამოირჩეოდა XIX საუკუნეშიც.

საქართველოს ისტორია ომის, ანექსიისა და ოკუპაციის თანმდევი პროცესებით იყო მუდამ გაჯერებული. თუ თვალს გადავაგვლებთ ამ ორასი წლის ისტორიას, ვნახავთ, რომ ჩვენი წინა თაობები თავისებურად იბრძოდნენ სხვადასხვა და განსაკუთრებით, რუსეთის იმპერიის კოლონიური უღლის წინააღმდეგ. ისტორიაში ცნობილი აჯანყებები (მთიულეთის – 1802-1804 წწ., კახეთის – 1812-1813 წწ., იმერეთის – 1819-1820 წწ.) რუსეთმა სისხლში ჩაახშო. ახალმა თაობამ იგრძნო, რომ რუსეთთან ასეთი პირდაპირი შეიარაღებული ბრძოლით მიზანს ვერ მიაღწევდნენ. საჭირო იყო იმპერიასთან ბრძოლის მეთოდების შეცვლა.

საქართველოს ისტორია იმასაც გვასწავლის, რომ მომდევნო ახალი თაობების ბრძოლა უფრო შედეგიანი აღმოჩნდა.



მათ “თერგდალეულები”, ანუ “პირველი დასი” უწოდეს. ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ და ამ დასის (იმავე “პარტიის”) წარმომადგენლებმა აჯანყებების ნაცვლად ეროვნული ბრძოლის მთავარ იარაღად და მეთოდად მშვიდობიანი ბრძოლა აირჩიეს. ასეთი ბრძოლის მთავარი ასპარეზი განათლება, კულტურა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გახდა.

“პირველი დასის” მოღვაწეთაგან ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიაში განსაკუთრებულ ფიგურას წარმოადგენს ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე. ისტორიული წყაროები ადასტურებს, რომ ნიკო ნიკოლაძემ, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, არა მარტო შექმნა “საერთო ნიადაგის” თეორია, არამედ პრაქტიკულადაც სცადა ამ თეორიის პრინციპების განხორციელება. ამ პრინციპებიდან კი, მთავარია, როგორც ნიკო ნიკოლაძე წერდა, – “ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენება და ამ ერთიანი ძალით ერისა და ქვეყნის წინსვლა-განვითარების უზრუნველყოფა”. ვფიქრობთ, დღევანდელ საქართველოში მთავარი სწორედ ის არის, რომ ყველამ ერთად შევძლოთ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრა მშვიდობიანი გზით, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის საშუალებით.

ამ მიზნებიდან, უპირველეს ყოვლისა, მთავარი და ძირითადია ეროვნული დამოუკიდებლობა, რომელიც წარმოუდგენელია ეროვნული ეკონომიკის განვითარების გარეშე. მაგრამ ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს კარგად ესმოდათ, რომ ეროვნული დამოუკიდებლობა შეუძლებელია განხორციელდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარეშე. აქედან გამომდინარე, მათ მიზნად დაისახეს ქართული კაპიტალიზმის თავისებური მოდელის შექმნა. ჩვენმა თაობებმა უნდა შეისწავლონ ილიასა და ნიკო ნიკოლაძის მემკვიდრეობა მისი კარგად გაგებისა და პრაქტიკაში განხორციელებისათვის. ჩვენი ნაშრომის მიზანიც სწორედ ესაა.

ამ დიდ მოაზროვნეებს სწორად ჰქონდათ გაცნობიერებული ეროვნული ეკონომიკის მომავლის გზა-კვალი. პირველი,

რასაც ნიკო ნიკოლაძე მოითხოვდა, იყო ის, რომ საქართველომ გამოიყენოს თავისი ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები და გეოპოლიტიკური მდგომარეობა იმისათვის, რომ შექმნას ძლიერი ეროვნული ეკონომიკა. ამავე დროს, მისი დიდი დამსახურება ისიც არის, რომ მან ამ მიზნით ბევრი პრაქტიკული პროექტის განხორციელებაც წამოიწყო. მათგან საყურადღებოა ფოთის პორტის მშენებლობა და ენერგეტიკა.

ფოთის პირველი მერის პოსტზე მუშაობისას მან განსაზღვრა ამ შავიზღვისპირა ქალაქის განვითარების პერსპექტივები. იგი წერდა, რომ ფოთის მთავარი ფუნქცია უნდა გახდეს ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარება. დღევანდელ პირობებში ეს ფუნქცია კიდევ უფრო იზრდება, მაგრამ ამისათვის თვითონ ფოთისა და მისი პორტის სრულყოფისა და განვითარების უზრუნველყოფაა საჭირო. ეს დღევანდელი გადასახედიდან სწორად და ობიექტურად დანახული პერსპექტივა იყო.

რაც შეეხება ნიკო ნიკოლაძის მემკვიდრეობიდან საქართველოს ენერგეტიკული განვითარების საკითხს, უნდა ითქვას, რომ მან აქაც დიდი სამომავლო მნიშვნელობის ამოცანა დაგვიტოვა XXI საუკუნის თაობებს. მას კარგად ჰქონდა გააზრებული ჩვენი ქვეყნის ჰიდრორესურსების პოტენციური შესაძლებლობები, მაგრამ, ამასთან, გარკვეულ ნათელ პერსპექტივას ხედავდა ელექტროენერჯის გამომუშავებაში ქარისა და მზის ენერჯის ათვისების დიდი პოტენციური შესაძლებლობების თვალსაზრისით. დღესაც დიდ ჯიხაიშში, მის სახლმუხეუმში, მის მიერ საქართველოში შექმნილი ქარის პირველი გენერატორი ინახება.

მაგრამ ჩვენთვის დღეს მთავარია საუკუნის პრობლემა – როგორი საქართველო უნდა შევქმნათ XXI საუკუნეში და ამ მხრივ რა შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო გამოცდილებიდან. ცხადია, ორივე აუცილებელი ფაქტორია ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით, გარკვეული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ანალიზით შევეცდებით ვაჩვენოთ დემოკრატიული პროცესების თავისებურებანი გარდამავალი პერიოდის სა-

ქართველოში, რომლებიც, საერთო შეხედულებით, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საფუძველს წარმოადგენს პოსტ-კომუნისტური ტრანსფორმაციის საქართველოს დღევანდელ გარდამავალ პერიოდში.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძემ, რომლის მიერ დაარსებული ეროვნული ბანკი XIX–XX საუკუნეების საქართველოში ყველა მნიშვნელოვანი წამოწყების ინიციატორი იყო, საფუძველი ჩაუყარა პარლამენტარიზმის ტრადიციას. აღნიშნული “ბანკის კრებები” ქართული დემოკრატიის ნიმუშად არის მიჩნეული მაშინდელ საქართველოში. ამიტომ მიმაჩნია, რომ საქართველოში დემოკრატიის განვითარების პრობლემების კვლევა შეუძლებელია ილია ჭავჭავაძის “საერთო ნიადაგის” თეორიის გარეშე. იმ თეორიისა, რომლის ეკონომიკური მხარე ილიას მკვლევლობის შემდეგ წინ წამოსწია ნიკო ნიკოლაძემ.

ილია ჭავჭავაძეს, ნიკო ნიკოლაძეს და მათ თანამოაზრეებს კარგად ესმოდათ, რომ ეროვნული ეკონომიკის გარეშე არც ეროვნული სახელმწიფო შეიძლება არსებობდეს და ამიტომ დიდი დრო და ენერგია შეაღიეს ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიის შექმნას. მაშინაც და დღესაც ამ სტრატეგიის სწორ გააზრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი მომავალი განვითარებისათვის. კაპიტალიზმი – ეს, უპირველეს ყოვლისა, ინტეგრაციული და გლობალური პროცესების ერთობლიობაა და ჩვენ თუ აქ არ მოვძებნეთ ჩვენი ადგილი და როლი, მაშინ მომავალიც არ გვექნება.

“ქართული კაპიტალიზმის მოდელი” – ეს “საერთო ნიადაგის” თეორიის უმთავრესი მონაპოვარია. მსოფლიოს ყველა ხალხი და მათი ეკონომიკები კაპიტალიზმის პრინციპებზე ვითარდება, მაგრამ ყველა მათგანს თავისი ეროვნული თავისებურებანი გააჩნია. სხვა არის კაპიტალიზმი და, შესაბამისად, ეროვნული ეკონომიკა იაპონიაში და სხვა ინგლისში, გერმანიაში, ნორვეგიასა თუ ისრაელში. როგორი უნდა იყოს ქართული კაპიტალიზმი და მასზე დაფუძნებული ჩვენი ეროვნული ეკონომიკა – აი, პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა.

ილია ჭავჭავაძეს და ნიკო ნიკოლაძეს კარგად ესმოდათ, რომ ეროვნული ეკონომიკა რეგიონულ ეკონომიკათა განვითარების პროდუქტი და მათი თავისებური მათემატიკური ჯამია. საქართველოს მთა-ბარი სხვადასხვა რეგიონულ თავისებურებებს შეიცავს და ყოველივე ამას გათვალისწინება სჭირდება ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიისა და მისი შესატყვისი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. ყველაზე ზოგადი გააზრებით, ჩვენი ქვეყანა, თავისი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ორი დიდი რეგიონისგან შედგება – დასავლეთი და აღმოსავლეთი. ილია ჭავჭავაძემ და ნიკო ნიკოლაძემ თავისებურად გადაინაწილეს ფუნქციები და პირველმა მათგანმა ქართლ-კახეთისა და, საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო მეორემ დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური პრინციპები დაამუშავა.

ამასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში “ილიალოგთა კლუბის” ინიციატივით შეიქმნა მეცნიერ-მკვლევართა კლუბი რეგიონულ ეკონომიკათა კონცეფციის შესამუშავებლად. თბილისის უნივერსიტეტში გაიმართა დისკუსია, ამასთან, მონაწილეობა მივიღეთ პოლონეთის ქალაქ ლუბლინში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც ეს საკითხები იქნა წამოწეული და მეცნიერთა ყურადღება დაიმსახურა. ერთი სიტყვით, თეორიულ ასპექტში ახლო წარსულის ჩვენი დიდი მოღვაწეების მემკვიდრეობა შესწავლილია. ახლა მთავარია, რომ თეორიიდან პრაქტიკაზე გადავიდეთ. სხვანაირად ხომ, როგორც ილია იტყოდა, “მეცნიერება უქმი ჭკვის უქმი ვარჯიშია”.

აღნიშნული დისკუსიების დროს შემუშავდა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა სამეცნიერო კრებული – “ქართული სახელმწიფო” (2003). მისი ძირითადი ნაწილი მიძღვნილია ქართული სახელმწიფოს მშენებლობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისადმი. აქ მინდა დავაყენო აფხაზეთთან და დასავლეთ საქართველოსთან დაკავშირებული რიგი საკითხები:

პირველ რიგში ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აფხაზეთი და მთელი დასავლეთ საქართველო ისტორიულად ყოველთვის ერთიანი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური რეგიონი იყო. “ქართლის ცხოვრების” არაერთი წყარო ცნება “აფხაზეთს” განიხილავს, როგორც დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელ სიტყვას. გავიხსენოთ თუნდაც დავით აღმაშენებლის სამეფო რეგალია – “მეფე აფხაზთა, ქართლთა, კახთა და ზანთა”, სადაც “აფხაზეთი” მთელი დასავლეთ საქართველოს გამაერთიანებელი პოლიტიკური რეგალიაა. ტრადიციით ეს თვით XIX საუკუნეშიც გადმოვიდა და იგი ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკაშიც აისახა.

კერძოდ, მათ შეიმუშავეს იდეა, რომ კაპიტალიზმის განვითარებას დასავლეთ საქართველოში, ანუ აფხაზეთში ერთიანი კორპორაციული სისტემის შექმნა უნდა დაედოს საფუძვლად. ამ მიზნით კოლხეთის დაბლობზე, რიონის ქვემო დინებასა და ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო დიდი სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დასახლება – “კოლხიდა”, რომლითაც მოხდებოდა პროდუქციის გატანა შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონებში. სხვათაშორის უნდა აღინიშნოს, რომ ამ იდეის განხორციელება სცადა ლავრენტი ბერიამ, შესრულდა გარკვეული საპროექტო სამუშაოებიც, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ეს პროცესი შეაჩერა.

სამოციან წლებში ამ პროექტით სერიოზულად დაინტერესდა ცნობილი ამერიკელი დიპლომატი და შემდეგ კი მეტად წარმატებული ბიზნესმენი ავერილ ჰარიმანი. იგი პირობას იძლეოდა, რომ მთელ ამ რეგიონს “ევრაზიის შეეიცარიად” გადააქცევდა, მაგრამ კრემლის ახალმა ხელმძღვანელობამ პროექტი “კოლხიდა” კვლავ ჩაშალა და აფხაზეთი ანტიქართული პოლიტიკის პლაცდარმად აქცია, რომლის მიზანი დღეს ყველასთვის ნათელია: “გათიშე და იბატონეს” იმპერიული პოლიტიკით კრემლის თანამედროვე მესვეურები ცდილობენ მოახდინონ აფხაზეთის ისეთივე ანექსია და ასიმილაცია, როგორც ეს გააკეთეს ასი წლის წინ ჯიქეთსა და ჩერქეზეთში.

“ილიოლოგთა კლუბმა” ამ რამდენიმე წლის წინ მოიძია და განაახლა ზემოთ ხსენებული “კოლხიდასა” და აგრეთვე ე.წ. “ჰარიმანის” პროექტები და იგი დაუკავშირა ევროკავშირის “კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების” იდეას. კერძოდ, ჩვენ ვაყენებთ იდეას, რომ შეიქმნას ორი დიდი კორპორაციული სამეურნეო დასახლება საქართველოში: ზემოთ ხსენებული “კოლხიდა” და აგრეთვე, “ილიაწმინდა” აღმოსავლეთ საქართველოში (ივრისპირეთში, დავით გარეჯსა და დაღის წყალსაცავს შორის). კარგი იქნება თუ ინვესტორი დაინტერესდება აღნიშნული პროექტებით, რაც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს რეგიონულ ეკონომიკათა განვითარებაში.

ამის დასასაბუთებლად რამდენიმე არგუმენტი შეიძლება მოვიყვანოთ. ესენია:

ა) თავის დროზე, კერძოდ, ფერგანის ტრაგედიის შემდეგ, ევროკავშირმა მეორე მსოფლიო ომის დროს შუა აზიაში გადასახლებული მაჰმადიანი მესხების (ე.წ. “თურქი მესხების”) რეაბილიტაციის პროგრამა მიიღო. ამ მიზნით გამოიყო მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები – ას მილიონამდე ევრო. საქართველოს მთავრობას კი მოსთხოვეს შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა (საქართველოს პარლამენტმა 2008 წელს მიიღო რეპატრიაციის კანონი), მაგრამ დღემდე არც ერთ ხელისუფლებას სერიოზულად არ უფიქრია მათ განხორციელებაზე და “ილიაწმინდას” მშენებლობაც დღეს ფაქტობრივად დაკონსერვებულია. რაც შეეხება “კოლხიდას” პროექტს, დღეს იგი საერთოდ მივიწყებულია, მაშინ, როცა აჭარიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან და სვანეთიდან ეკომიგრანტთა ჩასახლებისთვის ასევე მნიშვნელოვანი სახსრებია გათვალისწინებული.

ბ) თავის დროზე ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა ძველი “კიბუცური” სამეურნეო დასახლებების საფუძველზე და დღევანდელი ისრაელის ეკონომიკაში მათ, როგორც იტყვიან, ლომის წილი აქვთ. ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე მოითხოვდნენ, რომ ასეთივე “ხოდაბუნური” ტიპის სამეურნეო კორპორაციები შექმნილიყო საქართველოშიც. შეიქმნა კიდევ რამდენიმე ებრაული “კიბუცის” მსგავსი ქართული “ხოდაბუნი”,

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პროცესმა განვითარება ვერ პოვა. დადგა დრო, ჩვენს ეროვნულ ეკონომიკაში “ხოლდებუნების” სასოფლო-სამეურნეო კორპორაციებს ფართო გზა მივცეთ. ჩვენ მზად ვვარჯიშდებით მათი სოციალურ-ეკონომიკური დასაბუთებაც, რაც შეიძლება განხორციელდეს ლიზინგური ინვესტიციების მოზიდვით, რომელიც შედარებით ნაკლებ სახსრებს თხოვლობს. ამ გზითაც შეიძლება მნიშვნელოვანი ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური სახსრების მობილიზება “კოლხიდასა” და “ილიაწმინდას” პროექტების რეალიზაციისთვის, რაც, თავის მხრივ, ათასობით ადამიანს დაასაქმებს. ეს საკითხი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში უნდა იქნეს აყვანილი. სწორედ დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა წარმოადგენს ჩვენს მთავარ არგუმენტს ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელებისთვის, რომელსაც დიდი ბიძგი მისცეს მეცხრამეტე საუკუნის ეკონომიკური აზრის ისეთმა ტიტანებმა, როგორებიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. ილია ჭავჭავაძე, თხზ., თბილისი, 1989.
2. ნიკო ნიკოლაძე, თხზ., თბილისი, 1988.

*Kvaratskhelia Murman*

**FOR THE ARTICLE OF GEORGIA'S GOVERNMENTAL  
ESTABLISHMENT IN THE CREATIVE ACTIVITY OF ILIA  
CHAVCHAVADZE AND NIKO NIKOLADZE**

**SUMMARY**

The article reviews some aspects of nineteenth century's economical point of view about governmental establishment in the creative activity of Ilia Chavchavadze and Niko Nikoladze. The article underlines their special method of approaching in determination of country's future. It marks out the projects of "Kolkhidi" and "Iliatsminda" and their importance in the present-day period.

*მამუკა ხუცივაძე  
ლია თოთლაძე*



## საქართველოს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების პოტენციალის შესახებ

სახელმწიფო საწარმოთა მართვა სახელმწიფოს, როგორც მენეჯერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა. ასევე მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს ის არეალი, სადაც სახელმწიფოს მოღვაწეობა წარმატებული იქნება. ეს ძირითადად ეხება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოთა განკარგვის საკითხებს. აუცილებელია შეფასდეს, თუ რა პოტენციალს ფლობს სახელმწიფო, რა ღირებულებისაა მისი ქონება და განვითარების როგორი პერსპექტივა გააჩნია.

სწორედ ზემოაღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე განხორციელდა ამ სფეროს შემოწმება. უნდა აღინიშნოს, რომ კონტროლის პალატის მიერ ამ სფეროს შემოწმება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნაც იყო, ვინაიდან საჭირო იყო ზუსტად განსაზღვრულიყო, რა ქონების პატრონია სახელმწიფო. საქართველოს კონტროლის პალატამ გამოავლინა, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი 1400 საწარმოდან, 2009 წლის მონაცემებით, მხოლოდ 317 იყო მომგებიანი, ხოლო 163-მა საწარმომ საანგარიშო წელი ზარალით დაასრულა, რაც მძიმე მდგომარეობის მაჩვენებელია. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების მართვა კარდინალურ სრულყოფას მოითხოვს. მთავარი პრობლემაა არა მარტო ასეთი მართვის დაბალი შედეგიანობა, არამედ მისი გაუმჯობესების უკიდურესად ნელი ტემპი.

სახელმწიფო საწარმოთა აუდიტის ჩატარების გადაწყვეტილება საწარმოთა მართვის სააგენტოს აუდიტის შედეგებმა განაპირობა. ფაქტმა ცხადყო, რომ 1400-ზე მეტი სახელმწიფო საწარმოდან, რომელთა საწესდებო კაპიტალი 2 მილიარდს აღჭარბებს, დაახლოებით 320 მათგანია მომგებიანი. დანარჩენი 900 საწარმო ან არ ფუნქციონირებდა, ან წელიწადს ზარალით ასრულებდა, ან მათ შესახებ ეკონომიკის სამინისტრო არასრულყოფილ ინფორმაციას ფლობდა, რაც, თავის მხრივ, ამ

საწარმოების არაეფექტიანი საქმიანობის დასტურია. 320 "მომგებიანი" საწარმოდან მოგების 90 პროცენტი 1 საწარმოზე მოდის (სულ ამ საწარმოთა წმინდა მოგება 95 210 031 ლარია, ამ ერთი საწარმოს მოგება 89 395 031 ლარი). 1400-ზე მეტი საწარმოდან ფუნქციონირებს მხოლოდ მეხუთედი და, მიუხედავად ამისა, სახელმწიფო მაინც ინახავს საწარმოების 4/5-ს. გადასახადის გადამხდელთა ხარჯზე ხდება ზარალიან საწარმოთა და პერსონალის შენახვა წლების განმავლობაში, მაშინ, როდესაც ზარალიან საწარმოთა მთლიანი ხარჯი, ანუ პერსონალის შენახვისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზისთვის გაღებული თანხა 150 მილიონ ლარს შეადგენს. აუცილებლად უნდა შეიცვალოს მიდგომა ამ საწარმოების მიმართ. ისინი ან უნდა იქცეს რენტაბელურ საწარმოებად, მოხდეს მათი ოპტიმიზაცია, უნდა განისაზღვროს სფეროები, რომლებშიც სახელმწიფოს დარჩენა გამართლებული იქნება, ხოლო დანარჩენი საწარმოები ან ქონება უნდა მოექცეს თავისუფალ ბრუნვაში, ან უნდა შეფასდეს ამ საწარმოების საპრივატიზაციო პოტენციალი და გაიყიდოს ან გაიციოს მართვაში, რასაც არაერთი, საზოგადოებისათვის სასიკეთო და მნიშვნელოვანი შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

კონტროლის პალატამ საწარმოთა მართვის სააგენტოს აუდიტის შედეგად მნიშვნელოვანი დარღვევები ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს აღმოაჩინა. ამ აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ საწარმოთა მართვის სააგენტო მის დაქვემდებარებაში მყოფ დაახლოებით 500 სახელმწიფო საწარმოზე არანაირ ინფორმაციას არ ფლობდა. ამავე დასკვნის მიხედვით, 1400-ზე მეტი სახელმწიფო საწარმოდან 900 ან არ საქმიანობს, ან წელს ზარალით ასრულებს. მათი შენახვა კი სახელმწიფოს ყოველწლიურად 150 მილიონი ლარი უჯდება.

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების წმინდა მოგებამ 2001 წელს 70 მილიონ ლარს გადააჭარბა. ეს საკმაოდ დიდი ციფრია. თუმცა კონტროლის პალატის ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ 1999 წლიდან დღემდე კომპანიების მოგების საერთო მაჩვენებელი მართალია გაიზარდა, მაგრამ თითქმის განახევრდა თავად მომ-

გებიანი კომპანიების რიცხვი. 1999 წელს 1588 საწარმოდან 400-ზე მეტმა კომპანიამ წელი მოგებით დაასრულა, ხოლო წმინდა მოგებამ 41.6 მილიონი ლარი შეადგინა. მომდევნო წელს წარმატებული მხოლოდ 390 საწარმო აღმოჩნდა. წმინდა მოგებამ კი 55 მილიონ ლარს გადააჭარბა. 2001 წელს მომგებიანი კომპანიების რიცხვი განახევრდა, მაგრამ მოგებამ უკვე 70.5 მილიონი ლარი შეადგინა. ეს ტენდენცია მარტივად შეიძლება აიხსნას: მენეჯმენტმა, სახელმწიფოს მხრიდან არასწორმა მართვამ ბევრი კომპანია გააკოტრა.

ამ პერიოდის მანძილზე ყველაზე მეტად მაინც ქვეყნის ბიუჯეტი დაზარალდა. საქმე ეხება საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 22 აპრილის №257 ბრძანებულებას, რომელიც კომპანიებს ავალდებულებს, წმინდა მოგებიდან სახელმწიფო ბიუჯეტს დივიდენდი გადაუხადოს. 1999 წლიდან 2001 წლამდე ბიუჯეტში დივიდენდების სახით მხოლოდ 23 მილიონი ლარი შევიდა (1999 წელს – 3.2 მლნ, 2000 წელს – 9.9 მილიონი, 2001 წელს კი დაახლოებით 10 მილიონი ლარი). კანონით საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წარუდგინოს ანგარიში საწარმოში წმინდა მოგების განაწილების შესახებ. ამ შემთხვევაში საწარმო, მართალია, არ მაღავს თავის მოგებას, მაგრამ იქვე მიუთითებს, რომ მას ეს თანხა ისევ საწარმოსთვის, რეინვესტიციისათვის სჭირდება. სამინისტროც, შესაბამისად, ეთანხმება და ამაში ფინანსთა სამინისტროსაც არწმუნებს. ამ სქემით წლიდან წლამდე სულ მცირე 20 მილიონი ლარი სწორედ რეინვესტიციის მოტივით იკარგება.

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ყველაფერი, მათ შორის მომგებიანი საწარმოებიც, კერძო მესაკუთრეს უნდა ჩაბარდეს: კერძო კომპანიის მენეჯერი მოტივირებულია, რომ კონკურენციის პირობებში ახალი კლიენტები მოიძიოს, ახალ ბაზრებზე გავიდეს და მაქსიმალური მოგება მიიღოს, რაც, საბოლოოდ, მოგების გადასახადის სახით, გაცილებით მეტ შემოსავალს ნიშნავს სახელმწიფოსთვის. ზოგიერთის მოსაზრებით, სტრატეგიული ობიექტები, როგორცაა, მაგალითად, რკინიგზა

ან ნავიგაცია, სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს, დანარჩენი კი უნდა გაიყიდოს. ეკონომიკის სამინისტრომ გასულ წელს 84 საწარმოს პრივატიზება შეძლო. ერთი ამდენის პრივატიზებას წელსაც გეგმავს და, შედეგად, 210 მილიონი ლარის მიღების იმედი აქვს: სამინისტრო აქცენტს არაეფექტიან და არარენტაბელურ სახელმწიფო საწარმოებზე გააკეთებს.

შედგენილია იმ კომპანიების სია, რომელთა აქციებსაც სახელმწიფო ახლო მომავალში საფონდო ბირჟაზე გაიტანს. სახელმწიფო "ელექტროკავშირის" აქციების მხოლოდ 15 პროცენტის გატანას აპირებს. გერმანია, ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია, ბელგია, პოლანდია და ა. შ. იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კომპანიებში თავად სახელმწიფო არა მარტო აქციათა გარკვეულ წილს (ყველაზე მეტი 30%) ფლობს, არამედ ე.წ. "ოქროს აქციებსაც" განკარგავს. "ოქროს აქციები" სახელმწიფოების შესაბამის დარგობრივ სამინისტროებს უფლებას აძლევს, დაბლოკოს კომპანიის ხელმძღვანელობის ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ ის ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

დღეისათვის სახელმწიფო საკუთრებაშია უმსხვილესი სახელმწიფო საწარმოები: „თბილგვირაბმშენი“, „საქაერონავიგაცია“, „საქართველოს რკინიგზა“, „თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“, „ენგურჰესი“.

2010 წლის 22 ივლისს შპს საქართველოს რკინიგზამ, პირველად ისტორიაში, განახორციელა ევრობლიგაციების გამოშვება (ნომინალი 250 მლნ აშშ დოლარი, კუპონი – 9.875%, წელიწადში ორჯერ გადახდით, ვადიანობა – 5 წელი). ობლიგაციები წარმატებით განთავსდა ლონდონის საფონდო ბირჟაზე. ამისა განხორციელდა საერთაშორისო საინვესტიციო ბანკების JP Morgan Securities და BofA Merrill Lynch-ის საშუალებით. იგი 100%-იანი წილით სახელმწიფო საწარმოა. მიმდინარე წელს შემოსავლის ზრდა 33.3%-ია. საქართველოს რკინიგზა ახორციელებს უმნიშვნელოვანესი პროექტების რეალიზაციას, როგორცაა: ბაქო-თბილისი-ყარსის შემაერთებელი სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობის პროექტი, თბილისის შემოვლითი

გზის მშენებლობა. დიდუბისა და ნავთლუდის სადგურების განვითარების პროექტი, შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა.

საქართველოს პრეზიდენტის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მიერ გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად ხორციელდება ბაქო-თბილისი-ყარსის შემაერთებელი სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობის პროექტის რეალიზაცია. აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს: მარაბდა-ახალქალაქის არსებული სარკინიგზო მონაკვეთის რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია; ახალქალაქის ახალი სადგურის მშენებლობა; ახალქალაქი-კარწახი (საქართველო-თურქეთის საზღვარი) სარკინიგზო ხაზის მშენებლობა. პროექტის დაფინანსება ხორციელდება აზერბაიჯანული მხარის მიერ, საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობებს შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად. საქართველოს ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ყარსის შემაერთებელი სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობის პროექტის რეალიზაციას ახორციელებს ამ მიზნით 2007 წელს შექმნილი კომპანია „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“. ბაქო-თბილისი-ყარსის შემაერთებელი სარკინიგზო ხაზის საქართველოს მონაკვეთის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო და სამშენებლო სამუშაოების პროცესში დასაქმდება 4000 ადამიანზე მეტი. ამასთან, დასაქმების პროცესში პრიორიტეტი მიენიჭება ადგილობრივ მოსახლეობას.

რკინიგზის მშენებლობა დასრულდება 2012 წელს. პროექტის განხორციელებით, როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ასევე მთელს ევრაზიაში მდგრადი სატრანსპორტო ქსელი შეიქმნება, რომელიც განამტკიცებს რეგიონულ უსაფრთხოებას და ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში მჭიდრო თანამშრომლობას უზრუნველყოფს. ბაქო-თბილისი-ყარსის შემაერთებელი სარკინიგზო ხაზი წარმოადგენს აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული სატრანსპორტო დერეფნის ძირითად რგოლს, რომელიც რეგიონში ეკო-

ნომიკურ ზრდას და სტაბილურობას შეუწყობს ხელს. ბაქო-თბილისი-ყარსის შემაერთებელი სარკინიგზო ხაზი წარმოადგენს ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანს და აღნიშნულის გათვალისწინებით საერთაშორისო ექსპერტები მას მოიხსენიებენ, როგორც „რკინის აბრეშუმის გზას“.

შპს „საქაერონავიგაცია“ უმთავრესად უზრუნველყოფს საჰაერო მოძრაობის მომსახურებას საქართველოს საჰაერო და თბილისის ასაფრენ-დასაფრენ ზონებში, ისევე, როგორც ფრენების უსაფრთხოებას. კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების ზონაში საქართველოს საჰაერო სივრცე ევროპა-აზიის საჰაერო დერეფნის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. **Якобсон Л.И.** Государственный сектор экономики. Москва, 1996.
2. **Стиглиц Дж.** Экономика государственного сектора. Москва, 1997.
3. **Бандурин В.В., Кузнецов В. Ю.** Управление государственной собственностью в условиях переходной экономики. Москва, 1999.

*Khuskivadze Mamuka*

*Totladze Lia*

### **CONCERNING THE DEVELOPMENT POTENCY OF A REAL SECTOR OF GEORGIA'S ECONOMY**

#### **SUMMARY**

In the article there is considered the present situation of state enterprises in Georgia. Is analyzed the results of audit carried out by the Chamber of Control in this sphere. There is also considered the real perspectives of development of enterprises.

*ეთერ კაკულია*

**მცირე საწარმოს მენეჯმენტის  
თავისებურებანი**

მცირე ბიზნესი (ბაზარზე მისი ორგანიზაციული ფორ-  
მაა მცირე საწარმო – ფირმა) თავისი განსაკუთრებულობით,  
უპირატესობებით და უარყოფითი მხარეებით ხასიათდება, რი-  
თაც განპირობებულია მცირე საწარმოს მენეჯმენტის თავისე-  
ბურებანი.

მცირე საწარმოს განსაკუთრებულობიდან და უპირატე-  
სობებიდან უპირველესად უნდა აღინიშნოს მისი მოქნილობა  
და მობილურობა, რომლებიც აძლევს მას შესაძლებლობას,  
მსხვილ საწარმოსთან შედარებით, ოპერატიულად უპასუხოს  
და სწრაფად შეეგუოს ბაზრის ცვალებად პირობებს.

მცირე ბიზნესი (მცირე საწარმო) შეიძლება კვალიფიცი-  
რდეს, როგორც ეკონომიკური ქცევის განსაკუთრებული ფორმა  
და ინიციატივიანი შემოქმედებითი საქმიანობა, რომელიც, ამა-  
ღროუღად, დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან შეზღუდული  
რაოდენობის დაინტერესებულ ადამიანთა ჯგუფისთვის.

მცირე ფორმაში ეფექტიან მეურნეობრიობას განაპირო-  
ბებს მესაკუთრისა და მმართველის ერთი მიზნის გარშემო  
გაერთიანება. ამასთან, მისი ეფექტიანი ფუნქციონირების უმ-  
თავრეს პირობას წარმოადგენს ის, რომ აქ შესაძლებელია თა-  
ნამშრომელთა ურთიერთჩანაცვლებადობა. მცირერიცხოვანი  
კოლექტივისათვის დამახასიათებელია ერთმანეთისადმი დახმა-  
რება და მხარდაჭერა, ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში ურ-  
თიერთშეცვლა.

მცირე საწარმოს განსაკუთრებულ უპირატესობას წარ-  
მოადგენს ინფორმაციის გატარების სისწრაფე. ეს განპი-  
რობებულია მესაკუთრესა (ხელმძღვანელსა) და დაქირავებულს  
შორის უშუალო ურთიერთობებით.

ფორმის მცირე ზომა განაპირობებს მასში კარგი მარ-  
თვის განხორციელებას იქ არსებული მმართველობის ხარ-  
ჯებთან შედარებით, ამასთან, მცირე საწარმოს შესაქმნელად,  
როგორც წესი, მსხვილი დანახარჯები არ არის საჭირო.

თავისი განსაკუთრებულობისა და უპირატესობების  
გვერდით მცირე საწარმოები რიგი უარყოფითი მხარეებითაც  
ხასიათდება. არსებით უარყოფით მახასიათებელს მცირე სა-  
წარმოებისათვის წარმოადგენს ის, რომ აქ მესაკუთრე მაღალი  
რისკის ქვეშ იმყოფება. მცირე საწარმოების ეფექტიანი ფუნქ-  
ციონირება დიდად არის დამოკიდებული არა მხოლოდ ხელ-  
მძღვანელის შესაძლებლობებსა და უნარზე, არამედ გარე  
სამყაროს შემოქმედებაზეც. მეორე სუსტ მხარეს მცირე საწარ-  
მოებისათვის წარმოადგენს კაპიტალდაგროვების დაბალი დო-  
ნე. მათი შესაძლებლობები შეზღუდულია კრედიტის მიღე-  
ბაშიც, რაც განპირობებულია იმით, რომ მცირე საწარმოს არ  
აქვს საჭირო სახსრები მაღალი პროცენტის გადასახდელად.

მცირე საწარმოებს პრაქტიკულად არ აქვს გამოყენება  
ფონდტევად, მეცნიერებატევად და სხვა ისეთ დარგებში, რო-



მელიც დიდ კაპიტალდაბანდებებს საჭიროებს, ამდენად, მისი მოქმედების სფერო შეზღუდულია.

მცირე ბიზნესი მეტად მრავალფეროვანია, ეს მრავალფეროვნება და განსხვავებულობა განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით. თითოეული მათგანი, ამა თუ იმ ზომით, გავლენას ახდენს კონკრეტული ფორმის მართვის თავისებურებებზე. ასეთ ფაქტორებს განეკუთვნება საწარმოს ზომა, დასაქმებულთა რიცხოვნობა და შემადგენლობა; საკუთრების ფორმა; საქმიანობის დარგი; გამოსაშვები პროდუქციის და მომსახურების მოცულობა და ასორტიმენტი; საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და სხვა.

სპეციალისტების [1,2,3] მიერ აღიარებულია, რომ მართვის ორგანიზაციის კონკრეტული ფორმის განსაზღვრაზე ყველაზე მეტად გავლენას ახდენს საწარმოს ზომა, უფრო ზუსტად, დასაქმებულთა რიცხოვნობა, დასაქმებულთა რიცხოვნობიდან გამომდინარე გააჩნია თავისი სპეციფიკა საწარმოს მენეჯმენტსაც.

მენეჯმენტი განისაზღვრება როგორც პრინციპების, მეთოდების, საშუალებებისა და მართვის ფორმების ერთიანი სისტემა, რომელიც მიმართულია საწარმოს მიერ დასახული მიზნების, საჭირო რესურსების სოციალური გამოყენების მიღწევისაკენ, ამ რესურსების რაციონალური გამოყენების გზით. საწარმოს მენეჯმენტის, როგორც მართვაში სპეციალისტის, მახასიათებლად აღიარებულია საწარმოს შრომის მწარმოებლობაში მიღწევები, მიღებული კონკრეტული შედეგები.

იაპონიაში განასხვავებენ საწარმოთა მენეჯმენტის ტექნოლოგიის სამ დონეს. არაორგანიზებული მართვა (მენეჯმენტი), ორგანიზებული მართვა, მეცნიერულად დასაზუსტებული ორგანიზებული მართვა. მათ შორის პირველი, მართვის ტექნოლოგიების დაბალი დონე, მახასიათებელია მცირე საწარმოებისათვის, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20 კაცს. აქ არ ფუნქციონირებს მმართველობის (მენეჯმენტის) სპეციალური (საყოველთაოდ აღიარებული) მმართველობითი ქვეგანყოფილებები. მართვა ხორციელდება ელემენტარულ დო-

ნეზე და მოიცავს მხოლოდ ბუდალტრულ აღრიცხვას, სამეცნიერო საქმიანობის რენტაბელობის კონტროლს, ხელმძღვანელობას შრომაზე.


მმართველობის ტექნოლოგიის საშუალო (მეორე) დონე შეესაბამება საწარმოებს, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა განისაზღვრება 21-დან 100-მდე კაცით. მმართველობის ამ დონეზე ფუნქციონირებს სპეციალური მმართველობითი ქვეგანყოფილებები. ესენია: წარმოების, მომარაგების, შრომის, ფინანსების მართვის ტექნოლოგიები, რომელთა მენეჯერებს შესწევთ უნარი, ორგანიზებულად მართონ საწარმოს მეურნეობრიობა.

მმართველობის ტექნოლოგიის უმაღლესი (მესამე) დონე შეესაბამება ისეთ საწარმოებს, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 100 კაცს. ასეთ საწარმოებში ფუნქციონირებს კარგად ორგანიზებული, მეცნიერულად გააზრებული მმართველობის ქვეგანყოფილებები. თითოეული ასეთი განყოფილება თავის სფეროში ფლობს მმართველობის ტექნოლოგიის უმაღლეს დონეს.

მმართველობის დონეების მიხედვით საწარმოთა დაყოფას თავისი ლოგიკა გააჩნია. ცხადია, მაღაზიები, კაფეები, სილამაზის სალონები და სხვა სახის მცირე ზომის საწარმოები არ საჭიროებს მმართველობის ქვეგანყოფილებებს, იგი მათთვის ზედმეტ ტვირთს წარმოადგენს.

ჩვეულებრივ, მცირე საწარმოებში მენეჯმენტის განხორციელებას თავის თავზე იღებს მესაკუთრე.

მცირე ფირმის (საწარმოს) მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით (იხ. ნახ. 1).



**ნახ. 1.** მცირე ფორმის (საწარმოს) მენეჯმენტის ორგანიზაციული სტრუქტურა

წარმოების და გაყიდვების მოცულობის გაზრდა მცირე საწარმოებში ითხოვს მმართველი ჯგუფის ჩამოყალიბებას, რომლის შემადგენლობაში შედის მმართველი (მესაკუთრე); მომარაგების აგენტები, რომლებიც, ხშირად, ტექნოლოგის, ოსტატის ფუნქციის შემსრულებლებად გვევლინებიან, რომელთა დაქვემდებარებაში იმყოფებიან დაქირავებულები. დროებითი ხელშეკრულებით (სამუშაოს შემსრულებლად) ხდება ბუღალტრის სპეციალისტის მოწვევა. პროფესიული და მმართველობითი ფუნქციების გაერთიანება, ნათესაური და ოჯახური ურთიერთობების არსებობა მცირე საწარმოებში განაპირობებს არსებული რესურსების ეკონომიურ გამოყენებას.

განასხვავებენ მართვის ორ სახეობას, ესენია, საწარმოს მიზანზე ორიენტირებული მენეჯმენტი, მას ხშირად უწოდებენ „მმართველობას მიზნის მიხედვით“ და ფუნქციების მიხედვით მმართველობა, ანუ დაკისრებული ფუნქციების მიხედვით მენეჯმენტი.

ბიზნესის მენეჯმენტში განასხვავებენ მმართველობის სამ ძირითად სტილს: ავტორიტარულს, დემოკრატიულს, ლიბერალურს.

მმართველობის მენეჯმენტის სტილი, ეს არის არა ის, რა უნდა შესრულდეს მცირე საწარმოს მენეჯმენტში მიზნის მისაღწევად, არამედ ის, თუ როგორი ხერხით და მიდგომით

განახორციელოს მენეჯმენტი მენეჯერმა მას შემდეგ, რაც განისაზღვრება სტრატეგია, მიზნები და ამოცანები.

ყოველ მენეჯერს მენეჯმენტის განხორციელების თავისი სტილი აქვს, რომელიც, ასე თუ ისე, მიესადაგება მმართველობის ზემოთ აღნიშნულ სამ ძირითად სტილს. განასხვავებენ ხუთი ბუნების მმართველობითი ქცევის ტიპს, ესენია: მენეჯერ-დიქტატორი, მენეჯერ-დემოკრატი, მენეჯერ-პესიმიستي, მენეჯერ-მონოპოლისტი; მენეჯერ-ორგანიზატორი.

აღნიშნული ტიპებიდან მცირე საწარმოს (მცირე ბიზნესის) მენეჯმენტს უნდა ახორციელებდეს მენეჯმენტ-ორგანიზატორი მენეჯმენტის ეს ტიპი ყველაზე პროდუქტიულია, რადგან იგი ითვალისწინებს წარმოების შესაძლებლობებს, მოთხოვნას და მოსახლეობის ინტერესებს.

საქართველოში, გარდამავალი ეკონომიკის პერიოდში, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ხელი მოჰკიდა მცირე ბიზნესს. შეიქმნა უამრავი მცირე საწარმო, განსაკუთრებით კომერციულ ბიზნესში და მომსახურების სხვა სფეროში მცირე საწარმოების შექმნას ხელი შეუწყო იმანაც, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში განსახელმწიფოებრიობის და პრივატიზების პროცესი დაიწყო საბჭოთა მცირე საწარმოებებიდან. მიუხედავად მცირე საწარმოთა სიმრავლისა, რომელიც, მოქმედ საწარმოთა საერთო რაოდენობაში, 1996 წლიდან დღემდე ყოველწლიურად 80 პროცენტს აღემატება, მან მაინც ვერ მოახერხა ქვეყნის ეკონომიკაში თავისი ადგილის დამკვიდრება. გამომეგებული პროდუქციის საერთო მოცულობაში მისი ხვედრითი წილი ჯერ კიდევ ძალზე მცირეა და ბოლო წლების (2003-2008) მონაცემებით, მნიშვნელოვნად აღემატება 4 პროცენტს. მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან აღემატება 50 პროცენტს.

რეგისტრირებულ საწარმოთა საერთო რაოდენობიდან (207598 ერთეული) 2007 წელს ფუნქციონირებდა მხოლოდ 23137 საწარმო (11,1%). აქედან მცირე საწარმოზე მოდის 8,9% (18576 საწარმო).

მონაცემთა მიხედვით, 2003 წლიდან 2007 წლის ჩათვლით რეგისტრირებულ ინდივიდუალურ საწარმოთა საერთო რაოდენობა ორჯერ მეტად (2,25-ჯერ) გაიზარდა, მაშინ, როდესაც მოქმედ საწარმოთა დიდი ნაწილი დიდხანს ვერ ახერხებს არსებობას.

მარტო 2007 წლის მონაცემებით რეგისტრირებული ინდივიდუალური საწარმოების საერთო რაოდენობის (147775 საწარმო) მხოლოდ 7,3%, ანუ 10854 საწარმო ფუნქციონირებდა. მოცემული მასალებიდან საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობის შესწავლა მისი განვითარების დაბალ დონეს გვიჩვენებს.

აქვე შევნიშნავთ, რომ საწარმოს მენეჯმენტის სტრატეგია და მიზანი, ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის მთავრობის მცირე ბიზნესისადმი ჩამოყალიბებულ სტრატეგიაზე.

დღეს არსებული მთავრობის სტრატეგიის მიხედვით, რომელიც რეგულირებულია 2010 წელს მიღებულ ახალ საგადასახადო კოდექსში (თავი XI) [4] და რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან, მიკრო და მცირე ბიზნესში დასაქმებულთა მენეჯმენტის სტრატეგიად უნდა იქნეს აღიარებული მათი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გაზრდა, ხოლო ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით [3], მიკრო და მცირე ბიზნესის მენეჯმენტის სტრატეგია უნდა იყოს დასაქმებულთა რაოდენობა.

ნაშრომში [7] ჩამოყალიბებულ სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, მცირე ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი არის მცირე საწარმოების მენეჯმენტის მეტად დაბალი დონე, შეიძლება ითქვას, მისი თითქმის არარსებობა. აღნიშნულის გამოსწორების მიზნით, ქვეყნის მთავრობამ, განათლების სამინისტროსთან ერთად, ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მცირე ბიზნესის მენეჯმენტის სპეციალისტების აღზრდას.

არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში უნდა ისწავლებოდეს დისციპლინა „მცირე ბიზნესის მენეჯმენტი“, კოლექტებში უნდა მომზადდეს კადრები შესაბამისი სპეციალობებით.

განსაკუთრებით უნდა მიექცეს ყურადღება მმართველობის დაბალი (პირველი) და საშუალო (მეორე) დონის მენეჯმენტის ტექნოლოგიას და მენეჯერის სტილიდან მენეჯერ-ორგანიზატორის სტილის ფორმირებას.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. Девид Дж. Речмен; Майкл Х. Мескон, Куртланд Л. Боуви; Джон В. Тилл. Современный Бизнес. В 2 т. М., 1995.
2. Грибов В. Д. Менеджмент в малом бизнесе. М., «Финансы и статистика», 2002.
3. ნიდლი დ. ბიზნესი კონტექსტში. თბილისი, ბიზნეს კომუნიკაციის ცენტრი, 2003.
4. საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი (უახლესი ცვლილებებით და დამატებებით). თბილისი, 2011.
5. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. (2010 წლის 5 ნოემბერის მდგომარეობით). თბილისი, „იურისტის ბიბლეოთეკა“, 2010.
6. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი. მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური კრებული. თბილისი, 2008.
7. აბესაძე რ., კაკულია ე. მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. თბილისი, 2008.

*Kakulia Eter*

### **THE PECULIARITY OF SMALL ENTERPRISE MANAGEMENT**

#### **SUMMARY**

In the work are studied the positive and negative sides characteristic for small business (small enterprise). Are discussed three levels of enterprise management, three types of a manager for small

enterprises. Is given the model of organizational structure of a small enterprise (firm) management. Is given an opinion for overcoming insufficiencies existed in a small enterprise management of Georgia, about the necessity of establishing a manager organizer from managing technology of the second level and from the fifth form of the management style.

*ნაზირა კაკულია*

**ინსტიტუციური პრობლემები რეფორმების  
თანამედროვე ეტაპზე**

ინსტიტუციურ პრობლემათა შორის ჩვენ შევეხებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც უკავშირდება საკუთრების ზუსტად დადგენილ უფლებებს, უზრუნველყოფს ინვესტიციების სტიმულირებას, შრომის მწარმოებლურობის ზრდას, ქცევის ნორმების სრულყოფასა და გადაწყვეტილებათა მიღების სტიმულირებას. ასეთ პრობლემად მივიჩნევთ პრივატიზაციის განხორციელების პროცესს. ტრადიციულად, პრივატიზაცია განიხილება, როგორც სახელმწიფოს ხელში არსებული ინსტრუმენტი, რომელიც თავისი ფუნქციონირების გაზრდის მიზნით საკუთრების უფლებისა და რესურსების განაწილების საკითხებს ბიუროკრატების ხელიდან ბაზრის „უჩინარი ხელის“ განკარგულებაში გადაცემას გულისხმობს.

პრივატიზაციის განხორციელების გამოცდილება სხვადასხვა ქვეყანაში მოწმობს იმაზე, რომ ეს პროცესი შეიძლება ისახავდეს განსხვავებულ მიზნებს, რომლებიც შეიძლება ატა-

რებდეს როგორც პრაგმატულ, ასევე სისტემურ ხასიათს<sup>19</sup>. ბუნებრივია, რომ განსხვავებული ხასიათის მიზნების რეალიზაცია მოითხოვს სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებას, რაც გამორიცხავს ყველა დასახული მიზნის ერთდროულად მიღწევის შესაძლებლობას. პოლიტიკური პრიორიტეტების დადგენით სახელმწიფო ფაქტობრივად საზღვრავს თავის მიდგომას პრივატიზაციის განხორციელებაში. ასე მაგალითად, ეკონომიკური ეფექტიანობის ამალღების მიზნით შეიძლება სახელმწიფო საკუთრების გაყიდვა იმ სტრატეგიულ ინვესტორებზე, რომლებიც საწარმოთა რესტრუქტურისაციის ყველაზე ოპტიმალურ გეგმას წარმოადგენენ; სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ამოცანის გადასაჭრელად შეიძლება გადაწყდეს საწარმოთა გაყიდვა აუქციონზე მაქსიმალურ ფასად, ხოლო თუ სახელმწიფო მიზნად ისახავს სისტემური ცვლილებების განხორციელებას, მაშინ ყველაზე მისაღები სტრატეგიაა მასობრივი პრივატიზაცია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პრივატიზაციის სისწრაფესა და ეფექტიანობას შორის არჩევანის გაკეთებას<sup>20</sup>.

სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული პრივატიზაცია ასევე მოწმობს იმაზე, რომ პრივატიზაციის პროცესის ეკონომიკურ ასპექტებზე ყურადღების გამახვილებამ გამოიწვია იმ მამოძრავებელი ძალებისა და მოტივაციის არასწორი გა-

---

<sup>19</sup> პრაგმატული მიზნები ითვალისწინებს: საწარმოთა საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სფეროს შევიწროებას, სახელმწიფოს მხრიდან მოქმედების რაციონალიზაციას და საბიუჯეტო დეფიციტის პრობლემების გადაწყვეტას, ხოლო სისტემური მიზნები ორიენტირებულია ეკონომიკური ინსტიტუტების და ინტერესების კარდინალურ შეცვლაზე.

<sup>20</sup> საქართველოში თავდაპირველად ოფიციალურად (იურიდიულად) იყო მიღებული პრივატიზაციის ყველა ფორმის გამოყენება (უხასყიდლო გადაცემა, არენდა-გამოსყიდვით, საკონკურსო გაყიდვა, აუქციონი, საერთაშორისო ტენდერი), მაგრამ ყველა ისინი თანაბარი ზომით არ იყო ამოქმედებული (Папава, Беридзе, 2005, с. 159).



გება, რომლებიც საფუძვლად უდევს პრივატიზაციის განხორციელების ამა თუ იმ სტრატეგიის არჩევას.

პრივატიზაციის ეკონომიკურ ასპექტებთან ერთად, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პრივატიზაციის პოლიტიკური არსის გაგებასაც, რომელიც დაპირისპირებული სოციალური ჯგუფების ინტერესების კონფლიქტში გამოიხატებოდა. სავსებით ნათელია, რომ პრივატიზაცია – ეს არის სოციალური მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ალტერნატივა, მაგრამ იგი იძენს გადაწყვეტილებათა მიღების ინსტიტუტის ფორმას, რომელიც ზოგიერთი ჯგუფის მიზნებს პრივილეგიურულ მდგომარეობაში აყენებს მათთან დაპირისპირებული სოციალური ჯგუფების საწინააღმდეგოდ.

ამრიგად, პრივატიზაცია წარმოადგენს არა საკუთრების უფლების უბრალო გადაცემას სახელმწიფოდან კერძო პირებზე, არამედ ითვალისწინებს სოციალური მიზნების რეალიზაციას და მის შესრულებაზე პასუხისმგებლობის გადანაცვლებას სახელმწიფო სექტორიდან კერძო სექტორზე.

პასუხისმგებლობის ამგვარი გადანაცვლება ცვლის მთელ ინსტიტუციურ სტრუქტურას, რომლის მეშვეობით ხდება საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესების დაკმაყოფილება, იზრდება წინააღმდეგობა იმ ჯგუფების მხრიდან, რომელთა ინტერესების ხელყოფა მოხდა პრივატიზაციის პროცესში. აქედან თვალნათლივ ჩანს, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება პრივატიზაციის სტრატეგიის შერჩევასა და წარმატებით განხორციელებას.

საქართველოში კონკურენციის მექანიზმის შექმნისა და სტიმულირების პროცესმა სტარტი აიღო 1992 წელს ფასებისა და ვაჭრობის ლიბერალიზაციასთან ერთად. ამავე პერიოდში დაიწყო კერძო საკუთრების ინსტიტუტის შექმნა პრივატიზაციის მეშვეობით, რომელიც დღესაც გრძელდება. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, უფრო დაწვრილებით განვიხილოთ პრივატიზაციის თავისებურებები საქართველოში.

სახელმწიფო საკუთრების ტრანსფორმაციის პერიოდი საქართველოში დაიწყო მცირე საწარმოების მასობრივი პრივა-

ტიზაციით ჯერ კიდევ 1993 წელს. დღეისათვის მცირე საწარმოების პრივატიზაცია ფაქტობრივად დამთავრებულია.

მცირე საწარმოთა განსახელმწიფოებრიობის პროცესში მოქმედებდა პრივატიზაციის სხვადასხვა ფორმა: ვაუჩერული მეთოდი, ფულადი და ნულოვანი აუქციონები, აქციების საკონტროლო პაკეტების პირდაპირი გაყიდვა, კომერციული კონკურსები (ტენდერები), საპრივატიზაციო საწარმოების აქციათა ნაწილის გადაცემა შრომითი კოლექტივებისათვის უფასოდ და შედავათიან ფასებში.

საქართველოში, ისევე, როგორც ბევრ სხვა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, პოლიტიკური პრიორიტეტები ჭარბობდა ეკონომიკური ეფექტიანობის მოსახრებებს. ამის შედეგი იყო ალბათ ის, რომ აუქციონებსა და კომერციულ კონკურსებზე (ტენდერებზე) გამოტანილი საკუთრება თავს იყრიდა უმთავრესად ინსაიდერთა ხელში, როგორც ვიცით, ინსაიდერთა ხელში საკუთრების გადაცემა (გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე) რესტრუქტურისაციის დაბალი დონითა და ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების სუსტი სტიმულირებით ხასიათდებოდა.

საშუალო და მსხვილი საწარმოების პრივატიზაცია, პრაქტიკულად, მცირე საწარმოების პრივატიზაციასთან ერთად დაიწყო და პირველ ეტაპზე ითვალისწინებდა მათ გარდაქმნას სააქციო საზოგადოებებად. უნდა აღინიშნოს, რომ მცირე საწარმოების პრივატიზაციისაგან განსხვავებით, საშუალო და მსხვილი საწარმოების პრივატიზაცია მიმდინარეობდა გაცილებით მეტი სიძნელებით. საშუალო და მსხვილ საწარმოთა პრივატიზაციის შემავრებელ მთავარ მიზეზად შეიძლება გამოვყოთ: საწარმოთა აქციონირების პროცესისადმი ინსაიდერთა მხრიდან წინააღმდეგობის გაწევა (ძირითადი კაპიტალის ცუდი მდგომარეობა, ჭარბი წარმოებრივი სიმძლავრეები, დავალიანებები, პერსონალის სიჭარბე, ფინანსური რესურსების მოზიდვის დაბალი დონე, ცუდი საინვესტიციო კლიმატი), რომელიც აფრთხობს პოტენციურ ინვესტორებს. ამის გარდა, იმ საშუალო და მსხვილი საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილის

პრივატიზაცია, რომლებმაც მიიღეს სტრატეგიული ობიექტების სტატუსი, აკრძალული იყო კანონმდებლობით.

პრივატიზაცია საქართველოში თავიდანვე მთელი ტრანსფორმაციული სტრატეგიის ძირითად ელემენტად განიხილებოდა. ტრანსფორმაციის პირობებში საწარმოები, სამწუხაროდ, ორიენტირებულნი იყვნენ გადარჩენაზე და არა მოგებაზე. ინსტიტუციური პირობების არასტაბილურობა, დარგის ცვალებადი სტრუქტურა, ალტერნატიული მომხმარებლისა და მიმწოდებლის არარსებობა, ხშირად „იძულებულს“ ხდიდა ღირებულებებს, შეენარჩუნებინათ კავშირები. არსებული სტატუსის შენარჩუნების მიზნით, ისინი მზად იყვნენ იმაზეც, რომ საწარმოს მხოლოდ გადარჩენის პოლიტიკა ჰქონოდა. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში საუბარი არ შეიძლება იყოს მაღალი დონის პროდუქციის გამოშვებაზე, რომელიც მოგებაზე ორიენტაციას გულისხმობს.

გარდამავალ პერიოდში, სამწუხაროდ, გადაწყვეტილებებს იღებენ არა საწარმოები, როგორც ჩამოყალიბებული ინსტიტუტები, არამედ, ფიზიკური პირები, რომლებიც მთელი კოლექტივის სახელით მოქმედებენ. ასეთ გადაწყვეტილებებს ეგონისტური ქცევები ედება საფუძვლად, რომელიც პერსონალის შენარჩუნებაში გამოიხატება. ამის მიღწევა კი შესაძლებელია დაბალი ხელფასისა და არასრულყოფილი სამუშაო დღის დაწესებით. ამასთან, მიუხედავად არსებული პრობლემებისა, საწარმოთა ხელმძღვანელები ყოველგვარი ხერხით იბრძოდნენ თანამდებობის შესანარჩუნებლად. საწარმოს მოქმედება მთლიანად ექვემდებარებოდა ხელმძღვანელის პირად ინტერესებს. ამ პირად ინტერესებში შედის ყველა ის მოქმედება, რომელიც გამოიხატება კაპიტალის გაყიდვაში, ან თუნდაც გაკოტრების იმიტაციაში, თუკი ეს საწარმოს ხელმძღვანელობის ინტერესებში ჯდება. ფაქტობრივად, საწარმოთა ინტერესები დაყვანილი იყო ძველი ხელმძღვანელობის პირად ინტერესამდე.

ნაკლებად წარმატებულ ტრანსფორმაციულ ეკონომიკაში პრივატიზაციის განხორციელებისას საკუთრების უფლებების განაწილება არასწორი მიმართულებით წარიმართა, ვინაიდან

ამ ქვეყნებში ხელისუფლებამ ვერ შეძლო, ერთი მხრივ, იმ ძველი ინსტიტუციური ურთიერთობების დემონტაჟი, რომლებიც არეგულირებდნენ საბაზრო ინსტიტუტების, ისეთის, როგორიცაა, კერძო საკუთრების, კორპორაციული მართვის სამართლებრივი კოდექსის შექმნის სტიმულირება. ასევე, ვერ მოიძებნა მექანიზმი, რომელიც შეძლებდა ბიუჯეტური შეზღუდვებისა და სოციალური დაცვის სისტემების ჩამოყალიბებას.

სუსტმა და არაადეკვატურმა ინსტიტუციურმა გარემომ მხოლოდ გააუარესა მასობრივი პრივატიზაციის შედეგები. ინსტიტუციური ვაკუუმის პირობებში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მენეჯერთა და „ინსაიდერთა“ მხრიდან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის.

პრივატიზაციის განხორციელებასთან დაკავშირებული რეფორმების ანალიზისას იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ რეფორმების პროცესი მიმდინარეობდა დასავლური მოდელების მიხედვით, გარდამავალი ეკონომიკის ინსტიტუციური სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე და მიგვიყვანა მოულოდნელ შედეგებამდე.

სავსებით ნათელია, რომ ეკონომიკური ტრანსფორმაციის მსვლელობაში პრივატიზაცია არის საბაზრო ეკონომიკის ფორმირების მხოლოდ ცალკეული ინსტრუმენტი, ამის გაუთვალისწინებლობა და იგნორირება შეცდომა იყო. აუცილებელი იყო იმის გააზრება, რომ პრივატიზაცია ვერასოდეს მიაღწევს სასურველ შედეგს, თუ ამას ხელს არ შეუწყობენ შესაბამისი ინსტიტუტები, რომლებიც მხოლოდ ერთიანობაში წარმოადგენენ ეფექტიანი საბაზრო მექანიზმის საფუძველს.

## ბამოყენებული ლიტერატურა

1. **პაპავა ვლ.** ეკონომიკური თეორია და ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია (უცხოური ლიტერატურის ანალიზი). ეკონომიკა, №1-3, 1999.
2. **პაპავა ვლ.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 2002.

3. **კაკულია ნ.** ნეკროეკონომიკის ფორმირების მიზეზები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები. ტომი III, “მეცნიერება”, 2003.
4. **Dubrovskiy V., Ustenko O.** Business Climate in CIS Countries. CASE, Studia i Analizy, 307. Warsaw, 2005.
5. **Fries S., Lysenko T. and Polenac S.** The 2002 Business Environment and Enterprise Performance Survey: Results from a survey of 6100 firms. Memorandum, 2003.
6. **Papava V.** NECROECONOMICS – The political economy of post-communist capitalism. Universe, Inc. New York Lincoln Shanghai, 2005.
7. **Roland, Gerard and Thierry Verdier.** “Privatization in Eastern Europe: Irreversibility and Critical Mass Effects, “Journal of Public Economics”, vol. 54, pp. 161-183, 1994.

*Kakulia Nazira*

## **THE PROBLEMS OF INSTITUTIONAL REFORMS IN THE MODERN PERIOD**

### **SUMMARY**

The article with institutional problems discusses one of the important issues, which is connected with the establishment of the exact rules of property, it supports stimulation of investment flow, grows productivity of labour, regulation of behaviour perfection and stimulation of decision making.

This type of problem assumes to be the process of privatization realization.

The issue discusses privatization as the tool in the hands of government, which as the target of increasing its functions means the transmission of the rights of property and distribution of resources from the hands of bureaucrats to the “invisible hand” of the market.

*ვიგა მაისურაძე*

## **საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ტენდენციები**

მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ამა თუ იმ ქვეყნის აქტიური მონაწილეობის მძლავრი ინსტრუმენტი საერთაშორისო ბიზნესის გააქტიურება და აღმავლობაა. ეს კი გულისხმობს ეროვნული სახელმწიფოების ბაზრის სხვადასხვა სექტორში შესვლას, პოზიციების შენარჩუნებასა და განმტკიცებას. საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნესი ორივე საქმიანი ტრანსაქციაა და ხორციელდება მოგების (შემოსავლების) მიღების მიზნით. ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა ნებისმიერი სახელმწიფოს მიზანია, კონკურენტუნარიანობის შეფასების ინდიკატორებიდან ერთ-ერთი ბიზნესის ეფექტიანობაა. ბიზნესის განვითარება კი ქვეყანაში რთულია, თუ იგი არ მონაწილეობს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ადგილობრივისაგან განსხვავებით, საერთაშორისო ბიზნესში პარტნიორებად გამოდიან სხვადასხვა ქვეყნების როგორც სახელმწიფო ორგანიზაციები, ისე კერძო ფირმები, თუმცა განხორციელებული საქმიანი ოპერაციების სიხშირით კერძო სექტორი გამოირჩევა. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ბიზნესი, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა ქვეყანაში რეგისტრირებულ კერძო ფირმებს ან მათ ქვედანაყოფებს შორის საქმიანი ურთიერთობაა.

შრომის საერთაშორისო დანაწილებას საფუძვლად უდევს წარმოების აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობის ფაქტორები. აბსოლუტური უპირატესობის ქვეშ იგულისხმება ის შემთხვევა, როცა ამა თუ იმ ქვეყანას შესწევს უნარი, აწარმოოს საქონელი და მომსახურება კონკურენტებზე ნაკლები რესურსებითა და დანახარჯებით. შეფარდებითი უპირატესობის დეფინიცია ოდნავ უფრო რთულია და გულისხ-

მობს ამა თუ იმ ქვეყნის უნარს, აწარმოოს საქონელი და მომსახურება კონკურენტებზე ნაკლები ალტერნატიული დანახარჯებით.

საერთაშორისო ბიზნესი ზოგადად რთული მოვლენაა და მან განვითარების საკმაოდ დიდი გზა გაიარა. ამერიკელმა მეცნიერმა რ. რობინსონმა მოახდინა საერთაშორისო ბიზნესის შემდეგი პერიოდიზაცია: 1. კომერციალიზაციის პერიოდი (1500-1850); 2. ექსპანსიის პერიოდი (1850-1914); 3. კონცესიის პერიოდი (1914-1945); 4. ეროვნული სახელმწიფოების პერიოდი (1945-1970); 5. გლობალიზაცია (XX ს-ის 70-იანი წლებიდან დღემდე).

საერთაშორისო ბიზნესში ჩართული ქვეყნები მეტწილად ღია ეკონომიკის მქონეა, სადაც საქმიან გარიგებებსა და ტრანსაქციებთან ერთად სხვადასხვა დონის საერთაშორისო ოპერაციებიც ხორციელდება. ამ ოპერაციებზე ანგარიშსწორება ხორციელდება როგორც ეროვნული, ისე სარეზერვო ვალუტით და მსოფლიო ფულით. ღიასგან განსხვავებით, ავტარკიულ ეკონომიკურ სისტემებში ბიზნესოპერაციები ხორციელდება მხოლოდ ადგილობრივი ბაზრის ფარგლებში და ანგარიშსწორება ხდება მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის ეროვნული ვალუტით.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობას განაპირობებს მეცნიერებატექვადი დარგების განვითარება, ინფორმაციული ტექნოლოგიების წარმოებაში მიღწეული შედეგები, სტაბილური ბიზნესგარემო და ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია. ამასთან ერთად, სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლების ხარისხს, სახელმწიფოს მხრიდან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსებას, ინვესტიციების მოზიდვას მეცნიერებაში, მსოფლიო სამეცნიერო მიღწევებთან ადაპტაციას, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმის დანერგვას და სხვ. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ, დღევანდელი შეზღუდული რესურსების პირობებში, თითქმის არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია კონკურენტუნარიანი იყოს ყველა სფეროში, რაც თანამშრომლობის გაფართოებას უალტერნატივოს ხდის.

მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (შვეიცარია ქ. ლოზანა) 2008 წ. მონაცემებით, კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლით 55 ქვეყანას შორის პირველ ადგილზეა აშშ, მეორე ადგილზე – სინგაპური, მესამეზე – ჰონკონგი. საგულისხმოა, რომ აშშ ამ პოზიციას უკვე 15 წელი ინარჩუნებს და ეს ძირითადად არის განპირობებული, რომ აქ განვითარებულია მეცნიერებატევადი, უახლესი ინფორმაციული და სამხედრო ტექნოლოგიების წარმოება და მაღალია სხვა ქვეყნებში მათი ექსპორტის წილი.

საერთაშორისო ბიზნესში საქართველოს ჩართულობის და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ინდიკატორების გაუმჯობესების მხრივ მრავალმხრივი სამუშაოა ჩასატარებელი. ექსპორტის სტრუქტურა (2000-2008) ასახავს ფარდობითი უპირატესობების მქონე სფეროებს. 2008 წ. მონაცემებით სხვადასხვა ჯგუფის სასაქონლო ექსპორტი პროცენტობით ასეთია: ფეროშენადნობები 17.8, შავი ლითონები და ჯართი 8.6, სპილენძის მთლიანი და კონცენტრატები 7.9, მსუბუქი ავტომობილები 7.6, აზოტოვანი სასუქები 7.0, ოქრო (სასაქონლო და ნახევარმზადი) 6.7, ცემენტი 5.3, სპირტი და სპირტიანი სასმელები 4.9, ყურძნის ნატურალური ღვინოები 2.5, თხილი და სხვა კაკალი 2.2.

როგორც მონაცემები გვიჩვენებს, ექსპორტში მნიშვნელოვანია სამრეწველო პროდუქციის წილი, რაც ფარდობით უპირატესობას ასახავს ინდუსტრიულ სექტორში. ამ გარემოებამ კი ხელი უნდა შეუწყოს სხვა სექტორების (სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მშენებლობა და სხვ.) განვითარებას. უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების აღიარებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის საექსპორტო პროდუქციის წარმოების დიდი პოტენციალი გააჩნია. ეს კი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ტრადიციული სექტორებით ქვეყნის კიდევ უფრო აქტიური ჩართვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საზგასანმელი და დამაფიქრებელია, რომ საქართველოში მოხმარებული პროდუქციის 70-80% იმპორტირებულია, ანუ საქართველო ცალმხრივად მჭიდროდაა ინტეგრირებული მსოფ-



ლიო ბაზართან. ცალმხრივად იმიტომ, რომ ექსპორტი იმპორტს 4-5-ჯერ ჩამორჩება. უფრო მეტიც, საქართველო გარე სამყაროსთან მეტწილად დაკავშირებულია სტრატეგიული პროდუქციის (ხორბალი, ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი აირი და სხვ.) იმპორტირების კუთხით, ხოლო ექსპორტის პოზიციებიდან ჩვენი ქვეყნის პროდუქცია არაა პირველადი. 2008 წლის მონაცემებით ექსპორტმა შეადგინა 1,5 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტმა კი – 6,0 მლრდ აშშ დოლარი. რომ არა ესოდენ დიდი უარყოფითი სავაჭრო სალდო, საქართველოს შედარებით მეტი ბიუჯეტი ექნებოდა. საქმე ისაა, რომ სავაჭრო დეფიციტი იფარება ადებული ვალით. ამ უკანასკნელის მომსახურება კი ბიუჯეტის მიერ ხდება, რაც ზრდის მისი დეფიციტის შესაძლებლობებს.

ექსპორტის მოცულობის ზრდა უშუალო კავშირშია მოქმედი კომპანიების (ფირმების) წახალისებასთან, რომლებიც მსოფლიო ბაზრისათვის კონკურენტუნარიან პროდუქციას აწარმოებენ. კომპანიები, თავის მხრივ, ითვისებენ ეროვნულ ბაზარს და პარალელურად ახორციელებენ საერთაშორისო გარემოზე დაკვირვებას. მსოფლიო ბაზრის სეგმენტის არჩევის შემდეგ კომპანიები მათთვის მისაღებ სტრატეგიას ირჩევენ, რისთვისაც ისინი პირველ რიგში ითვალისწინებენ:

ა) იმ ქვეყნის ბიზნესგარემოს, სადაც აპირებენ შესვლას;

ბ) საერთაშორისო ოპერაციების და ტრანსაქციების განხორციელების პირობები, ქვეყნის ეროვნული სავაჭრო პოლიტიკა, საერთაშორისო კონკურენციის დონე და სხვ. ამასთან ერთად, საერთაშორისო ბაზარზე შესვლის ყველაზე აპრობირებული გზაა ექსპორტისათვის სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა.

საკუთარი ბიზნესის სწრაფი ზრდისათვის კომპანიები ხშირად იყენებენ ფრანჩაიზინგს, ეს უკანასკნელი მათ აძლევს ფართო შესაძლებლობებს, უცხოური ქვეყნის საწარმოებზე ფრანშიზის გადაცემით მიიღონ დამატებითი შემოსავლები. საქართველოს აგრო და კვების მრეწველობის სექტორში

ფრანჩაიზინგული სისტემის გამოყენება ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის გადამამუშავებას, მისი ცნობადობის გაძლიერებას მსოფლიო ბაზარზე და გაყიდვების მოცულობის ზრდას.

მსოფლიო საბაზრო სეგმენტში შეღწევისათვის კომპანიები ხშირად ირჩევენ ერთობლივი საწარმოს დაფუძნების სტრატეგიას. სტატისტიკური მონაცემებით, ევროპის ქვეყნებში შერეული კაპიტალის ფორმირებაში სამრეწველო კომპანიების 60-70% მონაწილეობს, რითაც ინარჩუნებენ ბაზარზე საქონლისა და მომსახურების პოზიციურობას და სტაბილური შემოსავლების დონეს. საქართველოდან სწორედ იმ ტრადიციული დარგების პროდუქცია გადის საერთაშორისო ბაზარზე, სადაც ადგილობრივ მეწარმეებთან ერთად უცხოელებიც თანამშრომლობენ.

საქართველომ უპირატესობა უნდა მოიპოვოს არა მარტო ტრადიციულ დარგებში, არამედ, აგრეთვე, მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების სფეროებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი და შეუქცევადი ზრდა.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ბიზნესსტრუქტურებში აქტიური მონაწილეობა ხელს შეუწყობს საქართველოს საერთაშორისო ბაზარზე შესვლის სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგ ღონისძიებათა სისტემის ფორმირება:

1. ქვეყანამ საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ააგოს საექსპორტო პროდუქციის წარმოების სტრატეგიაზე;
2. ხელსაყრელი პოლიტიკური და ბიზნესგარემოს შექმნა;
3. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაფართოება;
4. საექსპორტო პროდუქციის საბითუმო ბაზრებისა და პავილიონების თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად ორგანიზება;
5. საექსპორტო ბაზრების მოძიების მიზნით მარკეტინგული ძალისხმევის გაძლიერება.

## ბამოყენებული ლიტერატურა

1. გველესიანი რ. ეკონომიკური პოლიტიკა. თსუ, 2008.
2. ყორღანაშვილი ლ. საერთაშორისო ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური საკითხები. თბილისი, 2008.
3. Полякова В.В. Мировая экономика и международный бизнес. М., 2008.
4. World economic situation and prospects, 2010, NEW YOURK: U. N., 2010.

*Maisuradze Giga*

### THE TENDENCIES OF INTERNATIONAL BUSINESS DEVELOPMENT

#### SUMMARY

For international business, us for business in the country, the main goal is to receive profit. National firms (companies) have competition advantage in their countries. This means that very strong motivations are needed for company to decide making business and enter into world market. In order to increase domestic and therefore export manufacture in Georgia it is significant to develop traditional fields, where country has got a competitive preference. The promoting factors and recommendations of development of international business are given.

*ქეთევან ქველავაძე  
მამუკა ხუსკივაძე*

ტურისტული ბიზნესის განვითარება – უმუშევრობის  
ღონის შემცირების ერთ-ერთი ძირითადი  
მიმართულება საქართველოში

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში უმუშევრობა და უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური მოვლენები მწვავე განხილვის და მსჯელობის საგანია.

მოსახლეობის გარანტირებული დასაქმების პრაქტიკა, რაც დიდი ხნის მანძილზე არსებობდა საქართველოში, არა-ეფექტურად, მაგრამ მაინც წყვეტდა ამ პრობლემას. დღეს რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა და მოსახლეობის დასაქმების უზრუნველსაყოფად საზოგადოების და მთავრობის მხრიდან თვისებრივად განსხვავებული ხედვა და მიდგომა საჭირო.

შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საკვანძო საკითხია. დასაქმების დაბალი დონე და უმუშევრობა საოჯახო მეურნეობის შემოსავლების სიმცირეს და მრავალ ნეგატიურ და სოციალურ-ეკონომიკურ შედეგს იწვევს.

უმუშევრობის პრობლემა გაცილებით უფრო მტკივნეულია საქართველოს მოსახლეობისათვის, ვიდრე ამას ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს. ბოლო წლებში ჩატარებული არაერთი გამოკითხვის მიხედვით, უმუშევრობამ პირველი ადგილი დაიკავა იმ პრობლემებს შორის, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას ყველაზე მეტად ადელევებს.

ქართველ ექსპერტთა ყველაზე ლიბერალური შეფასებითაც კი უმუშევრობის რეალური დონე ქვეყანაში 30-35%-ია [3].

საქართველოში უმუშევრობის დონის შემცირების ერთ-ერთ ძირითად რეზერვს ჩვენ ტურისტული ბიზნესის განვითარებაში ვხედავთ.

ტურიზმი არის ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილება თავისი საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დათვალიერების ან სხვა მიზნით.

საქართველოში სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულთა 66%-ის აზრით, საქართველოს განვი-

თარებისა და მეწარმეთა დასაქმების კუთხით, ტურიზმი ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია.

სახელმწიფო ტურიზმისა და კურორტების დარგს ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებს. ქმნის ტურისტული და საკურორტო საქმიანობისათვის ხელსაყრელ პირობებს.

საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ უფლებას აძლევს ტურისტულ და საკურორტო საწარმოებს, აღიარონ მომსახურების ლიცენზია. ტურისტული საწარმოების ეკონომიკური საქმიანობა წარმართება ტურისტული და საკურორტო ინდუსტრიის გამოყენების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების ზრდის, ტურისტული საქმიანობის სუბიექტებიდან სახსრების ნებაყოფლობითი მოზიდვის, მოსახლეობის დასაქმების და ტურისტების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

მსოფლიოში არნახული ტემპით ვითარდება ტურიზმი, სადაც ჩართულია მილიონობით ადამიანი და თითქმის მთელი მსოფლიო, როგორც თავისი ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის ნაწილით, ისე კულტურული, ტექნიკურ-ეკონომიკური და ბუნებრივი პოტენციალით. ეკონომიკური, სოციალური, კულტურული მნიშვნელობისა და ზრდის ტემპის გამო ტურიზმი მიჩნეულია მეოცე საუკუნის აღმორჩენად. ბოლო 15 წლის განმავლობაში ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზის მიხედვით, ტურიზმი ძალიან მაღალი ტემპებით განვითარდა. ეკონომიკური კრიზისისა და არასასურველი კონიუნქტურის პირობებშიც კი მან შეინარჩუნა ზრდის დადებითი ტენდენცია [6].

გაეროს რეკომენდაციებიდან გამომდინარე, ქვეყანაში ტურიზმი ეკონომიკის მაპროფილებელ დარგად განიხილება, თუ მისი ხვედრითი წონა მთლიანად შიდა პროდუქტის (მშპ-ს) ღირებულებაში 8%-ზე მეტ ნიშნულს შეადგენს, ხოლო რეგიონულ ჭრილში 10%-იან მაჩვენებელს აღემატება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიოში ტურიზმი ყველაზე დინამიკურად განვითარებადი დარგია. მის წილად მოდის მსოფლიოში შექმნილი მთლიანი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით 6%,

მსოფლიო ინოვაციების 7%, ყოველი მე-16 სამუშაო ადგილი, მსოფლიო სამომხმარებლო დანახარჯების 11% და მთელი საგადასახადო შემოსავლების 5%. ის თითქმის ყოველი ქვეყნის მშპ-ში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს [2].

ტურისტული ბიზნესი გვევლინება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. მსოფლიო ტურიზმის მაღინის (ფილიპინები) ფორუმზე მიღებულ დეკლარაციაში ხაზგასმით არის აღიარებული, რომ ტურიზმი არის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური და პოლიტიკური მოვლენა.

მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე ქვეყნის იმიჯის დამკვიდრება სწორი მარკეტინგული სტრატეგიის განსაზღვრას მოითხოვს – ქვეყნის ეროვნული პროდუქტის დამკვიდრებას მსოფლიო ტურიზმის ბაზარზე.

ტურიზმის განვითარების ეროვნული კონცეფციის და სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია დარგის წინაშე მდგარი პრობლემების და მისი სუსტი მხარეების შესწავლა. მხოლოდ არსებული პრობლემების ტიპის განსაზღვრისას და სიღრმისეული გათვითცნობიერების შემდეგ გახდება შესაძლებელი მათი გადაჭრის გზების დადგენა. ამ საკითხისადმი მიდგომა ემყარება იმ მოსაზრებას, რომ ტურიზმი წარმოადგენს ეკონომიკის ისეთ დარგს, რომელიც აწარმოებს საქონელს და ცდილობს მისი მომხმარებლის მოპოვებას. აქედან გამომდინარე სწავლობს საქონლის ტიპს, ხარისხსა და მოცულობას, აგრეთვე, მათი რეალიზაციის მეთოდებს და შესაბამის ბაზარს.

საქართველოში ტურიზმი ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგი გახდა. იგი იმართება ეკონომიკური კანონებით და აუცილებელია, ქვეყნის ეკონომიკურ ბლოკში მას რეალური პრიორიტეტი მიენიჭოს. მისი განვითარების სტრატეგია ტურიზმის მდგრადი განვითარების მსოფლიოში აღიარებულ პრინციპებს ემყარება. საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის №404 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა ტურიზმის განვითარების ეროვნული კონცეფცია და სამუშაო პროგრამა. აღნიშნულ დოკუმენტში გაანალიზებულია საქართველოში ტურიზ-

მის დარგში არსებული სიტუაცია და განსაზღვრულია ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის ამ სექტორის დინამიურ განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ტურიზმის განვითარება სახელმწიფოსა და რეგიონს მთლიანად უქმნის შესაბამისი სტიმულირების ნაირსახეობას: ახალი სამუშაო ადგილები და საწარმოები, დამატებითი შემოსავლები, ადგილობრივი პროდუქციისათვის ახალი გასაღების ბაზრები, ინფრასტრუქტურის და კომუნალური მომსახურების ობიექტების სამსახურების მოდერნიზაცია, ახალი პროფესიები და ტექნოლოგიები, ახალი მიდგომები მიწათსარგებლობაში, საზოგადოების მიერ კულტურული მემკვიდრეობის და ბუნების დაცვის აუცილებლობის საფუძვლიანი გაგება.

საქართველოში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე საუბრისას აუცილებელია, პირველ რიგში, გათვალისწინებულ იქნეს ქვეყნის უნიკალური ტურისტული რესურსული პოტენციალის არსებობა (გეოგრაფიული, კლიმატური, ბუნებრივ-რეკრეაციული შესაძლებლობები და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა), რაც ტურიზმისათვის უმთავრესი ფაქტორია.

ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ხელსაყრელი უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობები, სამხრეთული სითბო და, ამავე დროს, თოვლით და მყინვარებით დაფარული კავკასიონი, შავი ზღვის სანაპირო სუბტროპიკული ჰავა, სამკურნალო მინერალური წყლებით მდიდარი კურორტები, რელიგიური და არქიტექტურული ძეგლები ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით კონკურენტუნარიანობას. საქართველო კურორტების ქვეყანაა. აქ 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილია და მთლიანად ქვეყნის მასშტაბით გათვალისწინებულია 38 საკურორტო-რეკრეაციული რაიონის ფორმირება, საერთო ფართობით დაახლოებით 15,4 ათ.კვ.კმ, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 22%-ის [2].

საქართველოს ყოველი კუთხე საუკეთესო საშუალებას იძლევა რეგიონული, რეგიონთაშორისი და სუბრეგიონული ტურიზმის განვითარების სტრატეგიული და ოპტიმალური გეგ-

მების ფორმირებისათვის. გარდა ამისა, ტურიზმის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს ბიოლოგიურ მრავალფეროვნებათა, კულტურული მემკვიდრეობის, ხალხთა შორის ურთიერთთანამშრომლობის და პლანეტაზე მშვიდობის შენარჩუნებაში [4].

საქართველოში ტურისტული რესურსული პოტენციალი ხელშემწყობ პირობებს ქმნის ისეთი ტურისტული მიმართულებების განვითარებისათვის, როგორცაა – აგროტურიზმი, ეკოტურიზმი, სამკურნალო, საქალაქო, კულტურული და სხვ. მათი განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყანაში შიდა ტურიზმის განვითარებას, რაც განავითარებს საქართველოს პერიფერიების ეკონომიკას. შიდა ტურიზმის განვითარება შემომყვანი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომელსაც ქვეყნის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ძირითად მიმართულებებს შორის პირველი ადგილი უჭირავს. შემომყვანი ტურიზმი მთლიანად მუშაობს ქვეყნის შიდა ბაზრის გაფართოებაზე.

უცხოელი ტურისტების მიღება, მომსახურება საქართველოს ტერიტორიაზე განიხილება, როგორც ტურისტული მომსახურების ექსპორტი.

თბილისში ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ქვეყანაში შემოსული ერთი ტურისტი საშუალოდ ხარჯავს 1160 დოლარს. ეს არის შემოსავლების განთავსების, კვების, სატრანსპორტო მომსახურების, სხვადასხვა კომუნიკაციების საფასური.

ტურისტულ ბიზნესს სამუშაო ადგილების შექმნით უდიდესი პოტენციალი გააჩნია სიღარიბის დონის შემცირების დაძლევაში. ტურიზმში დასაქმების ძირითად პრინციპებს არეგულირებს მომსახურების ინდუსტრია, რომელიც ძალიან სპეციფიკურია და აქტივობის დიდ სპექტრს მოიცავს. საერთაშორისო გამოცდილებით, უცხოეთიდან შემოსულ ყოველ 10 ტურისტზე მოდის ერთი სამუშაო უშუალოდ ტურიზმის სფეროში. აქედან გამომდინარე, 1 მილიონი ტურისტის მიღების შემთხვევაში, ტურიზმში დასაქმდება 100 000-მდე კაცი, აქედან უშუალოდ სასტუმროებსა და ტურისტულ კომპანიებში – 30 000



კაცი. სხვა სფეროებში კი – 70 000 კაცი, რაც საქართველოს ოჯახების საერთო რაოდენობის 10%-ია [5]. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ უშუალოდ ტურიზმში შექმნილი ერთი სამუშაო ადგილი ქმნის 2 ახალ სამუშაო ადგილს მის მონათესავე დარგებში, ე. ი. დამატებით ჩვენს ქვეყანაში შეიძლება დასაქმდეს 200-300 ათასი ადამიანი. საქართველოში ტურიზმის განვითარების დინამიკა მოცემულია დანართში.

სასტუმრო და ტურისტული მეურნეობის განვითარება არის საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების უმნიშვნელოვანესი საშუალება, ამიტომაც რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინდიკატურ გეგმაში ტურიზმი ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად არის დასახელებული [6].

ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა ქვეყანაში განვითარდეს უმაღლესი დონის პროფესიული ტურისტული განათლების სისტემა, რომელიც ტურისტულ ბაზარს უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით.

დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანო ხელს უწყობს სასწავლო პროგრამებისა და დაწესებულებების შექმნას ტურისტული ინდუსტრიის კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით [1].

ზემოთქმულიდან ვასკენით, რომ ტურისტული ბიზნესის განვითარება საქართველოსათვის მეტად საჭირო და აუცილებელია როგორც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის და მოსახლეობის დასაქმების მხრივ, ასევე ქვეყნის ბიუჯეტის შესავსებად. ასევე გასათვალისწინებელია ტურისტული ბიზნესის განვითარების სწორი სტრატეგია გარემოსთან მიმართებაში, რაც რეგიონებში უზრუნველყოფს გაცილებით უსაფრთხო და უვნებელ ეკოლოგიურ ატმოსფეროს.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ტურისტული ბიზნესით შეიძლება დასაქმდეს მცირე ბიზნესის და საოჯახო ბიზნესის ყველა წევრი, როგორც მოსწავლეები (მაგ., მეგზურებად), ისე პენსიონერები (საოჯახო სასტუმროებსა და რესტორნებში).

**დანართი 1**

## ტურიზმის განვითარების დინამიკა საქართველოში

მაჩვენებლები	1995	2000	2005	2006	2007	პერსპექტივა 2010-2012
ქვეყანაში შემოსულ ტურისტთა რაოდენობა (ათასი კაცი)	85,4	387,3	542,4	654,3	711,0	1,500-2,000
ტურიზმიდან მიღებული საერთო შემოსავალი (მლნ ლარი)	181,2	326,7	5015,0	609,5	704,4	1,200-1,500
ბიუჯეტში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი (მლნ ლარი)	68,3	91,6	265,7	248,4	410,0	400-1,000
ტურიზმში დასაქმებულთა რაოდენობა (ათ. კაცი)	9,7	16,6	29,2	48,3	102,0	200,0-300,0

### ბამოყენებული ლიტერატურა

1. **მასურაშვილი ს.** ტურისტული ბიზნესის პერსპექტივები საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, 2009.
2. **ლიპარტია ზ., ბერიძე თ., ქინქლაძე რ.** „სტატისტიკა“, ტ. II, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009.
3. **კვიციანი მ.** დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის მიმართულებები. საქართველოს სტრატეგიული კვლევის და განვითარების ცენტრი, №112, 2009.
4. **მაისურაძე გ.** ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი I, 2008.
5. **შუბლაძე ვ.** საქართველო და ტურიზმი. თბილისი, 2004.
6. **ღვედაშვილი ნ., ღუდუშაური ზ.** საქართველოს სასტუმროს და ტურისტულ მეურნეობას კვალიფიციური პერსონალი სჭირდება. ყ. – „სოციალური ეკონომიკა“, №3, 2007.

*Kveladze Ketevan*

*Khuskivadze Mamuka*

**THE DEVELOPMENT OF TOURISM BUSINESS IN ONE OF THE  
MAIN DIRECTIONS OF UNEMPLOYMENT  
LEVEL DECREASE IN GEORGIA**

**SUMMARY**

Unemployment and negative phenomena caused by unemployment in Georgia is an object of keen discussion. The development of business is one of the priority branch to decrease this problem. Tourist-recreation resource potential existed in Georgia is the best means for the development in the country of agrotourism, ecotourism, cultural tourism etc. The development of tourism business shall help the population to be employed and improve its social-economic condition.

*თენგიზ ქავთარაძე*

**მცირე ბიზნესი და სიღარიბის დაქვეითვის  
გზები სოფლად**

სიღარიბის პრობლემა მსოფლიოს აქტუალური პრობლემაა. ეს მოვლენა განსაკუთრებით ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი. ღარიბი ქვეყნების მოსახლეობა ვერ იკმაყოფილებს საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნილებას, რის გამოც მსოფლიოში მილიონობით ადამიანი შიმშილობს. სიღარიბე – შიმშილი – უმუშევრობა – ეს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ჯაჭვის რგოლებია.

საერთაშორისო კრიტერიუმებით, ღარიბად ჩაითვლება ადამიანი (ოჯახი), რომელიც თავისი შემოსავლებით ვერ იკმაყოფილებს ცხოვრებისათვის საჭირო ყველა პირობას. სიღარიბის ზღვარს უწოდებენ მდგომარეობას, როდესაც ადამიანი (ოჯახი) თავისი შემოსავლით მხოლოდ საარსებო მინიმუმს უზრუნველყოფს, ხოლო ადამიანი (ოჯახი), რომელიც ვერც საარსებო მინიმუმს უზრუნველყოფს, ითვლება სიღარიბის დონის მიღმა (ანუ ლატაკად). დღეისათვის მიღებულია, რომ თუ ადა-

მიანს შეუძლია დღეში 2 აშშ დოლარი დახარჯოს, იგი ითვლება სიღარიბის ზღვარს მიღმა, ხოლო თუ ადამიანს დღეში 1 აშშ დოლარზე მეტის დახარჯვა არ შეუძლია, ის ლატაკის კატეგორიას მიეკუთვნება [2].

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2008 წლის მონაცემებით ირკვევა, რომ ძირითადი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით წლითიწლოებით მცირდება, მაგალითად, თუ ხორბლის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 1999 წელს 51 კგ იწარმოებოდა, 2008 წელს კი შემცირდა 15 კგ-მდე. შესაბამისად შემცირდა სიმინდის წარმოება (110კგ – 40კგ), კარტოფილის (100 კგ – 38 კგ), ბოსტნეულის (94 კგ – 41 კგ) და ა.შ., რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს მოსახლეობა შიმშილობს. ადგილობრივი სამამულო წარმოების საკვებზე ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს იგი სანახევროდაც კი ვერ იკმაყოფილებს. ასეთ მდგომარეობაში ქვეყანაში უმუშევრობის შემცირება სიღარიბის დაძლევის საკვანძო პრობლემად გვევლინება. დასაქმების დაბალი დონე განაპირობებს საოჯახო მეურნეობების შემოსავლების დაბალ დონეს. საგულისხმოა, რომ დასაქმება და უმუშევრობა არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში არ განიხილება, როგორც ცალკე აღებული პრობლემა. იგი მთლიანი სოციალური და ეკონომიკური საკითხების შემადგენელი ნაწილია და პრობლემის არსებითად გადაწყვეტაც ხანგრძლივი კომპლექსური მიდგომის საფუძველზეა შესაძლებელი.

საქართველოში მთელი სიმძაფრით იგრძნობა მასობრივი უმუშევრობის ნეგატიური ტენდენციები. მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. რეალურ მდგომარეობას გაუმჯობესება დიდად არ ეტყობა. შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის მოპოვება კვლავ პრობლემურია. რაც შეეხება უმუშევრობას, იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. უმუშევრობის დონე 2004 წელს იყო 12,6%; 2005 წელს – 13,8; 2006 წელს – 13,6; 2007 წელს – 13,3; 2008 წელს – 16,5; 2009 წელს – 16,9%; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2004 – 2009 წლებ-

ში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის კლებაა დაფიქსირებული (გარდა 2009 წლისა).

სიღარიბის პრობლემა უშუალოდ უკავშირდება სასურსათო უსაფრთხოების საკითხს, რომელიც განვითარებადი და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის პრობლემად გვევლინება.

ექსპერტების შეფასებით, საქართველოში მოსახლეობის მიერ მოხმარებული ძირითადი კვების პროდუქტების მოცულობა ფულად გამოხატულებაში ქვეყნის აგრარულ ბაზარზე 2008 წელს 2,4 მილიარდ ლარს შეადგენდა, რაც 45,5%-ით ნაკლებია საქართველოს მოსახლეობისათვის კვების ფიზიოლოგიური ნორმით გათვალისწინებული ღირებულებისა. შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ქვეყნის აგროსასურსათო სექტორი დღეისათვის ვერ უზრუნველყოფს იმ რაოდენობის სასურსათო პროდუქციის წარმოებას, რომელიც დააკმაყოფილებს მოსახლეობის კვების ფიზიოლოგიურ ნორმებს (მაგალითად, საქართველოს მხოლოდ მარცვლეულის 1/3 მარაგი გააჩნია, დანარჩენი კი იმპორტით ივსება).

სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი რესურსი სახნავი მიწაა, რომლის ფართობი ყოველწლიურად მცირდება. სხვადასხვა მიზეზით (მიწების დეგრადაცია – წყლისმიერი, ქარისმიერი, ტექნიკური და ტექნოლოგიური ეროზია) მსოფლიოში ყოველწლიურად ერთი მილიონი ჰექტარი იკარგება, რაც უშუალოდ ახდენს გავლენას სურსათის შემცირებაზე.

საგულისხმოა, რომ საქართველოში შეინიშნება მარცვლეულის ნათესი ფართობებისა და მოსავლის შემცირება, განსაკუთრებით კი ხორბლის; თუ მისი ნათესი ფართობი 2003 წელს შეადგენდა 117,3 ათას ჰექტარს და მოსავალი 225,4 ათას ტონას, ეს მაჩვენებელი 2008 წლისათვის შემცირებულია 74,9 ათას ტონამდე, ანუ 66,8%-ით.

ყველა ის პრობლემა, სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, უპირველესად განვითარებადი ქვეყნების პრობლემებია; ძნელი წარმოსადგენია, რომ დედამიწაზე უახლოეს პერიოდში გამოინახოს ამ პრობლემის გადაწყვეტის საერთა-

შორისო მექანიზმი. აქედან გამომდინარე, სიღარიბის დაძლევის მთელი სიმძიმე ეროვნულ დონეზე გადის.

საქართველოში სასურსათო უზრუნველყოფა, რაც უშუალოდ დაკავშირებულია სიღარიბესთან, შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება: ცნობილია, რომ ერთ ზრდასრულ ადამიანზე წელიწადში 400-450 კილოგრამი ნედლი მარცვალი უნდა იწარმოებოდეს, მისი მოთხოვნილება რომ დაკმაყოფილდეს პურსა და პურპროდუქტებზე (აღნიშნული 10%-ითაც ვერ კმაყოფილდება ადგილობრივი წარმოებით). შედარებით უკეთესი მდგომარეობაა კარტოფილის წარმოების მხრივ, სადაც იმპორტი 2008 წელს 2006 წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა და შეადგინა 4,7%. სათანადო მასალების შესწავლით ირკვევა, რომ 2008 წელს, 2005 წელთან შედარებით, ერთწლოვანი კულტურების ნათესი ფართობი 210, ხოლო გასული საუკუნის 80-იან წლებთან შედარებით 520 ათასი ჰექტარით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ საანალიზო წლებში შემცირდა თითქმის ყველა სახის კულტურის ნათესი ფართობი და მთლიანი მოსავალი. მაგალითად, 2008 წელს, 2005 წელთან შედარებით, ხორბლის ნათესები შემცირდა 49, სიმინდის – 48, კარტოფილის – 16, ბოსტნეულის – 17 ათასი ჰექტრით. ამავე წლებში ხორბლის წარმოება დაეცა – 110, სიმინდის – 93, კარტოფილის – 240, ბოსტნეულის – 272 ათასი ტონით. შემცირებულია მათი საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა. იგივე მდგომარეობაა სხვა ერთწლოვან კულტურებშიც (მარცვლოვან-პარკოსნები, ბალჩეული, ტექნიკური კულტურები), მრავალწლიანი ნარგაობა თითქმის სამჯერაა შემცირებული.

ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება მეცხოველეობაშიც, სადაც ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც ცხოველების სულადობა, ისე ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება, 2005 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 2008 წელს 145 ათასით, ღორის სულადობა 369 ათასით, ცხვრისა და თხის 201 ათასი სულით, ფრინველის 800 ათასი ფრთით შემცირდა. ყველა სახის ხორცის წარმოება (დაკლული წონით) თითქმის განახევრდა და 105 ათასი ტონის ნაცვლად 54 ათასი ტონა

შეადგინა. რძის წარმოება შემცირებულია 61 ათასი ტონით, კვერცხის 67 მლნ ცალით. ერთადერთი დარგი, რომელიც ამ პერიოდში აღმავლობას განიცდიდა – მეფუტკრეობა იყო.

ქვეყანა სულ უფრო მეტად იმპორტდამოკიდებული ხდება და სოფლად სიღარიბისა და უმუშევრობის აღმოფხვრის თვალსაზრისით იმპორტშემცველი პროდუქციის წარმოებას არავითარი ყურადღება არ ექცევა. უფრო მეტიც, იმპორტზე ორიენტაცია სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი, რადგან შემოტანილ პროდუქციაზე დარიცხული გადასახადები ბიუჯეტის შევსების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს, ნაცვლად იმისა, რომ ბიუჯეტში შემოსავლების ძირითადი კატეგორია წარმოების ზრდიდან მიღებული გადასახადები იყოს. 2008 წელს საქართველოში შემოიტანეს 942 მლნ აშშ დოლარის სასურსათო პროდუქცია, მაშინ, როცა წინა წლებში 500-200 მილიონის ფარგლებში მერყეობდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთი პროდუქტების იმპორტს, რომელიც საქართველოში არ იწარმოება, რჩება 780 მლნ აშშ დოლარის პროდუქცია, რომლის წარმოება შესაძლებელი იყო, ანუ ეს არის ბაზრის დამატებითი მოცულობა, რომელიც ქართული პროდუქციით უნდა შევსებულიყო და პროდუქციის იმპორტზე გაწეული ხარჯები საქართველოში მცხოვრებ მეწარმეთა საკუთრება გამხდარიყო. 2008 წელს საქართველოში იმპორტირებული იყო 73125 ათასი აშშ დოლარის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორისა და ფრინველის ხორცი. რძისა და რძის პროდუქტების იმპორტზე 39652 ათასი აშშ დოლარი დაიხარჯა. ამავე წელს ქვეყანაში შემოიტანეს 6003 ათასი აშშ დოლარის ღირებულების კარტოფილი, 3853 ათასი დოლარის პომიდორი, 4821 ათასი დოლარის ხახვი და ნიორი, 4847 ათასი დოლარის მარცვლეული – პარკოსანი. 4162 ათასი დოლარის ჩაი, 183342 ათასი დოლარის ხორბალი და ხორბლის ფქვილი, 48631 ათასი დოლარის მცენარეული ზეთი, 16248 ათასი დოლარის მარგარინი, 25377 ათასი დოლარის საკონდიტრო ნაწარმი და პურფუნთუშეული, 76532 ათასი დოლარის თამბაქოს ნაწარმი და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ძირითადად ექსტენსიური მეთოდები გამოიყენება. გასარწყავებელი მიწების რაოდენობა 150-180 ათას ჰექტრამდე შემცირდა 420-450 ათასი ჰექტარის ნაცვლად, ორგანული და მინერალური სასუქები, პესტიციდები და პერბიციდები ადრინდელთან შედარებით 3,5-4-ჯერ ნაკლები გამოიყენება. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები კოლხეთის დაბლობზე რვაჯერაა შემცირებული და 20-22 ათას ჰექტარს შეადგენს – ძლიერდება მეორადი დაჭაობების პროცესები. ქვეყანაში იზრდება დამლაშებელი, ბიცობი ნიადაგების ფართობები. დაწყებულია გაუდაბნოების პროცესი დედოფლისწყაროს რაიონში; ეროზირებული მიწების ფართობმა 1 მლნ ჰექტარს გადააჭარბა, მცირდება ნიადაგში ჰუმუსის შემცველობა, ყოველწლიურად დაუმუშავებელი რჩება სახნავი მიწების 50-60 პროცენტი, მაშინ, როცა პროდუქციის წარმოების სტრუქტურაში კერძო სექტორზე 90-95% მოდის. ამასთან, ქართულ სოფელს დაცლა, ანუ მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია ემუქრება (სამუშაოების არქონის გამო ბოლო მონაცემებით, გურიიდან თურქეთში ჩაის საკრეფად 4000-4500 ადამიანი გადის; ქვემო ქართლში საადრეო კარტოფილის ამოღებაზე, ასევე სხვა სამუშაოების შესასრულებლად გურიიდან და სამეგრელოდან ასეულობით მუშახელი ჩადის, ადრე კი პირიქითა პროცესებთან გვქონდა საქმე). თუ დღეს მოქმედი ტენდენციები შენარჩუნდა, მოკლე ხანში აღარ გვექნება არა მარტო ფორმალური სოფლის მეურნეობა, არამედ თვით სოფელიც კი, რომლის გარეშე წარმოუდგენელია იმედის მომცემი კურორტებისა და მწვანე ტურიზმის განვითარება.

სიღარიბის დაძლევის თვალსაზრისით, საქართველოში არასაკმარისი პირობებია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის როგორც საკანონმდებლო, ისე დაფინანსების კურსით. ჩატარებული კვლევების მიხედვით საქართველოში ათას სულ მოსახლეზე მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა მცირე რაოდენობა მოდის დსთ-ს ქვეყნებთან შედარებით და კიდევ უფრო მცირე განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. მცირე და საშუალო ზომის საწარმოს განვითარება შეფერხებულია მრავალი ბარიერით, მათ შორის პრობლემებით საგა-



დასახადო, საბაჟო, სერტიფიცირების, სტანდარტიზაციისა და შემოწმების სფეროებში. შედეგად: მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ზრდა ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში 2004-2008 წლის ჩათვლით თითქმის შეჩერდა და მხოლოდ 6% შეადგინა; მცირე და საშუალო ბიზნესის წილი მთლიან შიდა პროდუქტში კვლავ დაბალი დარჩა, მხოლოდ 10% დსთ-ს და სხვა ქვეყნებთან შედარებით, სადაც ანალოგიური მაჩვენებელი 40%-ია, ხოლო ევროკავშირის წევრ ქვეყანაში 60%-ის ტოლია.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. **აბესაძე რ.** „სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკა ჯერჯერობით არ გვაქვს“; „სახელმწიფოს გარეშე მეწარმეობა ვერ განვითარდება“, გაზ. „ბანკები და ფინანსები“, 12 აგვისტო 2009.
2. **ჩხეიძე თ, ქველაძე ქ.** მიწის რესურსების ოპტიმალურად გამოყენება, როგორც სიღარიბის დაძლევის საწინდარი. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი, 2010.
3. **ქავთარაძე თ.** მცირე ბიზნესი: იმედები და რეალობა, გამომცემლობა „ლევა“, თბილისი, 2006.

*Kavtaradze Tengiz*

### **SMALL BUSINESS AND THE WAYS OF POVERTY OVERCOMING IN RURAL GEORGIA**

#### **SUMMARY**

The article studies the issues of small business development in rural Georgia. On the basis of experience of Georgian regions are shown those problems and the ways of their solution which face the producers in

rural places in the process of poverty overcoming. With regard for employment, are planned some recommendations for poverty overcoming and business development.

*როლანდ სარჩიმელია*

**პრივატიზება და სიღარიბის დაძლევის ზომიერითი  
საკითხი საქართველოში**

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში კეთილსინდისიერი გზებით გამდიდრება და მისი საზოგადოების სასარგებლოდ გამოყენება ადამიანებისათვის ცხოვრების მოწყობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოში გაფართოვდა კერძოსაკუთრებითი ურთიერთობების სფერო, რამდენადაც მასში სახელმწიფო და კოოპერატიულ საკუთრებაზე დაფუძნებული ქვეყნები ჩაერთვნენ. განვითარებულმა სახელმწიფოებმა, როგორც ცნობილია, კერძო საკუთრების საფუძველზე ძლიერი სახელმწიფოები შექმნეს, რომელთა სრულყოფის პროცესები გლობალიზაციის პირობებში გრძელდება, კერძოდ, საუბარია სიღარიბის დაძლევაზე მოსახლეობაში.

სიღარიბე, თავის მხრივ, სუბიექტის, ოჯახის და ა.შ. ქონებრივ უკმარისობას ნიშნავს. მისი დონე კი სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის პროცენტული წარმოდგენაა [1, გვ. 4].

სიღარიბის დონის შესაფასებლად ლორენცის მრუდთან ერთად იყენებენ ჯინის ინდექსს, რომელთა საშუალებით ხდება სიღარიბის სიმწვავისა და სიდრმის განსაზღვრა. ცდილობენ სიღარიბის „პორტრეტის“ აგებასაც.

სიღარიბის შესაფასებლად კი გამოყოფენ ორ მიდგომას: გლობალურს, ანუ მაჩვენებელს მოსახლეობის ცხოვრების დონის საშუალო სტანდარტთან (მის დონესთან) მიახლოების მიხედვით და ფარდობითს, ანუ მაჩვენებელს, როცა ათეულა იწყება ყოველ ცალკეულ ქვეყანაში ყველაზე დაბალი შემო-

სავლების მქონე ღარიბი მოსახლეობის შესაბამისად, რაც ანა-  
ლოგიური წესით ზუსტდება თითოეული ადამიანის მოხმარების  
შესაძლებლობის, შემოსავლების მიხედვით და ა.შ. გარდა ამი-  
სა, ეს ორივე მიდგომა ერთდროულადაც გამოიყენება.

პოსტკომუნისტურ საქართველოში, ისე, როგორც ყველ-  
გან, სიღარიბის დონის შემცირება მიმართულია მოსახლეობის  
ცხოვრების დონის გაუმჯობესებისაკენ. ის რთული პროცესია,  
თუნდაც საიმედო ინფორმაციის მიღებისა და მისი შესაბამისი  
მონაცემების დაზუსტების თვალსაზრისითაც. მნიშვნელოვანია,  
აგრეთვე, სიღარიბის დაძლევაზე საზოგადოების ახალი ხედვის  
გამოვლენა, რამდენადაც საფუძვლიანად იცვლება ძველი შეხე-  
დულებები ცხოვრების საკვანძო საკითხებზე.

მოსახლეობის მიერ შემოსავლების მიღების კეთილსინ-  
დისიერი გზების გამოკვლევა ყურადსაღებია, თანაც ისიც, რომ  
თანამედროვე მსოფლიოში სიმდიდრის გამოთანაბრების „დაკა-  
ნონება სახიფათოა“ ყველა ქვეყნისათვის, რამდენადაც ის გა-  
ნაპირობებს ეკონომიკური ზრდის სტიმულირების შემცირებას,  
ხოლო ნეკროეკონომიკის ზომბირების საშიშროება [3, გვ. 35-  
40] კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას მიანიჭებს სიღარიბის დაძ-  
ლევას.

გლობალიზაციის პირობებში სიღარიბის სიმწვავის შემ-  
ცირებაზე ზრუნვა ეყრდნობა ეკონომიკურ დახმარებებს, მაგ-  
რამ სიღარიბის დაძლევის ძირითად შესაძლებლობად კერძო  
სექტორის ეკონომიკის განვითარებაა მიჩნეული [2.1, გვ. 20-21].

კაპიტალისტურმა ეკონომიკამ კოლოსალურ წარმატე-  
ბებს კერძო სექტორის განვითარების საფუძველზე მიაღწია.  
განვითარებული კაპიტალისტური წარმოება, მტკის თანამედ-  
როვე მიღწევების საფუძველზე უზრუნველყოფს მოსახლეობის  
ყველა ფენისათვის ცხოვრების პირობების ერთდროულ, თუმცა  
არათანაბარ, გაუმჯობესებას. ამიტომ ზრუნვა სიღარიბის დო-  
ნის შემცირებაზე ყველგან მიმდინარეობს. გარკვეული წარმა-  
ტების მიუხედავად, სახელმწიფოები მაინც საჭიროებენ წარ-  
მოების პროცესების მარეგულირებელ დამატებით საშუალე-  
ბებს. რადგანაც მხოლოდ ხელფასების ზრდა საკმარისი არ

არის სიღარიბის დაძლევისა და შრომის ნაყოფიერების ამად-  
ლების სტიმულირებისათვის, ერთ-ერთ ასეთ საშუალებად შე-  
იძლება პრივატიზება მივიჩნიოთ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში.

მიგვაჩნია, პრივატიზაციის, როგორც „მცირე დინამიკუ-  
რობის“ ამსახავი პროცესის ანალოგად მივიჩნიოთ მაგალითად,  
ტერმინი ოპტიმიზაცია.

დახმარებასთან ერთად, „ნეკროეკონომიკით დაავადე-  
ბულ“ პრივატიზებულ საწარმოებს, გლობალიზაციის შესაბამი-  
სად, კონტროლიც უნდა გაეწიოს, მაგრამ არა მხოლოდ ზომ-  
ბირების წესით, როგორცაა მთავრობის დახმარება საწარმო-  
თა მასიური გაკოტრების შესაჩერებლად ფინანსური სესხების  
სახით „შელავათიან“ პროცენტებში, რასაც შეიძლება მოყვეს  
საწარმოთა გაკოტრების დაჩქარება და შესაბამისად ქვეყანაში  
სიღარიბის დონის კიდევ უფრო გაუარესება [3, გვ. 24-29].

პრივატიზაციის პროცესში ჩარევა და პრივატიზებული  
ობიექტის მიმართ მის საქმიანობაში ჩართვა შესაძლებელი შე-  
იძლება არც იყოს, რამდენადაც ახალ პირობებში პრივატი-  
ზებულ ობიექტს ახალი პატრონი, მესაკუთრე ჰყავს. მაგრამ,  
თუ პრივატიზებული საწარმოები არ ემსახურებიან ქვეყნის  
ეკონომიკის „გაჯანსაღებას“, მაშინ „საკითხი სხვა ჭრილში“  
უნდა დაისვას.

პირველ რიგში დაზუსტდეს ის მიზეზები, თუ რამ გამო-  
იწვია პრივატიზებულ საწარმოებზე დამყარებული იმედები,  
რომელიც შეიძლება იყოს მრავალმხრივი და წინააღმდეგობრი-  
ვიც.

პრივატიზებული ობიექტების უშუალო გავლენა სიღა-  
რიბის დონის შემცირებაზე აშკარად არ ჩანს. იგი უფრო არა-  
პირდაპირი გზებით შეიძლება გამოვლინდეს, კერძოდ, პრივა-  
ტიზებულ საწარმოთა საშუალებით დარიბთა შემოსავლების  
უფრო სწრაფი ზრდით, მოსახლეობის საშუალო შემოსავლე-  
ბის ზრდასთან შედარებით [2.1, გვ. 21]. ამაში კი მოსახლეობის  
მდიდარი ფენის შესაძლებლობებიც უნდა ჩაირთოს. როგორ?  
რა გზით? ესეც წინააღმდეგობრივია და შემდგომ კვლევას  
საჭიროებს.

აღსანიშნავია, რომ პრივატიზების ტემპების დაჩქარება საქართველოში აუცილებელი იყო და, რიგი ნაკლოვანებების მიუხედავად, იგი მაინც პროგრესულ ღონისძიებადაა აღიარებული. ამჟამად საჭიროა ნაკლოვანებების დროული გამოვლინება და სწრაფი ორიენტაცია მათ გამოსასწორებლად.

პრივატიზებამ ქვეყანაში უნდა განაპირობოს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, რასაც ადგილი აქვს პოსტკომუნისტურ საქართველოში, მაგრამ მისი როლი უმნიშვნელოა დაბალი ტემპის გამო.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს ეკონომიკის თვითდინებაზე მიშვების გამო, ქვეყანაში ვერ მოხერხდა ობიექტების საპრივატიზაციოდ მომზადება, ასევე, მოსახლეობის საშუალო ფენის გაძლიერება, კარგად რეალიზებადი და ეკონომიკურად მომგებიანი სტრატეგიის შემუშავება და წარმართვა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითუნარიანობა და ეროვნულ მესაკუთრეთა მდიდარი ფენის შექმნის დაჩქარების აუცილებლობის პირობებში პრივატიზების მასშტაბების ზრდით ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკამაც ქვეყანაში მოდიფიკაცია განიცადა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა უცხოური ინვესტიციების საკმაოდ მოცულობით მოზიდვა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის მდიდარი ფენის პროცენტული მატება, რაც დადებით შედეგად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ საჭიროა, გამოირიცხოს ქვეყანაში სიმდიდრის ფლანგვის შემთხვევები და დამკვიდრდეს მომჭირნეობა.

გამოცდილების გათვალისწინებით, პრივატიზაციის ქვეყნის სასიკეთოდ კორექტირება ოპტიმიზმის იმედს იძლევა, რადგან ქვეყანა, გლობალიზაციის გავლენით, მდგრადი განვითარების გზაზე დგას. თუმცა მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყანაში საექსპორტო პროდუქციის წარმოების დაბალი დონე, უმუშევრობა, სიღარიბის დონის ზრდა და სხვ. კიდევ უფრო მძიმე შედეგებით მიმდინარეობს რუსეთის გამოუცხადებელი ომი, ლტოლვილთა რიცხოვნობის ზრდა აფხაზე-

თიდან და სამაჩაბლოდან. გარდა ამისა, ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს რუსეთის საბაზრო სივრცის დაბლოკვაც, რომლითაც ზარალობს რუსეთის კეთილსინდისიერი მოსახლეობაც.

კონკრეტული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ პრივატიზაციის ზრდა მოსახლეობის დასაქმების ზრდასთან პირდაპირ კორელაციურ კავშირშია, მაშინ იქმნება სიღარიბის დონის შემცირების იმედი. მოსახლეობის მასიური დასაქმება განაპირობებს საშუალო ფენის ზრდასაც, ხოლო პრივატიზებული ობიექტის შესაბამისი რისკის ანალიზთან ერთად პრივატიზაციის მომგებიანობის დასაბუთებაც შესაძლებელია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამოვლენა ახალ კორექტივებს შეიტანდა პრივატიზებაში, ხოლო შემდგომ პრივატიზაციაში, ეს მაშინ, შესაძლებელი რომ გამხდარიყო კერძო საკუთრებად გადაქცეული ობიექტების წარმართვა მცირე მეწარმეობის გასაძლიერებლად, მოსახლეობის საშუალო ფენის პროცენტული ზრდის დასამკვიდრებლად და, მასთან ერთად, სიღარიბის დონის შესამცირებლად პოსტკომუნისტურ საქართველოში.

ამჯერად მსჯელობას პრივატიზებისა და პრივატიზაციის ოპტიმისტური შემთხვევების დახასიათებით დავიწყებთ. ასე მაგალითად, 21-ე საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში აშკარა გახდა ეკონომიკის განვითარების ცალკეული მიღწევები საქართველოს მოსახლეობის ენერგორესურსებით უზრუნველყოფის საქმეში და საკვები პროდუქტების დეფიციტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, ასევე ყურადსადები მიღწევებია სამოქალაქო დისციპლინისა და საგზაო მშენებლობის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში. გარდა ასეთი შედეგებისა, საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ მოსახლეობის საშუალო ფენა 15-20%-მდეა [7, გვ. 54] და სასურველია მისი შემდგომი ზრდის დაჩქარება. ამასთან, სასურველზე მეტიც არის ღარიბი ფენის საშუალო ფენაში გადასვლისათვის პირობების შექმნა. იგი მხოლოდ „თვითდასაქმებით“ ვერ მიიღწევა.

საჭიროა მტკის საფუძველზე შრომის მწარმოებლურობის ზრდა ისე, რომ მას მოჰყვეს მოსახლეობის დასაქმება და მისი ყველა ფენის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, რაც განვითარებული ქვეყნების თანადგომითა და გლობალიზაციის პირობებში შეიძლება რეალობად იქცეს.

ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნით პრივატიზების ჩატარების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ამჟამად არ დაობენ, მაგრამ დასაზუსტებელია რისკის გაუთვალისწინებლად ჩატარებული პრივატიზების შედეგები, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შეფასებული.

ყურადსაღებია საქართველოში ზიგზაგისებური გარდაქმნების პროცესები, რომლებიც მართვის გამჭვირვალობას ბუნდოვანს ხდის, ხოლო მომავლის განუსაზღვრელობა დამშვიდების საშუალებას არ იძლევა. მიუხედავად ამისა არ შეიძლება ოპტიმისტური მიდგომით არ დავახასიათოთ პოსტკომუნისტური საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარება სიღარიბის დონის კონტექსტშიც კი, რომლის შესაფასებლად ამჟერად დავეყრდნობით ნოდარ ჭითანავას ნაშრომს [11, გვ. 103-106], სადაც პირობითად 1991-2008 წლების პერიოდის ეკონომიკა ოთხ ძირითად ეტაპად არის დაყოფილი, რომლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მთლიანობაში წარმოვიდგინოთ საგარეო-ეკონომიკური განვითარების მზარდი როლი და ქვეყნის გლობალურ პროცესებში მისი ჩართვის მნიშვნელობა. ასე მაგალითად, აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2000 წელთან შედარებით ექსპორტი 4-ჯერ გაიზარდა, ხოლო იმპორტი 8,5-ჯერ [11, გვ. 109]. მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2008 წელს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, მცირე საწარმოთა დიდი ნაწილი არასახელმწიფო სექტორში ფუნქციონირებდა, რამაც მოსახლეობის საშუალო ფენის გასაძლიერებლადაც პირობები უნდა შექმნას.

ქვეყანაში რიგი უარყოფითი შედეგები გამოიწვია საწარმოთა პრივატიზებაში დაშვებულმა შეცდომებმა. მიუხედავად ამისა, პოსტკომუნისტური საქართველო გლობალიზაციის პროცესში ისეა ჩართული, რომ იგი განვითარების მაგისტრალურ

გზაზე და შეიძლება მასზე ოპტიმისტური პროგნოზებით ვიმსჯელოთ. თუმცა სწრაფად ცვალებადი გარემო და განუსაზღვრელობა მრავალმხრივი წინააღმდეგობის წინაშე გვაყენებს (როდესაც ერთი სიძნელის გადალახვა ან შესუსტება, ახალ სიძნელეებს ქმნის და ა.შ.).

პრივატიზების სირთულეებზე დამაკვალიანებელი მსჯელობებია ჩატარებული ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომებში იმის ხაზგასმით, რომ ქვეყანაში პრივატიზაცია წარმოების განვითარებას ემსახურებოდეს და არა გაკოტრებულ ან უფუნქციო საწარმოთა კერძო საკუთრებაში გადაცემას. ამ მხრივ პრივატიზების დაწყების სიძნელეების მიუხედავად, საჭირო სიფრთხილესთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ნაშრომებიდან გამოვყოფთ რამდენიმეს, მაგალითად:

ვლადიმერ პაპავას [4, გვ. 167-199], ავთანდილ სილაგაძის [9.1, გვ. 31-34], გიორგი პაპავას [14, გვ. 33-34; 95] ნაშრომებს. მათთან ერთად ყურადღებას იპყრობს ნუგზარ სანთელაძის სტატია, სადაც მისთვის ჩვეული, გონიერულად მოზომილი მსჯელობებით მოყვანილია საქართველოს ეკონომიკაში მოსალოდნელი, იმ დროის შესაბამისი სცენარის ოპტიმისტური ვარიანტები, რომლებიც ქვეყანაში კერძო სექტორის განვითარების იმედს იძლეოდნენ [9.3, გვ. 54-62].

ის, რომ პრივატიზაციასთან დაკავშირებით, ეკონომიკური რეფორმების ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარესთან ერთად, საჭირო იყო სოციალურ-ფსიქოლოგიური მხარის არანაკლებ მნიშვნელობაზე ყურადღების მიქცევა და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა – აღნიშნულია ელგუჯა მექვაბიშვილის სტატიაში [9.2, გვ. 44-47].

გულნახ ერქომაიშვილის მონოგრაფიაში [12, გვ. 53-67] ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ურთულესი პირობები შეიქმნა საწარმოთა პრივატიზების სფეროში, რის გამოც პრივატიზებულ საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი უმოქმედოდ დარჩა, ხოლო 40-45% უმნიშვნელო დატვირთვით [13, გვ.45] აგრძელებდა მუშაობას. მაგალითად, ხერხდებოდა რა საწარმოებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა (რასაც მაშინდელი კანონი უკიდურესად ზღუდავდა), ქვეყანაში შემოსული



სახსრები (კრედიტები და დახმარებები) ნაწილდებოდა ცალკეული დარგობრივი უწყებების დონეზე ისე, რომ არ ხდებოდა მათი ეკონომიკურ პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა [12, გვ. 56], სახელმწიფოს მთელი მცდელობა კი მიმართული იყო გადასახადების „ამოღებისაკენ“. ამაში გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ჯერ კიდევ ადრე, 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, საქართველოში დაიწყო კერძო სექტორის არაპირდაპირი გზებით ჩამოყალიბება, ხოლო 80-იანი წლების დროს კოოპერატივების უმრავლესობა (75-80%) სახელმწიფო საწარმოთა ბაზაზე ფორმირდებოდა. 2001 წლისათვის აშკარა გახდა კერძო სექტორში საწარმოთა სიმძლავრეების შედარებით უკეთესი მდგომარეობა, თუმცა ამას პესიმიზმი მაინც ახლდა, თანაც იმის აუცილებლობის საზღვასით, რომ კერძო საწარმოთა ძირითადი საშუალებების თითქმის მესამედი მოდერნიზაციას საჭიროებდა [13, გვ. 48], ხოლო ზოგიერთი მთლიანად იყო შესაცვლელი. აშკარა გახდა ის, რომ ქვეყანაში სამრეწველო წარმოება გადასამუშავებლად სანახევროდ საზღვარგარეთულ ნედლეულს იყენებდა, ხოლო მათი გასაღების ბაზრები ძირითადად სამამულო იყო. საქართველოს რეგიონებში მეწარმეობა არათანაბრად ვითარდებოდა, არ ხორციელდებოდა რეალობასთან მიახლოებული სახელმწიფო პოლიტიკა. ამის გამო ქვეყანაში მეწარმეობა დასცილდა თავის ობიექტურ საფუძველს და შენელებულად ვითარდებოდა, ისიც მეტწილად სუბიექტური ნიშნით, რაშიც აქტიურად იყვნენ ჩართულები „მომხვეჭელობისაკენ დაძრული პარტოკრატები“ (ყოველივე ამის ხელშემწყობი პირობები განპირობებული იყო მძიმე წარსულით, როდესაც მეწარმეობა გაიგივებული აღმოჩნდა ვაჭრობასთან, რომლის ძირითადი ორგანიზაციული ფორმა უკეთეს შემთხვევაში ინდივიდუალური წარმოება იყო; წარსულიდან ინერციით ვითარდებოდა წვრილი მეურნეობები და ხელოსნობა ისეთ დარგებში, რომლებიც დამყარებული იყო ადგილობრივი, კერძო სასოფლო-სამეურნეო ნეედლეულის გადამამუშავებაზე. მათ დიდი გასაწვავი ჰქონდათ ძირითადად რუსეთის ბაზარზე.

ასეთნაირად „მიშვებული“ ეკონომიკა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა, როგორც დარგი, ნადგურდებოდა).

საბჭოური პერიოდის 60-იანი წლებიდან არალეგალური წარმოების მასშტაბები გაფართოვდა, ხოლო საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან მეწარმეობა ოფიციალურად სახელმწიფო სექტორის დანამატად ყალიბდებოდა [12; 13]. საქართველოში მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბება 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო [13, გვ. 43].

პრივატიზებასთან დაკავშირებით შედეგიან პროცესებზე აღენიშნავთ, რომ საწარმოთა რიცხვის ზრდა საქართველოში 1994 წლიდან დაიწყო. მაშინ რეგისტრირებული იყო 12 ათასი საწარმო, 1995 წელს – 17 ათასი, ხოლო 1996 წლის ბოლოსათვის კი – 8995, რომლის 30%-მდე სახელმწიფო სექტორს ეკუთვნოდა. 2002 წლისათვის მცირე საწარმოთა უმეტესი ნაწილი პრივატიზებული იყო. მათი სხვა ნაწილი ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს ეკუთვნოდა [12, გვ. 73].

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2002-2008 წლების მასალების მიხედვით, პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა საკმაოდ მაღალია. იგი მედიანური ზომის მიხედვით, წელიწადში (საშუალოდ) 673 ერთეულს შეადგენს. ამ მხრივ 2008 წელს ობიექტების რაოდენობა მაქსიმალური იყო, შემოსავალი – 769 მილიონი ლარი. პრივატიზების წესი ძირითადად აუქციონი იყო.

2002-2008 წლებში პრივატიზების შემოსავალი იყო – 1350 მლნ ლარამდე. დროის ამავე პერიოდში პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა იმერეთის, აჭარის რეგიონებსა და თბილისში 1995 წელთან შედარებით, მშპ-ის მიხედვით, 1,7-ჯერ გაიზარდა. რაც ძირითადად გამოწვეული იყო პრივატიზაციაში კერძო სექტორის წვლილის გაზრდით [5; 6]. ამ მხრივ 2003 წელს კვების მრეწველობაში პრივატიზების შედარებით მაღალი დონე მოდიოდა პურპროდუქტების, ღვინისა და საკონსერვო მრეწველობის საწარმოებზე.

არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის სიღარიბის დონეზე საწარმოთა

პრივატიზების პროცესის შედეგების გავლენის შეფასება შეუძლებელი ხდება, მაგრამ ამ მიმართულებით დასკვნების მიღება მაინც შესაძლებელია.

ცალკეული ადამიანის, ადამიანთა ჯგუფის, ოჯახის და ა.შ. სიღარიბის დონე ქონებრივ უკმარისობას ნიშნავს (ჩვეულებრივად დეფიციტს). მაგრამ შესაძლებლობების მიხედვით, შემოსავლებით ან მსყიდველუნარიანობით და ა.შ ფასდება ღარიბი და მდიდარი კონკრეტული სუბიექტის სიმდიდრის მდგომარეობა. სიღარიბის დონის ზოგადი და მიახლოებითი წარმოდგენა – ეს მხოლოდ მისი განმარტების ნაკლოვანება არ არის, იგი დახვეწას მოითხოვს. თვით სიღარიბის სრულყოფილი შეფასების შეუძლებლობა აღრიცხვის თვალსაზრისითაც რეალობაა. მაგალითად, საქართველოში სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, სიღარიბის დონის გარკვევა საოჯახო მეურნეობების ცალკეული სუბიექტების ქონებრივი მდგომარეობის გამოკითხვის საფუძველზე ჭეშმარიტებასთან საკმაოდ ზერედე მიახლოებაა. მისი დაზუსტება ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება, მაგრამ იგი მთლიანობაში მაინც ბოლომდე გაურკვეველი რჩება, რადგან სიღარიბის „ოპტიმალური ვარიანტის“ ან მისი დონის დადგენა უფრო რთული პრობლემაა.

რიგი ფაქტორები სიღარიბის დონეზე როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად მოქმედებს, ხოლო მათზე სრულყოფილი მონაცემებით კორელაციური ანალიზი (კონკრეტული მონაცემების არსებობის შემთხვევაში) შეიძლება სიღარიბის „ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტის გამოვლენის შესაძლებლობას“ იძლეოდეს, მაგრამ ამ მიმართულებით ამოცანის დასმა ჯერჯერობით არ არის მოსახერხებელი.

დავსვათ კითხვა, მსოფლიოს საზოგადოებისათვის გლობალიზაციის პირობებში აქვს თუ არა აზრი იმის გარკვევას, ძირითადი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით ცალკეულ ქვეყნებში, მომავლისათვის რომელია უკეთესი: სიმდიდრის ჯამური მანვენებლები თუ მილიონერთა რიცხოვნობის მაქსიმუმი. ანალოგიურად შეიძლება მსჯელობა სიღარიბის დონის ოპტიმა-

ლურ ვარიანტზე, როდესაც მაქსიმუმს მიაღწევს ქვეყანაში (საერთოდ მსოფლიოში) დოვლათის წარმოება.

პოსტკომუნისტურ საქართველოში სიმდიდრის გამოთანაბრებაზე ზრუნვა თავისუფალი ეკონომიკის არსებობაზეა დამოკიდებული. ჩვეულებრივ პირობებში, როდესაც ქვეყანა მდგრადი განვითარების გზაზე დგას, მაშინ მდიდრები უფრო სწრაფი ტემპით მდიდრდებიან, ხოლო ღარიბები კიდევ უფრო თუ არ ღარიბდებიან, ესეც დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. **აბესაძე რ.** სიღარიბე და ეკონომიკური განვითარება. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე. თბილისი, 2009, გვ. 3-10.
2. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. VII ტომი, თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2009.
  - 2.1. **პაპავა ვლ.** სიღარიბის შემცირება კერძო სექტორის განვითარების გზით: ქართული სინამდვილე და პერსპექტივები [2, გვ. 20-41].
  - 2.2. **ჩიქავა ლ.** დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე სიღარიბის გავლენის ნეგატიური შედეგები [2, გვ. 5-19].
3. **პაპავა ვლ.** ნეკროეკონომიკის ზომბირება (გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე). თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2010.
4. **პაპავა ვლ.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პდპ“, 2002, გვ. 167-199.
5. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს შინამეურნე-

- ობები, სტატისტიკური პუბლიკაცია, 2008. თბილისი, 2009, გვ. 55-64.
6. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი. სტატისტიკის წელიწადეული 2009. თბილისი, 2009, გვ. 64-68.
  7. **სარჩიმელია რ., არევაძე ნ.** მოსახლეობის ძლიერი საშუალო ფენის ფორმირებისათვის საქართველოში. ჟ. „ეკონომისტი“, №5, 2009, გვ. 53-57.
  8. **ქოქიაური ლ., ბებიაშვილი ნ.** საინვესტიციო პროექტები. თეორია, ანალიზი, მართვა. თბილისი, 2009.
  9. სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სტრატეგია და ტაქტიკა გარდამავალ პერიოდში (საქართველოს სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები), თბილისი, „დიოგენე“, 1997.
  - 9.1. **სილაგაძე ა.** საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების ზოგიერთი საკითხი [9, გვ. 31-36].
  - 9.2. **მექვაბიშვილი ე.** ეკონომიკური ეფექტიანობისა და სოციალური სამართლიანობის დიალექტიკა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში [9, გვ. 44-47].
  - 9.3. **სანთელაძე ნ.** მაკროეკონომიკური სტრატეგია და სამრეწველო პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში [9, გვ. 54-62].
  10. **შენგელია თ.** საწარმოთა პრივატიზაციისა და რესტრუქტურისაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში. ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, №3, 1999, გვ. 79-85.
  11. **ჭითანავა ნ.** გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები, ტ. VIII, თბილისი, „სიახლე“, 2010, გვ. 80-120.
  12. **ერქომაიშვილი გ.** მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებები საქართველოში. თბილისი, 2004, თსუ გამომცემლობა.
  13. **ერქომაიშვილი გ.** ბიზნესი, ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები, თბილისი, 2007, თსუ გამომცემლობა.
  14. **პაპავა გ.** საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები. თბილისი, გამომცემლობა „ენა“, 1991.

*Sarchimelia Roland*

**PRIVATIZATION AND SOME ISSUES OF OVERCOMING  
OF POVERTY IN GEORGIA**

**SUMMARY**

In the article there are characterized the issues of privatization concerning the decreasing of a poverty level in globalization conditions.

Is noted the positive results of privatization, namely, the percentage growth of rich section of the population and the economic achievements in postcommunist Georgia.

*მელეა მელაშვილი  
ნუნუ ქისტაური*

**სიღარიბე და მისი დაძლევის ძირითადი  
მიმართულებები საქართველოში**

დღეს მსოფლიოში სიღარიბე გლობალურ ხასიათს ატარებს. მას არ გააჩნია საზღვრები. მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გლობალიზაციამ გამოიწვია ჯანმრთელობის ერთიანი პრობლემები – შიდსი, გარემოს დაბინძურება, ეკოლოგიური კატასტროფები, ტერორიზმი, ომები და ა.შ. (მსოფლიოში 2000 წელს განვითარებული მოვლენების (ომების) შედეგად წარმოიშვა 23 მილიონი ლტოლვილი). მიუხედავად იმისა, რომ დღეს არნახული კეთილდღეობის პირობებია, დე-

დამიწის მოსახლეობის თითქმის ნახევარი (3 მილიარდი ადამიანი) ცხოვრობს დღეში 2 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავლით, ხოლო დაახლოებით 1.3 მილიარდი ადამიანი – უკიდურეს სიღარიბეში [6]. ღარიბი მოსახლეობის რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2015 წლისათვის მოსახლეობის მესამედი (დაახლოებით 1.9 მილიარდი ადამიანი) იცხოვრებს სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს ქვემოთ არსებული შემოსავლით (1 აშშ დოლარით დღეში). ბუნებრივია, სიღარიბის გლობალური პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონესთან. ამჟამად 20 განსაკუთრებით მდიდარი ქვეყნის საშუალო წლიური შემოსავლები 37-ჯერ აღემატება 20 უღარიბესი ქვეყნის საშუალო შემოსავლებს. 40 წელიწადში ნავარაუდევია ამ განსხვავების ორჯერ გაზრდა.

უცხოურ ლიტერატურაში ვხვდებით ადამიანთა კეთილდღეობის რაოდენობრივი შეფასების ორგვარ მიდგომას. პირველი მათგანი გულისხმობს კეთილდღეობის შეფასებას სარგებლიანობის საფუძველზე, ხოლო მეორე არ ითვალისწინებს, ან თითქმის არ ითვალისწინებს სარგებლიანობის ფაქტორს და ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას გულისხმობს.

მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში სიღარიბის პრობლემის გადაჭრა ძირითადად დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია სოციალური დახმარების გაწევა ღარიბი მოსახლეობისათვის. განვითარებადი ქვეყნების სოციალური დახმარების პროგრამების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ არაა შექმნილი მასობრივი სიღარიბის დაძლევის ეფექტიანი მექანიზმი. თუმცა მსოფლიო გამოცდილებით, მსოფლიო ბანკის სპეციალისტებმა გამოიყენეს სიღარიბის შემცირების სახელმწიფოებრივი სოციალური დაცვის ინსტრუმენტები. მათ შეიმუშავეს 70 უღარიბესი განვითარებადი ქვეყნის სიღარიბის დაძლევის სტრატეგია ფინანსური დახმარების გზით. სხვადასხვა ქვეყანაში ეს დახმარება სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამების მეშვეობით ხორ-

ციელდება. თუმცა ამ პროგრამებს გააჩნია ნაკლოვანებები. კერძოდ, სოციალური დაცვის სისტემაში გაბატონებულია კორუფცია, ბიუროკრატიზმი და ა.შ. ბუნებრივია, სიღარიბის დაძლევა მხოლოდ ამგვარი პროგრამებით ვერ მოხდება. სიღარიბის დონის დაძლევაში მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი (ადმინისტრაციული, სამართლებრივი, დირექტიული თუ სხვა მეთოდების მეშვეობით). მან მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს კონტრაბანდა, კორუფცია, მექრთამეობა, გადასახადების გადაუხდელობა და სხვ., რათა თავიდან იქნეს აცილებული უმრავლესობის გადატაცება და უმცირესობის გამდიდრება (რასაც ამჟამად ადგილი აქვს როგორც ჩვენთან, ისე მთელ პოსტკომუნისტურ სივრცეში). აუცილებელია, სახელმწიფოში განხორციელდეს სიმდიდრისა და შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება, შემუშავდეს ისეთი სამთავრობო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ღარიბთა სოციალურ დაცვას. დღეისათვის ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მშპ-ის მიხედვით ასეთი მდგომარეობაა: ერთ სულ მოსახლეზე იწარმოება დაახლოებით 1328 ლარის ღირებულების პროდუქტი, რომლის თანაბარი განაწილების შემთხვევაში თითოეულ ადამიანს დაახლოებით 110 ლარი ექნებოდა შემოსავალი, რაც ნაკლებია საარსებო მინიმუმზე. რეალურ სინამდვილეში კი, შემოსავლების უთანასწორო განაწილების გამო, მოსახლეობის მცირე ნაწილს გააჩნია უდიდესი შემოსავალი, უდიდეს ნაწილს კი საარსებო მინიმუმს ქვემოთ. საქართველოს მოსახლეობის უმდიდრესი 10%-ის შემოსავლები 45-50-ჯერ აღემატება უღარიბესი 10%-ის შემოსავლებს, ე.ი. შემოსავლების განაწილებაში მნიშვნელოვანი უთანასწორობაა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სიღარიბის მასშტაბების შემცირების საწყის ეტაპზე განხორციელდეს მოსახლეობის უღარიბესი ფენების შემოსავლების გაზრდა ფულადი სახსრებით თუ მატერიალური ფასეულობებით, ხოლო შემდგომ ეტაპზე მოხდეს მაღალი შემოსავლების მქონე ფენების შემოსავლების გარკვეული ნაწილის ღარიბთა მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გადანაწილება (მაგალითად, შესაძლოა მოსახლეობის მაღალშემოსავლიანი ნაწილის



პროგრესული საგადასახადო განაკვეთით დაბეგვრის სისტემის შემოღება, ხოლო დაბალი შემოსავლების მქონეთა დაბალი კოეფიციენტით ან მთლიანად გათავისუფლება ამგვარი გადასახადისაგან).

საქართველო სულ უფრო ფართოდ ებმება გლობალიზაციის პროცესებში, რაც საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში არსებით ცვლილებებს იწვევს. იგი აღმოჩნდა იმ ქვეყნების რიცხვში, რომელთა მოსახლეობის 80% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება.

ღარიბთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობის მქონე ქვეყნების ჩამონათვალში 21-23-ე ადგილებზეა სომხეთი და ყირგიზეთი, სადაც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება მოსახლეობის 55%, საქართველოში (24-ე ადგილზეა) – 54%, აზერბაიჯანში (37 ადგილზეა) – 49%, რუსეთში (52 ადგილზეა) – 40%, თურქმენეთში (65-ე ადგილზეა) – 34%, უკრაინაში (73-ე ადგილზეა) – 29%, ყაზახეთში (77-ე ადგილზეა) – 28%, ბელორუსიაში (85-ე ადგილზეა) – 22%, ამერიკაში – 13%, დიდ ბრიტანეთში – 17%, ჩინეთში – 22%. საშუალოდ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებთა რიცხვი მსოფლიოში 41.9%-ს შეადგენს.

ქვეყნის განვითარების დონეს ძირითადად მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მოცულობის მიხედვით განსაზღვრავენ. თუმცა მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების დონის შესაფასებლად ეს მაჩვენებელი არასაკმარისია. აუცილებელია გადამწყვეტი მნიშვნელობა მშპ-ის განაწილების პრინციპს მიენიჭოს. ამას ადასტურებს მაგალითად ის ფაქტი, რომ 1997-2001 წლებში საქართველოში რეალური მშპ-ის მოსახლეობის ერთ სულზე (24.8%-ით) გაზრდას არსებითი ზეგავლენა არ მოუხდენია საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე (განსაკუთრებით კი პენსიონერებზე, საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულებზე, იძულებით გადაადგილებულ და სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილ ფენებზე). მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის

დინამიკა ბოლო პერიოდში ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი 1) [8].

ცხრილი 1

**მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა და დინამიკა**  
(მიმდინარე ფასებში; მლნ ლარი)

	2003	2004	2005	2006	2007	2008
მშპ	8 564	9 824	11 621	13 790	16 994	19 070
მშპ (მუდმივ ფასებში) %-ით წინა წლებთან	111.1	105.9	109.6	109.4	122.3	102.1

მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასების ყველაზე გავრცელებული მაჩვენებელია სიღარიბის დონე (იგი განისაზღვრება მოსახლეობის წილით მთელ მოსახლეობაში, რომლის მოხმარების მოცულობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა). იგი შემდეგნაირადაა განაწილებული წლების მიხედვით: 1994 წ. – 80%; 1995 წ. – 60%; 1996 წ. – 52.1%; 1997 წ. – 46.2%; 1998 წ. – 50.2%; 2001 წ. – 51.1%, 2003 წ. – 54.5%, 2004 წ. – 52.0%. ე.ი. საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი 2 აშშ დოლარზე ნაკლებს მოიხმარს. ამასთან, სოფელში სიღარიბის დონე საარსებო მინიმუმთან მიმართებაში 47.6%-ია; ქალაქში – 54.4% (ეს გამოწვეულია იმით, რომ სოფლის მოსახლეობა მოიხმარს საკუთარი წარმოების პროდუქტებს).

ღარიბი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელს წარმოადგენს სიღარიბის სიღრმე (მისი გაანგარიშება ჩვენთან ხდება 1996 წლიდან. ესაა საშუალო სიდიდე, რითაც ღარიბები ცილდებიან სიღარიბის ზღვარს). სიღარიბის სიღრმემ საარსებო მინიმუმის მიმართ შემდეგი დონე დააფიქსირა: 1996 წელს – 20.9%; 1997 წ. – 17.3%; 1998 წ. – 19.5%; 1999 წ. – 20.5%; 2000 წ. – 20.2%; 2001 წ. – 19.3%; 2003 წ. – 21.1%; 2004 წ. – 20.0%.

სიღარიბის სიღრმის მაჩვენებელი უკიდურესი სიღარიბის მიმართ 1996 წელს იყო 14.5%, ხოლო შემდგომ წლებში

8.5-9.5%-ის ფარგლებში მერყეობს. სიღარიბის დონის მაჩვენებლად გვევლინება სიღარიბის სიმწვავე (იგი გვიჩვენებს ღარიბ ოჯახთა შორის სიღარიბის უთანაბრობის განსხვავებას). რაც მეტია სიღარიბის სიმწვავე, მით მეტია ლატაკების (ე.ი. მოხმარების მიხედვით 0-ის მახლობლობაში მყოფი) მოსახლეობის რაოდენობა ღარიბებს შორის. ეს მაჩვენებელი ასე განაწილდა წლების მიხედვით: 1996 წ. – 11.3%; 1997 წ. – 8.9%; 1998 წ. – 10.4%; 1999 წ. – 10.9%; 2000 წ. – 10.7%; 2001 წ. – 9.9%; 2003 წ. – 11.2%; 2004 წ. – 10.6%.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ არა მხოლოდ კაპიტალითა და ბუნებრივი სიმდიდრით, არამედ ადამიანური რესურსებით განისაზღვრება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულება, ხასიათი და ტემპები. პოსტინდუსტრიული საზოგადოების განვითარება დამყარებულია ადამიანურ კაპიტალზე. აქ ხდება ცოდნის ეკონომიკის განვითარება. განათლების სისტემისა და მეცნიერების განვითარების საფუძველზე უნდა განხორციელდეს თანამედროვე ეკონომიკის განვითარება. საჭიროა ახალი ცოდნის წარმოება, ტექნოლოგიური ინოვაციების შექმნა, რაც მოსახლეობის დასაქმებას უზრუნველყოფს და ამით სიღარიბის დონეც შემცირდება.

რეფორმამდელ პერიოდში საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ ქვეყნად ითვლებოდა. პოსტსოციალისტურ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევების საფუძველზე ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაცია. ჩვენს ქვეყანაში ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგში კვალიფიციური კადრების (განათლების დონითა და გამოცდილებით) ჭარბი რაოდენობაა. მეორე მხრივ, სამუშაო ადგილების დეფიციტია. ასევე დასაქმებულთა ანაზღაურების დონე უკიდურესად დაბალია.

საქართველოს განვითარების სტრატეგიის მთავარ პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს განათლებისა და მეცნიერების განვითარება. საქართველოს მოსახლეობამ სიღარიბეს თავი

სწორედ განათლებისა და მეცნიერების განვითარების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების განვითარებით უნდა დააღწიოს, ვინაიდან მხოლოდ განათლებულ ერს არ ემუქრება სიღარიბე. ცნობილია, რომ როგორი განათლების სისტემასაც ფლობს ქვეყანა, ისეთივეა მისი ეკონომიკა. ამის ნათელი მაგალითია გასულ საუკუნეში ყველაზე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების – იაპონია, გერმანია, ბრაზილია და ა.შ. – წარმატებები განათლების სისტემის სრულყოფის საფუძველზე.

2000 წლის სექტემბერში 191 ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელმა გაეროში მიიღეს ათასწლეულის დეკლარაცია, რომლის განხორციელება როგორც თითოეული ქვეყნის, ისე საერთაშორისო დონეზე მდგრადი განვითარების გარანტი უნდა გამხდარიყო.

2004 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ათასწლეულის მიზნებისა და ამოცანების კონცეფცია, რომელიც საფუძველად დაედო საქართველოში “ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამას”. ამ პროგრამის მიხედვით ნაგარაუდევია 2015 წლამდე უკიდურესი სიღარიბის დონის 4%-მდე, ხოლო სიღარიბის დონის (ოფიციალურ სარსებო მინიმუმთან მიმართებაში) 20-25%-მდე შემცირება.

საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე კრიზისულმა მოვლენებმა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებათა ფუნქციონირებაზე. მათი უმეტესობა ცენტრალური სახელმწიფო დაფინანსების გარეშე დარჩა ან მინიმალურად შეუმცირდა ეს დაფინანსება. ინოვაციურ საქონელზე მოთხოვნის შემცირების გამო მათ ვერ შეძლეს ალტერნატიული წყაროების მოძებნა. ამან გააუარესა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამასთან, აქ მოხდა კადრების მასიური გადადინება საქმიანობის სხვა სფეროებში. მიუხედავად ამისა, საქართველოში ჯერ კიდევ არის შენარჩუნებული წინა პერიოდში შექმნილი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. სახელმწიფოს მიერ გატარებული გონივრულმა პოლიტიკამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ამ პოტენციალის არა მარტო შენარჩუნების, არამედ

გაძლიერების და მძლავრად ამოქმედების შანსი. სწორედ ეს შექმნის მნიშვნელოვან წინაპირობას ქვეყნის ეკონომიკის წინსვლისა და განვითარების, ანუ სიღარიბის უმწვავესი პრობლემის წარმატებით დაძლევისათვის.

### ბამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ.** ეკონომიკური განვითარება. თბილისი, “მერიდიანი”, 2006.
2. **აბესაძე რ.** “სიღარიბე და ეკონომიკური განვითარება”. ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი, “პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2009.
3. ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში. გაეროს გამოცემა, თბილისი, 2004.
4. **გაბიძაშვილი ბ.** “სიღარიბის პორტრეტი საქართველოში” (მოკლე ეკონომიკურ-სტატისტიკური ნარკვევი). თბილისი, “უნივერსალი”, 2006.
5. **ქისტაური ნ., მელაშვილი მ.** ინოვაციური განვითარების აუცილებლობა საქართველოში, სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.
6. **შუბლაძე ვ.** საქართველოში ტურიზმის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი (სიღარიბის დაძლევის კონტექსტში). დისერტაცია, თბილისი, 2004, გვ. 9.

7. საქართველოში სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის შუალედური დოკუმენტი (მთავრობის განაცხადი). თბილისი, 2001.
8. საქართველოს სტატისტიკური წელიწდგული. საქ. ეკონ. განვ. სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009.

*Melashvili Medeja*

*Kistauri Nunu*

**POVERTY AND MAIN TRENDS OF ITS  
OVERCOMING IN GEORGIA**

**SUMMARY**

At present the poverty in the world has global character. Almost one third of the world population is extremely poor.

The decrease of poverty level is mainly connected with the improvement of economic indices of a country, but the elaboration and successful implementation of social relief for poor population is no less significant. Here the state plays a great role the main aim of which should be the working out of right economic policy providing the distribution of wealth and incomes, hence the social defence of poors.

We consider the development of education and science is the main priorities of economic progress in Georgia.

*Ната Давлашеридзе*

**ЛАУРЕАТ НОБЕЛЕВСКОЙ ПРЕМИИ ПО ЭКОНОМИКЕ  
ТЕОДОР ШУЛЬЦ О РОЛИ ЧЕЛОВЕЧЕСКОГО КАПИТАЛА В  
ПРЕОДОЛЕНИИ ПРОБЛЕМ БЕДНОСТИ**

Проблема бедности остается фундаментальной глобальной проблемой, стоящей перед мировым сообществом. Она оказывает пагубное влияние на экономику, социальные отношения, политику, культуру; она воздействует на такие основополагающие характеристики жизни любого человека, как состояние здоровья и уровень образования. То обстоятельство, что сегодня нищета, бедность, отсталость характерны прежде всего для третьего мира, не делает проблему менее актуальной по отношению к высокоразвитым государствам. Неспособность большинства беднейших стран вырваться из нищеты собственными силами сделала проблему бедности общечеловеческой. Растущая озабоченность и тревога, которые вызывает проблема бедности в мире, объясняются в первую очередь тем, что в своем нынешнем виде глобализация, придающая миру небывалую доселе целостность, не уничтожает и не сглаживает его внутреннюю противоречивость, бедность становится комплексной проблемой – экономической, социальной, культурной, политической, международной – с большим дестабилизирующим потенциалом в глобальном масштабе.

Проблема бедности занимала лучшие умы человечества, в частности, огромное значение ее преодолению уделялось в трудах

лауреата Нобелевской премии по экономике за 1979 г. Теодора Шульца (Theodore Schultz). Изучая положение слаборазвитых стран, он заявлял, что улучшение благосостояния бедных зависело не от недр, которыми располагала их страна, не от технической оснащенности или усилий их правительств, а скорее от знаний, которыми обладали люди, населяющие эту страну. Иначе говоря, от способности общества накапливать, производить и трансформировать знания индивидуумов и коллективов в общественное благосостояние.

Шульц является основоположником революционного открытия о важности вложений в «человеческий капитал» (Human Capital), одним из авторов теории «человеческого капитала».

В своих исследованиях основной акцент он делал на проблемах оценки «образовательного фонда» США, вклада образования в экономический рост, экономической эффективности «инвестиций в человека». Шульц показал, что американская экономика в течение длительного времени получала более высокий доход от «человеческого», чем от «вещественного» капитала.

Образование, по мнению Шульца, повышает не только производительность труда индивидуума, но и экономическую ценность его времени, что выступает отличительной чертой современного экономического роста. Он относит к инвестициям в человеческий капитал не только прямые затраты на образование в средних и высших учебных заведениях, но и самообразование дома, накопление опыта на работе, а также капиталовложения в сферу здравоохранения, образования и науки. Именно вложения в “человеческий капитал”, рост ценности человеческого труда становятся важнейшими факторами преобразования экономики, модернизации экономических и юридических институтов. При таком подходе развитие рассматривается не просто как повышение темпов экономического роста, а как инвестиции в человеческий капитал и ликвидация бедности.

Шульц отмечал, что с помощью образования плавильщик чугунных чушек, которого Тейлор сравнивал по интеллекту с быком, делается ответственным и инициативным работником, способным анализировать ситуацию, предвидеть поломки и предотвращать брак. Процесс повышения качества рабочей силы Шульц считает таким же



естественным итогом вложений дополнительных средств в образование, как технический прогресс – ассигнований на совершенствование и повышение продуктивности средств производства. Такой подход вполне отвечал традициям классической школы и открывал реальный путь для совершенствования количественного анализа факторов экономического роста.

Термин «человеческий капитал» впервые появился в работе Теодора Шульца: «Человеческий капитал: вопросы политики и возможности исследования». В сборнике «Человеческие ресурсы / Пятидесятый ежегодный колок-виум», Нью-Йорк /1975) (Schultz T.W. Human Capital: Policy Issues and Research Opportunities. In: Human Resources/ Fiftieth Anniversary Colloquium .VI. N. Y /1975). Изучая положение слаборазвитых стран, Шульц подчеркивал, что улучшение благосостояния бедных людей зависело не от земли, техники или их усилий, а скорее от знаний. Он назвал этот качественный аспект экономики «человеческим капиталом». Шульц предложил следующее определение: «Все человеческие ресурсы и способности являются или врожденными, или приобретенными. Каждый человек рождается с индивидуальным комплексом генов, определяющим его врожденный человеческий потенциал. Приобретенные человеком ценные качества, которые могут быть вложениями, мы называем человеческим капиталом».

Для стран, стремящихся к развитию, должно быть понятно, что экономический рост достигается не только трансфертом технологий, инвестициями в физический капитал и накоплением знаний. Экономический рост зависит от человеческого капитала и в другом смысле: от улучшения здоровья людей данного общества, от снижения в нём преступности, от соответствующего социального климата и институтов и – в равной степени – от ответственного воспитания детей.

Человеческий капитал отличается от природных ресурсов и производственных активов тем, что его нельзя ни сдать в залог, ни продать. Он принципиально не отчуждаем. Эффективность использования человеческого капитала в первую очередь зависит от мобильности трудовых ресурсов – носителей человеческого капитала.

Человеческий капитал должен достаточно быстро реагировать на изменения в глобальной экономике и перестраиваться на те сферы деятельности, в которых его производительность выше. Причем важна как профессиональная, так и географическая мобильность. А для ее обеспечения требуются соответствующие институты: финансовые рынки и рынки жилья (ипотека и образовательные кредиты), специфические институты рынка труда (мониторинг рынка труда, развитая система повышения квалификации и т. д.).

Термин «человеческий капитал» определяет качественный аспект экономики. Понятие «человеческий капитал», по сути, есть всего лишь развитие экономического понятия «капитала». Это особый способ размышления о компетенции человека на языке финансовых показателей. Это принятая форма рационализации денежных вложений в социальную сферу, причем, что важно – экономической рационализации, то есть рассмотрение таких вложений в фокусе альтернативных инвестиций. Согласно таким представлениям, домохозяйство осуществляет рациональный выбор: положить условные финансовые ресурсы на депозит, приобрести на них ценные бумаги, потратить на «незабываемые удовольствия», вложить в недвижимость или инвестировать в образование. Таким же образом и правительство, принимая решение, совершает выбор – к примеру, направить условную сумму в бюджет развития на решение инфраструктурных проблем, или снизить налоги, или повысить пенсии и выплаты безработным, или дать деньги на фундаментальную библиотеку, или даже создать сеть «федеральных и исследовательских университетов». В развитых странах увеличение продолжительности образования на один год ведет к росту ВВП на 5-15%. Политика домохозяйств и правительств поворачивается лицом к образованию, а деньги, вложенные в образование, начинают рассматриваться исключительно как инвестиции. Финансирование социальной сферы - образования, здравоохранения, культуры, др. – приобретает счетность, экономическую рациональность и вслед за этим политический спрос.

Таким образом, человеческий капитал получает статус важнейшего фактора экономического роста. Уже в работе «Преобразуя традиционное сельское хозяйство» показана важная роль аграрной технологии, уровень которой, по мнению Т. Шульца,

зависит прежде всего от информации, находящейся в руках фермера. Ее недостаточность выступает как фактор, сдерживающий рост урожайности и повышение эффективности хозяйства. Именно вложения в «человеческий капитал», повышение ценности человеческого труда становятся важнейшим, по мнению Т. Шульца, фактором преобразования экономики, модернизации экономических и юридических институтов. В поисках новых факторов экономического роста Шульц обратил внимание на то, что именно образование превращает простого исполнителя в творческого работника, заставляет его анализировать ситуацию, искать оптимальные пути решения производственных задач.

В настоящее время под человеческим капиталом понимается сформированная в результатах вложений в человека совокупность способностей личности, обусловленная определенным запасом его знаний, здоровья, профессиональных навыков и способностей к труду, которые способствуют росту производительности труда и увеличению доходов.

Шульц пропагандировал идею образовательного капитала – ответвление концепции человеческого капитала в области инвестиций в образование. Шульц исследовал причину того, почему ФРГ и Япония после войны смогли быстро восстановиться из руин. По сравнению с этими странами, в Великобритании, например, гораздо дольше после войны использовались продуктовые карточки. По мнению Шульца, скорость восстановления была связана со здоровым и образованным населением. Образование делает людей более производительными, а хорошее здравоохранение сохраняет инвестиции в образование и даёт возможность производить. Можно сказать, что одна из главных работ Шульца «Теория человеческого капитала», инициировала в 1980-х годах активную деятельность по мотивации инвестиций в профессиональное и техническое образование со стороны Международных финансовых системных институтов Бреттон Вудса, таких как МВФ и Всемирный банк.

Согласно Шульцу, образовательный уровень населения в значительной степени определяет его способность использовать информацию и технологию для развития, равно как и для структурной

перестройки экономики. Несмотря на то, что стоимость земли, оборудования, по словам Шульца, рассчитывалась с большой точностью, мало что было известно относительно ценности «человеческого капитала». В статье «Создание капитала благодаря образованию» («Capital Formation by Education»), опубликованной в «Журнале политической экономии» («Journal of Political Economy», 1960), Шульц представил свои оценки стоимости рабочей силы, включая расходы на образование, равно как и стоимости труда, «потерянные» человеком за время его учебы. Эта величина была хорошо известна фермерским и рабочим семьям, которые рассчитывают на то, что их дети смогут пополнять семейные доходы в возможно более раннем возрасте. Однако она совершенно игнорировалась экономистами и была поставлена ими под сомнение, когда в своих работах Шульц обозначил ее в качестве предмета исследования. И хотя расчеты Шульца не были и не могли быть точными во всех отношениях, а сам он обращался к своим студентам и коллегам с просьбой их уточнить, тем не менее его концепция постепенно завоевывала признание, пока многим не стало ясно, что капиталовложения развивающегося мира в образование (т.е. в «человеческий капитал») могут оказаться решающим фактором для экономического развития этих стран. Шульц неопровержимо доказал, что для слаборазвитых стран инвестиции в «человеческий капитал» и сельское хозяйство даже важнее, чем капиталовложения в машины и промышленные предприятия. Выступая против традиционного подхода к экономическим отношениям, Шульц стремился к тому, чтобы были приняты во внимание люди, действующие за рамками математических формул экономистов. Проблемы «человеческого капитала» были освещены Шульцем в его одной из первых работ «Возникающая экономическая сцена и среднее школьное образование» («The Emerging Economic Scene and Its Relation to High School Education»), опубликованная в сборнике «Школа в новой эре» («The High School in New Era», 1958), также в книгах «Вложения в "человеческий капитал": роль образования и научных исследований» («Investment in Human Capital: The Role of Education and of Research», 1971) и «Инвестиции в людей: экономика качества населения» («Investing in People: The Economics of Population Quality», 1981).

Теория «человеческого капитала» отражала переориентацию экономической науки с проблем использования трудовых ресурсов на проблемы создания качественно новой рабочей силы в условиях НТР. Шульц исследовал также демографические аспекты этой проблемы, обобщив результаты в ряде сборников, изданных под его редакцией, в том числе «Брак, семейный капитал и рождаемость» («Marriage, Family Human Capital, and Fertility», 1974) и «Экономика семьи» («Economics of the Family», 1974).

В монографии «Преобразование традиционного сельского хозяйства» («Transforming Traditional Agriculture»), вышедшей в 1964 г. в серии Йельского университета «Исследования по сравнительной экономике», Шульц доказывал, что даже в примитивном хозяйстве фермеры действуют рационально и используют свои ресурсы эффективно в пределах той информации, которая им доступна. Он подчеркивал важность проблемы, связанной с деятельностью в условиях несбалансированности, риска и неопределенности, обычных при применении новых методов хозяйствования даже тогда, когда преимущества этих методов очевидны.

Исследования в этой области были вызваны так называемой «зеленой революцией» - попытками увеличить сельскохозяйственное производство при помощи применения генной инженерии и других технологических методов, частично разработанных Н.Борлоугом. Там, где не удавалось увеличивать производство сельскохозяйственной продукции с помощью займов и субсидий, гибридные семена и новая технология обеспечивали повышение урожаев, что особенно наглядно проявилось в Индии, Пакистане и на Филиппинах. Эта работа Шульца обозначила новую область в современной экономической науке. Позднее Шульц проявлял особенно большой интерес к проблемам образования женщин и к высшему образованию молодежи, которая могла бы применить свои знания в наиболее подходящей с культурной точки зрения форме для улучшения условий здравоохранения, благосостояния и экономического процветания народов «третьего мира». Он с оптимизмом относился к возможностям развития бедных народов в регионах с преобладанием сельскохозяйственного населения. «Бедные народы, живущие в странах с низким

уровнем доходов, не являются заложниками, скованными железными обручами нищеты, которую экономисты не способны разрушить», — писал он. Предлагаемая Шульцем стратегия состояла в том, чтобы выправить возникающие повсеместно перекосы и сосредоточить внимание на возможных выборах и доступной информации. Его главной заботой было определить политику, которая могла бы способствовать расширению скрытых в сельском хозяйстве возможностей и их использованию. Это и стало составной частью его стратегии динамического роста. В своих исследованиях динамического развития Шульц с особым вниманием относился к проблемам справедливости, в том числе к структуре заработков и их возрастающей неравномерности, что также включалось им в понятие динамического развития.

Таким образом, Теодор Шульц внес огромный вклад в становление теории человеческого капитала на начальном этапе её развития, в её принятие научной общественностью и популяризацию. Он одним из первых ввел понятие человеческого капитала как производительного фактора и сделал многое для понимания роли человеческого капитала как главного двигателя и фундамента индустриальной и постиндустриальной экономик.

*Davlasheridze Nata*

**THE NOBEL PRIZE WINNER IN ECONOMICS THEODOR  
SCHULTZ ABOUT THE ROLE OF THE HUMAN CAPITAL IN  
OVERCOMING OF POVERTY PROBLEMS**

**SUMMARY**

In the present work the views and ideas of Theodor Schultz - the winner of Nobel Prize in economy – concerning the role of human capital in overcoming of the problems of poverty are considered in details. T.Schultz has proved theoretically that the improvement of well-being of the poor people depends not only on natural resources which the country has, not only on technical equipment or efforts of the government, but is

faster because of the knowledge which the people of this country possess. In other words, it depends mostly on the ability of a society to accumulate, produce and transform knowledge of individuals and groups in public welfare, that is the capital investments in education (i.e. in «human capital») can appear to become the main factor for the country's economic growth. So, for example, the increase in duration of education period in the developed countries by one year provides the growth rate of GNP of 5-15 %. The role of the present research is defined by its importance for the successful political and economic reformation of Georgia, the integration of the country into the world economy and the working out and realization of the national strategy for reduction of poverty.

*თინათინ ქურდაძე*

**ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის  
ამაღლების პრობლემები საქართველოში**

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა თუ ბიზნესი მოიაზრება, როგორც ფინანსური ურთიერთობებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ერთობლიობა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს ფინანსურ გადაწყვეტილებებს. საქართველოში ფინანსური მენეჯმენტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც ქვეყანა გადავიდა სრულიად ახალ ეკონომიკურ მოდელზე და მის ძირითად ამოცანად დამატებითი ღირებულების შექმნა და ინვესტორის მოლოდინის გამართლება იქცა. ამ, ჩვენთვის სრულიად ახალმა, მეცნიერებამ უმთავრეს მიზნად დაისახა ფულადი ნაკადების ყველაზე ხელსაყრელი ორგანიზება მაღალი შედეგების მიღების მიზნით. თუ მაღალი შედეგები მიღწეული იქნებოდა, მაშინ სწორად აგებული ფინანსური ბიზნესის სტრუქტურა უკვე თვითონ შეძლებდა დამატებითი ღირებულების წარმოებას და გაამართლებდა ინვესტორის მოლოდინს.

სამეწარმეო საქმიანობის ძირითად ამოცანად, ზოგადად, და, საერთოდ, პოსტრეკოლუციური ტრანსფორმაციის თანამედროვე ეტაპზეც, ითვლება მაქსიმალური მოგების მიღება ბიზნესში სწორად ორგანიზების ხარჯზე. გარდა ამისა, ფინანსური მენეჯმენტის ფინანსური ანალიზი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია, რომელსაც მთლიანად ემყარება ფინანსური გადაწყვეტილების მიღების პროცესი. გათვლების სისწორემ და სხვადასხვა ანალიტიკური მეთოდების შემუშავებამ ხელი შეუწყო ფულადი ნაკადების მართვას და სააქციონერო კაპიტალის გაზრდას. თვით ანალიტიკური საქმიანობა კი ემყარება ფინანსურ ინფორმაციას, რომლის წყაროების და აღრიცხვის სიზუსტე სწორი დაგეგმვისა და მართვის გარანტიაა.

ინვესტიციების ფინანსური მენეჯმენტის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა გადაწყვეტილების მიღება, რომელიც არსებით ნაწილს წარმოადგენს ფინანსური მართვის სხვა ელემენტებთან ერთად, წარმოვადგენთ შემდეგნაირად: ბიზნესის სტრუქტურის ზოგადი გრაფიკული გამოსახვა გამოსატანად ურთიერთკავშირსა და დინამიურ ურთიერთქმედებას გადაწყვეტილებათა მიღების სამ ძირითად სფეროში, ესენია: საინვეს-



ტიციო გადაწყვეტილებები, მიმდინარე (ოპერაციულ საქმეებში) გადაწყვეტილებათა მიღება და ფინანსური გადაწყვეტილებები.

ფინანსური ანგარიშგების ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც გვეკვლინება, როგორც ფინანსური ინფორმაციების ძირითადი პირველწყარო, მათი კავშირი ფინანსურ სისტემასთან ხორციელდება: საბუღალტრო ბალანსით, მიმდინარე საქმიანობის მოგება-ზარალის ანგარიშებში და ცვლილებებით აქციონერთა ჩამონათვალში. ხოლო ფინანსური ანალიზის მეთოდების ზოგადი მიმოხილვა წარმოებს სამი ძირითადი მიმართულებით, ესენია: ფინანსური აღრიცხვა, საინვესტიციო საქმიანობის ანალიზი და მართვის ეკონომიკა.

მოცემულ სტატიაში, ზოგადად, მოკლედ მიმოვიხილავთ ეკონომიკური გათვლების ყველა არსებულ მეთოდს, რომელიც არსებით როლს თამაშობს საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მიღებაში. ცნობილია, რომ ფინანსური მენეჯმენტი ემყარება ფინანსური აღრიცხვის სტანდარტიზებულ მონაცემებს, რომლებიც მშრალად ასახავს არსებულ რეალობას და ხშირად არ გამოირჩევა სიზუსტით, ამიტომ ფინანსური მენეჯერის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, მოახდინოს ამ ფაქტების სწორი ინტერპრეტაცია.

მზარდი ფინანსური სისტემის არსებობა წარმოუდგენელია ინვესტირების გარეშე, ამიტომ ფინანსური მენეჯერის ვალდებულებაა, სწორად გათვალოს ინვესტირების ეკონომიკური ეფექტიანობა და ამით შეამციროს დაბანდებით გამოწვეული რისკი, რომლის განხილვის მთავარ საგნად ჩვენ ავირჩევთ ინვესტიციის ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდებს, ვინაიდან სწორედ ამ მეთოდების დახმარებითაა შესაძლებელი მომგებიანი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღება, რაც, თავის მხრივ, დგას დამატებითი ღირებულების შექმნის სამსახურში.

ინვესტიციის გაანგარიშების მეთოდები წარმოადგენს საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთ საფუძველს, წმინდა ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით, ინვესტიციის რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტის შემთხვე-

ვაში ყველაზე ეფექტიანის (ეკონომიკურის) არჩევის მექანიზმს. გამოყენების სფეროების მიხედვით შეიძლება გავყოთ: მეთოდებად, რომლებიც აფასებენ ცალკეულ საინვესტიციო ობიექტებს (პროექტებს, საინვესტიციო წინადადებებს) და მეთოდებად, რომლებიც აფასებენ საინვესტიციო პროგრამებს, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ცალკეული საინვესტიციო პროექტების ნაკრებს.

ზოგადად, ინვესტიციის გაანგარიშების მეთოდების მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაურკვეველობის სიტუაციის მაქსიმალურად შემცირება. გადაწყვეტილების მიმღებისთვის აუცილებელია აღნიშნული მეთოდების შესაძლებლობების, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების ცოდნა. საწარმოები, ხშირ შემთხვევაში, გამოიყენებენ არა ერთ რომელიმე მეთოდს, არამედ მეთოდთა ნაკრებს. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების კომპანიათა მხოლოდ 14% იყენებს ერთ მეთოდს, დანარჩენი 86% კი – ორ (36%), სამ (34%) და ოთხ (16%) მეთოდს. ყველაზე ხშირად ამერიკული კომპანიები იყენებენ დინამიკურ მეთოდებს. ინვესტიციის გაანგარიშების სტატიკური მეთოდები გამოკვეთილად არ ითვალისწინებს დროის ფაქტორს, ანუ წარმოადგენს მოკლევადიანი ინვესტიციების გაანგარიშების მეთოდს და, ძირითადად, მცირე და საშუალო საწარმოები იყენებენ. ამგვარ მეთოდებს ზოგიერთ ლიტერატურაში არამეცნიერულ ან „პრაქტიკაში დამხმარეს“ უწოდებენ. ესენია დანახარჯებისა და მოგების შედარების, რენტაბელობისა და ამორტიზაციის გაანგარიშების მეთოდები.

ინვესტიციის ხარჯები მოიცავს არა მარტო უშუალოდ ინვესტირების ობიექტის შექმნის ღირებულებას, არამედ მასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებსაც, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მეორადი ინვესტიციების ხარჯებსაც. ინვესტიციიდან მოსალოდნელი შემოსავლების შეფასება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან ყოველთვის არის რისკი ბაზრის ტენდენციების არასწორი პროგნოზის გაკეთებისა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ინვესტიციის ექსპლუატაციის ვადა ხანგრძლივია (10 და მეტი წელი). ინვეს-

ტიციის საგადასახადო მხარეს გადაწყვეტილების მიღების დროს ყურადღება ექცევა ისეთ შემთხვევებში, როდესაც ცალკეული საინვესტიციო პროექტით გათვალისწინებული შედეგის დაბეგვრა ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით განსხვავდება. საქართველოში ამდგავარ განსხვავებას იძლევა ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში და სხვა სახის ინვესტიციები. მაგალითად, ფასიანი ქაღალდებიდან დივიდენდის სახით მიღებული მოგება იბეგრება 10 პროცენტის განაკვეთით, ხოლო სხვა დანარჩენი მოგება 20 პროცენტის განაკვეთით. ასევე, როდესაც საქმე გვაქვს ინვესტიციის ობიექტიდან გამომდინარე გარკვეულ კონკრეტულ გადასახადებთან. დღეისათვის პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებულია ახალი ნოუჰაუ, ვინც ინვესტიციას ჩადებს შავი ზღვის პირას მიმდინარე მშენებლობაში, შეიძენს მიწას და ააშენებს სასტუმროს ერთი წლის ვადაში, თავისუფლდებიან გადასახადებისაგან. ამგვარი საინვესტიციო პროექტები ერთგვარი სტიმულია როგორც საშინაო, ისე საგარეო ინვესტიციებისათვის, რაც სასიკეთოდ წაადგება ეკონომიკის ეფექტიანობას და ნაწილობრივ მაინც გადაწყვეტს დასაქმების პრობლემას.

„საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაკადი კონცენტრირებული იყო პრივატიზაციასა და უძრავი ქონების შექენაზე, რამაც აშკარა დისბალანსი გამოიწვია, როცა ფინანსური რესურსების ნაკადის ზრდის ტემპი ქვეყანაში საგრძნობლად აღემატებოდა ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდის ტემპს“<sup>21</sup>.

ეკონომიკური ექსპლუატაციის ვადაზე გავლენას ახდენს სამართლებრივი და ტექნიკური გამოყენების ხანგრძლივობა და პირობები. ასევე მასზე მოქმედებს ბაზრის კონიუნქტურა და სწორედ მისი ზუსტი პროგნოზირების შეუძლებლობა ართულებს შეფასების პროცესს. ფორმა დგას გადაწყვეტილების მიღების წინაშე, ინვესტირების ალტერნატიული პროექტებიდან ამოირჩიოს ერთი ან რამდენიმე საუკეთესო. ამისათვის შეიძ-

<sup>21</sup> **პაპავა ვლ.** ნეკროეკონომიკის ზომბირება. თბილისი, 2010, გვ.72.

ლება გამოყენებულ იქნეს პრაგმატული მეთოდი, როგორცაა "ეკვივალენტური ციფრული მეთოდი". ალტერნატიული ვარიანტების შეფასება მოხდება სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით 10 ბალიანი სისტემით. უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული კრიტერიუმების სწორად შერჩევას კონკრეტული ფირმისა და მისი ბაზრის თავისებურებებიდან გამომდინარე, აგრეთვე იმაზე დაყრდნობით, თუ რაზეა საუბარი: გრძელვადიანი მიზნების მიღწევაზე, მათ კონკრეტიზაციაზე ფირმის სტრატეგიაში თუ მოკლევადიან ადაპტაციაზე გარემო პირობების საფუძველს წარმოადგენს ფინანსური შედეგების პროგნოზი. ფირმის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია მისი საქმიანობის გრძელვადიანი და მოკლევადიანი ფენომენების ეფექტიან შეხამებაზე. დადებითი შედეგი, როგორცაა სოლიდური ბრუნვა და ბაზრის წილი, მაღალი გადახდისუნარიანობა, ლიკვიდურობა და რენტაბელობა, მიიღწევა მხოლოდ იმ გადაწყვეტილების მიღების გზით, რომელიც ფირმის ეგზოგენური არისა და განვითარების ე. წ. მაგისტრალური ხაზის ადეკვატურია. ამ უკანასკნელში იგულისხმება ფირმის სტრატეგია. ე.ი. საინვესტიციო გადაწყვეტილება მოცემული კონიუნქტურის დროს უნდა იყოს ეკონომიკურად ეფექტიანი და, ამავე დროს, უნდა შეესაბამებოდეს ფირმის სტრატეგიას. სწორედ ამას გულისხმობს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ფენომენების ეფექტიანი შეხამება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, კრიტერიუმები შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

აღნიშნული მეთოდი, მიუხედავად იმისა, რომ აფასებს ინვესტირების ალტერნატიულ პროექტებს როგორც წმინდა ეკონომიკური, ასევე სტრატეგიული თვალსაზრისითაც, მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად, რადგანაც ვერ ითვალისწინებს ფირმის ინტერესს, რომელიც მას გააჩნია მოცემულ მომენტში. შეიძლება საწარმო არსებულ ეტაპზე წინ აყენებდეს მოგების მაქსიმიზაციას მოკლევადიან პერიოდში და არა პერსპექტივას და პროდუქციის სიცოცხლისუნარიანობის გაზრდას ან პირიქით. არსებული პრობლემატიკის გადასაჭრელად ეკვივალენტური ციფრული მეთოდი შეიძლება დაიხვეწოს

კრიტერიუმების მიხედვით შესაბამისი მულტიპლიკატორების შემოღებით, ე.ი. თითოეული კრიტერიუმის მიხედვით საინვესტიციო პროექტის ბალობრივი შეფასება-გამრავლდება მოცემული კრიტერიუმის შესაბამისი მულტიპლიკატორზე. ამ მულტიპლიკატორს კი თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიმღები, გამომდინარე ფირმის სტრატეგიიდან მოცემულ ეტაპზე.

საინვესტიციო მენეჯმენტში განსაკუთრებული როლი ეკისრება ინვესტირების კონტროლს, რომელიც შეიძლება ორ სფეროდ გავეყოთ: ერთი მხრივ შედეგზე, ხოლო მეორე მხრივ, ქცევაზე ორიენტირებული კონტროლი. შედეგზე ორიენტირებული კონტროლი გულისხმობს ეკონომიკური და ტექნიკური შედეგების კონტროლს, ხოლო ქცევაზე ორიენტირებული კონტროლი – გადაწყვეტილების მიღების, ინვესტირების დაგეგმვისა და რეალიზაციის მეთოდების დაცვის კონტროლს. ინვესტიციის კონტროლი (investitions-kontrolling), რომელსაც ხშირ შემთხვევაში კონტროლიორი ასრულებს, მოიცავს ამოცანების სამ ძირითად პაკეტს მართვის სხვადასხვა ფაზების მიხედვით, კერძოდ: ამოცანებს ინვესტიციის პროექტის არჩევისა და დაგეგმვის, უშუალოდ რეალიზაციისა და რეალიზაციის შემდგომ ფაზებში.

როგორც ვხედავთ, კონტროლი მიმდინარეობს როგორც საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის პროცესში, ისე მისი გახორციელების შემდეგაც. ამგვარად ფირმას საშუალება აქვს, თვალყური ადევნოს პროექტის გეგმასთან შესაბამისობას, რაც აუცილებელი პირობაა საწარმოს ეფექტიანი მართვისთვის. სამრეწველო ფირმაში, გამომდინარე რეზერვების მუდმივად წარმოშობადობის პრინციპიდან, ინვესტირება უწყვეტი ხასიათის პროცესს წარმოადგენს. თუ ფირმას სურს შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა, იგი მუდმივად უნდა ეძებდეს განვითარების, წარმოების სრულყოფისა და რაციონალიზაციის გზებს და ცხოვრებაში ატარებდეს მათ, ამ უკანასკნელს კი ძლიერი საინვესტიციო მენეჯმენტი უზრუნველყოფს.

დასასრულ, საერთაშორისო კავშირების განვითარებაზე ფინანსების ზემოქმედების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის საბაზრო დარგების საწარმოებში უცხოელი ინვესტორების მობილიზაცია. უცხოური ინვესტიციები საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინვესტირების და დამატებითი ეროვნული შემოსავლის შექმნის პირობებს უქმნის.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. **პაპავა ვლ.** ნეკროეკონომიკის ზომბირება. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2010.
2. **პაპავა ვლ.** პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა (თეორია და პოლიტიკა). თბილისი, 2005.
3. **ლიპარტია ზ.** კორპორაციული ფინანსების მართვა. თბილისი, „უნივერსალი“, 2009.
4. “Финансовый менеджмент”, под редакцией **Е. С. Стояновой**, Москва, 1997.
5. **Риндин А.Г., Шамаев Г.А.** Организация финансового менеджмента на предприятии. РДЛ, Москва, 1997.
6. Портфель конкуренции и управления финансами. Москва, СОМИНТЭК, 1996.
7. “Финансовое планирование и контроль” – под редакцией **М.А. Поукока и А. Х. Тейлора**. Москва, ИНФРА-М, 1996.

*Kurdadze Tinatin*

### **THE PROBLEMS OF THE GROWTH OF ECONOMIC EFFECTIVENESS OF INVESTMENTS**

#### **SUMMARY**

The goal of investment on micro and macro levels of economy is increasing profit and prosperity. Thus it's necessary to control it as process,

because here is a key of fast development of economy in private business and all country.

*გიორგი ბრეგვაძე*

**მშენებლობის განვითარების რეპრონული  
თავისებურებაანი**

სიღარიბე და სიმდიდრე – ეს ფარდობითი ცნებებია. ყველა დროში იღვა და ალბათ მომავალშიც აქტუალური იქნება სიღარიბის დაძლევის საკითხი. განსაკუთრებით მწვავეა ეს პრობლემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მიზეზი ბევრია: ადამიანების არათანასწორი უნარ-შესაძლებლობები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, განაწილებისა და გადანაწილების არასამართლიანობა, განვითარების ისტორიული დონე, გეოგრაფიული პირობები, ყოფითი ტრადიციები, ფასები და ინფლაციის დონე ქვეყანაში, ხალხთომოსახლეობის პრობლემები და მრავალი სხვა.

სიღარიბის განსაზღვრისათვის არც კვების პროდუქტების ნორმატივების ან სამომხმარებლო კალათის დადგენაა საკმარისი, ვინაიდან გეოგრაფიული, ისტორიული და ყოფითი

ტრადიციებიდან გამომდინარე, შეიძლება კვების რაციონი და მოხმარებული საქონლის ასორტიმენტი სხვადასხვა იყოს. ის, რაც ერთ ადამიანს აკმაყოფილებს, ვთქვათ, აფრიკაში, ის ჩრდილოეთის ქვეყნის მცხოვრებთათვის შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს, თვით ქვეყნის შიგნითაც მოხმარება სხვადასხვაგვარია. თან კვებაც ინდივიდუალურია. ბევრი მდიდარიც კი სხვადასხვა მიზეზის გამო არასრულფასოვნად იკვებება. ამის მაგალითია ცნობილი მსახიობები, მოდელები და სხვ., ვინც წონის შესანარჩუნებლად მრავალი, სიცოცხლისათვის აუცილებელი საკვები პროდუქტის მიღებისაგან იკავებს თავს.

სიღარიბის დასაძლევად არ კმარა მარტო სახელმწიფოს მიერ ან მდიდრების გაღებული შემოწირულობები. არ შეიძლება ქვეყანა არსებობდეს იმ პრინციპით და იმ იმედით, რომ მდიდრები უნდა ეხმარებოდნენ ღარიბებს ან სახელმწიფო ზრუნავდეს ყველაზე და ეხმარებოდეს მათ. რა თქმა უნდა, უნდა ეხმარებოდეს, მაგრამ ხშირად ეს შეუძლებელია სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის და, რაც მთავარია, სიღარიბის განსაზღვრის მტკიცე კრიტერიუმების არარსებობის პირობებში. ალბათ არ იქნება საკამათო ის, რომ ქვეყანაში სიღარიბის მეტ-ნაკლებად დასაძლევად საჭიროა, ადამიანებს გააჩნდეთ სამუშაო და ისიც ღირსეული და არა მიზერული ანაზღაურებით.

განვითარებულ ქვეყნებში დადგენილია, რომ ქვეყანაში უმუშევრობის დონე რაც შეიძლება დაბალი უნდა იყოს და არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმუმ 10%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი ზომები, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანაში მძიმე სოციალური ვითარება შეიქმნება. უმუშევრობა აღირიცხება შრომის ბირჟების მეშვეობით.

საქართველოში არ არსებობს ოფიციალური სტრუქტურა, რომელიც სწორად და რეალურად აღრიცხავდა და იზრუნებდა უმუშევართა დასაქმებაზე. თვით სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები სატელეფონო შერჩევით გამოკითხვას ემყარება და უფრო სოციალური გამოკითხვის შედეგებია, ვიდრე რეალური სტატისტიკური ციფრები. სინამდვილეში საქართველოში ბევრი უმუშევარია. ასევე გასათვალისწინებელია ინფ-



ლაციის რეალური დონე და ფასების ზრდის ტემპები, ასე რომ, ადვილი წარმოსადგენია, რამდენი ადამიანი იმყოფება დღეს სიღარიბის ზღვარზე. მართალია, ქვეყანაში მოქმედებს სიღარიბის ზღვარზე მყოფთათვის დახმარების პროგრამები და უფასო სასადილოები, მაგრამ მხოლოდ ასეთი პროგრამები სიღარიბეს ვერ დაძლევს. საჭიროა მეტი მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა. ეს კი არც ისე ადვილია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ხელისუფლება ამ მხრივ ბევრს აკეთებს, როგორც თვითონ ამბობენ – გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი სწორი გზა – ეს ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი განვითარებაა. ამისათვის კი უფრო მეტი უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტიციებია საჭირო, რათა ეკონომიკის სხვადასხვა დარგები განვითარდეს და რაც შეიძლება მეტი ადამიანი დასაქმდეს.

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია მშენებლობა. მშენებლობის ხვედრითი წილი ეკონომიკის მთლიან სექტორში სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის შემდეგ 7.2 პროცენტს შეადგენს. ჩვენს ქვეყანაში მშენებლობას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

1995 წლიდან გატარდა ფულადი რეფორმა. შემოვიდა ეროვნული ფულადი ერთეული “ლარი”, რომელიც დღემდე შედარებით სტაბილურ ვალუტად რჩება. ასევე, დაიწყო ეკონომიკური რეფორმების გატარება. ჩატარდა და ახლაც ტარდება პრივატიზაცია. ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისა და სტაბილიზაციისათვის შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. გატარებული ღონისძიებების შედეგად გაუმჯობესდა კრიმინოგენური ვითარება. სამშენებლო ბიზნესი განვითარების გზაზე დადგა. ამასთან, თუ 1990 წელს სახელმწიფო სამშენებლო კომპანიათა რიცხვი 945 იყო, 1999 წლისათვის 177-მდე შემცირდა. სამაგიეროდ, გაიზარდა არასახელმწიფო სამშენებლო კომპანიათა რიცხვი და მან 463 შეადგინა. მოყოლებული 1998-1999 წლებიდან, სამშენებლო ბიზნესი 2008 წლის აგვისტომდე აქტიურად მზარდი ტემპებით ვითარდებოდა. ასევე იზრდებოდა

ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობაც. იზრდება ინვესტიციებიც. შესაბამისად შეიქმნა მრავალი დეველოპერული კომპანია, ისეთები, როგორიცაა: “ცენტრ პოინტი”, “აქსისი”, „არსი”, “იბერია”, “მაგი სტილი”, “ბაგების სითი ჯგუფი” და მრავალი სხვა, რომლებმაც წარმატებით წარმართეს თავიანთი ბიზნესი. თუმცა გაიზარდა ფასებიც, თუ 1995 წელს ახალი შენობის 1 კვ. მეტრის ფასი 100-200 აშშ დოლარი იყო, 2008 წლის 1000-1500 აშშ დოლარამდე ავიდა, ხოლო კომერციული ფართების ფასები კიდევ უფრო მეტი გახდა.

სამშენებლო ბიზნესის განვითარებას საქართველოში თავისი მიზეზები გააჩნია, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს: პირველი, ლტოლვილების დიდი რაოდენობით არსებობა, რაც ზრდის მოთხოვნას ბაზარზე; მეორე, საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებლობა, 90-იან წლებში, ანაბრების გაუფასურების გამო, ბანკებისადმი მოსახლეობის ნდობა დაიკარგა, ამიტომაც მათ, ვინც სხვადასხვა გზით დიდი ფული დააგროვა, კაპიტალის დაბანდების სტაბილური შემოსავლების მომტან ერთ-ერთ ბიზნესად უძრავი ქონების შექმნა მიაჩნიათ, ვინაიდან ბინებისა და სავაჭრო ობიექტების ფასი მზარდი ტენდენციით ხასიათდება; მესამე, 2003 წლიდან ხელისუფლებაში მოსული ახალი მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები მიმართულია ახლის მშენებლობისა და ძველის რესტავრაციისაკენ, რის შედეგადაც რესტავრაცია ჩაუტარდა ბევრ შენობას და აშენდა ბევრი ახალი ნაგებობა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის. მაგალითად: პოლიციის შენობები, სამხედრო ყაზარმები, ჰესები, ასევე გზები, ხიდები, სტადიონები და სპორტული დარბაზები, შადრევნები, რკინიგზის სადგურები, სავაჭრო ცენტრები, სასტუმროები, საწარმოები და სხვა.

აშენდა და გალამაზდა საქართველოს მრავალი ქალაქი, მათ შორის სიღნაღი, თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, მცხეთა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სამშენებლო ბიზნესში ჩაბმულთა რაოდენობა. სამშენებლო ბიზნესის გაფართოებას მოჰყვა მათი მომიჯნავე დარგების განვითარება, კერძოდ, განვითარდა სამშენებლო და ხე-ტყის მასალების, მეტა-

ლოპლასტიკური ნაკეთობების, ცემენტის, აგურის, ბლოკის, კრამიტის საღებავებისა და სხვა დამხმარე მასალების ბიზნესიც, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა მრავალი ადამიანის დასაქმებაც.

გაიზარდა მშენებლობაში დასაქმებულთა შემოსავლებიც, მათი ხელფასები საკმაოდ მაღალია და 2010 წელს 772.9 ლარს შეადგენს. საქართველოში ამჟამად არსებულ საშუალო ხელფასთან შედარებით, ეს თანხები მნიშვნელოვნად მეტია და ამ სფეროში დასაქმებულები კარგ ანაზღაურებას იღებენ.

ამ სფეროს განვითარების საქმეში იპოთეკური კრედიტების გაცემით საბანკო სექტორმაც დიდი როლი შეასრულა. თავის მხრივ, საბანკო კრიზისმა, რაც იმით გამოიხატა, რომ, ერთი მხრივ, მოსახლეობა ადრე აღებულ კრედიტებს ვერ ფარავდა და, მეორე მხრივ, ბანკები ასე ადვილად კრედიტებს ვეღარ გასცემდნენ. მშენებლობა ფაქტობრივად გაჩერდა. ამასთან, ბევრი სამშენებლო კომპანია პირამიდის პრინციპით მოქმედებდა, რაც ამ კომპანიების არასწორი მენეჯმენტისა და არასწორი დაგეგმვის შედეგი იყო. ყოველივე ამან სამშენებლო სფეროში კრიზისი გამოიწვია. შედეგად, თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში დაუსრულებელი შენობები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

მიუხედავად სამშენებლო ბიზნესში შექმნილი სიძნელეებისა, ზოგიერთმა სამშენებლო კომპანიამ მაინც დიდი მოგება ნახა. ეს ეხება იმ კომპანიებს, რომელთაც ლტოლვილებისათვის რამდენიმე ათასი სახლი ააშენეს.

ამჟამად ბანკები ნელა, მაგრამ სიფრთხილით, იწყებენ კრედიტების გაცემას, სახელმწიფოც აგრძელებს სხვადასხვა სახის მშენებლობას. ამასთან, სახელმწიფომ შეიმუშავა ძველი თბილისის რესტავრაციის გეგმა, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო აფინანსებს იმ სამშენებლო კომპანიებს, რომლებიც ძველი თბილისის რესტავრაციას მოახდენენ. დაანგრევენ ძველ ავარიულ შენობებს და გაიყვანენ მოსახლეობას. ხოლო, რაც შეეხება ახალ ბინათმშენებლობას, ეს პროცესი ასე სწრაფად ვერ აღდგება, ვინაიდან მოსახლეობა ამჟამად მშენებარე

ბინებში ფულის დაბანდებას ერიდება. ვისაც ფული აქვს, ის უკვე აშენებულს ყიდულობს, რადგან ბინებზე ფასმა იკლო, ხოლო უფულოების დიდი ნაწილი, არასტაბილური სიტუაციის გამო, ერიდება ბინების შესაძენად კრედიტების აღებას, რადგან კრედიტის დაბრუნება საკმაოდ გართულებულია მაღალი პროცენტის მიზეზით. ამის მაგალითია ის რამდენიმე ათეული ათასი მოქალაქე, ვისაც კრედიტების დაბრუნება ძალიან უჭირს.

იმედია, სწორი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად როგორც ქვეყნის ეკონომიკა, ისე სამშენებლო ბიზნესი ნელ-ნელა კრიზისიდან გამოვა, რისი ნიშნებიც უკვე შეინიშნება.

ბოლო ხანებში საქართველოში ძალზე სწრაფად ვითარდება გზების, ხიდების, სასტუმროების, ძველი შენობების რესტავრაციის, რკინიგზების, აეროპორტების სპორტული ნაგებობების და სხვათა მშენებლობა, რომელთაც სახელმწიფო აფინანსებს. უნდა ითქვას რომ, თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, უახლოესი წლების განმავლობაში მშენებლობაზე დასაქმებულთა რაოდენობა გაიზრდება, რაც, თავის მხრივ, დიდად შეუწყობს ხელს რეგიონებსა და დიდ ქალაქებში სიღარიბის დაძლევას, ვინაიდან ამ ადამიანებს გაუჩნდებათ შემოსავალი ხელფასის სახით და დროთა განმავლობაში სულ უფრო ნაკლები ადამიანი იქნება სიღარიბის ზღვარზე.

ასე რომ, სწორი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად საქართველო ეკონომიკური კრიზისიდან გამოდის და აღმავლობის გზას ადგას, რაზეც მიანიშნებს ის მსოფლიო რეიტინგები, რომელთა შორის საქართველო სულ უფრო და უფრო მიიწევს წინ. იმედია, ეს წინსვლა გაგრძელდება და მალე საქართველოში მთლიანად თუ არა, მეტ-ნაკლებად იქნება დაძლეული სიღარიბე.

## **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 1999. თბილისი, 2000.

2. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2008. თბილისი, 2009.
3. გაზ. ბანკები და ფინანსები. 7-13 აპრილი, 2009, გვ. 19.
4. გაზ. ბანკები და ფინანსები. 13-29 აპრილი, 2009, გვ. 17.

*Bregvadze Giorgi*

**REGIONAL PECULIARITY OF THE DEVELOPMENT  
OF CONSTRUCTION**

**SUMMARY**

This work analyses construction Tendencies and peculiarity in Georgia.

It's also have been planned the ways which will help out of crisis this sphere and help in the development of construction.

This for its part will employ a lot of people. In The result it will overcome the poverty.

**მიწის მენეჯმენტი**

მიწა სოფლის მეურნეობაში წარმოების ძირითადი და შეუცვლელი საშუალებაა. წარმოების ფაქტორთა შორის მას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. აქედან გამომდინარე, მიწის სწორი მენეჯმენტი აქტუალური საკითხია და საბაზრო ეკონომიკის ატრიბუტია. მიწის რაციონალური გამოყენების დონე დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, მიზნობრიობაზე, მიწათმოსარგებლეთა კატეგორიაზე, საადგილმამულო ურთიერთობების მოქმედ წესსა და მართვის სრულყოფილ სისტემაზე. მნიშვნელოვანი მომენტია გავმიჯნოთ მიწის სავარგულებისა და მიწის ნაკვეთების დანიშნულების მიხედვით გამოყენების ცნებები. სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ცნების ქვეშ იგულისხმება მიწის ნაკვეთი, რომელიც ჩართულია ბრუნვაში პროდუქციის მისაღებად, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი აგრარული მიზნით არ გამოიყენება.

მიწის რესურსები საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი სიმდიდრეა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები მიწის ფონდის 43%-ია, ტყით დაფარულია 37%, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო მიწებს (ჭაობი, ბუჩქნარი, სამრეწველო ობიექტები, ქალაქები და სხვ.) 20% უკავია. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საერთო ფართობია 3023,5 ათ. ჰა, მ.შ. სახნავი 798,7 ათ. ჰა. მრავალწლიანი ნარგავები 264,8 ათ. ჰა, სათიბი – 143,2 ათ. ჰა, საძოვარი 1796,9 ათ. ჰა, საკარმიდამო მიწები 19,8 ათ. ჰა. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა 4604,9 ათ. ჰა. აქედან შენობებითა და გზებით დაკავებულია 376,6 ათ. ჰა. ტყესა და ბუჩქნარს მინ-

დორსაცავ ზოლებთან ერთად უკავია 3005,8 ათ. ჰა, ხოლო დარჩენილი 1222,5 ათ. ჰა მოდის სხვა კატეგორიის მიწებზე. რაოდენობრივად სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ყველაზე მეტია კახეთში – 620 ათ. ჰა, ყველაზე ნაკლები აჭარაში – 74 ათ. ჰა.

საქართველოს მიწის რესურსების ტერიტორიულ განაწილებაში გამოკვეთილია ვერტიკალური ზონალობა:

ზონა I (ზღვის დონიდან 250 მ-მდე) – აღნიშნული ფართობი ძირითადად უკავია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ კულტურებს.

ზონა II (ზღვის დონიდან 250-500 მ) – ითვლება ინტენსიური მიწათმოქმედების ზონად. კერძოდ კი მოიცავს მებაღეობა-მეხოსტნეობის, მევენახეობის და მემინდვრეობის დარგთა გავრცელების არეალს.

ზონა III (ზ.დ. 500-1000 მ) – მიწების ეს ფართობი ძირითადად მოქცეულია თავთავიანი კულტურების წარმოებაში, აქვეა ბუნებრივი საკვები სავარგულები და მეცხოველეობაში ათვისებული ფართობები.

ზონა IV (ზ.დ. 1000-15000 მ) – ასეთ მიწის ფართობებზე ძირითადად ვხვდებით სათიბ-საძოვრებს, თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც ვითარდება მემინდვრეობა.

ზონა V (ზ.დ. 1500-2000 მ). სათიბ-საძოვრების გავრცელების ძირითადი არეალია.

ზონა VI (ზ.დ. 2000 მ. და ზევით) – მიწათმოქმედების გავრცელების არეალი წყდება.

მიწის მენეჯმენტის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურის და სოფლის მეურნეობის ზონალური სპეციალიზაციის სწორად განსაზღვრამ. დამუშავებული მიწების ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდება სავარგუბნო სოფლის მეურნეობის ზონები (თბილისი-რუსთავი-ქუთაისის შემოგარენი) – 25-30%. დამუშავებული მიწის წილი საერთო ფართობში შეადგენს: კახეთში – 36%, ქართლში – 26,6%, კოლხეთის სუბტროპიკულ ზონაში – 24%, სამცხე-ჯავახეთში – 29%. ეს მაჩ-

ვენებლები შედარებით დაბალია იმერეთის მაღლობის, რაჭა-ლეჩხუმის, სამაჩაბლოს, მთიანი აჭარის არეალში და შესაბამისად შეადგენს: 9, 10, 12, 11%.

საქართველოში კერძო საკუთრებაში 768,0 ათ. ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულია. აქედან ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა კახეთი – 1547,3 ათ. ჰა, ქვემო ქართლი 1528,7 ათ. ჰა. და სამეგრელო-ზემო სვანეთი 106,8 ათ. ჰა. ყველაზე მცირე რაოდენობით საკუთრებაში არსებული მიწები დაფიქსირებულია სამაჩაბლოში – 0,9 ათ. ჰა. გარდა ამისა, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ კანონის“ საფუძველზე მოსახლეობამ მიიღო 910 ათ. ჰა ს/ს სავარგული მიწა. ერთ კომლზე საშუალოდ 0,81 ჰა. ქვეყნის მასშტაბით იჯარით გაცემულ საშუალო მაჩვენებელს საგრძნობლად ჩამორჩება შიდა ქართლი – 0,47 ჰა, მცხეთა-მთიანეთი – 0,41 ჰა, გურია – 0,80 ჰა, იმერეთი – 0,35 ჰა, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონი საშუალო მაჩვენებელს თითქმის 20-25-ჯერ (0,035 ჰა) ჩამორჩება.

აღნიშნულიდან ნათლად ჩანს მიწის რაციონალური მენეჯმენტისა და გამოყენების რეგიონული თავისებურებანი, კერძოდ კი ძლიერი დანაწევრება (ფრაგმენტაცია) როგორც კერძო, ისე იჯარის ქვეშ გაცემული მიწების ფართობების მიხედვით.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მძლავრი სტიმულია მიწის კადასტრი, სადაც შესულია მრავალფეროვანი, მათ შორის ნიადაგურ-ეკოლოგიური მახასიათებლები, რაც მიწის რესურსების რაციონალური მენეჯმენტის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

მიწების სამეურნეო პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას და საადგილმამულო ურთიერთობების საბაზრო მექანიზმის შესატყვისად მოწყობას ხელს უშლის მიწის ბაზრის არარსებობა. მიწის ბაზრის თანდათანობითი განვითარება, მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის კვალობაზე, ბუნებრივად მოახდენს ფასების კორექტირებას. ამ პროცესების რეგულირებაში აქტიურად უნდა ჩაერთოს მიწის კადასტრი, რომლის მონაცემებიც უნდა აკმაყოფილებდეს მყიდველთა და გამყიდველთა ინტერესებს (მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრა).



მიწის ბაზრის გარკვეული ელემენტები უკვე არსებობს (საფინანსო ოპერაციები, გარიგება, იჯარა, მემკვიდრეობა, გირავნობა და სხვ.), თუმცა მიწის მენეჯმენტის სრულყოფილი განხორციელების მიზნით მნიშვნელოვანია ბაზრის ორგანიზაციული ფორმების შექმნა და დახვეწა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში მიწის მენეჯმენტის სრულყოფილი რაციონალური სისტემის ფორმირებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. მიწის ფრაგმენტაციის პრობლემის გადაწყვეტა და კონსოლიდაციის კოორდინირება საჯარო სექტორის მიერ, რაც მნიშვნელოვანი პირობა იქნება მიწის რესურსული პოტენციალის გამოყენების და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გასაუმჯობესებლად.

2. მიწის მიხნობრივად გამოყენება და მისი მკაცრი მონიტორინგი.

3. მიწის მესაკუთრეთა ვალდებულებების განსაზღვრა და მისი მკაცრი დაცვა.

4. ყველა სამართლებრივი და საფინანსო აქტების პროცედურების განსაზღვრა და მისი შესრულების სახელმწიფო რეგისტრაცია.

5. მიწის ბაზრის სახელმწიფო რეგულირება, რაც უნდა გამოიხატოს რიგი ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვის ობიექტად გადაქცევის აკრძალვაში. ასევე უნდა განხორციელდეს რეგისტრაციის, დაბეგვრის, მიწის გარკვეული ფართობების ბრუნვიდან ამოღების (ისტორიული და კულტურული ადგილები, სხვადასხვა ატრაქციები, ნაკრძალები, რეზერვატები, რეკრეაციული ზონები და სხვა) პროცედურების კონტროლი.

6. მიწის ნაკვეთების ეფექტური გამოყენების მიზნით, მეწარმეობის სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმების აქტიური გამოყენება და ფერმერთა მსხვილი გაერთიანებების ჩამოყალიბება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბაბუნაშვილი გ.** საქართველოს ბუნებრივი რესურსების გამოყენების აქტუალური საკითხები. თბილისი, 1999.
2. **ღემონჯავა პ.** ბუნების გამოყენების ეკონომიკა. თბილისი, 1993.
3. **ურუშაძე თ.** საქართველოს ძირითადი ნიადაგები. თბილისი, 1997.
4. სტ. წელიწადეული (საქართველოს სოფლის მეურნეობა). თბილისი, 2008.
5. **Druker P.** Management challenges for the 21<sup>th</sup> century. New Youk. 1999.

*Maisuradze Giga*

### LAND MANAGEMENT

#### SUMMARY

The article elucidates the actual agrarian problems, in particular land management, during the transition period. It focuses attention on reasonable use land resources, questions of land distribution, low development of land market and the ways of their overcoming.

Considerations about elaboration of proper land management system and the ways to implementation above mentioned problems are given.

*ლია დვალიშვილი*

## სიღარიბე – მღვრადი განვითარების შემაჯავრებელი ფაქტორი

გლობალიზაციის პირობებში მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ტრეკტორიაზე გადასვლა განვითარებული ქვეყნების ჯგუფში გადასვლას გულისხმობს. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა, პირველ რიგში, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ოპტიმისტური ზღვრული სიდიდეების რეალიზაციაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომლის მიღწევაც მხოლოდ განვითარების დაჩქარებით, მეურნეობის ინსტიტუციური, სტრუქტურული და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციით შეიძლება.

უთანაბრობა მსოფლიოში უდავოდ იზრდება. საზოგადოების პოლარიზაცია მატულობს, სიმდიდრე ადამიანთა შედარებით მცირე ჯგუფებში გროვდება.

გლობალური მასშტაბით ეკონომიკურ განვითარებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც განსხვავება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის თანდათან მცირდება.

გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა თითქმის ყველა ქვეყანაში შეამცირა მოსახლეობის ცხოვრების დონე და გაზარდა ღარიბებისა და ღატაკების რიცხვი. დღესდღეობით განსაკუთრებული გავლენა ენიჭება გლობალიზაციის გავლენას სიღარიბის მსოფლიო პრობლემაზე.

სიღარიბე თანამედროვეობის ერთ-ერთი უმწვავესი გლობალური პრობლემაა. ღარიბად ითვლება ადამიანი, რომლის საშუალო წლიური შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. საერთაშორისო კრიტერიუმებით, ღარიბთა რიცხოვნობას განსაზღვრავენ იმის მიხედვით, თუ თავისი საარსებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად დღეში საშუალოდ რამდენი თანხის დახარჯვის საშუალებას აძლევს ადამიანს საკუთარი შემოსავალი. მისი დღიური დანახარჯი თუ 2 დოლარს არ აღემატება, იგი ითვლება სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფად. ის ადამიანები კი, რომლებიც თავიანთი შემოსავლით დღეში 1 დოლარზე მეტს ვერ ხარჯავენ, ღატაკთა კატეგორიას

განეკუთვნებიან. 2006 წლის მონაცემებით, მთელ მსოფლიოში დაახლოებით 1,5 მლნ ადამიანი (23%) დღეში საშუალოდ 2 აშშ დოლარზე ნაკლებს ხარჯავს, ხოლო 1 მლრდ (16%) – 1 აშშ დოლარზე ნაკლებს.

სიღარიბე, გარკვეულ ფარგლებში, ყველა ქვეყანაში შეინიშნება. მაგალითად, ისეთ სუპერსახელმწიფოებშიც კი, როგორც აშშ-ია, 32 მლნ ადამიანი, ანუ 14.1% სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, თუმცა, ეს მტკივნეული სოციალური მოვლენა განსაკუთრებით განვითარებადი (ეკონომიკურად სუსტად განვითარებული) ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი.

მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით სიღარიბის დონე მაღალია ეკონომიკურად არა მარტო ტრადიციულად ჩამორჩენილ (ძირითადად აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის) ქვეყნებში, არამედ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებშიც. ასეთ სახელმწიფოთა კატეგორიას განეკუთვნება, უწინარეს ყოვლისა, საქართველო.

2008 წლის მონაცემებით, სიღარიბის დონემ მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ 22,1%, ხოლო 40 პროცენტის მიმართ 9,5% შეადგინა. სიღარიბის სიღრმე შესაბამისად იყო 7,0% და 2,7%, სიღარიბის სიმწვავე 3,2% და 1,2% [8, გვ. 63].

სიღარიბის მაღალი დონე არა მარტო საზოგადოების უთანასწორო განვითარებას უქმნის საფრთხეს, არამედ აბრკოლებს წარმოების მდგრად განვითარებასა და ადამიანის თავისუფლების რეალიზაციასაც. მიგვაჩნია, რომ მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში გადამწყვეტი როლი შემოსავლების ზრდამ და მისმა სამართლიანად განაწილებამ უნდა უზრუნველყოს. საქართველოში ეს ტენდენციები ჯერჯერობით არ შეინიშნება და მდგრადი განვითარების საფუძვლების მოწესრიგება კვლავ უპირველეს ამოცანად რჩება.

საქართველო „ახალი ეკონომიკის“ გამოწვევას არცთუ ისე მომზადებული ხვდება, რაზეც მიუთითებს მისი ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა. თუ განვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოებში: აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი და ა.შ. მთლანი შიდა პროდუქტის მოცულობა 1 კაცზე შეად-

გენს 45-46 ათას დოლარს, ჩვენთან ეს მაჩვენებელი მხოლოდ 3 ათასი დოლარია (მსოფლიო ბანკის მონაცემებით), ანუ ეკონომიკის სფეროში ცხოვრების დონე 15-ჯერ ჩამორჩენილია. არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებთან მიმართებაშიც.

საქართველოს მშპ დღეისათვის 16 მილიარდ ლარამდეა, რაც გაცილებით მცირეა, ვიდრე ანალოგიური მაჩვენებელი ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან მიმართებაში. მშპ-ს მოცულობამ ოცწლიან მონაკვეთში ვარდნა 6,5-ჯერ მაინც განიცადა. ეს მაშინ, როდესაც დროის ამ პერიოდში თითქმის ყველა ნორმალურმა სახელმწიფომ – უპირველესად აშშ-მ და ევროკავშირის სახელმწიფოებმა – მშპ-ს გაორმაგება და გასამმაგება მოახერხეს.

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი (დაახლოებით 53%, სოფლად ცხოვრობს, ლოგიკური იქნებოდა გეგეფქრა, რომ მშპ-ში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მაღალი უნდა იყოს. 1990 წელს, რომელიც, თავის მხრივ, სულაც არ იყო საქართველოსთვის საუკეთესო წელი, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მშპ-ში 34,7% იყო [14, გვ. 363]. ჩნობილი მიზეზების გამო, 1994 წლისათვის ეს მაჩვენებელი 40%-მდე გაიზარდა, ხოლო 2006 წელს 11% შეადგინა. სულ 2003 წლიდან 2008 წლამდე მშპ 40%-ით გაიზარდა.

დღეისათვის საქართველო ერთ-ერთ ღარიბ ქვეყნად იმიტომ ითვლება, რომ ქვეყნის მოსახლეობის 50%-ზე მეტი უმუშევარია და ვინც მუშაობს, მათი ხელფასი ვერ აკმაყოფილებს საარსებო მოთხოვნებს. საქართველოში მოსახლეობის უმეტესობას არ შეუძლია დაიკმაყოფილოს სურსათზე ფიზიოლოგიური მოთხოვნილება, რისთვისაც საჭიროა დღე-ღამეში 2500 კკალორიის სურსათის მიღება. სურსათს, როგორც სასიცოცხლო უზრუნველყოფის მთავარ კომპონენტს, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. კვების პროდუქტების მოხმარება 1990 წლიდან მკვეთრად შემცირდა. საგრძნობლად შეზღუდულმა აგროსამრეწველო პროდუქციის წარმოებამ და მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის დაქვეითებამ, რასაც ემატება უმუშევ-

რობა, საკვები პროდუქტების მოხმარების მნიშვნელოვანი დაქვეითება გამოიწვია.

ცხოვრების დონეზე ნათელი წარმოდგენისათვის სიღარიბის დონესთან უნდა გავაანალიზოთ სიღარიბის სიღრმე (ნაპრაღი), რაც გვიჩვენებს ღარიბების მოხმარების იმ ჯამობრივ სიდიდეს, რომელიც აშორებთ მათ სიღარიბის ზღვარს, ანუ საარსებო მინიმუმს. რაც უფრო მეტია სიღარიბის სიღრმე, მით მეტია ღარიბთა მოხმარების დონესა და საარსებო მინიმუმს შორის სხვაობა. ოფიციალური მონაცემებით, დღესდღეობით საქართველოში საარსებო მინიმუმი შეადგენს 140 ლარს. ზემოხსენებული მაჩვენებლის მიხედვით კი სიღარიბის სიღრმეს ზრდის ტენდენცია ახასიათებს, რაც ღარიბთა მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ოფიციალური მონაცემებით როგორც სიღარიბის დონის პროცენტულ მაჩვენებლებში (2004 წელს იყო 24,6; 2005 წელს – 24,1; 2006 წელს – 23,3; 2007 წელს – 21,3; 2008 წელს – 22,1; 2009 წელს – 21,0), ასევე სიღარიბის სიღრმისა (2004 წელს იყო – 8,1; 2005 წელს – 7,6; 2006 წელს – 7,2; 2007 წელს – 6,9; 2008 წელს – 7,0; 2009 წელს – 6,6) და სიმწვავის (2004 წელს იყო – 4,0; 2005 წელს – 3,6; 2006 წელს – 3,3; 2007 წელს – 3,2; 2008 წელს – 3,2; 2009 წელს – 3,1) მაჩვენებლებში 2005 წლიდან კლებათ (გამონაკლისია 2008 წელი), რეალურ მდგომარეობას გაუმჯობესება დიდად არ ეტყობა.

მოსახლეობის სიღარიბის გამომწვევ მიზეზებთან ასოცირდება უმუშევრობა და განიხილება, როგორც საბაზრო მექანიზმის თანმდევი. იგი მართვადია მარტივ შემთხვევაში, როგორცაა, მაგალითად, მოსახლეობის საშუალო ფენის მართვა მათი დასაქმებით. მოსახლეობის ღარიბი და ღატაკი ფენები უმუშევრობას კატასტროფულად აღიქვამენ. ამჟამად შეუძლებელი ხდება მათი დასაქმების პრობლემის დასმა და გადაჭრა, არსებული მთავრობა კი ელემენტარული ფულადი დახმარებით შემოიფარგლა.

უმუშევრობა საქართველოში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. უმუშევრობის დონე 2004 წელს იყო 12,6 პროცენტი; 2005 წელს – 13,8%; 2006 წელს – 13,6%; 2007 წელს – 13,3%; 2008 წელს – 16,5%; 2009 წელს – 16,9% (გამონაკლისია 2006-2007 წლები).

სიღარიბისა და უმუშევრობის დონის მაჩვენებლების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ უმუშევრობის ზრდასთან ერთად იკლებს სიღარიბის დონე, სიმწვავე და სიღრმე, რაც უცნაურია. გასათვალისწინებელია, რომ ათეულწლოებით ქვეყნის მოსახლეობა უკიდურესად მძიმე პირობებში იმყოფებოდა და სურვილის შემთხვევაშიც კი, მნიშვნელოვანი დანაზოგი ვერ ექნებოდა უმუშევრობის დროს ცხოვრების წინანდელი დონის შესანარჩუნებლად. უმეტეს შემთხვევაში უმუშევრობის პერიოდებიც ხანგძლივობით ხასიათდებოდა. ამ ფონზე სიღარიბის მაჩვენებლის ზრდა უფრო ლოგიკური იქნებოდა.

საინტერესოა დიფერენციაცია ღარიბთა შორის მოხმარების დონეში, ანუ რამდენად მწვავეა სიღარიბე დედაქალაქში და რამდენად უთანაბროა სიღარიბე თვით ღარიბთა შორის. ეს მაჩვენებელიც, სიღარიბის სიღრმის მაჩვენებლის შესაბამისად, მზარდია. მიზეზი კი მშპ-ის სოციალური გადანაწილების უთანაბრობაა.

ცხოვრების დონეზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად აუცილებელია მოსახლეობის რეალური შემოსავლების, კვების პროდუქტების, არასასურსათო საქონლისა და მომსახურების მოხმარების დონის სტრუქტურის, შრომის პირობების, სამუშაო და თავისუფალი დროის ხანგძლივობის და სხვათა უზრუნველყოფის მდგომარეობის ყოველმხრივი შესწავლა.

კეთილდღეობის სხვადასხვა მოდელების, ინდექსებისა და ტიპების კატეგორიებიდან ყველაზე აქტუალური სასურსათო უსაფრთხოების საკითხია, რომელიც პირდაპირ უკავშირდება კაცობრიობის ბიოლოგიურ არსებობას.

თანამედროვე მსოფლიოში არის ქვეყნები, რომლებმაც უკვე გადაჭრეს ეროვნული სასურსათო უშიშროების პრობლემა სურსათის „საკმარისობის“, სურსათზე „ხელმისაწვდო-

მობის“ და სურსათით „უზრუნველყოფის“ თვალსაზრისით. ზოგიერთ მათგანში სურსათის ჭარბწარმოებაც კი შეინიშნება. ამასთან ერთად, ცალკეულ ქვეყნებში თავი იჩინა ეკოლოგიური ვითარების გამწვავებამ.

საქართველოში, ექსპერტების შეფასებით, მოსახლეობის მიერ მოხმარებული ძირითადი კვების პროდუქტების მოცულობა ქვეყნის აგრარულ ბაზარზე 2005 წელს 2,4 მილიარდ ლარს შეადგენდა, რაც საქართველოს მოსახლეობისათვის კვების ფიზიოლოგიური ნორმით გათვალისწინებულ ღირებულებაზე 45,5%-ით ნაკლებია. შესაბამისად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ქვეყნის აგროსასურსათო სექტორი დღეისათვის ვერ უზრუნველყოფს იმ რაოდენობის სასურსათო პროდუქტის წარმოებას, რომ დაკმაყოფილდეს მოსახლეობის კვების ფიზიოლოგიური ნორმები (მაგალითად, საქართველოს მხოლოდ მარცვლეულის 1/3 მარაგი გააჩნია, დანარჩენი კი იმპორტით ივსება).

საქართველოში სასურსათო უზრუნველყოფა შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება: ერთ ზრდასრულ ადამიანზე წელიწადში უნდა მოდიოდეს 400-450 კგ ნედლი მარცვლის წარმოება, რათა დაკმაყოფილდეს მისი მოთხოვნილება პურსა და პურპროდუქტებზე (საქართველოში აღნიშნული 10%-ითაც ვერ კმაყოფილდება ადგილობრივი წარმოებით). საქართველოს მოსახლეობა ყოველწლიურად 700-750 ათას თონა ხორბალს მოიხმარს. სასურსათო იმპორტშიც ყველაზე დიდი წილი ხორბალს (11%), პურის ფქვილს (8,8%) და ხორცპროდუქტებს (12%) უკავია. ჩვენი სასურსათო ბაზარი დიდწილადაა დამოკიდებული იმპორტულ შაქარზე, რძესა და რძის პროდუქტზე, მზეუსუმბირის ზეთზე, ბოსტნეულზე, თევზზე და სხვა სურსათზე.

მოსახლეობის ერთ სულზე ნორმით გათვალისწინებული კვების ენერგეტიკული ფასეულობიდან – 2500-2400 კკალ – 1995 წლის მაჩვენებლებით თითქმის ნახევარი (1060 კკალ) მარცვლეულზე მოდის. მიუხედავად იმისა, რომ პურზე მოხმარებული კალორიები შემცირდა 2007 წელს და შეადგენს 930 კკალ-ს, ის მაინც არ უნდა ჩაითვალოს დადებით მაჩვენებლად, რადგან ეს



არ მომხდარა სხვა პროდუქტებიდან შევსებული კალორიების ხარჯზე. აღნიშნული სტატისტიკა სიღარიბის მაჩვენებელია.

ზემოთ მოხსენებული სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში კიდევ შეინიშნება სურსათის როგორც უკმარისობა, ისე ხელმიუწვდომლობა, რომ არაფერი ვთქვათ უსაფრთხოებაზე, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

გლობალური ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვნად იცვლება ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. დღეს განვითარებულ ქვეყნებში პროდუქტის დეფიციტი სიჭარბემ შეცვალა, ხოლო პრიორიტეტული მიმართულება გარემოს დაცვა და ცხოვრების კომფორტული პირობების შენარჩუნება გახდა. მწარმოებლურობის ზრდის ნაცვლად მდგრადი განვითარება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიზანს წარმოადგენს.

ეკონომიკური განვითარების საფუძველი ის რესურსებია, რომელიც აქვს ამა თუ იმ ქვეყანას და რითაც ქვეყანა ფლობს აბსულუტურ ან შეფარდებით უპირატესობას.

ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ ქვეყანამ ისე უნდა გამოიყენოს თავისი აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობანი, მისი ეკონომიკის მდგრადობას საფრთხე არ დაემუქროს და ხალხისთვის, არსებობისათვის საჭირო სახსრები ადვილად და იაფად მოსაპოვებელი გახადოს. ასეთი ნააზრევი ყოველი ხელისუფლებისაგან დიდ დაკვირვებას მოითხოვს. გლობალიზაციის, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის საყოველთაოდ გავრცობის პირობებში აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობების ზომის ზუსტად მიგნება, განვითარების მისაღწევად, საერთო ინტერესების დაცვით გადაწყვეტა, ხელისუფლების, საზოგადოების ყველაზე პრიორიტეტული, საყოველთაო ამოცანაა.

ცნობილია, რომ შრომის საერთაშორისო (შსო) კონცეფციის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს ისეთი ცხოვრების უფლება (საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო და სოციალური მომსახურების ჩათვლით), რომელიც აუცილებელია მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობისა და კეთილდღე-

ობის შესანარჩუნებლად. ასევე აქვს უფლება, უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ინვალიდობის ან საარსებო სახსრების სხვა სახით დაკარგვის შემთხვევაში. ამა თუ იმ ქვეყნებში აღნიშნული უფლებები ცხოვრების დონის ეროვნული კონცეფციით რეალიზდება, რომელიც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამოსავალი იდეაა.

გლობალური ეკონომიკური ინტეგრაცია განსხვავებულად ზემოქმედებს შემოსავალზე, საზოგადოებასა და გარემოზე. თუ საქმე ეხება გლობალიზაციის უპირატესობას, მაშინ განსაკუთრებული როლი ენიჭება მის გავლენას სიღარიბის მსოფლიო პრობლემაზე. გლობალიზაცია შეიძლება სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაში ეფექტური საშუალება აღმოჩნდეს, მაგრამ არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ უტყუარია ყველა შემთხვევაში – მას, დადებითთან ერთად უარყოფითი მომენტებიც აქვს.

სიღარიბის დაძლევის საკვანძო პრობლემად ჩვენს ქვეყანაში შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება, უმუშევრობის შემცირება, ეკონომიკური ზრდა გვევლინება. ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები საქართველოში 1996, 1997, 2003 და 2007 წლებში დაფიქსირდა (შესაბამისად 11,2; 10,5; 11,1 და 12,3%), კიდევ 2-ჯერ (2004 და 2005 წლებში) ეკონომიკური ზრდის ტემპი მიუახლოვდა 10%-ს. დაახლოებით 5-5% იყო ეკონომიკური ზრდა 2001, 2002 და 2004 წლებში. ყველა დანარჩენ წელს (თუ არ ჩავთვლით 2009 წელს, როდესაც პირველად 1994 წლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკაში დაცემა დაფიქსირდა) ეკონომიკა საშუალოდ 2-3%-ით იზრდებოდა.

ფასების ზრდა და სურსათის პრობლემა – ეს არის სიღარიბის მაღალი დონის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ჯერჯერობით საქართველოში ფასების ზრდა კვლავაც გრძელდება. ჩვენი ქვეყნის გაჭირვებული მოსახლეობა უკვე კარგა ხანია, რაც ფასების დიდი სისწრაფით ზრდას შეეჩვია.

ქართველ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მთავრობისა და ხალხის ურთიერთობაზე ძალზე ბევრია დამოკიდებული. მათი აზრით, ქართული ეკონომიკა არ არის ისე ინტეგრირებული

გლობალურ ეკონომიკაში, რომ მსოფლიო ფინანსურ კრიზისს მყისიერად მოეხდინა მასზე გავლენა. თუმცა საქართველოს ეკონომიკას სხვა პრობლემებიც აქვს, სისტემური სახის არა-ჯანსაღი, არაკონკურენტული გარემო ხელს არ უწყობს ეკონომიკის განვითარებას, რაც მეტ-ნაკლებად სასურსათო ბაზრის მდგომარეობაზეც აისახება.

ექსპერტთა დასკვნით, საქართველოში არსებობს ის პოტენციალი, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს მოსახლეობა მთლიანად საკუთარი წარმოებით. ამასთან, გათვალისწინებულია საერთაშორისო ექსპერტთა გამოკვლევები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ 2015 წლისათვის მსოფლიოში მოსალოდნელია მწვავე სასურსათო კრიზისი, რასაც მოჰყვება სურსათზე ფასების კატასტროფული ზრდა, კერძოდ, საქართველოსთვის პრობლემური იქნება იმპორტულ პროდუქციაზე დაყრდნობა, ამიტომ საქართველომ აქედანვე უნდა აიღოს ადგილობრივ წარმოებაზე ორიენტირი და მთავრობამ მაქსიმალურად გააატაროს სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პოლიტიკა, რომლის ნიშნები ქვეყანაში შეინიშნება.

აგროსასურსათო სექტორის მდგრადი განვითარება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სასურსათო დამოუკიდებლობის განმსაზღვრელია.

მიგვაჩნია, რომ სასურსათო ბაზრის პრობლემების მოგვარების ყველაზე უკეთესი გზაა სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი წარმოებისათვის ხელის შეწყობა.

საქართველოსთვის, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი მსოფლიოსთვის, სიღარიბის დაძლევა იყო და დღესაც რჩება ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად. მისი გადაწყვეტის მიმართულებით უკვე დაგროვდა გარკვეული გამოცდილება.

ძალზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის როლი საქართველოში კერძო სექტორის განვითარების გზით სიღარიბის შემცირების ხელშეწყობაში.

სიღარიბის შემცირება უნდა გახდეს მთავარი მხარის – მთავრობის და კერძო სექტორის ურთიერთშეთანხმებული მოქ-

მედებების შედეგი, ხოლო ამ შეთანხმების პროცესში აუცილებელია დაქირავებულთა ინტერესების დაცვა.

დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას სიღარიბის შემცირებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.

საქართველოს მსგავს პატარა ქვეყანაში, სადაც ბიზნესი ახლა იდგამს ფეხს და მეწარმეებს არ აქვთ საკმარისი კაპიტალი, გამოცდილება და ტექნოლოგიები, საწარმოების ასამუშავებლად საჭირო კაპიტალისა და ტექნოლოგიების მოპოვებას მხოლოდ სახელმწიფო თუ შექმნებს. საქართველოში საჭიროა ისეთი დარგების განვითარება, რომელიც იყენებს ისეთ ტექნოლოგიებს, სადაც შრომის ნაყოფიერება მაღალია, რადგან ეს არის ქვეყანაში მაღალი ხელფასების დონის საფუძველი და ცხოვრების მაღალი დონის მიღწევის საშუალება.

სამწუხაროდ, ჩვენ ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანა არ ვართ, თუ არ ჩავთვლით ჰიდრორესურსებს. ასევე ვითვლებით მცირემიწიან ქვეყნად, რის გამოც სოფლის მეურნეობაში არ გვაქვს ბუნებრივი უპირატესობა და სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტიც ვერ ვირჩინებთ თავს. მაგრამ ეს არ არის საშიში, რადგან იაპონია ჩვენზე უფრო დარბობდა ბუნებრივი რესურსებით, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული ქვეყანაა, რადგან ძირითადად მაღალტექნოლოგიური საქონლის წარმოებითაა დაკავებული.

ჩვენთან საკმაოდ მაღალია კომფორტული ცხოვრების მოთხოვნილებანი, რომლის დაკმაყოფილებაც სათანადოდ ანაზღაურებადი დასაქმების გარეშე შეუძლებელია.

უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდისათვის, რომელიც ერთ-ერთი წინაპირობაა სიღარიბის დაძლევის საქმეში, საჭიროა სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის აუცილებელი ბიზნესგარემოს ფორმირება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და კონკურენტული ურთიერთობების გაღრმავებას.

**ბამოყენებული ლიტერატურა**

1. გრიგოლაშვილი გ., კაკულია რ., მოურავიძე დ., სულაბერიძე ავ., შუბითიძე მ. ადგილობრივი (რეგიონული) ეკონომიკის განვითარების და მართვის პრობლემები. თბილისი, 2001.
2. ვეშაპიძე შ., გრიშკაშვილი ა., ლეკაშვილი ე., ასლამაზაშვილი ნ. მსოფლიო ეკონომიკა. თბილისი, 2008.
3. ლიპარტია ზ., ჯღარკავა ნ. საქართველოში სიღარიბის დაძლევის პრიორიტეტები თანამედროვე ეტაპზე. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პ. გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისათვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი, 2010.
4. მოვსესიანი ა., ოგნიცვევი ს. მსოფლიო ეკონომიკა. ტომი 1, რუსულიდან თარგმნა პროფ. შ. ვეშაპიძემ. თბილისი, 2009.
5. ოსაძე ლ., ცეცხლაძე ს. სასურსათო ბაზრის ზოგიერთი პრობლემა და გლობალური ეკონომიკური კრიზისი. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პ. გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისათვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი, 2010.
6. პაპავა ვლ. სიღარიბის შემცირება კერძო სექტორის განვითარების გზით: ქართული სინამდვილე და პერსპექტივები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი 7. თბილისი, 2009.
7. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2008, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, 2009.
8. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2009. სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, 2009.
9. სირბილაძე რ. საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრობლემები. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პ. გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისათვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი, 2010.

10. **სულაბერიძე ა., გერზმავა ო.** გარდამავალი პერიოდის ნეგატიური სოციალურ-დემოგრაფიული ტენდენციები. ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, თბილისი, 2001.
11. **ტყეშელაშვილი გ.** საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის გზები. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პ. გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი, 2010.
12. **ჩიქავა ლ.** დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე სიღარიბის გავლენის ნეგატიური შედეგები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტომი 7, თბილისი, 2009.
13. **ჩიქავა ლ.** სიღარიბე და მისი დაძლევის გზები. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №1, 2008.
14. **Булатов А. С.** Мировая экономика. Москва. Экономист, 2007.
15. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) - სტატისტიკის დეპარტამენტი.

*Dvalishvili Lia*

## **POVERTY – HAMPARING FACTOR OF SUSTAINABLE DEVELOPMENT**

### **SUMMARY**

Poverty is one of the keenest problems of the present.

The decrease of population incomes and the level of living standards is felt keenly in Georgia. That's why a great part of population lives beyond the limits of poverty.

Poverty is the factor hampering sustainable development.

A high level of poverty threatens not only unequal development of society, but hinders a sustainable development of production and the realization of human freedom as well. We consider that in the provision of sustainable development a decisive role should play the increase of income

and its rightful distribution. These tendencies are not yet seen in Georgia, thus the regulation of the bases of sustainable development stays at first place.

*მარინე ცუცქერიძე*

**სიღარიბის ღონის შემცირებაზე პრივატიზების  
ბავშვების პრობლემების შესახებ**

თანამედროვე ვითარებაში პრივატიზების პროცესი აქტიურ გავლენას ახდენს სიღარიბის დონეზე მისი შემცირების მიმართულებით. ეს დაკავშირებულია სიღარიბის დონეზე პრივატიზების გავლენის სხვადასხვა თეორიულ პრობლემათა გადაწყვეტაზე. საბაზრო ურთიერთობების საფუძველზე წარმოებისა და მომსახურების სისტემის ჩამოყალიბებამ სიღარიბის ღონის შემცირების აუცილებლობა წარმოქმნა. იგი დაკავშირებულია პრივატიზების შედეგად სიღარიბის ღონის შემცირების შემდეგ თეორიულ პრობლემებთან:

1. საბაზრო ურთიერთობების საფუძველზე შექმნილ საწარმოებში დასაქმების პროცესის გაუმჯობესება, რაც სიღარიბის დასაძლევ ფაქტორს და პრივატიზების ძირითად მიზანს წარმოადგენს.

2. სოციალური განვითარებისათვის აუცილებელი საბაზრო ეკონომიკის მარეგულირებელი ინსტრუმენტების გამოყენება საქართველოში, პრივატიზების საწყის პერიოდში წარმოქმნილი სიღარიბის დასაძლევად.

3. ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესთან შესაბამისად, საწარმოებისა და დარგების პრივატიზება კომერციული ინიციატივისა და სოციალურად აუცილებელი ბიზნესის განხორციელების მიზნით.

4. ბიზნესის გაფართოებაზე მოქმედი ფაქტორების გააქტიურება, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციაზე, საყოფაცხოვრებო საგნებზე, კულტურულ და საგანმანათლებლო საჭიროებებზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და მათი საბაზრო მოხმარების დონის ასამაღლებლად.

5. წარმოებისა და მომსახურების იმ დარგების პრივატიზება, რომელთაგანაც შესაძლებელი გახდება წარმოებისა და მიწოდების ისეთი ორგანიზაცია, რომელიც გამოიწვევს მეწარმეებისა და დასაქმებულთა შრომით აქტივიზაციას ბიზნესის საქმიანობაში. ეს მათ მიანიჭებს ეკონომიკური და სოციალური ზრდის, პრივატიზებულ წარმოების სისტემათა ორგანიზაციის ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორის როლს.

6. სიღარიბის დონის ზრდის – ერთ-ერთი სოციალური პროცესის – წარმომქმნელი ფაქტორების დაძლევა სიღარიბის ზღვართან არსებული მოსახლეობის ფინანსური დახმარების, მათ შორის, უმუშევართა დასაქმების, უმუშევრების დაზღვევის, დასაქმებულთა შრომითი შემოსავლების ზრდის, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსებისა და სხვა ღონისძიებთა საშუალებით;

7. დასაქმებულთა შრომითი შემოსავლების დონის მათ საბაზრო და საყოფაცხოვრებო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, შრომისუნარიან უმუშევართა დასაქმების საბაზრო პროცესის როლის ზრდა, უმუშევრობის დონის შემცირება წარსულში არსებული მსხვილ წარმოებათა რესტრუქტურისა-ციით სამრეწველო ფირმებად, საბაზრო გარემოს მართვის სისტემის გაუმჯობესება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

8. სოციალური განვითარებისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის აუცილებელი, ბიზნესის ერთიანი მიზანდასახული სისტემის ფორმირება, რომელიც პროდუქტების მიწო-



დებისა და მოხმარების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზანს მოემსახურება.

ამ პრობლემათა გადაწყვეტის მნიშვნელოვანი საშუალებაა მათი დიფერენცირება დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ მიმართულებებად. პირველის მიხედვით, სიღარიბის დონე აისახება მთლიან მოსახლეობაში იმ ოჯახების პროცენტული ნაწილით, რომელთა შემოსავლების დონე სიღარიბის ზღვარზე ნაკლებია. ამიტომ, პრივატიზებით მიღებული შემოსავლებიდან მიზანშეწონილია დემოგრაფიული ჯგუფების – ბავშვების, მოხუცებისა და მარტოხელა დედების, დროებით შრომისუუნაროთათვის ფინანსური დახმარების გაწევა. სიღარიბის დონე, რომელიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ნაწილით განისაზღვრება, სამ მნიშვნელოვან ფაქტზე მიაწინებს: 1. სიღარიბის წარმოშობა დაკავშირებულია ეთნიკური და სოციალური ფაქტორების გავლენასთან; 2. სიღარიბე დაკავშირებულია ასაკობრივ ფაქტორებთან და 3. სიღარიბე დაკავშირებულია მოსახლეობის შემადგენლობასთან, როგორცაა ოჯახის შემადგენლობა და სხვ. დემოგრაფიულ პროცესებთან ურთიერთმიმართებაში სიღარიბის დონის ანალიზი ემყარება მოსახლეობის აღწერის მონაცემებს და დასაქმების საბაზრო პოლიტიკის იმ ძირითად მიმართულებებს, რომლებიც მოქმედებს მოცემულ სახელმწიფოებრივ სისტემასა და წარმოებისა და მომსახურების ობიექტების პრივატიზების სახელმწიფო პროგრამის რეალიზაციის პროცესში.

მეორე მიმართულებასთან შესაბამისად, აღნიშნულ პრობლემათა გადაწყვეტა დაკავშირებულია სიღარიბის დონის შემცირების სოციალური პროგრამის განხორციელებასთან. მისი მიზანია პრივატიზებულ ობიექტებში დასაქმებულთათვის მინიმალური ხელფასის ზრდა, უმუშევრების სოციალური დაზღვევა, საშემოსავლო გადასახადების შემცირება, ნატურალური დახმარებების გაწევა, დასაქმების, როგორც შრომითი, ასევე საბაზრო სტიმულების გამოყენება. ამ შემთხვევისათვის, სიღარიბის დონე განისაზღვრება მოცემულ სახელმწიფო სისტემაში არსებული, ღარიბი მოსახლეობის სოციალური დაცვი-

სათვის განკუთვნილი დაფინანსების და სხვადასხვა სახის დახმარებათა საშუალებით, რომელთა მიღება ხორციელდება პრივატიზებული საწარმოო და მომსახურების სისტემის შემოსავლებიდან. სიღარიბის დაძლევა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. სიღარიბის დონის შემცირება შეიძლება განაპირობოს დასაქმებულთა მინიმალური ხელფასის ზრდამ, სოციალურ დახმარებათა გაზრდამ, საშემოსავლო და კომუნალური გადასახადების რაციონალური სისტემის შექმნამ, ნატურალური დახმარებების პერიოდულობამ, უმუშევრობაზე სოციალური დახმარების გაწევამ და სხვა ღონისძიებებმა.

მესამე მიმართულება, როგორცაა ეკონომიკური სისტემის გარდაქმნა და მისი გადაყვანა საბაზრო ურთიერთობებზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სიღარიბის დონეზე. მსხვილ და საშუალო საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა და მცირე ფირმების წარმოშობა განაპირობებს პრივატიზებიდან და წარმოებიდან მიღებული შემოსავლების გზით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა დაფინანსების (დახმარების) გაზრდას. ამასთან მიმართებაში, სიღარიბის ზღვარი წარმოადგენს საშუალო ზომის ოჯახის ან მარტოხელასათვის, მათი შემოსავლის სიდიდიდან განსაზღვრულ საშუალო დონეს, რომლის შემცირება მიანიშნებს მათ უკიდურესად გაღარიბებაზე. ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინების დროს, სიღარიბის ზღვარის დადგენა ხორციელდება მოსახლეობის ყველა კატეგორიისა და სოციალური ჯგუფებისათვის. ამის შედეგად ხდება ღარიბთა დაყოფა 1. სიღარიბის ზღვართან მყოფთა და 2. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფებად, რაც, შესაბამისად, წარმოშობს განსხვავებას მათი სოციალური დახმარებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის გამოყენებული სახსრების სიდიდეთა შორის. ეკონომიკური ფაქტორების გავლენით დიდ მნიშვნელობას იძენს სიღარიბის დონის მიხედვით ფულადი და ნატურალური დახმარებების განაწილება, ნორმალური, ანუ მუდმივი შემოსავლების ზრდა, ეკონომიკური მობილურობის ამაღლება. დღეისათვის დიდია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა რაოდენობა, რომელთა

სიღარიბე დროებითია. სიღარიბის დონეზე გავლენას ახდენს აგრეთვე შემოსავლების განაწილების მექანიზმი, რომელიც არსებობდა რეფორმისა და პრივატიზების დაწყების პერიოდში.

სიღარიბის დონის ზრდა განაპირობა საწარმოთა შემოსავლების განაწილების სისტემის და საერთაშორისო საბაზრო ურთიერთკავშირების არსებობამაც. ეს გამომდინარეობდა პრივატიზების მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებიდან. პრივატიზების სოციალური მიზნების განუსაზღვრელობის შედეგად, რეფორმის პირველ ეტაპზე წარმოიქმნება კრიზისული სიტუაცია და დროებითი უთანხმოება შემოსავლების განაწილებაში. ამან შეიძლება გამოიწვიოს უმუშევრობის ზრდა, დასაქმების დონის შემცირება, შრომისუნარიანთა სოციალური დაუცველობა და მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღარიბება. სიღარიბის დონეზე დიდ გავლენას ახდენს პრივატიზებულ საწარმოებსა და დარგებში დასაქმებულთა შემოსავლების განაწილების პრინციპები და მასშტაბები, მათ შორის ერთ-ერთ ძირითადს სარგებლიანობის პრინციპი წარმოადგენს. ამისათვის მნიშვნელოვანია დასაქმებულთა შემოსავლებიდან მოხმარებული პროდუქტებისა და მომსახურების მახასიათებლები, რომლებითაც აისახება მათი სარგებლიანობის ხარისხი. მაგალითისათვის შეიძლება საქართველოს მოსახლეობის შემოსავლებიდან სხვადასხვა პროდუქტებსა და მომსახურებაზე საშუალო თვიური დანახარჯების განაწილების მახასიათებლების გამოყენება.

### ცხრილი 1<sup>22</sup>

	2001	2005	2008
<b>ა) სამომხმარებლო ფულადი დანახარჯები:</b>	<b>219,6</b>	<b>270,4</b>	<b>389,3</b>

<sup>22</sup> ცხრილი გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2008 წლის მონაცემების საფუძველზე

1. სურსათზე, სასმელზე და სხვ.	110,2	136,4	179,0
2. ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	13,2	15,1	17,9
3. საოჯახო მოხმარების საქონელზე	27,9	9,9	13,9
4. ჯანმრთელობის დაცვაზე	12,5	19,8	38,5
5. სათბობსა და ელექტროენერგიაზე	18,5	36,6	46,9
6. ტრანსპორტზე	13,4	27,5	39,8
7. განათლებაზე, კულტურასა და დასვენებაზე	7,9	8,0	13,6
8. სხვა სამომხმარებლო ხარჯები	10,0	27,0	39,7
<b>ბ) არაფულადი დანახარჯები</b>	<b>101,0</b>	<b>80,6</b>	<b>87,3</b>
<b>I. სამომხმარებლო დანახარჯების ჯამი:</b>	<b>320,6</b>	<b>80,6</b>	<b>476,7</b>
<b>II. შემოსავლებიდან დანახარჯები სულ:</b>	<b>350,2</b>	<b>389,7</b>	<b>540,0</b>

ცხრილის მონაცემების ანალიზიდან ირკვევა, რომ 2001-2008 წლებში საქართველოში დასაქმებული მოსახლეობის შემოსავლების ძირითად ნაწილს შეადგენს დანახარჯები კვების პროდუქტების, საყოფაცხოვრებო საგნების მოხმარების, სათბობის, ელექტროენერგიისა და ტრანსპორტით მომსახურებაზე. ამ მონაცემების საფუძველზე და პროფ. გ. პაპავას დეტერმინირებული ეკონომიკური მრავალფაქტორიანი ანალიზის მეთოდის გამოყენებით, შესაძლებელია ამ პროცესის ასახვა დროის პერიოდების შესაბამისი ანალიზური მოდელის საშუალებით. აღნიშნულის მიხედვით, მოსახლეობის შემოსავლებიდან მათთვის აუცილებელი პროდუქტების მოხმარებაზე გაწეული დარგობრივი დანახარჯების ელემენტების ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება აიხსნას განტოლებით:

$$Y(t) = \alpha_1 Y_1(t) + \alpha_2 Y_2(t) + \dots + \alpha_n Y_m(t) = \sum_{i=1}^n \sum_{j=1}^m \alpha_{ij} Y_i(t); \quad i=1,2,\dots,j; \quad j=1,2,\dots,i.$$

სადაც  $\alpha_j$  - j-ური დარგობრივ სისტემაში დასაქმებულთა შემოსავლებიდან გაწეული დანახარჯების განაწილების კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობები აკმაყოფილებს პირობას

$\sum \alpha_j = 1$ ,  $t$  – საანალიზო წლებია, ხოლო  $Y_i(t)$  –  $i$ -ური მოხმარების ან მომსახურების მოცულობათა მაჩვენებელია  $t$  წლისათვის, ხოლო  $Y(t)$  – მოსახლეობიდან გაწეული საშუალო თვიური დანახარჯების მაჩვენებელია იმავე  $t$ -წლისათვის. ცხრილის მონაცემების საფუძველზე, სტატისტიკური დამოკიდებულება ამ მახასიათებლებს შორის განისაზღვრება ფორმულებიდან:

$$\alpha_1 = \frac{Y_1(t)}{Y(t)}; \quad \alpha_2 = \frac{Y_2(t)}{Y(t)}, \quad \dots; \quad \alpha_n = \frac{Y_n(t)}{Y(t)}; \quad \text{მაგალითად } t=2001$$

$$\text{წლისათვის } \alpha_1 = \frac{116,1}{350,2} = 0,3391;$$

$$\alpha_2 = \frac{13,2}{359,2} = 0,04 \text{ და ა.შ.}$$

სიღარიბის დონის ანალიზის მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს განტოლება:

$$Y(t) = \sum_{i=J} \sum_{j=i} (1 - \alpha_j) X_i(t),$$

სადაც  $X_i(t)$  სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა საშუალო თვიური შემოსავლების დანახარჯების მაჩვენებელია [8].

აღნიშნული მეთოდით მოსახლეობის საშუალო წლიური მოხმარების მოცულობის დადგენაა შესაძლებელი. ამასთან ერთად, მიზანშეწონილია იმ პროცესების ანალიზი, რომელიც პრივატიზების შედეგების სიღარიბის დონეებზე გავლენასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ტრანსპორტითა და ელექტროენერჯით მომსახურების დონის ამაღლება განაპირობებს 2005 და 2008 წლებში მისი მოხმარების ზრდას, რომელიც შესაბამისად 3-ჯერ და 2,3-ჯერ გაიზარდა 2001 წელთან შედარებით. იმავე პერიოდისათვის აღსანიშნავია ჯანმრთელობის დაცვაზე მოსახლეობის დანახარჯების ზრდაც, რომელიც 3-ჯერ გაიზარდა 2001 წელთან შედარებით და ა.შ. აღნიშნუ-

ლიდან გამომდინარე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესი ძირითადად მიმართულია ცხოვრების დონის ამაღლებისა და სიღარიბის, უმუშევრობის დაძლევის სახელმწიფო მიზნების რეალიზაციაზე, რაც თანამედროვე საბაზრო გარდაქმნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ამ მიზნების მიღწევა სიღარიბის დონის შემცირებისა და ცხოვრების საერთო დონის ამაღლების საფუძველს წარმოადგენს.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. **აბესაძე რ.** ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები და გლობალიზაცია, საქ. ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული. ტ. 8, თბილისი, „სიახლე“, 2010.
2. **ბერულავა გ.** საქართველოს მეღვინეობის დარგის კონკურენტუნარიანობის შესახებ (ინგლისურ ენაზე), საერთაშორისო კონფერენციის კრებული, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.
3. **პაპავა გ.** სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა, ტ. I და II, თბილისი, „სამშობლო“, 1998.
4. **პაპავა ვლ.** ნეკროეკონომიკის ზომბირება, თბილისი, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.
5. **საქსი ჯ., ლარენი ფ.** მაკროეკონომიკა, მოსკოვი, „დელო“, 1996.
6. **ჩხეიძე თ.** სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თბილისი, „მეცნიერება“, 2003
7. **წერეთელი გ., ბიბილაშვილი ნ.** უმუშევრობის და მისი დონის შემცირების ძირითადი მიმართულებები პოსტკომუნისტურ საქართველოში, სამ. შრომების კრებული, ტ. IV, თბილისი, „მეცნიერება“, 2004.
8. **ცუცქერიძე მ.** მაკროეკონომიკური განვითარების სისტემური რეგულირების და პროგნოზირების პრობლემები. თბილისი, „მეცნიერება“, 2004.

*Tsutskiridze Marina*

**THE PROBLEMS ON PRIVATIZATION AND INFLUENCE ON  
POVERTY OVERCOMING**

**SUMMARY**

The article introduces the problems of research of business development process and privatization and its influence on poverty overcoming in postsoviet Georgia. There are given the factors influencing poverty level and necessary measures to overcome the poverty.

*ზურაბ ნოზაძე*

**სახელმწიფო ნაკრძალების განვითარებისა და დაცვის  
ეკონომიკური საკითხები თანამედროვე პირობებში**

სახელმწიფო ნაკრძალები – ეს არის ტიპური ან უნიკალური სახის განსაზღვრული ლანდშაფტის ზონა, ადგილი, რომელიც განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევა.

ნაკრძალები იქმნება უნიკალური ლანდშაფტის ზონების აღნიშნული ბუნებრივი მდგომარეობის შესანარჩუნებლად მათი დაცვისა და მეცნიერული შესწავლის მიზნით.

ყველაფერი, რაც განთავსებულია სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე – მიწის ფართობი, წიაღისეული, წყალი და მათთან მდებარე ბუნებრივი ობიექტები, ამოღებულია სამეურნეო ექსპლუატაციისაგან და უვადოდ არის გადაცემული ნაკრძალების გამგებლობაში მათი გამოყენებისათვის.

ნაკრძალები იმ ორგანოების დაქვემდებარებაშია, რომლებიც ბუნების დაცვის საკითხებზე მოქმედებენ და ახორციელებენ ამ პრობლემასთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებებს. ნაკრძალებს აქვს სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური, ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალისა და სპეციალური დაცვის სამსახურის შტატები.

ნაკრძალების სტრუქტურას, საშტატო განრიგს, დანახარჯების ხარჯთაღრიცხვას, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმას ამტკიცებს ის ორგანო, რომლის გამგებლობაშიც (დაქვემდებარებაში) იმყოფება იგი. საქართველოს პირობებში ნაკრძალები იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე, გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი და სახელმწიფო გერბი თავისი დასახელებით.

თითოეული ნაკრძალისთვის, გამომდინარე მისი ინდივიდუალური მდგომარეობის, სამეცნიერო პროფილის, მოწყო-



ბის ორგანიზაციის, განსაკუთრებული რეჟიმის დაცვისა და სხვა თვისებების გამო, შესაბამისი ორგანოები შეიმუშავენ კონკრეტული ღონისძიებების გეგმას და გადაუზაფნიან კონკრეტულ ადრესატს განსახორციელებლად.

სახელმწიფო ნაკრძალები გარკვეული მიზნებისათვის იქმნება:

- ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის ბუნების განსაკუთრებული ადგილების შენახვა ყველა შესაბამისი კომპონენტის დაცვით;

- ბუნების ამ ადგილების ბუნებრივი პროცესების მიმდინარეობის შესწავლა;

- ნაკრძალის ტერიტორიის დაცვის უზრუნველყოფა, მასზე არსებული ბუნებრივი ობიექტებისა და ნაკრძალის რეჟიმის ყოველმხრივი შესრულება;

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელება;

- სანაკრძალო საქმიანობის საფუძვლების პროპაგანდა, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების პრობლემების გაანალიზება;

- გარემოს დაცვის პრობლემებზე მომუშავე სამეცნიერო კადრების მომზადების ხელშეწყობაზე ზემოქმედება;

- სახელმწიფო ნაკრძალების ტერიტორიაზე (აკვატორიაზე) აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არღვევს ბუნებრივ კომპლექსებს და ხელს უშლის ბუნებრივი ობიექტების შენარჩუნებას. აკრძალულია ყოველგვარი მოქმედება, რომელიც ცვლის ნაკრძალების ჰიდროლოგიურ და სხვა რეჟიმებს;

- ნაკრძალებში დაუშვებელია შენობებისა და ნაგებობების მშენებლობა, გზებისა და ნავთობსადენების გაყვანა, ელექტროგადამცემი ხაზებისა და სხვადასხვა კომუნიკაციების მოწყობა;

- ნაკრძალებში არ შეიძლება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის სამკებრო სამუშაოების ჩატარება, ნიდაგის საფარის დარღვევა, სხვადასხვა გეოლოგიური სახის ღონისძიებები;

– ნაკრძალებში აკრძალულია აგრეთვე ტყეთსარგებლობა, თივის დამზადება, სამკურნალო მცენარეების, ყვავილების, ლერწმის მოპოვება. მცენარეული საფარის დარღვევა, პირუტყვის ძოვება და გადარეკვა;

– ამასთან ერთად, სახელმწიფო ნაკრძალებში აკრძალულია: ნადირობა, თევზჭერა, ცხოველების დაჭერა და განადგურება და ყველა ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც ხელს შეუშლის ცხოველებისა და ფრინველების მოშენებისა და გამრავლების პირობებს;

– აკრძალულია კოლექციური და სხვა მასალების შეგროვება, გარდა იმ მასალებისა, რომლებიც საჭიროა ნაკრძალის სამეცნიერო თემატიკის შესასრულებლად;

– აკრძალულია ქიმიური ნივთიერებების გამოყენება ნაკრძალის ტერიტორიაზე, რადგან ეს დიდ ზიანს მიაყენებს ნაკრძალის ფლორასა და ფაუნას;

– ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაზე არ შეიძლება ხე-ტყის დამზადება, თვითმფრინავების გადაფრენა 2000 მეტრზე დაბლა ნაკრძალის ტერიტორიაზე, აგრეთვე სხვა ხმაურიანი საშუალებების გამოყენება დასაშვებ ნორმებზე შეუსაბამოდ;

– ნაკრძალის ტერიტორიაზე დაუშვებელია უცხო პირთა გადაადგილება და გავლა, გარდა საერთო გამოყენების გზებისა და წყლის საშუალებებისა;

– სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე მიზანშეუწონელია მოტორიანი და მუხლუხიანი ტრანსპორტის გადაადგილება და ხანძარსაშიში მოქმედებები;

– სახელმწიფო ნაკრძალებში დასაშვებია იმ ღონისძიებების ჩატარება, რომელიც ხელს უწყობს ნაკრძალების ბუნებრივი კომპლექსების დაცვას, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებას და ძირითადი ამოცანების შესრულებას.

– ნაკრძალის ტერიტორიაზე, რომელზეც დარღვეულია ბუნებრივი ძირითადი კომპლექსები, წარმოებს აღდგენითი სამუშაოები, ჰიდროლოგიური რეჟიმის, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, გადაშენების პირას მდგომი სახეობების შესანარჩუნებლად;

– საჭირო ღონისძიებად მიგვაჩნია ბრძოლა ადამიანებისა და ცხოველების საშიშ დაავადებათა წინააღმდეგ, რომელიც შეიძლება გავრცელდეს სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე;

ნაკრძალებში უნდა გატარდეს ხანძარდამცავი ღონისძიებები, რომელიც არ დაარღვევს ნაკრძალში არსებულ რეჟიმებს;

– ნაკრძალის ტერიტორიაზე მიზანშეწონილია ლაბორატორიების, კორპუსებისა და სხვა ნაგებობების განთავსება დადგენილი წესების ფარგლებში, რომლებიც ხელს შეუწყობს ნაკრძალის ძირითადი ფუნქციის განუხრეღ შესრულებას;

– ნაკრძალის ბუნებრივი კომპლექსების დაცვის მიზნით ადამიანის სამეურნეო საქმიანობისაგან, მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნაკრძალის გარშემო იქმნება დამცავი ზონები. დამცავი ზონის სიდიდემ უნდა უზრუნველყოს ნაკრძალის დაცვა არასასურველი ზემოქმედებისაგან;

დამცავი ზონის ტერიტორიაზე შეიძლება აიკრძალოს ან შეიზღუდოს ნადირობა, თევზჭერა, ტყის ჭრა, ცხოველების მოკვლა ან დაჭერა, მოსახლეობის დასვენების მასობრივი ადგილების მოწყობა, გზების გაყვანა, მილსადენი და სხვა კომუნიკაციების გაყვანა, დასახლებული პუნქტების განთავსება, სამრეწველო, სამეურნეო ან სხვა ობიექტების მშენებლობა, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს ნაკრძალებში არსებულ დაცულ ბუნებრივ სუბიექტებზე.

ნაკრძალების რეჟიმი გათვალისწინებული უნდა იყოს რაიონის მიწათმოწყობის სქემაში.

– ნაკრძალებში სამეცნიერო მუშაობა ხორციელდება და მიმართულია სტაციონარული კომპლექსური კვლევის ჩატარების, ბიოსფეროს ფონური მდგომარეობის ცვლილების კონტროლის, იშვიათი და გადაშენების პირას მდგომი ცხოველებისა და მცენარეული სამყაროს დაცვისა და აღდგენისათვის.

ნაკრძალებში, დადგენილი წესების ფარგლებში, მუშავდება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების და ღონისძიებების გეგმები, ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნებისა და აღდ-

გენის, აგრეთვე დარღვეული ბუნებრივი კავშირების რეგულირების გეგმები და წარედგინება ზემდგომ ორგანოებს დასამტკიცებლად.

ნაკრძალებში ჩატარებული სამეცნიერო კვლევის შედეგები ქვეყნდება მათ მიერ გამოცემულ თემატურ კრებულებში დადგენილი წესების მიხედვით.

აღდგენითი ღონისძიებების გეგმები, რომლებიც ნაკრძალებში ტარდება, შეთანხმებულია და მტკიცდება იმ ორგანოების მიერ, რომლის დაქვემდებარებაშიც არის სახელმწიფო ნაკრძალი. საერთოდ ნაკრძალები შეიძლება დაქვემდებარებაში იყოს მეცნიერებათა აკადემიასთან, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან.

სახელმწიფო ნაკრძალების დაცვას ახორციელებს სპეციალური სამსახური. დაცვის სამსახურში შედიან სახელმწიფო ინსპექტორები და ეგერები. სპეციალური სამსახურის მუშაკები მოვალენი არიან, ჩაატარონ ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფილაქტიკური ღონისძიებები.

საქართველოში გვაქვს შემდეგი სახელმწიფო ნაკრძალები: აჯამეთის, ალგეთის, ახმეტის, ბორჯომის, ვაშლოვანის, გუმისთის, ყაზბეგის, კინტრიშის, კოლხეთის, ლაგოდეხის, ლიახვის, მარიამჯვარის, ბიჭვინთის, რიჭის, საგურამოს, სათაფლიის.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფო ნაკრძალში, შეძლებისდაგვარად, ინდივიდუალურად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს შენარჩუნების, მისი დაცვისა და გამრავლებისათვის, რეკრეაციული პირობების გაუმჯობესებისათვის.

სახელმწიფო ნაკრძალების საქმიანობაში ჯერ კიდევ არის მრავალი გადაუჭრელი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ნაკრძალების ბუნებრივ ეკოსისტემას, მათ განვითარებასა და დაცვას.

## ბამოყენებელი ლიტერატურა

1. **Банников А.Г., Рустамов А.К.** Охрана природы. М, 1977.
2. **Бауэр Л., Вайничко Х.** Забота о ландшафте и охрана природы. М, 1981.
3. **Реймерс Н.Ф., Штильмарк Ф.Р.** Особо охраняемые природные территории. М, 1978.
4. **Кукушкин Г. Я.** Государственное планирование природопользования. М, 1981.

*Nozadze Zurab*

### **THE ISSUES OF STATE FOREST RESERVES DEVELOPMENT AND DEFEND IN MODERN CONDITIONS**

#### **SUMMARY**

In the article there are discussed the concrete measures of the state forest reserves development and the prohibitions, which are necessary for the functioning of the forest reserves. There are also discussed the organizational and economic questions for the better scientific-researching works of the forest reserves during the marketing relationship conditions.

## ა ვ ტ ო რ ე ბ ი

- 1. აბესაძე რამაზ** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ემდ, პროფესორი
- 2. არევაძე ნანული** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
- 3. ბერულავა ბიორბი** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი
- 4. ბიბილაშვილი ნანა** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
- 5. ბრეგვაძე ბიორბი** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
- 6. ბურღული ვახტანგ** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ
- 7. დავლაშვიტი ნატა** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
- 8. დათუნაშვილი ლინა** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ, დოცენტი
- 9. დვალიშვილი ლია** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ

მელი

10. **თაფლაკე თამარ** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
11. **თოთლაკე ლია** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
12. **კაკულია ეთერ** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
13. **კაკულია ნაზირა** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
14. **კვარაცხელია მურმან** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ, პროფესორი
15. **კილაკე თამარ** – სტუ-ს კათედრის გამგე, სრული პროფესორი
16. **კურატაშვილი ალფრედ** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი
17. **ლაზარაშვილი თეა** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
18. **მაისურაკე ბიბა** – ემკ
19. **მელაშვილი მელეა** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

მელი

20. **ნათელაური იზა** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
21. **ნოზაძე ზურაბ** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
22. **პაპავა ვლადიმერ** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ემდ, პროფესორი
23. **რევიშვილი ზურაბი** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
24. **სარჩიშელია როლანდ** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ
25. **ტყეშელაშვილი ბოლნისი** – სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სატრანსპორტო დეპარტამენტის უფროსი, ეკონომიკის და მენეჯმენტის კათედრის სრული პროფესორი
26. **ქავთარაძე თინათინ** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
27. **ქველასი ქეთევან** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი



თანამშრომელი

- 28. ქისტაური ნუნუ** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
- 29. ქურღაძე თინათინ** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
- 30. ჩხეიძე თინათინ** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სმმდ, პროფესორი
- 31. ცუცქირიძე მარინე** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
- 32. წერეთელი ზურაბ** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე
- 33. ხუსკივაძე მამუკა** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
- 34. ჯავახიშვილი რევაზ** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ

## A U T H O R S

1. **ABESADZE RAMAZ** – Director of P. Gugushvili Institute of Economics, Doctor of Economics, professor
2. **AREVADZE NANULI** – Candidate of Economics, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics
3. **BERULAVA GIORGI** – Doctor of Economics, professor, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics
4. **BIBILASHVILI NANA** – Candidate of Economics, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics
5. **BREGVADZE GIORGI** – Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
6. **BURDULI VAKHTANG** – Doctor of Economics, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics
7. **CHKHEIDZE TINANIN** – Doctor of Agriculture, professor, Chairman of Scientific Council of P. Gugushvili Institute of Economics
8. **DATUNASHVILI LINA** – Candidate of Economics, Docent, senior scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
9. **DAVLASHERIDZE NATA** – Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
10. **DVALISHVILI LIA** – Scientific worker of P. Gugushvili

**Institute of Economics**

11. **JAVAKHISHVILI  
REVAZ** – Candidate of Economics, senior scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
12. **KAKULIA ETER** – Candidate of Economics, senior scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
13. **KAKULIA NAZIRA** – Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
14. **KAVTARADZE  
TENGIZ** – Candidate of Economics, Chief of lab. of P. Gugushvili Institute of Economics
15. **KHUSKIVADZE  
MAMUKA** – Candidate of Economics, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics
16. **KILADZE TAMAR** – Chief of subdepartment of STU, Full Professor
17. **KISTAURI NUNU** – Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
18. **KURATASHVILI  
ALFRED** – Doctor of Economics, professor, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics
19. **KURDADZE TINATIN** – Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
20. **KVARATSKHELIA  
MURMAN** – Doctor of Economics, senior scientific worker of P. Gugushvili

**Institute of Economics**

21. **KVELADZE  
KETEVA** – Candidate of Economics, senior scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
22. **LAZARASHVILI TEA** – Candidate of Economics, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics
23. **MAISURADZE GIGA** – Candidate of Economic sc.
24. **MELASHVILI  
MEDEA** – Scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
25. **NATELAURI IZA** – Candidate of Economics, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics
26. **NOZADZE ZURAB** – Scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
27. **PAPAVA VLADIMER** – Doctor of Economics, professor, Main scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics, Corresponding member of National Academy of Georgia
28. **REVISHVILI ZURAB** – Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
29. **SARCHIMELIA  
ROLAND** – Doctor of Economics, professor, senior scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
30. **TAPLADZE TAMAR** – Scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics
31. **TKESHELASHVILI** – Chief of transport department of

**GODERDZI**

**STU, Full Professor**

**32. TOTLADZE LIA**

**– Candidate of Economics, senior scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics**

**33. TSERETELI ZURAB**

**– Deputy Director of P. Gugushvili Institute of Economics**

**34. TSUTSKIRIDZE  
MARINE**

**– Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics**

ს ა რ ჩ ე ვ ი

<i>რამაზ აბესაძე</i> მოსახლეობის ცხოვრების ღონისა და სიღარიბის ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი	5
<i>ვლადიმერ პაპაია</i> პოსტრეგულაციური ეკონომიკური რეფორმები საქართველოში: მიღწევები და პრობლემები	24
<i>ალფრედ კურატა შვილი</i> “პოსტკომუნისტური” კაპიტალიზმი თუ...?!	37
<i>ვახტანგ ბურდული</i> სიღარიბის ღონის შემცირების რეგიონული სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები	48
<i>გიორგი ბერულავა</i> პრივატიზაციის კოლიტეკონომიკური ასპექტები	65
<i>გოდერძი ტყეშელაშვილი, თამარ კილაძე</i> კავშირგაბმულობა საქართველოში	72
<i>რევაზ ჯაფახიშვილი</i> სიღარიბე – XXI საუკუნის უდიდესი ბოროტება	90
<i>ნანული არევაძე</i> სიღარიბე განვითარებად ქვეყნებში	95
<i>თინათინ ჩხეიძე</i> სიღარიბის დაკლების ეკოლოგიური ასპექტები	101
<i>ლინა დათუნაშვილი</i> მეაბრეშუმეობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში	110
<i>იზა ნათელაური, თამარ თაფლაძე</i> საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლე- ბა, როგორც უმუშევრობის ღონის შემცირების ერთ-ერთი ფაქტორი	118

*ზურაბ რევიშვილი*

სოფლად სიღარიბის კვლევის საკითხისათვის <i>ნანა ბიბილაშვილი</i>	124
დასაქმების სახელმწიფო რეზუმირების ძირითადი მიმართულებები კონსტრუქციონისტურ ქვეყნებში <i>თეა ლაზარაშვილი</i>	131
სახელმწიფო სექტორის როლი და მნიშვნელობა ბარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში <i>ზურაბ წერეთელი</i>	141
მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში <i>მურმან კვარაცხელია</i>	148
რეგიონული ეკონომიკის განვითარების იდეა ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის შემოქმედებაში <i>მამუკა ხუსკივაძე, ლია თოთლაძე</i>	158
საქართველოს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების პოტენციალის შესახებ <i>ეთერ კაკულია</i>	167
მცირე საწარმოს მენეჯმენტის თავისებურებანი <i>ნაზირა კაკულია</i>	174
ინსტიტუციური პრობლემები რეზორმების თანამედროვე ეტაპზე <i>გიგა მაისურაძე</i>	182
სამართაშორისო ბიზნესის განვითარების ტენდენციები <i>ქეთევან ქველაძე, მამუკა ხუსკივაძე</i>	189
ტურისტული ბიზნესის განვითარება – უმუშევ- რობის დონის შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება საქართველოში <i>თენგიზ ქავთარაძე</i>	195
მცირე ბიზნესი და სიღარიბის დაკლვივის გზები სოფლად <i>როლანდ სარჩიშელია</i>	203
პრივატიზება და სიღარიბის დაკლვივის ზოგიერთი	

საკითხი საქართველოში	210
<i>მელა მელაშვილი, ნუნუ ქისტაური</i>	
სიღარიბე და მისი დაძლევის ძირითადი მიმართულებები საქართველოში	223
<i>ნათა დავლაიერიძე</i>	
ЛАУРЕАТ НОБЕЛЕВСКОЙ ПРЕМИИ ПО ЭКОНОМИКЕ ТЕОДОР ШУЛЬЦ О РОЛИ ЧЕЛОВЕЧЕСКОГО КАПИТАЛА В ПРЕОДОЛЕНИИ ПРОБЛЕМ БЕДНОСТИ	232
<i>თინათინ ქურდაძე</i>	
ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღწევის პრობლემები საქართველოში	241
<i>გიორგი ბრეგვაძე</i>	
მშენებლობის განვითარების რეგიონული თავისებურებანი	249
<i>გიგა მაისურაძე</i>	
მიწის მენეჯმენტი	256
<i>ლია დვალიშვილი</i>	
სიღარიბე – მდგრადი განვითარების უმეაფერხებელი ფაქტორი	261
<i>მარინე ცუცქირიძე</i>	
სიღარიბის ღონის შემცირებაზე პრივატიზების გავლენის პრობლემების შესახებ	274
<i>ზურაბ ნოზაძე</i>	
სახელმწიფო ნაკრძალების განვითარებისა და დაცვის ეკონომიკური საკითხები თანამედროვე პირობებში	283
ავტორები	289



## CONTENTS

<i>Abesadze Ramaz</i> SOME SOCIAL-ECONOMIC ASPECTS OF POPULATION STANDARDS OF LIVING AND POVERTY	5
<i>Papava Vladimer</i> POST-REVOLUTIONARY ECONOMIC REFORMS IN GEORGIA: SUCCESSES AND PROBLEMS	24
<i>Kuratashvili Alfred</i> «POSTCOMMUNIST CAPITALISM» OR ...?!	37
<i>Burduli Vakhtang</i> THE BASIC DIRECTION OF REGIONAL STRATEGIES OF DECREASE OF POVERTY LEVEL	48
<i>Berulava George</i> THE POLITICAL ECONOMY ISSUES OF PRIVATIZATION	65
<i>Tkeshelashvili Goderdzi, Kiladze Tamar</i> COMMUNICATION IN GEORGIA	72
<i>Javakhishvili Revaz</i> POVERTY – 21 <sup>st</sup> CENTURY'S THE GREATEST HARM	90
<i>Arevadze Nanuli</i> POVERTY IN DEVELOPING COUNTRIES	95
<i>Chkheidze Tinatin</i> ECOLOGICAL ASPECTS OF POVERTY OVERCOMING	101
<i>Datunashvili Lina</i> SOME ASPECTS OF SILKWORM FODDER IN GEORGIA	110
<i>Natelaury Iza, Tapladze Tamar</i> THE COMPETITIVENESS RISE OF GEORGIA AS AN ONE OF THIS FACTOR OF UNEMPLOYMENT LEVEL DECREASE	118
<i>Revishvili Zurab</i>	

<b>ON THE ISSUE OF RESEARCH OF RURAL POVERTY</b>	<b>124</b>
<i>Bibilashvili Nana</i>	
<b>MAIN TRENDS OF STATE REGULATION OF EMPLOYMENT IN POSTCOMMUNIST COUNTRIES</b>	<b>131</b>
<i>Lazarashvili Tea</i>	
<b>THE ROLE AND SIGNIFICANCE OF STATE SECTOR IN THE COUNTRIES WITH TRANSITION ECONOMY</b>	<b>141</b>
<i>Tsereteli Zurab</i>	
<b>THE PROBLEMS OF SMALL AND MIDDLE BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA</b>	<b>148</b>
<i>Kvaratskhelia Murman</i>	
<b>FOR THE ARTICLE OF GEORGIA’S GOVERNMENTAL ESTABLISHMENT IN THE CREATIVE ACTIVITY OF ILIA CHAVCHAVADZE AND NIKO NIKO- LADZE</b>	<b>158</b>
<i>Khuskivadze Mamuka , Totladze Lia</i>	
<b>CONCERNING THE DEVELOPMENT POTENCY OF A REAL SECTOR OF GEORGIA’S ECONOMY</b>	<b>167</b>
<i>Kakulia Eter</i>	
<b>THE PECULIARITY OF SMALL ENTERPRISE MANAGEMENT</b>	<b>174</b>
<i>Kakulia Nazira</i>	
<b>THE PROBLEMS OF INSTITUTIONAL REFORMS IN THE MODERN PERIOD</b>	<b>182</b>
<i>Maisuradze Giga</i>	
<b>THE TENDENCIES OF INTERNATIONAL BUSINESS DEVELOPMENT</b>	<b>189</b>
<i>Kveladze Ketevan, Khuskivadze Mamuka</i>	
<b>THE DEVELOPMENT OF TOURISM BUSINESS IN ONE OF THE MAIN DIRECTIONS OF UNEMPLOY- MENT LEVEL DECREASE IN GEORGIA</b>	<b>195</b>
<i>Kavtaradze Tengiz</i>	
<b>SMALL BUSINESS AND THE WAYS OF POVERTY OVERCOMING IN RURAL GEORGIA</b>	<b>203</b>

<i>Sarchimelia Roland</i>	
<b>PRIVATIZATION AND SOME ISSUES OF OVERCOMING OF POVERTY IN GEORGIA</b>	<b>210</b>
<i>Melashvili Medeja, Kistauri Nunu</i>	
<b>POVERTY AND MAIN TRENDS OF ITS OVERCOMING IN GEORGIA</b>	<b>223</b>
<i>Davlasheridze Nata</i>	
<b>THE NOBEL PRIZE WINNER IN ECONOMICS THEODOR SCHULTZ ABOUT THE ROLE OF THE HUMAN CAPITAL IN OVERCOMING OF POVERTY PROBLEMS</b>	<b>232</b>
<i>Kurdadze Tinatin</i>	
<b>THE PROBLEMS OF THE GROWTH OF ECONOMIC EFFECTIVENESS OF INVESTMENTS</b>	<b>241</b>
<i>Bregvadze Giorgi</i>	
<b>REGIONAL PECULARITY OF THE DEVELOPMENT OF CONSTRUCTION</b>	<b>249</b>
<i>Maisuradze Giga</i>	
<b>LAND MANAGEMENT</b>	<b>256</b>
<i>Dvalishvili Lia</i>	
<b>POVERTY – HAMPARING FACTOR OF SUSTAINABLE DEVELOPMENT</b>	<b>261</b>
<i>utskiridze Marina</i>	
<b>THE PROBLEMS ON PRIVATIZATION AND INFLUENCE ON POVERTY OVERCOMING</b>	<b>274</b>
<i>Nozadze Zurab</i>	
<b>THE ISSUES OF STATE FOREST RESERVES DEVELOPMENT AND DEFEND IN MODERN CONDITIONS</b>	<b>283</b>
<b>AUTHORS</b>	<b>293</b>

# 0 6 3 0 რ მ ა ც ი ა

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტთან არსებობს საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი **“ეკონომისტი”** (მთავარი რედაქტორი ემდ, პროფ. რ. აბესაძე).

ჟურნალში ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ქვეყნდება სტატიები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ეკონომიკის სფეროში არსებული თეორიული და პრაქტიკული პრობლემების კვლევების შედეგების შესახებ. პერიოდულად დაიბეჭდება რეცენზიები, ეკონომიკური მიმოხილვები და სხვადასხვა სამეცნიერო-ორგანიზაციული ღონისძიებების ქრონიკები.

ავტორთათვის ჟურნალში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.

2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.

3. სტატიის მოცულობა, რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა იყოს გონივრულ შესაბამისობაში მათთვის დამახასიათებელ მასშტაბებთან. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, 4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ერთ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, qarTuli teqsti SriftiT ACADNUSX, xolo inglisuri TIMES NEW ROMAN).

4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.

5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**\* \* \***

### **პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტთან ფუნქციონირებს გამომცემლობა**

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა – ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე – გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება;  
**გამოიცემა:**
- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები;
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებულები, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები);
- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები.
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები.

დაიბეჭდა სსიპ – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის  
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

გამომცემლობის რედაქტორი

სესილი ხანჯალაძე

გადაეცა წარმოებას – 60X84 1/16

ქალაქის ზომა – 19.12

პირობითი ნაბეჭდი თაბახი –

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი – 12.75

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი, გ. ქიქოძის № 14

93 22 60, 99 68 53, 99 74 09

ელ-ფოსტა: [economist11@rambler.ru](mailto:economist11@rambler.ru)